



სპორტი და ახალგაზრდობა 2014 SPORT AND YOUTH

საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ყოველწლიური გამოცემა

MINISTRY OF SPORT AND YOUTH
AFFAIRS OF GEORGIA
ANNUAL EDITION

მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი

ალექსანდრე მაისურაძე, ეკა კვიციანი, ოთარ მაღლაკელიძე, გიორგი ჭანიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ჩხეიძე, თამარ ყულუმბეგაშვილი, ვახტანგ შატაძე, ზაალ ანჯაფარიძე, გრიგოლ გურასაშვილი, ირმა კახურაშვილი, ჯემალ კასრაძე, ხათუნა ჯანგირაშვილი, ცისანა ალავეიძე, კახა ბერიძე, ვეკო კვარაცხელია

გამოსაცემად მოამზადა
**საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია**

აღმასრულებელი რედაქტორი
გიორგი გორგოძე

ჟურნალში გამოყენებულია, ალექსანდრე კოტორაშვილის, თამარ ყულუმბეგაშვილის, ხატია ჯიჯეიშვილის, ალექსანდრე მაისურაძის, ბადრი კეთილაძის, გიორგი ჭანიშვილის, ავთანდილ გურასაშვილის, კახა ბერიძის, ლაშა კუპრაშვილის, ვეკო კვარაცხელიას ფოტოები.

The edition is prepared for publishing by
GEORGIAN SPORTS JOURNALISTS ASSOCIATION

ISSN 1512-1208



ლევან ყიფიანი: სამინისტროს საქმიანობა კიდე უფრო ეფექტური იქნება

2014 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების, სინხლავებისა და ზოგადად გასული წლის სპორტული თუ ახალგაზრდული მოვლენებისა და სამოთხველო გეგმების შესახებ გვესაუბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი.

– ვფიქრობ, ჩვენმა სამინისტრომ ძალიან საინტერესო და გამოწვევებით სავსე წელიწადი მოიტოვა უკან. გვექონდა არაერთი წარმატება, სპორტული შედეგი თუ აღიარება, დავინყეთ ახალი და ძალზე მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება როგორც სპორტის, ასევე ახალგაზრდობის სფეროში, გავაქტიურეთ საერთაშორისო ურთიერთობები, წარმატებულად განვახორციელეთ ის ძირითადი პროგრამები, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებს ვაფინანსებთ. რა თქმა უნდა, იყო პრობლემები და სიძნელებიც, თუმცა მთლიანობაში ის კურსი, რასაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ატარებს ჩვენი გუნდის მმართველობაში მოსვლის შემდეგ, გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

მთავრობის კაბინეტმა 2014 წელს დაამტკიცა „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“ და „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“. გაგრძელდა მუშაობა ერთიანი სახელმწიფო მართვის სისტემის გრძელვადიან სამოქმედო გეგმაზე. სამინისტროს მიერ განისაზღვრა სამი ძირითადი პრიორიტეტი სპორტის სფეროში – ინფრასტრუქტურული, განათლებისა და საკანონმდებლო მიმართულებებით და 4 სტრატეგიული მიმართულება ახალგაზრდობაში – განათლება, დასაქმება და მობილობა; მონაწილეობა; ჯანმრთელობა; სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა.

– **სპორტული განათლებისა და მეცნიერების განვითარების მხრივ აღსანიშნავია სპორტის უნივერსიტეტის აღდგენა, ასევე პირველი საერთაშორისო კონფერენციის**

ორგანიზება სპორტის პოლიტიკის თემატიკაზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა.

– დიახ, 2014 წლის 15-16 აპრილს საქართველოს ისტორიაში პირველად თბილისმა უმასპინძლა წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციას „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“. კონფერენციას 300-მდე წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის იყვნენ სპორტის უცხოელი ექსპერტები და სპეციალისტები. კონფერენციის ფარგლებში მომზადდა დეკლარაცია, რომელსაც ხელი პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მოაწერეს.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპორტული განათლებისა და მეცნიერების განვითარების საკითხებზე. 2014 წელს „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა“ გაიარა ავტორიზაცია და სექტემბრის თვეში სტუდენტების პირველი ნაკადი მიიღო, ფუნქციონირება დაიწყო „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯმა“.

2007 წელს გაუქმებული სპორტის აკადემიის უნივერსიტეტის სახით აღდგენით, საქართველოს მთავრობამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო, უნივერსიტეტმა სპორტის დარგის პროფესიონალი სპეციალისტები და მწვრთნელები უნდა აღზარდოს, ჩვენი სურვილია, უახლოეს წლებში უნივერსიტეტი ევროპული სტილის სამაგალითო ინსტიტუტად ჩამოვაცალიბოთ მთელს რეგიონში.

– **ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება სამინისტროს ბიუჯეტი და დაფინანსება, გაგრძელდება თუ არა ეს ტენდენცია?**

– რაც შეეხება სპორტის დაფინანსებას, ბოლო წლები ჩვენ ეტაპობრივად ვზრდით სპორტის დაფინანსებას, შევიმუშავეთ და დავხვეწეთ სპორტსმენთა პრემიერების და სტიპენდიების პროგრამები. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 100-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში, სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამის ფარგლებში სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 122 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრება და 212 სასწავლო-სანვრთნელი შეკრება.

საერთო ჯამში, სამინისტროს დაფინანსებამ 2014 წელს მხოლოდ სპორტში 64 მილიონ ლარს მიაღწია, ამ ციფრს სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებისა და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაც თუ დაფუძნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამინისტრომ 2014 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს 70 მილიონზე მეტი ლარი მოახმარა. სამინისტროს ბი-

უჯეტი გაიზრდება 2015 წელს, როდესაც ჩვენ, მიმდინარე პროექტებთან ერთად, ვალდებულებას ვიღებთ ჩავეერთოთ თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა და უეფას სუპერთასის მატჩის მალალ დონეზე ორგანიზებაში.

- 2014 წლის სპორტული შედეგებიდან ძირითადად რომელ მიღწევებს გამოარჩევთ?

- პირველად 2007 წლის შემდეგ, საქართველოს ჰყავს მსოფლიოს ჩემპიონი ოლიმპიურ სახეობაში - ახალგაზრდა ტალანტი, ძიუდოსის ავთანდილ ჩიქოძე, რომელმაც ასევე ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვა. ქართველმა წყალბურთელებმა პირველად ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე 12 უძლიერეს გუნდს შორის, მორაგბეები უკვე ზედიზედ მეოთხედ, კალათბურთელები კი ზედიზედ მესამედ გავიდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

გვექონდა წარმატებები ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ჭადრაკში, სამბოში, მკლავჭიდსა და კარატეში, ასევე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში. გამოჩნდნენ წარმატებული სპორტსმენები ისეთ სახეობებში, როგორცაა კანოე, ფიგურული სრიალი და სხვა. ვუმასპინძლეთ უმაღლესი დონის საერთაშორისო ტურნირებსა და ასაკობრივ ჩემპიონატებს ძიუდოში, ჭადრაკში, წყალბურთსა და ფარიკაობაში, გამოვარჩივე წარმატებებს სტუდენტურ სპორტში. ქართველმა სპორტსმენებმა 2014 წელს ჯამში 541 მედალი მოიპოვეს, მათ შორის - 197 ოქრო, 156 ვერცხლი და 188 ბრინჯაო.

- დაწყებულია ახალი სპორტული ობიექტების მშენებლობები. რას იტყვი იმ ფრასტრუქტურულ პროექტებზე?

- სპორტული ინფრასტრუქტურა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სამინისტრო უშუალოდ ზედამხედველობს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის - „თბილისი 2015“-სთვის თანამედროვე საცურაო აუზის კომპლექსისა და მრავალფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობას. თავის მხრივ კი ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი მასშტაბურ სამუშაოებს ახორციელებს.

მთლიანობაში, 2015 წელს გასამართი ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისათვის ჩვენ მივიღებთ სრულიად ახალ, ევროპული სტანდარტების სპორტულ ნაგებობებს. საქართველოს შესაძლებლობა ექნება უმასპინძლოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ რეგიონების სპორტული ინვესტიციების მომარაგებას, ქუჩის სავარჯიშოების დამონტაჟების პროცესს, სავარჯიშო დარბაზების აღდგენას და

სხვა. აქტიურად ვართ ჩართულნი ყველა იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებს ემსახურება.

- საინტერესოა, რა სახელები იყო საერთაშორისო მიმართულებით?

- ამ მიმართულებით მუშაობა სარძობლად გააქტიურებულია როგორც სპორტის, ასევე ახალგაზრდობის სფეროში. გვექონდა არაერთი შეხვედრა კოლეგა მინისტრებთან, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. გავაფორმეთ მემორანდუმები არაერთ ქვეყანასთან, გავალმავეთ თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან, ვუმასპინძლეთ დელეგაციებსა და სტუმრებს.

შვეიცარიაში გამართულ მინისტრიალზე ხელი მოვანერე „ევროპის საბჭოს კონვენციას სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“, საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა 2016 წლის ევროპის საბჭოს სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის მასპინძლობაზე.

- როგორ აფასებთ სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებს ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხით და ასევე სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების საქმიანობას?

- ძირეული ცვლილებები შევიდა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში“. პრიორიტეტად გამოცხადდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი ჩართულობა სპორტულ ტურნირებსა თუ ახალგაზრდულ ინიციატივებში. 2014 წელს შეიქმნა „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა“, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, ერთნაირი მანდატით ისარგებლონ.

ახალგაზრდული კუთხით ვახორციელებთ 14 პროგრამას, მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის, არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის, სტუდენტთა არაფორმალური განათლების მხარდაჭერის და სხვა არაერთ საინტერესო პროგრამას, წარმატებულად ჩავატარეთ „სტუდენტური დღეები.“

მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, ასევე სპორტული მიმართულებით ოლიმპიური რეზერ-

ვების მზადების ეროვნული ცენტრისა და ქართული სპორტის მუზეუმის მიერ განუხლები საქმიანობა.

კიდევ უფრო მიმზიდველი გაცხადეთ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ანაკლიის „მომავლის ბანაკი“, რომელმაც 2013-2014 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები 14-დან 18 წლამდე მოზარდებისაგან დაკომპლექტებული 13 ნაკადი - საერთო ჯამში 3728 ახალგაზრდა მიიღო.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში, სადაც 2012-2013 წლებში ფუნქციონირებდა 15 კაბინეტი, 6 სტუდია, 1 სახელოსნო და სხვადასხვა დასახელების 96 წრე, ამჟამად ფუნქციონირებს 24 კაბინეტი და 137 წრე. 2014-2015 სასწავლო წლისთვის სასახლეში რეგისტრაცია 1 სექტემბრიდან დაიწყო და 2014 წლის ბოლო მონაცემებით უკვე 500-ზე მეტი მოსწავლეა რეგისტრირებული.

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ერთადერთი სახელმწიფო ფონდია, რომელიც ახალგაზრდულ ინიციატივებს აფინანსებს. 2013-2014 წლებში ფონდმა 116 ახალგაზრდული პროექტი დააფინანსა, რომელთა განხორციელების შედეგად 700-მდე ახალგაზრდა დასაქმდა.

სულ 2013-2014 წლებში სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპების მიერ ახალგაზრდული მიმართულებით 300-მდე პროგრამა და ქვეპროგრამა განხორციელდა, რომელთა ბენეფიციარი 200 ათასამდე ახალგაზრდა იყო, ხოლო 2013 წლიდან დღემდე აღნიშნული პროგრამებისთვის 13,2 მილიონი ლარი დაიხარჯა.

- როგორია 2015 წლის გეგმები, მით უმეტეს, რომ გამოწვევებით სავსე წელიწადი ახლოვდება?

- 2015 წელს ჩვენ ვმასპინძლობთ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს და უეფას სუპერთასს, ამ ორივე უმაღლესი დონის სპორტული მოვლენის მალალ დონეზე ორგანიზებისათვის შექმნილია სამთავრობო კომისიები, პროცესებში ჩართულია თბილისის მერია. თბილისში გამართება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, სალიცენზიო გრან-პრი ძიუდოში, მორაგბეთა და კალათბურთელთა ნაკრებებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიელები კი 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად დაიწყებენ ბრძოლას. ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ქართველ სპორტსმენებს.

გიორგი ჭანიშვილი

ევროპის ჩემპიონატი

მონაპოვნი
24-27 აპრილი

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ)
ოქრო

ვარლამ ლიპარტაქიანი (90 კგ)
ოქრო

ამირან პაპინაშვილი (60 კგ)
ვერცხლი

ადაშ ოქრუაშვილი (+100 კგ)
ვერცხლი

საქართველოს ნაკრები
ოქრო



➔ ავთანდილ ჭრიკიშვილის ულამაზესი იპონი

ოთხი ფინალი სამ დღეში

იპონი, რომელმაც
ტრიუმფი დაადგა



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე თამასა ისეთ სიმაღლეზე ასწია, წლეულს შედეგის გაუმჯობესება დასაგეგმადაც კი წარმოუდგენლად რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი უზნაძემ ევროშემადგენლობა შარშანდელი პირველობის ჩემპიონპრიზიორებით დააკომპლექტა.

ერთადერთი გამონაკლისი ლაშა შავდათუაშვილი იყო, რომელიც 2013-ში ევროპოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ოლონდ მაშინ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მიმდინარე სეზონიდან კი 73-ში დასამკვიდრებლად შეუდგა ბრძოლას და წინასაჩემპიონატო საერთაშორისო ტურნირებშიც ჩაერთო, მაგრამ საფრანგეთის განაცხადში ვერ მოხვდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ამ წონაში არჩევანი შარშანდელი ევროპირველობის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორებზე ნუგზარ ტატალაშვილსა და ზებედა რეხვიამეილზე შეაჩერა.

მონპელიეში 66 კილოგრამის სატურნირო ბადე ქართველი ძიუდოისტის გარეშე შეივსო. სამაგიეროდ, სამ წონაში – 73, 81 და 90 კილოგრამებში უზნაძემ ტატამზე ორ-ორი შეგირდი გაიყვანა.

სამდღიანი ინდივიდუალური პირველობის პირველ დღეს – 24 აპრილს საქმეში მხოლოდ ამირან პაპინაშვილი (60 კგ) ჩაერთო. ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში მოჭიდავე ქართველს ზედიზედ მეორედ გასაჩემპიონებლად სულ ცოტა დააკლდა – ფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ბესლან მუდრანოვთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

უიღეთოდ გაღეული ძირითადი დროის ბოლო წუთზე ამირან პაპინაშვილი შიდოს უპირატესობით იგებდა, მაგრამ დასანაწინი გაფრთხილება საფინალო გონგამდე 35 წამით ადრე მიიღო და შეხვედრა „ოქროს დროში“ გადავიდა. ოქროს ბედიც შიდომ გადაწყვიტა, რომლითაც მსაჯმა ისევ ქართველი მსუბუქწონოსანი დასაჯა.

ფინალის გზაზე ამირან პაპინაშვილმა ფინელი ვადუდ ბალატკანოვი პასიურობის გამო მსაჯს ოთხჯერ გააფრთხილებინა, ფრანგ ვინსენ ლიმარს იუკოთი გასცდა, სომეხი ჰოვანეს დავთიანი კი ორჯერ დასცა ვაზარზე. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ ილგარ მუშკიევიანს იუკოს აგებდა, როდესაც ეს უკანასკნელი ფეხში ხელით შესვლის წესის დარღვევისთვის მოხსნეს. ეს ეპიზოდი



ვარლამ ლიპარტელიანი



ავთანდილ ჭრიკიშვილი

მთავარმა მსაჯმა უყურადღებოდ დატოვა, მაგრამ მსაჯთა მაგიდიდან მიუთითეს და გამარჯვებულად პაპინაშვილი გამოაცხადებინეს.

ევროპირველობის მეორე დღე საქართველოს ჰიმნით დაიხურა. მონპელიეს დარბაზში შეკრებილი მაცურებლები ფეხზე ავთანდილ ჭრიკიშვილს წამოუდგნენ. საქართველოს 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენმა ევროპის უძლიერესი ძიუდოსტის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

ოქროს გზას ჭრიკიშვილი მეორე წრიდან შეუყვია, გერმანელი ალექსანდრ ვიც-ზერზაკის შიდოებით ძლევიტ. რუსეთის ნაკრების წევრ სირაჟუდინ მაგომედოვს იპონით გაუსწორდა. საბერძნეთის სახელით მოჭიდავე რომან მოსტოპულოს გაფრთხილებებით გასცდა, ნახევარფინალში კი ბელარუს ალექსანდრ სტიაშენკას აჯობა.

ფინალში ქართველი ძიუდოსტი უმთავრეს კონკურენტს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ფრანგ ლუის პიეტრის დაეჭიდა. შეგახსენებთ, ეს ტიტული პიეტრიმ შარშან, სწორედ ჭრიკიშვილის ძლევიტ მოიპოვა. მას შემდეგ ავთანდილმა რამდენიმეჯერ აულო რევანში. მათ შორის,

იმავე მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურ პირველობაზე, მაგრამ მონპელიეს ტატამზე გამარჯვებას მაინც სულ სხვა ფასი ჰქონდა.

ლუის პიეტრი მთელი შეხვედრა უკან იხევდა, მუხლებზე ხოხავდა, გარბოდა, მაგრამ მსაჯმა დასაწყისში მიღებულ ორ შიდოს დააჯერა. სამაგიეროდ, ამდენჯერვე გააფრთხილა ჭრიკიშვილიც.

მეხუთე წუთის დასაწყისში ტატამის არბიტრმა ფრანგი მესამედ გააფრთხილა, მაგრამ მსაჯთა მაგიდამ გადაწყვეტილება გააუქმებინა. ამ ეპიზოდმა უფრო ცხადი გახადა, რომ ავთანდილ ჭრიკიშვილის გამარჯვების ერთადერთი შანსი ილეთი იყო და მანაც შეასრულა, თან ისეთი შეასრულა, ეგებ ვინმემ იმ შიდოს მოხსნაც ინანა. ძირითადი დროის ამოწურვამდე თხუთმეტი წამით ადრე მეტოქე ზურგზე მოიგდო და ტატამზე ისე დაანარცხა, საოცრად მოგუგუნე ტრიბუნები წამში დაადუმა. სამაგიეროდ, ულამაზესი იპონით გაიხარეს საფრანგეთში მოთამაშე მორაგბეებმა – მამუკა გორგოძემ, მიხეილ ნარიაშვილმა, გიორგი მჭედლიშვილმა, გაგა ბაზაძემ და ლაშა ლომიძემ, რომლებიც დარბაზში ქართველების საქომაგოდ მივიდნენ.

წილისყრამ ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი სატურნირო ბადეში ერთ მხარეს მოახვედრა. მათი გზები ერთმანეთს ნახევარფინალში კვეთდა, მაგრამ იქამდე ორივეს თითო გამარჯვება დააკლდა. ტატალაშვილმა ფრანგ უგო ლეგრანთან ნააგო, ხოლო რეხვიაშვილმა – სლოვენელ როკ დრაკშიჩთან. შესაბამისად, ქართული დაპირისპირება რეპეშაჟის ნახევარფინალში შედგა და ნუგზარ ტატალაშვილის გამარჯვებით დასრულდა. ერთი მოგებაც და ტატალაშვილი ევროპის საპრიზო სამეულში ზედიზედ მეორედ მოხვედებოდა, მაგრამ პოდიუმამდე უნგრელმა მიკლოშ უნგვარმა არ მიუშვა და მხოლოდ მე-5 ადგილს დააჯერა.

ინდივიდუალური ჩემპიონატის დასკვნით დღეს ჩემპიონ-პრიზიორები სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ და ორში ფინალში საქართველოს ნაკრების წევრი ავიდა. ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) გადამწყვეტ ბრძოლაშიც იმარჯვა და ორწლიანი პაუზის შემდეგ, ევროპული ოქროთი ისევ გაიხარა. ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) კი, ზედიზედ მეორედ, ვერცხლს დაეუფლა.

ლიპარტელიანი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო და ფინალამდე უკრაინელი



→ ადამ ოქრუაშვილი



→ ამირან პაპინაშვილი

ვადიმ სინიაესკი, ლიტველი კაროლის ბაუზა და უნგრელი კრისტიან ტოტი იპონი იპონ ჩამოიშორა გზიდან. გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუს კირილ ვოპროსოვთან შედარებით ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და იუკოს უპირატესობა იკმარა.

ოქრუაშვილი ბადეში მთავარი კონკურენტისა და უპირველესი ფავორიტის – ფრანგი ტედი რინერის საპირისპირო მხარეს მოხვდა და, რა თქმა უნდა, ფინალშიც მას დაუპირისპირდა. ევროპის ან უკვე 4-გზის, მსოფლიოს 7-გზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქართველ მძიმეწონოსანს იპონით მოუგო, მაგრამ სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტად გაუჭირდა.

რინერთან დაჭიდებამდე ადამ ოქრუაშვილმა ავსტრიელი დანიელ ალერშტოფერი და ჰოლანდიელი როი მეიერი მსაჯს შიდოებით მოახსნევინა. გაფრთხილებითვე გაუსწორდა ნახევარფინალში გერმანელ ანდრე ბრაიტბარტს, რომელმაც იქამდე მეორე ქართველი მძიმეწონოსანი ლევან მათიაშვილი დაამარცხა. ლევანი რეპეშაჟში გადაერთო და მაიერის ძღვევით „ბრინჯაოს ფინალამდეც“ მივიდა, მაგრამ ლიტველ მარიუს პასკევიჩუსთან ნააგო და მე-5 ადგილი დაიკავა.

ევროკონკურენციაში ეროვნული გუნდის დებიუტანტები ზვიად გოგოჭური (90 კგ) და გურამ თუშიშვილიც (100 კგ) ჩაერთნენ. გოგოჭურმა საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა, თუშიშვილი კი მეორე წრეში დამარცხდა. საქართველოს ნაკრები საერ-

თო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ საფრანგეთს ჩამორჩა.

ევროპირველობის დასრულების შემდეგ, ევროპის ძიუდოს ფედერაციამ შეჯიბრების სუთი საუკეთესო ილეთი გამოარჩია. მათგან ორი ავთანდილ ჭრიკიშვილს ეკუთვნოდა. ლუის პიეტრისთვის შესრულებული იპონი ჩემპიონატის საუკეთესო გდებად დასახელდა. სირაჟუდინ მაგომედოვთან გაკეთებულმა ფანდმა კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

ოთარ მაღლაკელიძე



→ ირაკლი უზნაძე

ნაცნობი ფინალი ნაცნობი ფინიშით

ბოლო სუთ წელიწადში მეოთხედ, ზედიზედ კი მესამედ, ძიუდოსიტა ევროპის გუნდური ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების ტრიუმფით დაგვირგვინდა. ირაკლი უზნაძის განვრთნილმა გუნდმა თავისი რეალური შესაძლებლობები მონპელიეშიც დაამტკიცა. სატურნირო ბადეში პირველ ნომრად განთესილი ნაკრები თავიდანვე უმთავრესი ფავორიტი იყო.

ქართული სუთეული საქმეში მეორე წრიდან – მეოთხედფინალიდან ჩაერთო, ჩეხეთთან შეხვედრით და მეტოქეს უპრობლემოდ გასცდა. საფრანგეთში მხოლოდ გუნდური პირველობისთვის ჩაყვანილმა შალვა ქარდავამ (66 კგ) 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი პაველ პეტრიკოვი მოგვერდით დასცა ბეჭებზე, ზებედა რეხვიამვილმა (73 კგ) ასევე სუფთა გდებათ სძლია ვაცლავ სედმიდუბსკის. ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) კი იარომირ მუსილს ვაზარი აკმარა და საქართველოს ნაკრებს ნაადრევი გამარჯვება გაუფორმა, თუმცა არც დარჩენილ ორ წონაში მოჭიდავე ქართველებს შეურცხვენიათ თავი. 90 კილოგრამში უზნაძემ ვარლამ ლიპარტელიანი დაასვენა და განაცხადში ზვიად გოგოჭური შეიყვანა, ვინაც მიშალ კრპალეკი მსაჯს ოთხი შიდოთი მოახსნევინა. +90-ში კი ნაკრების დამრიგებელმა თავის გამოჩენის შანსი ლევან მათიაშვილს მისცა და მანაც გაუმართლა – მიშალ ჰორაკისთვის შესრულებული კისრულით მათიაშვილმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 5:0.

ნახევარფინალში მოლოდინისამებრ ქართულ-ფრანგული გზები გადაიკვეთა და ევროპირველობის მასპინძლები მოქმედ ჩემპიონს გვარიანად გაუძალიანდნენ. ქარდავამ ევროპის მოქმედ ჩემპიონ ლუის კორვალთან იუკოთი ნააგო.

73 კილოგრამში ირაკლი უზნაძემ რეხვიამვილი ნუგზარ ტატალაშვილით ჩაა-



ევროპის 2014 წლის ჩემპიონი – საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

ნაცვლა. ფრანგთა სამწვრთნელო შტაბმა კი რატომღაც, ევროპის 2-გზის ჩემპიონი უგო ლევრანი დაასვენა და ტატამზე ფლორინტ ურანი შეუშვა. ტატალაშვილმა მეტოქეს იპონით მოუგო და წონასწორობა აღადგინა.

მესამე შეხვედრაში ჭრიკიშვილისა და ლუის პიეტრის დაპირისპირება კიდევ ერთხელ შედგა და კვლავ ჩვენთვის სასურველი ფინიშით დასრულდა – ქართველმა ძიუდოისტმა კიდევ ერთხელ აჯობა მონინალმდეგეს, ტრიბუნებს და მსაჯებს. ხუთი წუთის განმავლობაში ჭრიკიშვილს ორჯერ ვაზარი არ შეუფასეს. ამასთან, ორჯერაც გააფრთხილეს, მიუხედავად იმისა, რომ თუ ვინმე გასაფრთხილებელი იყო, პირველ ყოვლისა, მისი მეტოქე. საფინალო გონგამდე 11 წამი რჩებოდა, როდესაც პიეტრი იუკოზე დააგდო და საქართველოს ნაკრები დაანინაურა. ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი მარცხმა ისე გააბრაზა, ჭრიკიშვილს ხელიც არ ჩამოართვა.

ვარლამ ლიპარტელიანმაც იუკოთი სძლია რომენ ბუფეს, საერთო ანგარიში 3:1 გახადა და გუნდს ფინალის საგზური ნაადრევად მოუპოვა. მასპინძლებს პრესტიჟის ქულა ტედი რინერმა მოუპოვა, ადამ ოქრუაშვილის ძლევით. თუმცა ქართველი მძიმეწონოსნისგან ინდივიდუალური პირველობის ფინალის მსგავსად, დიდ წინააღმდეგობას ნააწყდა.

ფინალის საგზური რუსებმაც მოიპოვეს და გუნდურ ევროპირველობაზე ზედიზედ მესამე ქართულ-რუსული ფინალი ვიხილეთ და ქართველებმა პრინციპული მონინალმდეგე მესამედაც გაამწარეს. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა რუსულმა სპორტულმა გამოცემამ გუნდური პირველობის მიმოხილვას „ქართული სინდრომი“ დაარქვა.

ირაკლი უზნაძემ საფრანგეთთან ნაჭიდავები ხუთეული უცვლელი დატოვა. ფინალიც ნახევარფინალის სცენარით დაიწყო – შალვა ქარდავა ევროპის 2012 წლის ჩემპი-

ონ ალიმ გადანოვთან იუკოთი დამარცხდა და მეტოქე დაწინაურდა. ნუგზარ ტატალაშვილმა ევროპის 2-გზის ბრინჯაოსან მუსა მოგუშკოვს შიდათი აჯობა, ავთანდილ ჭრიკიშვილმაც ერთი გაფრთხილების უპირატესობით სძლია მურატ ხაბაჩიროვს, ოქროს მედლის მომტანი გამარჯვება კი საქართველოს ნაკრებს ვარლამ ლიპარტელიანმა მოუტანა, როდესაც 2012 წლის ჩელიაბინსკური გუნდური ევროპირველობის მსგავსად, გრიგორი სულემინი დაჩაგრა. ლიპარტელიანმა მეტოქე მეხუთე წუთზე შებოჭა.

უმოტივაციოდ დარჩენილმა ადამ ოქრუაშვილმა რენატ საიდოვს შიდათი სძლია და საქართველომ 4:1 მოიგო.

ბრინჯაოს მედლებს ფრანგები და გერმანელები დაეუფლნენ. ქალებში კი ჩემპიონი საფრანგეთი გახდა, ფინალში გერმანიის ძლევით, ხოლო მესამე საპრიზო ადგილები სლოვენისა და პოლონეთს ერგოთ.

ოთარ გაღლაკელიძე



FOUR FINALS IN THREE DAYS IPPON WHICH SILENCED THE AUDIENCE

THE 2014 EUROPEAN CHAMPIONSHIP
Montpellier (France)
April 24-27, 2014

AVTANDIL CHRICKISHVILI (81 kg) – GOLD
VARLAM LIPARTELIANI (90 kg) – GOLD
AMIRAN PAPANASHVILI (60 kg) – SILVER
ADAM OKRUASHVILI (+100 kg) – SILVER
GEORGIAN NATIONAL TEAM – GOLD

Amiran Papanashvili (60 kg) was the first member of the Georgian team who engaged in the individuals duels of the championship. He appeared at the championship as acting champion of Europe and was a step away from winning this title for the second time. He lost the final duel again Beslan Mudranov (Russia) and got silver medal only. Main time of the duel expired without any move by the contenders. Papanashvili was winning the duel up to the very last minute thanks to the “Shido” (warning) imposed on his contender. However, Amiran received regrettable warning just 35 minutes before the final gong which moved the duel to the “Golden Time.” The additional “Shido” which referee imposed on the Georgian judoka decided the winner. Amiran beat contenders from Finland, France, Armenia and Azerbaijan on his way to the final.

The second day of the championship ended with sounding the Georgian national anthem. The audience in the Montpellier hall stood up to greet the victory by Georgian judoka Avtandil Chrikishvili. The best sportsman of Georgia in 2013 won the European championship for the second time successively.

Chrikishvili started his way to the golden medal by defeating Alexander Wieczerzak (Germany). Then he beat Sirazhudin Magomedov (Russia) with Ippon. Later Avtandil won victory over Roman Moustopoulos (Greece) and beat Alexander Styashenka (Belarus) in the semifinal. In the final duel Chrikishvili fought with his main contender Luis Pietri (France) who was acting world champion that time. Just fifteen minutes before the expiration of main time Chrikishvili downed his contender on tatami with so effective Ippon throw that noisy spectators became silent for a second. Chrikishvili's spectacular Ippon made happy the Georgian rugby players playing in France. Mamuka Gorgodze, Mikheil Nariashvili, Giorgi Mchedlishvili, Gaga Bazadze and Lasha Lomidze came to the Montpellier sport hall to support their compatriots.

The final day of the individuals' championship revealed champions and medalists in three weight categories with two Georgian judokas in the final. Varlam Liparteliani (90 kg) succeeded in the decisive battle and won gold medal after a two-year break. Adam Okruash-

vili (+100 kg) won silver medal for the second time successively.

Liparteliani defeated by Ippon Vadim Sin-yavski (Ukraine), Carolis Bauza (Lithuania) and Christian Toti (Hungary) on his way to the victory. Varlam chose relatively cautious tactic in the decisive final duel with Kiril Voprosov (Russia) and Yuko advantage turned out enough for the victory.

THE KNOWN FINAL WITH THE KNOWN FINISH

European Judo team championship has ended with a triumphant victory of the Georgian national team. It has happened for the fourth time during the last five years. Moreover, the Georgian judokas won the team contest three times successively. The team coached by Irakli Uznadze reaffirmed its actual strength at the 2014 European Judo team championship in Montpellier (France).

The five-member Georgian team engaged in the contest from the second round and easily beat the Czech team. As it was expected, Georgian and French teams crossed swords in the semifinal. The host team gave a strong rebuff to the guests. Shalva Kardava lost by Yuko to the acting champion of Europe Luis Corval. However, Nugzar Tatalashvili won the next duel by Ippon and equalized the score.

The third duel brought face to face Chrikishvili and Luis Pietri. The Georgian judoka beat his French contender once again, despite that referees did not evaluate Chrikishvili's two Wasari and twice imposed Shido on him. Just 11 seconds before the final gong Chrikishvili gained a winning point Yuko and advanced the Georgian team. Varlam Liparteliani beat Romen Buffe by Yuko as well and made the total score 3:1. Thanks to this victory the Georgian team won the ticket to final match ahead of time. The Russian national team also reached the final and Europe championship saw the third successive Georgian-Russian final duel. The Georgians humiliated their long-standing rival and won convincing victory. After the championship, one Russian sport edition entitled the review of the European judo team contest as “Georgian Syndrome.”

The course of the final duel was somewhat similar to semifinal because the Georgians lost the first duel. Kardava was beaten by Alim Gadanov, champion of Europe in 2012. But that was the first and last victory by the Russians. Tatalashvili beat Musa Mogushkov, twice bronze medalist of Europe. Chrikishvili defeated Murat Khabachirov with a single Shido. Varlam Liparteliani brought a winning point to the Georgian national team by beating Grigori Sulemin through the holding. Adam Okruashvili defeated Renat Saidov by Shido and the Georgian team won the duel 4:1.

OTAR MAGLAKELIDZE

მსოფლიოს ჩემპიონატი
ჩელიაბინსკი
25-31 აგვისტო

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ)
ოქრო

ვარლამ ლიპარტიანი (90 კგ)
ბრინჯაო

ამირან პაპინაშვილი (60 კგ)
ბრინჯაო

საქართველოს ნაკრები
ბრინჯაო



მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და ჭრიკიშვილის ვაზარი

ნანატრი ოქროს დაბრუნება

ირაკლი უზნაძე:

„მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი მთავარი ამოცანა ინდივიდუალურ ჩათვლაში ნანატრი ოქროს მედლის მოპოვება იყო. ეს შევეძლით და შესაბამისად, შედეგიც დადებითად შესაფასებელია. გუნდის საერთო გამოსვლითაც კმაყოფილი ვარ. მოგეხსენებათ, ჭრიკიშვილის გარდა, მედლები ამირან პაპინაშვილმა და ვარლამ ლიპარტიანიმაც მოიპოვეს. ცხადია, გარკვეული უკმაყოფილების გრძნობაც დაგვრჩა, რადგან ბრინჯაოს პრიზიორებს უფრო მაღალი ადგილების დაკავება შეეძლოთ“.

ოქროს მარიაშოვა

რუსეთში ავთანდილ ჭრიკიშვილი 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის მსოფლიო რეიტინგის ლიდერის და შესაბამისად, ფავორიტის რანგში ჩავიდა. რადგან მის უმთავრეს კონკურენტად მიჩნეული ფრანგი ლუის პიეტრი სატურნირო ბადის მეორე მხარეს მოხვდა, ყველა შარშანდელი ფინალის გამეორებას ელოდა, ქართველი გულშემატკივრები კი – მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან ასაღებ მორიგ რევანშს.

პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა ძიუდოისტმა პირველი ბრძოლა ჩეხ იარომირ მუსილთან ჩაატარა. მუსილმა მეორე წუთზე ფეხი იტკინა და შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. მეორე წრეში ჭრიკიშვილმა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, ბელგიელ ჟოაკიმ ბოტიოს პირველსავე წუთზე იუკო აულო და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. მერვედფინალში პორტუგალიელ კარლოს ლუზს შიდოს უგებდა, როცა მეტოქემ ფეხში შესვლის წესი დაარღვია და მსაჯმა უმაღლესი მოხსნა.

გაფრთხილებებმა გადაწყვიტა შემდეგი ორი შეხვედრის ბედიც – მეოთხედფინალში ქართველმა ძიუდოისტმა იაპონელ ტაკენორი ნაგასეს ილეთი ვერ შეუსრულა, მაგრამ აქტიურობით კი გვარიანად დაჩაგრა და მსაჯმა მუდმივად თავდაცვაზე ორიენტირებული აზიელი შიდოთი სამჯერ დასაჯა.

ნახევარფინალში ჭრიკიშვილი ფრანგ ალენ შმიტს დაეჭიდა და მესამე წუთზე იუკოთი ჩამორჩა. ბოლო ორ წუთში კი

2007 წლის შემდეგ, საქართველოს წარმომადგენლებს სპორტის არც ერთ ოლიმპიურ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო არ მოუპოვებიათ. ძიუდოისტ ირაკლი ცირეკიძის მიღწევისა და შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, გამარჯვება ისევ ძიუდოისტმა – ავთანდილ ჭრიკიშვილმა მოიპოვა. საქართველოს 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენი ნანატრ ტიტულს რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში გამართულ მსოფლიო პირველობაზე დაეუფლა, 2014 წლის სეზონი ოქროს დუბლით დაავიროვინა და წლის სპორტსმენად ზედიზედ მეორედ დასახელების უმთავრესი კანდიდატიც გახდა.

სეზონის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება ერთი კვირა გაგრძელდა. საქართველოს ნაკრებისთვის ყველაზე წარმატებული კი მესამე დღე აღმოჩნდა, რომელიც მარიამობის დღესასწაულს დაემთხვა.





→ ავთანდილ ჭრიკიშვილი ფინალში

უკანმოუხედავად შეუტია და სანადელს კვლავ შიდოების ხარჯზე მიაღწია. საჭიდაოდ განკუთვნილი ხუთი წუთის ამონაწერამდე 21 წამით ადრე შმიტს გაფრთხილებების ლიმიტი ამოეწურა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ლუის პიეტრი და კანადელი ანტუან ვალუა-ფორტიე დაეჭიდნენ და მოულოდნელად, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ნაიფორხილა.

გადამწყვეტ ბრძოლაში ავთანდილ ჭრიკიშვილი ვალუა-ფორტიესთან პირველსავე წუთზე ვაზარით დანაწიურდა – მეტოქე ხელში აიტაცა და ტატამს ზურგით დაანარცხა. ტატამის მსაჯმა იპონი დააფიქსირა, მაგრამ მსაჯთა მაგიდამ გადაწყვეტილება შეუცვალა. დარჩენილი ოთხი წუთი უილეთოდ გაილია და საფინალო გონგიდან ათიოდ წუთში „ტრაქტორის“ დარბაზში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

ამავე ნონაში კომონო საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა უშანგი მარგიანმაც მოიგო. ყოჩაღადაც დაიწყო – კოლუმბიელ დერიან კასტროს ვაზარ-იუკოთი გასცდა, მაგრამ მეორე წრეში, ჩრდილოკორეელ ჰონგ ვი პაკთან საფინალო სირენამდე წუთით ადრე ვაზარზე დაეცა და შესხვედრის სათავესოდ შესატრიალებლად დრო და ძალა აღარ ეყო.

ცრემლიანი პოლიუმი

ჭრიკიშვილის დარად, ოქროს დუბლით შეეძლო დაემთავრებინა სეზონი 90 კილოგრამში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანს, რომელიც ასევე მსოფლიო რეიტინგის ლიდერის სახელით გავიდა რუსულ ტატამზე, მაგრამ ნანატრ ტიტულამდე უნგრელმა კრისტიან ტოტმა არ მიუშვა.

ამ ძიუდოსიტს ლიპარტელიანი მსოფლიოს პირველობამდე ოთხი თვით ადრე, საფრანგეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც შეხვდა და საკმაოდ ადვილად – ვაზარით აჯობა. ჩელიაბინსკში კი მათი გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა და... ევროპის ქართველმა ჩემპიონმა ხუთი წუთის განმავლობაში ილეთი ვერ შესარულა და ერთი გაფრთხილებით დამარცხდა.

ტოტთან დაჭიდებამდე, ვარლამ ლიპარტელიანმა ორი ლამაზი გამარჯვება მოიპოვა. ესტონელ ალექსანდრ მარმელიუკს ეფექტური სუფთა გდება 53 წამში შეუსრულა, ლიტველი კაროლის ბაუზა კი მესამე წუთზე შებოჭა. რეპეშაჟში გადართულმაც ბრწყინვალე ჭიდაობა აჩვენა. ჯერ უკრაინელი ქუაჯოუ ნჰაბალი დააგდო ვაზარზე და შებოჭა, ხოლო რეპეშაჟის ფინალში უზბეკი შერალი ჟურაევი წუთსა და 42 წამში დაანარცხა ტატამს.

დაჯილდოების ცერემონიაზე ვარლამ ლიპარტელიანი ცრემლებს ვერ იკავებდა. აშკარა იყო, ჩელიაბინსკურ მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო მაღალი სინჯის მედალს იმსახურებდა, მაგრამ ერთმა შეცდომამ ბრინჯაოს დააჯერა. კრისტიან ტოტი ძლიერი სპორტსმენია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც არაერთხელ დაამტკიცა, მაგრამ ლიპარტელიანისთვის უხერხულ მეტოქედ არასოდეს ითვლებოდა და შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი, რომ ქართველი ძიუდოსიტი მეოთხედფინალს სათანადო განწყობით ვერ შეხვდა.

ფინალში ტოტი ილიას ილიადისის (საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ჯარჯი ზვიადაურს) დაუპირისპირდა და უშანსოდ წააგო.

90 კილოგრამში საქართველოს ეროვნული ნაკრების დებიუტანტმა ბექა ღვინიაშვილმაც იჭიდავა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში იპონით წააგო რუსეთის ნაკრების წევრ კირილ ვოპროსოვთან.

სტაპილური მედალოსანი

60 კილოგრამში მოჭიდავე ამირან პაპინაშვილმა რუსული ტატამიდან პირველი მედალი წამოიღო – ევროპის წლებანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი მსოფლიო კონკურენციაში ბრინჯაოს დაეუფლა.

პაპინაშვილი 61 მონაწილეს შორის მეორე ნომრად იყო განთესილი და შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო. ევროპის 2-გზის ბრინჯაოს პრიზიორს, ჰოლანდიელ ხეროენ მუურენს ვაზარი აუღო და მერვედფინალში ბრიტანელ ეშლი მაკკენზის დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა ჩემპიონატი ხმაურიანი გამარჯვებით გახსნა – შეჯიბრებას ევროპის 2-გზის ჩემპიონი და მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი, ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი გამოთიშა. ამირანმა კი ყოჩაღ ბრიტანელს განძრევის საშუალება არ მისცა, წუთსა და 58 წამში ორჯერ დასცა ვაზარზე და საქმეც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოუმთავრა.

გამორჩეულად დამაბუღი და რაც მთავარია, კარგი საყურებელი გამოდგა პაპინაშვილისა და სოფიან მილუს მეოთხედფინალი. ევროპის 2010 წლის ფრანგმა ჩემპიონმა პირველივე შეტევა ვაზარით დააგვირგვინა. მეორე წუთის შუანელს კი უპირატესობა იუკოთი გაიმყარა. თითქოს სანერვიულოც აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ქართველ მსუბუქწონოსანს საპასუხო ვაზარ-იუკოს ასალებად წუთნახევარი ეყო. ორი გაფრთხილებითაც დანაწიურდა, თუმცა არც ეს ჰანდიკაპი იკმარა და საფინალო სირენამდე 26 წამით ადრე პარტერში აქ-

ტიურად ჭიდაობა მილუს შებოჭვით დაავირგვინა.

ოქრო-ვერცხლის შანსი ნახევარფინალში დაიკარგა, ბოლდბატარ განბატთან წაგებით. 27 წლის მონღოლი ამირანისთვის უხერხული მეტოქეა, მაგრამ ეს ჩელიაბინსკურ შეხვედრაში ნამდვილად არ გამოჩენილა. აბსოლუტურად თანაბარი ბრძოლა ისე გაილია, მინიმალური შეფასების ილეთიც არ შესრულებულა. გადამწყვეტი კი მსაჯის არჩევანი აღმოჩნდა – მან მეხუთე წუთის დასაწყისში ჩათვალა, რომ ქართველი ძიუდოსტი მონღოლთან შედარებით პასიური იყო და გაფრთხილებით დასაჯა. განბატმა ფინალის საგზური სწორედ ამ შიდოთი გაიფორმა.

რეპეშაჟის ფინალში ამირან პაპინაშვილმა ებრაელ არტიომ არშანსკის თავიდანვე შეუტია, მაგრამ მესამე წუთზე თავისსავე წამოწყებულ ილეთზე იუკოზე დავარდა. ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ უფრო მეტად გააქტიურდა და საფინალო გონგამდე 12 წამით ადრე მონინალმდეგეს ვაზარი აულო. ტატამის მსაჯმა გდება რატომღაც უყურადღებოდ დატოვა და მხოლოდ მას შემდეგ შეაფასა, რაც საქმეში მსაჯთა მაგიდა ჩაერია. დარჩენილ დროში ქართველმა ძიუდოსტმა ტაქტიკური გაფრთხილებები მიიღო და მსოფლიოს ინდივიდუალურ პირველობაზე პირველ მედალს დაეუფლა.

უმაღლო და უპართიველო წონები

შვიდი წონითი კატეგორიიდან ორში სატურნირო ბადე ქართველი ძიუდოსტების გარეშე შეივსო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ პრობლემატური წონები: 66 და 100 კილოგრამები თავისუფალი დატოვა. სამაგიეროდ ოთხი წონითი კატეგორია გააორა.

73 კილოგრამის მსოფლიო განაცხადში უზნაძემ ნუგზარ ტატალაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი შეიყვანა, მაგრამ ტურნირზე გამოსვლა ორივემ დილის პროგრამაშივე – მერვედფინალით დაასრულა. შავდათუაშვილი აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჟოვთან ოქროს დროში, ვაზარზე დავარდა. ტატალაშვილი კი ჩრდილოკორეელ კუკ პიონ ჰონგთან დამარცხდა, ასევე დაძაბულ შეხვედრაში. მერვედფინალამდე ქართველმა ძიუდოსტებმა ორ-ორი მეტოქე ჩამოიშორეს.

ვერც მძიმეწონოსნები, ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი მივიდნენ მეოთხედფინალამდე და შესაბამისად, სამივე სინჯის მედლისთვის ბრძოლის შანსიც უმალ დაკარგეს. ოქრუაშვილმა იტალიელ



ვარლამ ლიპარტელიანი



ამირან პაპინაშვილი

ალესიო მასკეტის გაფრთხილებებით აჯობა და მერვედფინალში ჰოლანდიელ როი მეიერთან ვაზარ-იუკოთი დამარცხდა. მატიაშვილმა კი ლიტველ მარიუს პასკევიჩუსთან იპონით წააგო.

მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, ყველაზე პრესტიჟული – მძიმე წონითი კატეგორიის ფინალურ შეხვედრას ქართველი მსაჯი ვლადიმერ ნუცუბიძე გაუძღვა.

ჰოლანდიურ-ქართული დებიუტი

მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ქალთა შორისაც ჰყავდა ერთი მონაწილე. სეზონის უმთავრეს ტურნირამდე რამდენიმე თვით ადრე იუნიორთა და 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ესტერ სტამმა თავისივე ინიციატივით საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა მიიღო.

27 წლის სპორტსმენმა იენის-ივლისში ორ საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავა და ორივეზე მედალს დაეუფლა. მსოფლიო დებიუტი კი ნამდვილად არ გამოუვიდა – ჩელიაბინსკში პირველსავე მეტოქესთან – ავსტრიელ ბერნადეტ გრაფთან ოქროს დროში, ვაზარით დამარცხდა.

ბრინჯაოს შესაბამისი ზაფხულის პოლო დღეს

მსოფლიოს გუნდურ ძიუდოს ახალი ლიდერი ჰყავს – ჩელიაბინსკური მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით დღეს – 31 აგვისტოს 2013 წლის ჩემპიონ საქართველოს ნაკრებისგან პირველობა იაპონელებმა გადაიბარეს. ირაკლი უზნაძის განვრთნილმა გუნდმა მორიგი ტიტულის მოპოვების შანსი ნახევარფინალში დაკარგა, მომავალ ჩემპიონთან ბრძოლაში. ნახევარფინალამდე ქართველმა ძიუდოსტებმა ორი ეტაპი გაიარეს, ძირითად ბადეში განცდილი მარცხის შემდეგ კი იაპონელთა ჯავრი ბრაზილიელეებზე იყარეს.

რუსეთში ევროპის და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩასული საქართველოს ნაკრები მთავარი ფავორიტი იყო



→ ვლადიმერ ნუცუბიძე

და მოლოდინისამებრ, პირველ ნომრად განთესეს. სატურნირო ბადეში სულ 14 გუნდი გადანაწილდა. საქართველოს ქვეჯგუფში იაპონია მოხვდა. მეორე მხარეს კი კიდევ ორი ფავორიტი: რუსეთი და საფრანგეთი.

პირველ წრეში ქართველებმა ჩეხებს მშრალი ანგარიშით – 5:0 აჯობეს, მომდევნო შეხვედრა კი ყაზახებს 4:1 მოუგეს.

საქართველოსა და იაპონიის ნახევარფინალში შეხვედრის ბედი სანყისი სამი წონის დაპირისპირებამ გადაწყვიტა. ამირან პაპინაშვილი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ (2011, 2013, 2014) მასაში ებინუმას ერთხანს შიდათი უგებდა, მაგრამ მეოთხე წუთის მიწურულს ვაზარზე ნამოეგო და უმაღლეს ბოჭვაზე მოჰყვა. ნუგზარ ტატალაშვილი ასევე მსოფლიოს ჩემპიონ (2013) შოპეი ონოსთან ერთადერთი გაფრთხილებით დამარცხდა. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი კი ინდივიდუალური პირველობის მეოთხედფინალში ძლეულ ტაკენორი ნაგასესთან ამჯერად ველარას გახდა – ხუთი წუთი უილეთოდ გაილია. ოქროს დროში კი ჭრიკიშვილი მეტოქესთან შედარებით მეტად დაიღალა და ნაგასემ რევანში იუკოთი აიღო.

უმოტივაციოდ დარჩენილმა ვარლამ ლიპარტელიანმა დაიკი ნიშიამას ორი შიდათი აჯობა და საერთო ანგარიში 1:3 გახდა. სამქულიანი გუნდური უპირატესობა კი რიუ შიჩინომე ადამ ოქრუაშვილის 13 წამში ძლევით აღადგინა.

რეპეშაჟის ფინალიც ქართველთათვის არასასურველი სცენარით დაიწყო – ჩარლეს ჩიბანამ შალვა ქარდავას სუფთა გდებით მოუმთავრა საქმე. წონასწორობა ნუგზარ ტატალაშვილმა აღადგინა, ალექს პომბო და სილვას ძლევა. ეს უკანასკნელი მსაჯმა ოქროს დროში მოხსნა, საჭიდაო წესების დარღვევისთვის – 1:1.

81 კილოგრამში ბრაზილიას განაცხადში არავინ ჰყავდა და ავთანდილ ჭრიკიშვილმა ქულა უბრძოლველად აიღო. ბრინჯაოს წერტილი კი ვარლამ ლიპარტელიანმა დასვა, ტიაგო კამილოს ბეჭებზე გაკვრით – 3:1.

მიმენონოსანთა შეხვედრაში ადამ ოქრუაშვილმა მორიგი უილეთო და წარუმატებელი შეხვედრა ჩაატარა – მსოფლიო რეიტინგის ლიდერ რაფაელ სილვასთან გაფრთხილებით წააგო (3:1).

მსოფლიო პირველობის ფინალში იაპონია მასპინძელ რუსეთთან 0:2 აგებდა, მაგრამ ბრძოლის სათავესოდ შეტრიალება მაინც შეძლო. ქალთა შორის კი უძლიერესი გუნდის სახელი საფრანგეთმა მოიპოვა.

ოთარ მაღლაკელიძე

THE RETURN OF WISHFUL GOLD MEDAL

WORLD CHAMPIONSHIP

Chelyabinsk (Russia)
August 25-31, 2014

- AVTANDIL CHRIKISHVILI (81 kg) – GOLD
- VARLAM LIPARTELIANI (90 kg) – BRONZE
- AMIRAN PAPINASHVILI (60 kg) – BRONZE
- GEORGIAN NATIONAL TEAM – BRONZE

The Georgian national teams have not won golden medal in any of the Olympic sports disciplines since 2007. Georgian judoka Irakli Tsirekidze has been remaining the sole Georgian sportsman who became the world champion yet seven years ago. It is symbolic that another Georgian judoka Avtandil Chrikishvili, named as Georgia's best sportsmen in 2013, has interrupted this seven-year long pause and brought Georgia the long wished golden award. He has won the 2014 world Judo championship in Chelyabinsk (Russia). Chrikishvili crowned his own sport season in 2014 by two gold medals won at the world and European championships this year. This success significantly increases Chrikishvili's chances for nominating to the title of the best sportsman of the year for the second time.

Chrikishvili, rated world leader in the 81 kg weight category, came to Chelyabinsk world championship as a pretournament favorite. Everybody expected the repetition of the last year's final duel, since Chrikishvili's main challenger and acting world champion Luis Pietri (France) was slated in the other pool. Meanwhile, the Georgian fans expected Chrikishvili to take revenge for the last year's defeat.

Chrikishvili conducted the first duel with the Czech Yaromir Musil who injured his knee on the second minute and could not continue the duel. Then Chrikishvili beat with Yuko a bronze medalist of the last year's European championship Joachim Botio



(Belgium). Avtandil was winning the 1/8 final duel with Carlos Looz (Portugal) by Shido. The referee immediately disqualified the Portuguese judoka for the violation of rules. Chrikishvili won the next two duels thanks to Shidos imposed on his contenders. Although Chrikishvili could not make move in the quarterfinal duel with the Japanese Takenori Nagase but suppressed the contender by proactive wrestling. The referees imposed as many as three Shidos on the Japanese judoka who chose defensive tactic. The French Allen Schmitt was Chrikishvili's challenger in the semifinal. The French judoka advanced with Yuko on the third minute. However, the last two minutes of the duel were marked by full advantage of Chrikishvili who snatched victory from his challenger's hands by proactive wrestling which led to several Shidos on Schmitt. He ran out limit of warnings 21 seconds before the end of the duel, which made Chrikishvili winner.

The second semifinal duel between the Canadian Antuan Valua-Fortie and the acting world champion Luis Pietri (France) ended with the unexpected loss of the latter.

The final duel brought Chrikishvili and Valua-Fortie against each other. Chrikishvili advanced at the very beginning by Wasari. He lifted the contender and threw him down on tatami. The referee recorded Ippon but the table of referees changed his decision for Wasari. The rest of the four minutes expired without move and finally Georgian national anthem began to sound in the "Traktor" sport hall.

Varlam Liparteliani (90 kg), whom the world rating slated as favorite of the championship, also stood a chance to win gold. However, he stumbled over the Hungarian Christian Tot and finally won bronze medal only.

Amiran Papinashvili (60 kg) became the first Georgian medalist at that world championship. As silver medalist of this year's European championship Papinashvili was sown as number two among the 61 entrants. He won bronze medal by beating Artiom Arshansky (Israel) in the Repechage final.

"BRONZE SHOWER" ON THE LAST DAY OF SUMMER

The concluding day of the 2014 world Judo championship in Chelyabinsk (Russia) on August 31 revealed Japan as a new winner of teams' competition. Japan picked up the winner's baton from Georgia – 2013 world champion in the team tournament.

The Georgian national team coached by Irakli Uznadze missed the chance to win the next in turn champion's title when lost the semifinal contest with the future champion – Japanese team. The five-member Georgian team had successfully passed two initial stages before reaching the semifinal. The Georgian judokas beat (5:0) the Czech team in the first round and defeated (4:1) the Kazakh team in the second.

The duels in the extra-lightweight, half-lightweight and lightweight groups decided

the outcome of the team contest between Georgia and Japan in favor of the latter. Amiran Papinashvili was winning the duel with the three-time world champion Masashi Ebinuma by Shido. However, on the fourth minute of the duel the opponent got Amiran caught by Wasari with immediate grip.

Nugzar Tatalashvili lost to the world champion Shohei Ono just with a single warning Shido. The acting world champion Avtandil Chrikishvili lost to Takenori Nagase whom he had beaten in the quarterfinal of individuals' tournament. Five minutes of the exhaustive duel expired without a move by any of the contestants. Chrikishvili who got more tired in the extra "golden time" allowed his opponent to win Yuko point and gain revenge. Heavyweights Varlam Liparteliani and Adam Okruashvili also lost their duels and the Georgian national team lost the contest with total score 1:4.

The Repechage final against Brazilian team started unfavorably for Georgian judokas. Charles Chibana beat Shalva Kardava by Ippon. Nugzar Tatalashvili, however, equalized the score. Brazil did not have representative in the 81 kg weight category and Avtandil Chrikishvili got the point without any fight. Varlam Liparteliani finally sealed victory of the Georgian team by beating Tiago Kamilo 3:1. This victory made Georgian team a bronze medalist of the team contest.

OTAR MAGLAKELIDZE



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები – ევროპის 2014 წლის ჩემპიონი

ახალგაზრდული კოდიუმი

ძიუდოსტთა ასაკობრივ ნაკრებებს წლეულს შარშანდელზე ერთიტი ნაკლები ღირი ტურნირის ჟიდაოუბა მოუწინათ და ეს შედეგინოგაუბც ანსახა. ჟაბუკთა შორის მსოლოდ კონტინენტურ პირველოგაუბც ბათიამაშობა მედლები. ახალგაზრდებუი კი ჩვეულად, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონებუი გამოვლინდნენ.



➔ ბეჯა ლვინიაშვილი

მინლია ბოდაველის განვრთნილი ჟაბუკე-ბი ევროტატამზე ათკაციანი შემადგენლო-ბით გავიდნენ და ხუთმა მათგანმა მედალი მოიპოვია, მაგრამ უმაღლეს სინჯს ერთიც ვერ შეწვდა. თემურ ნოზაძესა (50 კგ) და გიორგი გველესიანს (90 კგ) უმაღლეს ტიტულამდე თითო გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდათ. რობინზონ ბეგლარაშვილი (55 კგ), ბეჯა უდესიანი (66 კგ) და დავით რამაზაშვილი (90 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ. ათენში 4-6 ივლისს გამართულ ევროპის ჩემპიონატში საქართველოს გოგონათა ნაკრებიც ჩაერთო, მაგრამ ექვსი სპორტსმენიდან პოდიუმზე ერთიც ვერ ავიდა.

ახალგაზრდებს შორის სეზონის ორივე უმთავრესი შეჯიბრება შემოდგომაზე გამართა. ევროპის ჩემპიონატს 19-20 სექტემბერს ბუქარესტმა უმასპინძლა და გია გუგავას გუნდის ათი წევრიდან შვიდმა მედლისთვის იჭიდავა. პოდიუმზე კი ხუთი მათგანი ავიდა.

ყველაზე შთამბეჭდავად, მოლოდინისამებრ, ბეჯა ლვინიაშვილი (90 კგ) გამოვიდა. ძიუდოსტმა, რომელმაც 21-წლამდელოთა შორის ჯერ კიდევ შარშან, 17 წლისამ მოიგო ყველა ტიტული, რისი მოგებაც კი შეეძლო, რუმინულ ტატამზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ულაპარაკოდ საუკეთესო იყო. ოქროს გზას პოლონელი რაფალ კოზლოვსკის ძლევიტ შეუყვია. მეტოქეს ორწუნთნახევარში ყველა შეფასების ილეტი შეუსრულა. მეორე წრეში უმთავრეს კონკურენტს – უფროსებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, უნგრელ კრიშტიან ტოტს დაეჭიდა და დაძაბულ ბრძოლაში იუკოს უპირატესობით დაამარცხა. მესამე წრეში ჰოლანდიელ მაქს დე ვრეეზეს ნახევარი წუთი აკმარა ბეჭებზე გასაკრავად. ნახევარფინალში ლვინიაშვილმა ესპანეთის სახელიტ მოჭიდავე ნიკოლოზ შერაზადიშვილს ვაზარით აჯობა. საჩემპიონო ბრძოლაში კი აზერბაიჯანელი ფირუდინ დადაშოვი შებოჭა.

თორნიკე ნაგლიაშვილმა (55 კგ), ივანე ჯავახიშვილმა (60 კგ) და უშანგი მარგიანიმა (81 კგ) ფინალში იჭიდავეს, მაგრამ ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ნაგლიაშვილი გადამწყვეტ ბრძოლაში იტალიელ ანგელო პანტანოსთან დამარცხდა, ჯავახიშვილი – ესპანელ ფრანსისკო გარიგოს სოსასთან, მარგიანი – სერბ ნემანია მაფდოვთან. ლევან გუგავამ (81 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ვაჟ ძიუდოსტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე 38 ქვეყნის ნაკრებს შორის გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ინდივიდუალურ პირველობას ევროპის გუნდური ჩემპიონატი მოჰყვა და გია გუგავას განვრთნილმა გუნდმა მორიგი ტრიუმფი მოიწყო. შეჯიბრებაში სულ 13 ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. საქართველო პირველ ნომრად იყო განთესილი, როგორც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და საქმეში მეორე ნრიდან – მეოთხედფინალიდან ჩაერთო, საფრანგეთთან შეხვედრით და 5:0 იმარჯვა. ნახევარფინალში ქართველ ძიუდოისტებს მეტოქედ რუსეთი ერგოთ და საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადახდათ, მაგრამ საბოლოოდ 3:2 იმარჯვეს. ყველაზე შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი ქულა გუნდს გურამ თუშიშვილმა მოუპოვა. ფინალში ქართულმა ხუთეულმა უკრაინას 3:2 აჯობა და გადამწყვეტი კვლავ მეხუთე შეხვედრა გამოდგა, სადაც გურამ თუშიშვილმა მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა, ევროპის მოქმედ ჩემპიონ მძიმე-ნონოსანთან – იაკივ ხამოსთან.

ევროპირველობის დასრულებიდან ხუთიოდ კვირაში – 22-25 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში 21-წლამდელ ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. მაიაში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შედარებით მოკრძალებული შედეგი აჩვენა – სეზონის უმთავრესი ტურნირი ისე ჩამთავრდა, დარბაზში საქართველოს ჰომი ერთხელაც არ აჟღერებულა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა ბექა ღვინიაშვილის ფინალს მიღმა დარჩენა იყო.

იგი ნახევარფინალში უფროსებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტთან, უნგრელ კრისტინ ტოტთან დაძაბულ ბრძოლაში იუკოთი დამარცხდა და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო და საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა. ასევე მესამე ადგილები დაიკავეს კობა მჭედლიშვილმა (73 კგ) და ლევან გუგავამ (81 კგ). საუკეთესო შედეგი კი მძიმე-ნონოსანმა გუგა კიბორძალიძემ აჩვენა. სახელოვანი ძიუდოისტის, აკაკი კიბორძალიძის ვაჟი ფინალამდე მივიდა და უმაღლეს ტიტულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა.

გუნდური პირველობაზე საქართველო უზბეკეთისა (3:2) და რუსეთის (3:2) დაძაბულ ბრძოლებში ძლევის შემდეგ ფინალში იაპონიას დაუპირისპირდა. საქმე გადამწყვეტ – მეხუთე შეხვედრამდე მივიდა, სადაც გურამ თუშიშვილი იუსელ ოგავას დაეჭიდა. ძირითადი დრო უილეთოდ დასრულდა. ოქროს დროში კი მსაჯის მიერ მიღებული საკამათო გადამწყვეტილებით ოგავამ იმარჯვა.

ტატამის მსაჯმა თუშიშვილის მიერ შესრულებული გდება უყურადღებოდ დატოვა. სამაგიეროდ, იაპონელის ილეთზე იუკო დააფიქსირა და ოქროს ბედიც გადამწყვიტა – 3:2 აზიელთა სასარგებლოდ. გამწარებულმა ქართველმა ძიუდოისტებმა დაჯილდოების ცერემონიალის შემდგომ ერთობლივ ფოტოსესიაზე პროტესტის ნიშნად უარი განაცხადეს.

ლუკა ძარსალაძე



➔ ლევან გუგავა




➔ გუგა კიბორძალიძე



➔ კობა მჭედლიშვილი



➔ თორნიკე ნავლიაშვილი



ახალი სტატუსი და გუნდური ტრიუმფი

გარან, შემოდგომის პოლუს ძიულს საერთაშორისო ფედერაციაში ოფიციალურად დაადასტურა, რომ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ბრან პრის სტატუსს მიანიჭებდა. ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზარი საქართველოს ესტუმრა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან და საქართველოს ძიულს ფედერაციის პრეზიდენტ ღაბიათაძე-ქვიციანიანთან ერთად ოფიციალური მემორანდუმები გააფორმა.



ბრან პრი ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირია, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათას დოლარს შეადგენს. ჩემპიონ-პრიზიორებს კი სოლიდური სარეიტინგო ქულები ერიცხებათ. საერთაშორისო ფედერაცია გრან პრის 2009 წლიდან ატარებს.

„საქართველო ძიულში ერთ-ერთი მონინავე ქვეყანაა, რაც ამ ქვეყნის სპორტსმენებს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული არაერთგზის დაუმტკიცებიათ და დღესაც, სტაბილურად, უმაღლესი შედეგებისთვის იბრძვიან. ამ ტრადიციებისა და შედეგების გათვალისწინებით, საქართველო ნამდვილად იმსახურებს გრან პრის სტატუსის მქონე საერთაშორისო ტურნირს. გრან პრიზე მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები იბრძვიან და მჯერა, თბილისშიც უმაღლესი რანგის შეჯიბრება ჩატარდება,“ – განაცხადა მარიუს ვიზერმა.

პირველი ქართული გრან პრი სპორტის სასახლეში 21-23 მარტს გაიმართა.

სადებიუტო შეჯიბრება ვარსკვლავებით დახუნძლული ვერ გამოვიდა. ვაჟთა და ქალთა სატურნირო ბადეებში სულ 24 ქვეყნის 191 ძიუდოისტი გადანიშნულა. საქართველოს ვაჟთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მასპინძლისთვის დაწესებული ქვოტა მაქსიმალურად გამოიყენა და განაცხადში ოთხი შემადგენლობა შეიყვანა. ირაკლი უზნაძის განკრთნილი გუნდი ტატამზე 27 სპორტსმენით გავიდა, ქალთა ნაკრები კი 9 ძიუდოისტით იყო წარმოდგენილი.

მოლოდინისამებრ, მედლები მხოლოდ ვაჟებმა მოიპოვეს, თან იმდენი, რომ ქალთა და ვაჟთა საერთო გუნდურ ჩათვლაშიც საქართველომ იმარჯვა.

73 კილოგრამი წონითი კატეგორია ქართული ფინალით დაგვირგვინდა. ნუგზარ ტატალაშვილმა ლაშა შავდათუაშვილი დამარცხა და ოქროს მედალთან ერთად 300 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა. შავდათუაშვილს 180 ქულა ერგო, ხოლო ამავე წონის პოდიუმის მესამე საფეხურზე ასულ ზებედა რეხვიაშვილს – 120.

გრან პრი ნაუგებლად კიდევ სამმა ქართველმა ჩაამთავრა. 81 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში ოქროს მედლებს უპირობო ფავორიტები: ავთანდილ ჭრიკიშვილი და ადამ ოქრუაშვილი დაეუფლნენ. ყველაზე შთამბეჭდავი კი 90 კილოგრამში მოჭიდავე ზვიად გოგოჭურის ტრიუმფი იყო. მან ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების ლიდერს, ევროპის შარშანდელ ჩემპიონს და მსოფლიოს 3-გზის პრიზიორ კირილ დენისოვს განძრევის საშუალება არ მისცა. ფინალში კი იტალიელი ვალტერ ფაჩინტე ნუთში გააკრა ტატამს და ნატურნირებს საერთაშორისო ფედერაციისგან გრან პრის საუკეთესო ვაჟი ძიუდოისტის ჯილდო მიიღო.

ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), უშანგი მარგანი (81 კგ) და ლევან მათიაშვილი (+100 კგ) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ქალთა ნაკრების წევრთაგან კი საპრიზო სამეულთან ყველაზე ახლოს მძიმეწონისანი ელენე ქებაძე მივიდა – რეპეშაჟის ფინალში დამარცხდა და მე-5 ადგილს დასჯერდა.

2015 წელს თბილისის გრან პრიზე რიოდე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულები გაიცემა.

ოთარ მაღლაკალიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ახალგაზრდული მიმართულებით სამი სსიპ-ი მუშაობს: მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სსახლე, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი და ბავშვთა და ახალგაზრდობის ბანვითარების ფონდი. სამივე უწყება განსხვავდება ერთმანეთისგან, მუშაობს სხვადასხვა სტრატეგიაზე და სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა სამივეს არსებობა და საქმიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. სპორტის სამსახურში შემაჯავალ ამ უწყებებს კურირებს მინისტრის პირველი მოადგილე **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, რომელსაც ვთხოვეთ შეაფასებინა სსიპ-ების მიერ 2014 წლის მანძილზე გაწეული სამუშაო.



სპორტისა და სასარგებლო

– ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უამრავი პროექტიდან გამოვარჩევი „მომავლის ბანაკი“, რომელმაც ბოლო 2 წლის მანძილზე ძირეული ცვლილებები განიცადა, მთლიანად შეიცვალა ბანაკის პროგრამა და მონაწილეთა შერჩევის პრინციპი. ეს ბანაკი არის უნიკალური საშუალება ქართველი ახალგაზრდებისთვის არასასკოლო განათლების მიღების კუთხით. ბავშვები, რომლებიც სტუმრობენ ანაკლიის ბანაკს, იძენენ უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას თანატოლებთან და ლიდერებთან ურთიერთობით. მათ საშუალება აქვთ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და მოახდინონ თვითრეალიზაცია. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ამ პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი. ასევე გამორჩეულია ყოველწლიური ფესტივალი „ფანARTი“, რომელიც უამრავ ახალგაზრდას აძლევს საშუალებას საზოგადოების ფართო ფენებს გააცნოს თავისი შემოქმედება.

რაც შეეხება ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს, ეს ერთადერთი ფონდია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახალგაზრდულ ინიციატივებს აფინანსებს. ფონდს ჰყავს ახალგაზრდა და პროგრესულად მოაზროვნე ხელმძღვანელობა, რაც პირდაპირ არის ასახული ფონდის საქმიანობაზე. ვთვლი, რომ ყველა პროექტი, რომელიც დაფინანსდა ბოლო 2 წლის განმავლობაში, უნიკალურია და ძალიან დიდი სარგებლის მომტანია ქართველი ახალგაზრდებისთვის.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ეს არის ადგილი, რომელთანაც ყველას გვაკავშირებს ბავშვობის მოგონებები და დადებითი ემოციები. სასახლეს ათასობით ალსაზრდელი და ძალიან ბევრი პროფესიონალი, გამოცდილი პედაგოგი ჰყავს. ახალი ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ სასახლეში ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, განახლდეს ინვენტარი და კიდევ უფრო კომფორტული გარემო შეიქმნას როგორც მოსწავლეების-

თვის, ასევე მასწავლებლებისთვის. ჩემი აზრით, სასახლე მომავალში უნდა გახდეს არაფორმალური განათლების კერა საქართველოში. ამჟამად მუშავდება კანონი არაფორმალური განათლების შესახებ და ვთვლი, რომ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მოხდება გარკვეული ცვლილებები, სასახლე შეიძენს უფრო ფართო დატვირთვას, ჩატარდება გარკვეული რეფორმები, რომლებიც გააუმჯობესებს და უფრო ეფექტურს გახდის სასახლის მუშაობას. ჩვენთვის ძვირფასია თითოეული ის ადამიანი, რომელიც სასახლეში მუშაობს და მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვა – ჩვენი ვალდებულებაა.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც სათავეში უდგანან სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს და ვუსურვო, რომ 2015 წელი კიდევ უფრო პროდუქტიული იყოს მათთვის და ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის.

ვეპო კვარაცხელია



მსოფლიოს თასზე მეოთხედ!

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის საგზური მეოთხედ მოიპოვა. 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს პირველობას „პორჯულუნებში“ განსხვავებული მიზნებით შეხვდებიან – ერთი თამაშის მოგება აღარ დააკმაყოფილებთ. ამოცანა რთულია, მაგრამ ბევრის მომცემი: ორი გამარჯვება ჯგუფში მესამე ადგილის დაკავების უნდა იქნება. ეს კი მომდევნო მსოფლიოს თასის საგზურის პირდაპირ მიღების წინაპირობაა. ორი გამარჯვებით ჩვენი ნაკრები სარაგპო სამყაროს პატივისცემას განიგთქიცავს, გოგოლა ნაკრებებისკენ ღონიერ ნაბიჯს გადადგამს. მიღწომნ ჰეიბის გუნდი ინგლისში დიდი გეგმებით ჩადის. მსოფლიოს თასის დაწყებამდე წელიც არ დარჩა.



**საქართველოს ნაკრების
ყველა მატჩი 2014 წელს**

- 01.02. (ერთა თასი)
საქართველო – ბელგია 35:0
- 08.02. (ერთა თასი)
პორტუგალია – საქართველო 9:34
- 22.02. (ერთა თასი)
საქართველო – რუსეთი 36:10
- 08.03. (ერთა თასი)
ქსპანეთი – საქართველო 17:24
- 15.03. (ერთა თასი)
საქართველო – რუმინეთი 22:9
- 14.06. (IRB თბილისის თასი)
საქართველო – ქსპანეთი 23:13
- 18.06. (IRB თბილისის თასი)
საქართველო – „იაგუარები“ არგ. 16:26
- 22.06. (IRB თბილისის თასი)
საქართველო – იტალია A 34:10
- 08.11. (ტესტმატჩი)
საქართველო – ტონგა 9:23
- 16.11. (ტესტმატჩი)
ირლანდია – საქართველო 49:7
- 23.11. (ტესტმატჩი)
საქართველო – იაპონია 35:24

ერთა თასი – 2014 ბელგიასთან მატჩი უფიქრად ამინდს დაემთხვა. „აფქალის“ მოედანი თოვლისგან განმინდეს, ყინვა ქვას ხეტქავდა, მიწის 5 გრადუსი იყო. ასეთ ამინდში თამაში ძალიან რთულია, იოლი არც ტრიბუნაზე გაძლებაა. ამის მიუხედავად, 2000-იანი ტრიბუნა პირთამდე შეივსო. ბელგიასთან შეხვედრა 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდით ჩატარდა. „ბორჯღალოსნებმა“ სადებიუტო მატჩის თანმდევი შეცდომები მინიმუმამდე დაიყვანეს და დამაჯერებლად – 35:0 გაიმარჯვეს. ჩვენმა გუნდმა 6 ლელო გაიტანა და პრემიალური ქულა აიღო. თავის გამოჩენა კოტე მიქაუტაძემ, მერაბ შარიქაძემ, ირაკლი მაჩანელმა, გიორგი ჩხაიძემ

და ორჯერ მერაბ კვირიკაშვილმა შეძლეს. კვირიკაშვილმა 1 გარდასახვა და 1 საჯარიმოც გაიტანა. პორტუგალიის უხერხული მეტოქეობა წარსულს ჩაბარდა. დრო იყო, „ლობუშები“ „ბორჯღალოსნებს“ ლამის ყველა მატჩში ნერვებს აგლეჯდნენ. ხელნამოსაკრავი ნაკრები არც ახლა ჰყავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველო სხვა გაქანების გუნდი. „ბორჯღალოსნებმა“ ზელანდიელი სპეციალისტის ხელში გაცილებით დალაგებული, საზრიანი რაგბის თამაში დაიწყეს, რაც 8 თებერვალს ლისაბონშიც გამოჩნდა. საქართველოს ნაკრებმა მეორე ტურის მატჩში პორტუგალია 34:9 დამარცხა და მსოფლიოს თასის საგზურს მიუახლოვდა. ლელოები

თედო ზიზიბაძემ, დავით კაჭარავამ და მერაბ კვირიკაშვილმა მიითვალეს. „მეკომ“ 2 გარდასახვა და 5 ჯარიმაც გაიტანა. 22 თებერვალს „დინამო არენაზე“ საქართველომ რუსეთს უმასპინძლა. თამაშს 50-ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. ქართულ-რუსულ დაპირისპირებაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს. მგონი, საინტერესოც აღარაა. საქმე სხვა რამეშია – სასურველია, გულშემატკივარი საქართველოს ნაკრების ყველა შეხვედრაზე ასეთივე მონდომებით გამოირჩეს, სტადიონზე მივიდეს. ჩვენმა ნაკრებმა რუსებს 36:10 მოუგო და ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის საგზური დაიბევა – „ბორჯღალოსნები“ ზედიზედ მეოთხე მსოფლიოს თასზე გავიდნენ. რუ-



→ საქართველო – ბელგია 35:0

სეთთან ლელოები დავით ზირაქაშვილმა, მამუკა გორგოძემ, თედო ზიზიბაძემ, ვიქტორ კოლელიშვილმა და გიორგი ჩხაიძემ დადეს, 3 გარდასახვა და 1 საჯარიმო ზუსტად შესარულა მერაბ კვირიკაშვილმა, 1 გარდასახვა კი ლაშა მალაღურაძემ გაიტანა. შეხვედრაზე დასასწრებად თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე. სტუმარი 21 თებერვალს მინისტრ ლევან ყიფიანთან და რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძესთან ერთად, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში მიიღო. შეხვედრის დასრულების შემდეგ ბერნარ ლაპასე სამინისტროს ეწვია. მხარეებმა საქართ-

ველოში რაგბის განვითარების საკითხებსა და სამომავლო თანამშრომლობის დეტალებზე ისაუბრეს.

უცნაურია, მაგრამ ყველაზე მძიმე მატჩი 8 მარტს, მადრიდში ესპანეთის ნაკრებთან გამოვიდა. მილტონ ჰეიგის გუნდმა მეტოქე 24:17 დაამარცხა. „ბორჯღალოსნებმა“ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს და მეტოქის გატეხვა მეორე ნახევარში მოახერხეს. ახალზელანდიელმა სპეციალისტმა რუმინეთთან გადამწყვეტი მატჩის წინ რამდენიმე წამყვანი მორაგბე დაასვენა, რამაც ესპანეთთან მატჩის ხარისხზე გავლენა იქონია. მამუკა გორგოძემ და გიორგი თხილაიშვილმა ლელო დადეს. 1 გარდასახვა და 3 ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა

გაიტანა. მანვე არეკნი ზუსტად დაარტყა.

15 მარტს „მიხეილ მესხზე“ გამართული საქართველო რუმინეთის დაპირისპირება, რომელსაც 30 ათასი ქომაგი დაესწრო, ისტორიული გამოდგა. თამაშს იმდენი საინტერესო და გულისგასახარი ამბავი დაერთო, კაცი ვერ მოთვლის. სპეციალურად ამ შეხვედრისთვის, მსოფლიოს რაგბის უმაღლესი ჯილდო – უებ ელისის თასი თბილისში ჩამოიტანეს. თასი კიკეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლაში გამოიფინა, მოგვიანებით სპორტის მუზეუმმა უმასპინძლა, თამაშის დღეს კი სტადიონზე იდგა. შეხვედრის ფასი განუზომლად დიდი იყო – ერთა თასის და ანთიმოზ ივერიელის თასის მფლობელი უნდა გამოევიწინა. „ბორჯღალოსნებს“ მსოფლიოს თასის საგზური ჯიბეში ედოთ, მაგრამ საქმე პირველი ადგილის დაკავებას და C ჯგუფში მოხვედრას ეხებოდა, რომელიც აქედან უკეთესი მოჩანს. გამარჯვებული გუნდი ნოემბერში ექვსი ერის ჩემპიონ ირლანდიასთან შეხვედრის უფლებასაც იხვევდა, რაც დამატებითი მოტივაცია იყო. რუმინელები თბილისში დიდი ამბით და ხმაურით ჩამოვიდნენ. მატჩზე დასასწრებად ჩამოიყვანეს რუმინული რაგბის ლეგენდები, ვეტერანი მორაგბეები. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოსა და რუმინეთის პრემიერ-მინისტრები – ირაკლი ლარიბაშვილი და ვიქტორ პონტა, ასევე მინისტრთა კაბინეტის წევრები. ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ რუმინეთის ნაკრები 22:9 დაამარცხეს და მოიპოვეს 2014 წლის ერთა თასი, ანთიმოზ ივერიელის თასი და 2015 წლის მსოფლიოს თასზე C ჯგუფში თამაშის უფლება ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგასა და ნამიბიის ნაკრების გვერდით. მეტოქე დავით ზირაქაშვილმა დაალელოვა, 1 გარდასახვა და 4 საჯარიმო გაიტანა მერაბ კვირიკაშვილმა, 1 საჯარიმო კი ლაშა მალაღურაძემ. „ბორჯღალოსნებს“ ერთა თასი ევროპის რაგბის ასოციაციის პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმ გადასცა, ანთიმოზ ივერიელის თასი კი პრემიერ-მინისტრებმა – ირაკლი ლარიბაშვილმა და ვიქტორ პონტამ. ნამატჩევს მორარიუმ საინტერესო კომენტარი გააკეთა:

„საქართველოს ნაკრებმა უკეთესად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ეს დღე კარგი იყო FIRA AER-ისთვის, რადგან გვინდა, რაღაც შევცვალოთ, მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ორგანიზაციაში ორი ძლიერი გუნდი გვყავს. 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ ორივე გუნდს სერიოზული პროგრესი აქვს. ძალიან მაღალი ხარისხის რაგბი ითამაშეს და



საქართველო – რუსეთი 36:10

დაამტკიცეს, რომ ახლოს ვართ ექვსი ერის ქვეყნებთან. თამამად შემოძლია განვაცხადო, რომ ეს მატჩი გაცილებით უკეთესი დონის იყო, ვიდრე ექვსი ერის წლევეანდელი გათამაშების ორი-სამი შეხვედრა, რომელთა მონაწილეებსაც ახლა არ დავასახელებ. მთავარია, სტაბილურობა შევინარჩუნოთ. საქართველო პირველი დონის ქვეყნებთან ახლოსაა“.

ირბ-ს თბილისის თასი

ირბ-ს თბილისის თასი ტრადიციულ ტურნირად იქცა. ეს შეჯიბრება ზედგამოჭრილია ნაკრების თავკაცთათვის, რომლებიც მუდმივად განიცდიან ტეტსმატჩების

სიმწირეს. თბილისური შეხვედრები ახალბედათა გამოცდის, მათთან მუშაობის საშუალებას იძლევა. საერთაშორისო ფედერაცია მეტოქეებით გვანებიერებსო ვერ გეტყვი, მაგრამ საინტერესო ნაკრებებს კი გვიგზავნის. იენისში არგენტინის „იაგუარები“, ესპანეთი და იტალიის „ა“ ნაკრები გვესტუმრნენ. თავის მხრივ, ჩვენმა გუნდმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა. 14 იენისს, საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ესპანეთის ნაკრებთან გამართა და 23:13 გაიმარჯვა. „აგჭალის“ სტადიონზე გამართულ შეხვედრაში „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს სამივე ლელო პირველ ტაიმში გაუტანეს. თავი თამაზ მჭედლიძემ, შალვა მამუკაშვილმა და სანდრო თოდუამ გამოიჩინეს. გარდასახვა და ორი ჯარიმა ბექა ნიკლაურმა დაარტყა. 18 იენისს არგენტინის „იაგუარებთან“ საქა-

რთველო 16:26 დამარცხდა, არადა, ტაიმი 13:12 მოიგო და გამარჯვება მართებდა. ქართველებს პერიოდულად უპირატესობაც ჰქონდათ და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაანიავეს. არგენტინას ლელო ზურაბ ჟვანიამ დაუდო, გარდასახვა და 3 საჯარიმო ლაშა მალალურაძემ გაიტანა. 22 იენისს ჩვენებმა იტალიის „ა“ ნაკრები დამაჯერებლად – 34:10 დაამარცხეს.

მზარდი საქართველო

4 იენისს მზარდი საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველი მატჩი გამართა. ეს გუნდი ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭების ნაზავია, რომლებიც უახლოეს პერიოდში ეროვნულ ნაკრებში ითამაშებენ. ჩვენმა გუნდმა ინგლისის საგრაფოების



საქართველო – რუმინეთი 22:9

ნაკრებს რუსთავის სარაგბო სტადიონზე უმასპინძლა და 23:48 დამარცხდა. მატჩი საინტერესო და უხვლელიანი გამოვიდა, მაგრამ ცხრა ლელოდან, რომელიც ქომამგმა იხილა, ქართველი მორაგბეების ანგარიშზე მხოლოდ ორი იყო. ლევან მაისაშვილის გუნდმა შეცდომები გაანალიზა და 8 ივნისს მეტოქეს დიდი ბრძოლაც გაუმართა. ქართველი ახალგაზრდები ამჯერად 14:15 დამარცხდნენ.

საკომპრივი ნაკრებები

აპრილში 20-წლამდელთა ნაკრებმა ჰონკონგში მსოფლიოს ალაფაზე ითამაშა, მაგრამ ქომამგსაც და რაგბის კავშირის თავკაცობასაც იმედი გაუცრუა. ეს თაობა უდავოდ გამორჩეული იყო ბოლო

წლებში, თუმცა დასახულ ამოცანას – ალაფაზე გამარჯვებას და მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვებას თავი ვერ გაართვა. არადა, ყველაფერი შთაბეჭედავად დაიწყო – 7 აპრილს უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ტონგა 34:10 დამარცხეს, მეტოქეს 3 ლელო, 2 გარდასახვა და 5 საჯარიმო გაუტანეს. 11 აპრილს საქართველოს ნაკრები აშშ-ს დაუპირისპირდა და უშეღავათო ბრძოლა 12:13 დათმო. ჩვენებმა 4 ჯარიმა მიითვალეს. ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ჰონკონგთან 21:8 გამარჯვებამ არაფერი შეცვალა. დავით ვართანიანის გუნდმა 3 ლელო და 3 გარდასახვა ჩაინერა, მე-5 ადგილისთვის მატჩში კი ნამიბია 46:17 დაჯაბნა და 4 ლელო, 4 გარდასახვა და 6 ჯარიმა მოიპოვა. თბილისში გამართული ტურნირის შემთავამებელ პრესკონფერენციაზე რაგბის კავშირის პრეზიდენტის

გიორგი ნიყარაძის გულისწყრომა გასაგები გახლდათ: „ეს იყო სრული ჩავარდნა და ეს ჩემით დანყებული, მოთამაშეებით დამთავრებული, ყველას ბრალია. ძალიან ბევრი უნდა ვიფიქროთ, რათა მივაგნოთ იმ მიზეზებს, რის გამოც ასეთი რამ დაგვემართა. ტურნირის მოსაგებად ჩავედით და მეხუთე ადგილისთვის ვითამაშეთ. ალბათ, ეს არის მენტალური პრობლემა – როგორც ჩანს, ახალგაზრდა თაობებში ფსიქოლოგიური პრობლემები გვაქვს და საჭიროა ამაზე ბევრი ვიფიქროთ. ამ ტურნირით ცხოვრება არ დასრულებულა. ჩვენ არ გვაქვს ემოციებზე აყოლის უფლება, თუმცა უადრესად თვითკრიტიკულები უნდა ვიყოთ. ამ ეტაპზე ზუსტად ვიცით, რომ ბევრი გვაქვს სამუშაო ფსიქოლოგიაზე და მოთამაშეთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, დისციპლინაზე“.



საქართველო – ტონგა 9:23

აპრილში გაიმართა 18-წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატიც, რომელსაც პოლონეთის ქალაქმა პოზნანმა უმასპინძლა. დავით ჩავლეიშვილის გუნდმა პირველი მატჩი ირლანდიის ნაკრებთან გამართა და 10:20 დაამარცხდა. მომდევნო შეხვედრას ჩვენი მორაგბეები ბოლო წუთებამდე უგებდნენ იტალიას, თუმცა ლელო მიიღეს და თამაშის გადარჩენა ველარ შეძლეს – 13:15. დასკვნით, მე-7 ადგილისთვის მატჩში კი პორტუგალია 26:3 დაამარცხეს. მაისში 19-წლამდე მორაგბეები ინგლისს ესტუმრა და ინგლისის საგრაფოთა 20-წლამდე მორაგბეთან ორი საკონტროლო მატჩი გამართა. პირველ შეხვედრაში ჩვენი მორაგბეები 10:36 დამარცხდნენ. მომდევნო მატჩში კი 23:22 გაიმარჯვეს. აგვისტოში 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ბე-

სიში გამართული საერთაშორისო ოთხთა ტურნირი მოიგო. პირველ მატჩში ინგლისური „ლესტერ ტაიგერზის“ 20-წლამდე მორაგბეთა გუნდი დაამარცხა, ფინალში კი „კლერმონის“ 20-წლამდე მორაგბეთა გუნდს 16:15 სძლია. ჩვენი მორაგბეები ბოლო წუთამდე აგებდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს რევაზ ჯინჭველაშვილმა არეკნი გაიტანა და მეტოქეს გამარჯვება გამოგლიჯა.

26 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში 19-წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს 19-წლამდე მორაგბეებმა ევროპის ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო და გაისად გასამართი მსოფლიოს ალაფის საგზური დაისაკუთრა. 19-წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი 55:3 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. ახალგაზრდა „ბორჯღა-

ლოსნებმა“ მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და 9 ლელო და 5 გარდასახვა გაუტანეს. ნახევარფინალში რუსი თანატოლები 41:5 დაჯაბნეს და ჯამში 6 ლელო, 4 გარდასახვა და 1 საჯარიმო გაუტანეს. ფინალში კი ჩემპიონატის მასპინძელ პორტუგალიას 44:14 მოუგეს. ჩემპიონებმა თვალსასიერო რაგბი ითამაშეს და 6 ლელო, 4 გარდასახვა და 2 ჯარიმა დააგროვეს.

შვიდკაცა ნაკრები

მაისში შვიდკაცას ნაკრებმა ამსტერდამის ტრადიციულ ტურნირზე ითამაშა და მეორე ადგილი დაიკავა. კახა ალანის გუნდმა ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაში ნაკრებებთან ერთად საკლუ-



→ ირლანდია – საქართველო 49:7

ბო გუნდებიც გამოდიან. ჩვენმა მორაგბეებმა ფინალში მძაფრი ბრძოლა გაუმართეს „სამურაის“, რომელიც ინტერნაციონალური გუნდი, ლამის მსოფლიოს ნაკრებია. საქართველოს ნაკრებმა შეხვედრა მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დათმო – 31:35. ფინალამდე ჩვენებმა 6 შეხვედრა მოიგეს.

ივნისში შვიდკაცამ ევროპის გრან პრის სერიის მეორე ეტაპზე მოსკოვში მეოთხე ადგილი დაიკავა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნები“ მოსკოვში იმ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მეტოქეები ინგლისის, საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრებები იყვნენ. დასაწყისი წარუმატებელი გამოუვიდათ, რადგან პირველივე მატჩი ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან, ინგლისის ნაკრებთან 12:24 დათმეს. შემდეგ რუმინეთის ნაკრებს სძლიეს – 38:0, საფრანგეთის ნაკრები კი – 31:14 დაამარცხეს. მეოთხედფინალში რუსეთი 19:17 დაჯაბნეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ინგლისის ნაკრებს გადაეყარნენ, რომელთანაც 5:33 დათმეს. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში შოტლანდიის ნაკრებთან 12:38 წააგეს. ტურნირის ბომბარდირი 43 ქულით მერაბ კვიციანი გახდა, რომელმაც ხუთი ლელო და ცხრა გარდასახვა მიითვალა.

25-26 ოქტომბერს შევარდენის სანაკრებო ბაზაზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი, რომელზეც პირველად დაწესდა საპრიზო ფონდი 25 ათასი ლარი. ფინალში რუსთავის „ხარები“ და ბოლნისის „ყოჩები“ შეერკინენ. ძირითადი დრო 12:12 დასრულდა, გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ორი ხუთწუთიანი ტაიმი დაინიშნა. აქ თამაში პირველ ქულამდე გრძელდებოდა, რომელიც რუსთავის „ხარებმა“ მოიპოვა და 17:12 გაიმარჯვა. თასის გარდა, „ხარები“ პრემიალურ 15.000 ლარს დაეუფლნენ. მეორე ადგილოსანმა „ყოჩებმა“ 7.000 ლარი მიიღო, ხოლო მესამეზე გასულმა „ჯიქმა“ – 3.000. შვიდკაცა ნაკრებისთვის მთავარი ამბები გაისად იწყება. ალანის გუნდი რიოს ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლას დაიწყებს, თუმცა ბოლოებთან ჭიდილი და 12 ნაკრებში მოხვედრა მეტად რთულ საქმედ მოჩანს.

ევროთასები

ქართულ საკლუბო რაგბში ახალი ამბავი მოხდა – ქართულმა გუნდმა პირველად ითამაშა ევროსარბიელზე, ჩელენჯ კაპის საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომელიც რანგით მეორე ტურნირია „ჰინეკენის“ თასის შემდეგ. „თბილისის კავკასიელებს“, რო-



→ მსოფლიოს თასი თბილისში

მელიც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ბიჭებით დაკომპლექტდა, ლევან მაისაშვილი თავკაცობდა. ტურნირის ორგანიზატორთა უთავბოლოებით ჩვენმა გუნდმა მატჩების გამართვის თარიღი გვიან შეიტყო. ორიოდ კვირის შეკრებილი მოთამაშეებით კი დასახული ამოცანის გადაჭრა გაძნელდა. იტალიურ „როვიგოსთან“ ორმატჩიან პლეი ოფში, ჩვენმა მორაგბეებმა ორივე შეხვედრა დათმეს. არადა, 20 სექტემბერს იტალიაში გამართულ შეხვედრაში ბოლო წუთზე დამარცხდნენ 18:22. საშინაო მატჩში „კავკასიელებს“ ამ ჩამორჩენის გადაფარვა მართებდათ, მაგრამ სტუმრებმა აქეთ მოგვიგეს – 21:24. მაისაშვილის გუნდს მოსამზადებლად და შესათამაშებლად ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდა, „როვიგოს“ ძლევა და ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა გადაულახავ ბარიერად სულაც არ მოჩანდა.

საქართველოს ჩემპიონატი

24 მაისს „მიხეილ მესხზე“ გამართულ საქართველოს 24-ე ჩემპიონატის ფინალში „ლელომ“ დამაჯერებლად – 24:11 სძლია „არმიას“ და შარშან მოგებული „ბზის თასი“ შეინარჩუნა. თამაშს ირლანდიელი მსაჯი პიტერ ფიტსგიბსონი გაუძღვა. ქომავმა ურისკო, პრაგმატული რაგბი იხილა, რომლის ბედიც შერკინებაში, დერეფანსა და რაქში ფორვარდებით მძლავრმა თამაშმა და კარში დამრტყმელის სიზუსტემ, დაცვის სიმტკიცემ გადანყვიტა. „ლელოს“ ყველა ქულა ირაკლი ყიასაშვილმა მოუტანა, რომელმაც შვიდი ჯარიმისა და ერთი არეკნის გატანა შეძლო. არმიელთა რიგებში ლელოთი გიორგი შკინინი გამოირჩა, ორი საჯარიმო კი ბახვა კობახიძემ გამოიყენა.

ლელონარები

პირველ ივნისს მამუკა გორგოძემ და დავით ქუბრიაშვილმა „ბარბაროსების“ შემადგენლობაში ითამაშეს. ერთ-ერთმა უძველესმა კლუბმა, რომელიც ყოველი სეზონის ბოლოს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეებს უყრის თავს, ლონდონში, „თვიქნემზე“ ინგლისის ეროვნული გუნდი 39:29 დაამარცხა. „ბარბაროსების“ გამარჯვებაში ორივე ქართველმა დიდი წვლილი შეიტანა. დავით ქუბრიაშვილი შერკინებაში მძლავრად იდგა და დაცვაში თამაშისას შეცდომა არ დაუშვია. ის 75-ე წუთზე შეცვალეს. მამუკა გორგოძემ 80 წუთი ითამაშა და 46-ე წუთზე, როცა „ბარბაროსები“ 14:18-ს აგებდნენ, ლელო



საქართველო – იაპონია 35:24



ევროპის წლევეანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები

მიითვალა. გუნდის კაპიტანი გამოცდილი არგენტინელი ხუან მანუელ ლეგუსამონი გახლდათ, მაგრამ ყველა საკვანძო სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღებისას გორგოძესთან თათბირობდა.

7 ივნისს სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა კეიპთაუნში მსოფლიოს ნაკრებს უმასპინძლა და 47:13 დაამარცხა. მსოფლიოს საუკეთესოთა კრებულმა, რომელსაც სამხრეთაფრიკელი ნიკ მალეტი თავკაცობდა, მასპინძლებს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, თუმცა 48-ე წუთზე მსაჯს სინბინი გამოსტყუა. მისში ევროპული ტურნირების ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – „ჰაინეკენის თასი“ ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონმა“ ზედიზედ მეორედ მოიგო. ტულონელებმა „მილენიუმზე“ გამართულ ფინალში ინგლისის საუკეთესო გუნდი „სარასენი“ 23:6 დაამარცხეს. კონსტანტინე მიქაუტაძეს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. განაცხადში არც ლევან ჩილაჩავა იყო. ივნისში „ტულონმა“ „ჰაინეკენის თასზე“ გამარჯვებას საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული დაურთო – ფინალში შარშანდელ ჩემპიონს, ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრს“ მოუგო – 18:10. მიქაუტაძეს და ჩილაჩავას ფინალურ მატჩში არ უთამაშიათ, თუმცა სეზონის მიმდინარეობისას გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს.

მიქაუტაძემ ტულონელთა რიგებში 15 მატჩი გამართა, აქედან ხუთი „ჰაინეკენის თასზე“. ჩილაჩავამ კი საფრანგეთის ჩემპიონატში ტულონელთა კვარტი შვიდეჯერ მოიგო. სეზონის ბოლოს „ტულონთან“ კონტრაქტი მამუკა გორგოძემ გააფორმა. ნაკრების ლიდერი ახალი სეზონიდან ევროპული გრანდის მაისურით უტევის.

სახელმწიფოს დახმარება

20 თებერვალს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გამართულ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა რაგბის სახელმწიფო მხადრატერის ახალი პროგრამა დაამტკიცა. რაგბის პოპულარობის გათვალისწინებით და სპორტის ამ სახეობის განვითარების მიზნით, რაგბის დაფინანსება გაიზარდა და 2014-2016 წლებში, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 11 800 000 ლარისა, 33 673 968 ლარი იქნება. 2014-2016 წლებში გაიზარდება უმაღლესი ლიგის გუნდების საბაზო დაფინანსება – გუნდები 100 000 ლარის მაგივრად, 400 000 ლარით ფინანსდებიან. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, საბაზო დაფინანსება ექნება პირველი ლიგის გუნდებს. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით უმაღლესი ლიგის 6 საუკეთესო კლუბს შორის საპრიზო ფონდი, 500 000 ლარი განაწილდა. პირველი ლიგის

გუნდებს შორის საპრიზო ფონდი 2014-2015 წლების სეზონის შედეგების მიხედვით განაწილდება.

ნოემბრის გაკვეთილები

საქართველოს ნაკრებმა ნოემბერში სამი ტესტმატჩი გამართა. „ბორჯლოსნები“ დამარცხდნენ ტონგასთან და ირლანდიასთან და მოუგეს ბოლო დროს საგრძნობლად მოძლიერებულ იაპონიას, რომელიც თბილისში ფეხის დაცდენამდე მსოფლიოს რეიტინგში საპატიო მე-10 ადგილზე იყო. ეროვნულ გუნდს ტესტმატჩებში რამდენიმე წამყვანი მორაგბე, გამორჩეულად კი ნაკრების მთავარი ვარსკვლავი მამუკა გორგოძე დააკლდა. გორგოძეს ბურთის ატაცება, რამდენიმე მეტოქის გადათელა და გუნდისთვის უპირატესობის შექმნა შეუძლია. მისი მოქმედება ხშირად მეტოქეს შიშის ზარს სცემს, თამაშის ხალისს უკლავს. თუმცა, ეს კაცი ნაკრებისთვის უფრო მეტია – ლიდერია, ნამდვილი ყოჩია, რომელიც გასახდელში ბიჭებს ამხნევეს, მოედანზე კი წინ მიუძღვება. „ბორჯლოსნებმა“ ტესტმატჩებიდან შეუფასებელი გამოცდილება მიიღეს. ეს განსაკუთრებით ირლანდიასთან მატჩზე ითქმის, რომელიც ექვსი ერის მოქმედი გამარჯვებულია და რეიტინგში მე-5 ადგილი



→ კოტე მიქაუტქე და ლევან ჩილაჩავა



→ მამუკა გორგოძე

უჭირავს. ირლანდიასთან თამაშის შესაძლებლობა ახალბედებსაც მიეცათ, მათთვის მოედანზე გატარებული ლამის ყველა წუთი, ხარისხიანი გაკვეთილის, სქელტანიანი წიგნის წაკითხვის ტოლფასი იყო.

8 ნოემბერს „მესხის სტადიონზე“ მილტონ ჰეიგის გუნდი ტონგას დაუხვდა და 9:23 დამარცხდა. ტონგა „ბორჯღალოსნების“ საგაისო მეტოქეა მსოფლიოს თასზე. გუნდებმა ერთმანეთი მოსინჯეს, დაზვერეს, უფრო გამოცდილმა მეტოქემ კი მეორე ტაიმში იძალა და მომავალი პრინციპული დაპირისპირების წინ თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობაც შეიქმნა, მაგრამ ანგარიშმა არ შეგაცდინოთ. ინგლისში მსოფლიოს თასზე სულ სხვა თამაში იქნება. ნაკრებს ქულები საჯარიმოებით დამრტყმელმა მერაბ კვირიკაშვილმა მოუტანა.

16 ნოემბერს „ავივა სთედიუმზე“ ქართული რაგბისთვის ისტორიული მატჩი შედგა. საქართველოს ნაკრებმა პირველად ითამაშა ტესტმატჩი ელიტარულ ნაკრებთან. რეიტინგს რომ თავი დაეანებოთ, ირლანდიას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავს და ნოემბრის ტესტებზე სამხრეთ აფრიკას და ავსტრალიას მოუგო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პირველ ნახევარში თავგანწირული თამაშის შემდეგ მასპინძლებმა იძალეს და 49:7 დაგვჯახნეს. ისტორიული ლელო გიორგი ნემსაძემ მიითვალა, გარდასახვა – მერაბ კვირიკაშვილმა. გულშემატკივრების ნაწილს ნამატჩრეს უკმაყოფილების განცდა შეექმნა, აქაოდა, მეტოქემ მეტისმეტად დიდი ანგარიშით მოგვიგო, არადა, მეორე შემადგენლობით გვეთამაშაო. არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ირლანდიას ყველა პოზიციაზე თითქმის სამ-სამი ვარსკვლავი ჰყავს და პირველ და მეორე ნომრებს შორის დიდი სხვაობა სულაც არ არის. ასეთი გუნდების დამარცხებას გამოცდილება, მათთან ხშირი თამაში სჭირდება, ჩვენმა გუნდმა კი ბობოლეტან გაჯიბრება ორი წელია დაიწყო. დიდი გუნდების ნაქცევა დროის ამბავია, მთავარია ბიჭებმაც და სამწვრთნელო შტაბმაც ყველა მატჩიდან სწორი დასკვნები გააკეთონ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ირლანდიის მსგავს გუნდებთან ჭიდილს უფრო გაბედული, თამაში თამაში სჭირდება. სხვანაირად ვერაფერს გახდები. ტონგასთან და ირლანდიასთან მატჩებში მიღებული გამოცდილების, გუნდის შეთამაშების შედეგი იყო 23 ნოემბერს „მიხეილ მესხზე“ იაპონიის დამარცხება. „ბორჯღალოსნებმა“ შერკინებაში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა გამოიყენეს და 35:24 გაიმარჯვეს. შალვა მამუკაშვილის, ლაშა ლომიძის, ბექა ნიკლაურის, ლაშა ხმალაძის და

მერაბ კვიციანიშვილის ლელოს იმავე კვირიკაში იქნებოდა ორ-ორი გარდასახვა-საჯარიმო დაუმატა.

ახალი სტადიონი

21 ნოემბერს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა ლევან ყიფიანიმა და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ ჟურნალისტებს და ქომაგს სასიხარულო ამბავი ამცნეს – გადამწყდა, რომ საქართველოში ახალი სარაგბო სტადიონი აშენდება, რომელიც 30 ათასამდე გულშემატკივარს დაიტევს. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტადიონი დილოში ფონდ „ქართუს“ სახელმწიფოს და რაგბის კავშირის ერთობლივი ძალისხმევით აშენდება. დაწყებულია საპროექტო სამუშაოები, რომელზეც ცნობილი „ავივა სთედიუმის“ დამპროექტებელი კომპანია „POPULOUS“-ი მუშაობს. ახალი მოედნის აშენებაზე მეტწილად დაამოკიდებული 2017 წელს ახალგაზრდული მსოფლიოს პირველობის მიღებაც,

რომლის სამასპინძლოდაც საქართველომ განაცხადი საერთაშორისო ფედერაციაში უკვე შეიტანა. ტურნირის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა გაზაფხულზე გაირკვევა. მნიშვნელოვანია, რომ გადამწყვეტილების მიღებამდე საერთაშორისო ფედერაციამ იცოდეს, რომ საქართველოში ახალი მოედნის მშენებლობა დაიწყო. ამასთან, მიმდინარეობს მინის ნაკვეთების შერჩევა სავარჯიშო მოედნების მოსაწყობადაც, რაც ასევე საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნაა.

ალიარება

ლონდონში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს კონფერენციის მსვლელობისას ჩატარდა სპეციალური ღონისძიება, რომლის დროსაც დასახელდნენ მსოფლიოს მასშტაბით რაგბის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სპეციალური საპატიო ჯილდოების მფლობელები. „IRB-ს განვითარების ჯილდოს“ ლაურეატთა შორისაა საქართველოს ყოფილი პრემი-

ერ-მინისტრი, აღიარებული ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი.

როგორც რაგბის საერთაშორისო საბჭო აღნიშნავს, „ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობამ და გულუხვობამ უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოს, როგორც სარაგბო ქვეყნის განვითარებაში. მის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ 2008 წლიდან დღემდე არაერთ სარაგბო პროექტს აფინანსებს საქართველოში. მათ შორის არის სარაგბო მოედნები, ქვეყნის მასშტაბით მსოფლიო სტანდარტების მიხედვით აგებული სამწვრთნელო კომპლექსები. ფონდი ასევე აფინანსებს განვითარების სხვადასხვა პროექტებსა და ნაწილობრივ ფარავს ეროვნული ნაკრების წვრთნასთან და ტურნირებისთვის მომზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.“

IRB-ს პრეზიდენტმა ბერნარ ლაპასემ ივანიშვილისთვის განკუთვნილი ჯილდო გადასცა ფონდ „ქართუს“ პროექტების მენეჯერს ირაკლი ქარსელაძეს.

ლექსო მანისუჩაძე





AT THE WORLD CUP FOR THE **FOURTH** TIME

GEORGIAN NATIONAL RUGBY TEAM HAS WON THE TICKET TO THE WORLD CUP FOR THE FOURTH TIME. TO WIN MORE THAN ONE GAME IS THE GOAL OF THE GEORGIAN "LELOS" AT THE 2015 WORLD CUP TO BE HELD IN GREAT BRITAIN. THE TASK IS DIFFICULT BUT CHALLENGING BECAUSE TWO VICTORIES ALLOWS THE TEAM TO WIN THE THIRD PLACE IN THE GROUP. THIS IS A PRECONDITION OF GETTING THE TICKET TO THE NEXT WORLD CUP DIRECTLY. TWO VICTORIES WILL INCREASE THE RESPECT TO THE GEORGIAN TEAM IN THE RUGBY COMMUNITY. IT WILL ALLOW MAKING STRONGER STEP TOWARDS THE RUGBY ELITE. THE "BRITISH" PLANS OF THE GEORGIAN RUGBY TEAM COACHED BY MILTON HAIG ARE QUITE AMBITIOUS. LESS THAN A YEAR IS REMAINING BEFORE THE WORLD CUP.

SIXTH VICTORY AT THE EUROPEAN NATIONS CUP

Mamuka Gorgodze and Levan Chilachava made tries on the opponent's half of field. Merab Kvirikashvili successfully performed two conversions and penalty kick.

On February 9, Georgian "Lelos" hosted the Portuguese team on the 'Locomotive' stadium. The Portuguese team has formed as a quite inconvenient contender for the Georgians. They were able to spoil the play of the Georgians almost all the time and carry on an intrigue up to the very end of the match. The same has happened this time. The Georgian team coached by Milton Haig won the first half 7:3 and gained full advantage in the second half having won the match with convincing score 25:12. The experienced Tedo Zibzbadze appeared as a true terror of the opponents. He made two spectacular tries. Lasha Khmaladze managed to make one try. Merab Kvirikashvili performed two conversions and one successful penalty kick.

On February 23, Russian national team hosted the Georgian in Sochi. The match

turned out quite hard and the Russians won the first half 3:6. However, the second half put everything in their places because the higher class and diligence of the Georgian "Lelos" did their job. The Georgian team won the match 23:9. The circumstances formed such way that Russian team is at psychological disadvantage against Georgia. Georgian 'Lelos' wounded mortally the Russian "bears" in the second half. Viktor Kolelishvili and David Kubriashvili made tries. Merab Kvirikashvili scored two conversions and three penalty kicks.

On March 9, the Georgian national team hosted Spanish team on the 'Locomotive' stadium. The Georgian "Lelos" were starving for requital for the defeat in Spain. The Georgian tried too hard and defeated the Spanish "Lions" 61:18. The Georgians had another reason for playing enthusiastically. That day the team gave send-off to the veteran rugby player and the team captain Irakli Abuseridze.

On March 16, Romania hosted Georgian team in Bucharest. The Romanian "Oak Leaf" is one of the main challengers



→ Merab Kvirikashvili and Merab Sharikadze

of Georgia at the Nations Cup tournament. The Romanian team is superior to other contenders in traditions, playing class and strength. They displayed this superiority during the match in Bucharest. The Georgian team played quite well. It holds the advantage for some time giving a chance to win the game. However, the game ended in a draw 9:9 which played into hands of Georgia. The Georgian "Lelos" not only won the 2013 tournament but retained Antimoz Iverieli Cup in the contest with the Romanian team. Besides, by the victory at the Nations Cup Georgian "Lelos" drew nearer to the 2015 world cup final. The ticket to the

final will go to the two best teams according to the sum of the results for two-years at the Nations Cup.

EUROPEAN NATIONS CUP 2014

This year Georgian national rugby team has won the European Nations Cup for the seventh time. In the starting cup match in Tbilisi, the Georgians convincingly beat the Belgian team 35:0. Then the Georgian team beat the Portuguese team in Lisbon 34:9 and came nearer to the world cup ticket.

On February 22, Georgia hosted Russia on "Dinamo" arena with about fifty thousand spectators. The Georgians won the game 36:10 and secured a ticket to the world cup 2015 in Great Britain. Georgian "Lelos" passed to the world cup for the fourth time successively. President of Rugby International Council Bernard Lapase paid official visit to Tbilisi to attend the Georgian-Russian match. On February 21, Prime Minister Irakli Garibashvili received Mr. Lapase, Minister of Sports and Youth Affairs Levan Kipiani and president of Georgian rugby union Giorgi Nizharadze. The next meeting of Mr. Lapase was in the ministry. The parties talked about development of rugby in Georgia and issues of future cooperation. Surprisingly, the match against the Spanish team in Madrid on March 8 turned out the most difficult. The Georgian team beat the contender 24:17. The Georgian "Lelos" played the match with slightly changed staff because the coach Milton Hage gave rest to several key players prior to the decisive match against Romania. Probably that decision influenced on the performance and the Georgian team reversed the situation to its advantage only in the second half of the match.

On March 15, Locomotive stadium with 30,000 spectators played host to the duel between Georgian and Romanian teams. That was a landmark match because it coincided with several interesting events. The **Webb Ellis Cup**, the trophy awarded to the winner of the Rugby World Cup, the premier competition in men's international rugby union, was delivered to Tbilisi especially for that match. The cup was exhibited in the school after Yakob Gogebashvili in Kiketi. Later, the cup was moved to sports museum and finally it was placed on the stadium on the match day. Stakes for the match were tremendously high since the match had to reveal winner of European nations' cup and the Cup after Antimoz Iverieli. Prime Ministers of Georgia and Romania Irakli Garibashvili and Victor Ponta attended the match. The Georgian "Lelos" won a convincing victory 22:9 over the Romanians. The Georgian won 2014 European nations' cup, Antimoz Iverieli Cup and the right to play in the group "C" of the 2015-world cup together with national teams of New Zealand, Argentina and Namibia.

IRB TBILISI CUP

IRB Tbilisi Cup has already become a traditional tournament. In June, Tbilisi hosted national teams of Argentina and Spain

and "A" team of Italy. On June 14, Georgian team beat the Spanish 23:13 but lost the match 16:26 against the Argentinean "Jaguars". The Georgian "Lelos" won the first half 13:12. Zurab Zhvania made a try and Lasha Malaguradze performed conversion and three successful penalty kicks. However, the Georgian team could not hold the advantage. They missed several favorable opportunities and finally lost the game. On June 22, The Georgian team convincingly beat 34:10 the Italian "A" team.

AGE TEAMS

In April, Poznan (Poland) hosted U-18 European championship. Georgian team coached by David Chavleishvili lost its first game 10:20 against the Irish team. In the next team against the Italians, the Georgian team was ahead up to the last minutes. However, the Italians made a try and won the game 15:13. The Georgian team beat 26:3 the Portuguese in the concluding match for the seventh place.

Lisbon played host to the U-19 European championship from October 26 to November 1. The Georgian U-19 team won the championship convincingly and gained the ticket to the world trophy 2015. The Georgian team beat 55:3 the Dutch in the quarterfinal and passed further to the semifinal. The young Georgian "Lelos" beat the contender in all components of the game. The Georgians made nine tries and five conversions. The Georgians easily beat 41:5 their Russian coevals in the semifinal match with six tries, four conversions and one penalty kick. The final match with the host Portuguese team ended with the victory of Georgia 44:14. The Georgian team showed a spectacular rugby with six tries, four conversions and two penalty kicks.

LEGIONAIRES

On June 1, Mamuka Gorgodze and David Kubriashvili played for the "Barbarians." One of the oldest clubs, which gathers the world's best rugby players by the end of each season, beat 39:29 the national team of Great Britain at the **Twickenham Stadium**, the home of England rugby. Both Georgians contributed greatly to the "Barbarians" victory. David Kubriashvili played unmistakably in the defense line. He was substituted on the 75th minute. Mamuka Gorgodze played 80 minutes and managed to make a try on

the 46th minute when the score was 14:18 to the disadvantage of the "Barbarians."

On June 7, South African team hosted the world team in Cape Town and beat it 47:13. The world team coached by Nick Malet was able to resist suitably the hosts only in the first half. Gorgodze played the whole match. In May, "Toulon," the club of Georgian "legionnaires" Levan Chilachava and Constantine Mikautadze, won for the second time successively the Heineken Cup – the most prestigious award of European tournaments. "Toulon" beat 23:6 the best British team "**Saracens**" in the final match at the "Millennium" stadium. In June, "Toulon" added to Heineken Cup the title of champion of France. In the final game they beat 18:10 the incumbent champion "Caste" where another Georgian "legionnaire" Anton Feikrishvili plays. "Toulon" signed Mamuka Gorgodze by the end of the season.

ASSISTANCE FROM THE STATE

On February 20, the cabinet of ministers approved a new state program for supporting rugby. The decision was made at the meeting in the chancellery of Georgia's government. The state funding for rugby during 2014-2016 has been increased from the planned 11,800,000 to 33,673,968 Laris. The money will be spent to develop rugby further given its increasing popularity in the country. In 2014-2016, funding for the teams in the rugby supreme league will increase and each team will receive 400000 Laris instead of the preplanned 100000. Teams of the first league will receive a basic funding for the first time in the history of Georgian rugby.

NOVEMBER'S LESSONS

Georgian national rugby team conducted three test matches in November. On November 8, the Georgian "Lelos" lost the home match to the team from Tonga (9:23), and lost the visiting match against Ireland (7:49) on November 16. The Georgian team conducted the season's final match against the notably reinforced Japanese team, which was on the 10th place in the world rating. The Georgians won the game 35:24. In the test matches, the Georgian national team missed several key players, including the team's main star Mamuka Gorgodze.

LEXO MAISURADZE



ევროპის ჩემპიონატი

ვანტაა, ფინეთი
1-3 აპრილი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ)
ოქრო

კონსტანტინე საბალაშვილი (65 კგ)
ბრინჯაო

ჩემპიონის ხასიათი

ოქრო-ბრინჯაოს ევროპირველობა



→ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

ბოლო წლებში ტრადიციად იქცა, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უმსუბუქესი წევრი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ყველა დიდ ტურნირზე ჩემპიონობისთვის იბრძვის, პოდიუმზეც სტაბილურად ადის, მაგრამ უმაღლეს საფეხურამდე ყოველთვის სულ ცოტა აკლდება – ხან თავისი, ხანაც მსაჯის შეცდომის გამო. ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტმა და ევროპის 2-გზის პრიზიორმა (2011-ვერცხლი, 2013-ბრინჯაო) ნავსი წლეულს გატეხა. 22 წლის სპორტსმენის მონდომებამ და დაულალავმა შრომამ ნაყოფი 2 აპრილს, ფინეთის ქალაქ ვანტააში, ევროპის ჩემპიონატზე გამოიღო.

ოქროს გზას ხინჩეგაშვილი ბულგარელი გეორგი ვანგელოვის ძლევით (6:2) შეუყვა. შეხვედრის პირველი ქულა მეტოქემ მოიპოვა. შემდეგ კი ქართველი მოჭიდავე

სრულ უპირატესობას დაეუფლა და ფეხში შესვლით სამჯერ გადაიყვანა ბულგარელი ჩოქბჯენში. მერე ფრანგ ზოჰაირ ელ უარაკ-საც საკმაოდ ადვილად გაუსწორდა – პირველიდან ბოლო წამამდე შეხვედრას ხინჩეგაშვილი აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რომ ქულები ფრანგთანაც დაკარგა – 7:4.

ევროპირველობის უმძიმესი ბრძოლა კი ნახევარფინალში გადაიტანა – რუსეთის ნაკრების აფხაზ წევრ რუსტამ ამპართან. საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ანგარიში 1:4 იყო და თითქოს შეხვედრის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ხინჩეგაშვილმა დარჩენილ დროში მოწყობილი შტურმით ამპარი საშინელ დღეში ჩააგდო. ჯერ ფეხიდან აყვანით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, იმავე ხერხით გაათანაბრა ანგარიში, ბოლო წამებზე კი მომგებიანი გდებაც შეასრულა.

ჩემპიონატის გადამწყვეტ ბრძოლაში ვლადიმერ ხინჩეგაშვილი მონაკოს სახელით მოჭიდავე გენადი ტულბეას დაუპირისპირდა. ამ 35 წლის სპორტსმენს ევროპული ოქრო იქამდე ორჯერ მოეგო თავისი ქვეყნის – მოლდოვას სახელით. მესამე ჯილდომდე კი ლადომ არ მიუშვა. ქართველმა მსუბუქწონოსანმა პირველ პერიოდში მინიმალური ანგარიშით იმარჯვა, მეორეში კი საგრძნობლად გააქტიურდა და ტულბეას ეფექტური ოთხქულიანი გდებით შეხვედრის გადარჩენის ბოლო იმედი გადაუწურა – 5:0.

საქართველოს ნაკრებმა ევროპირველობა ორი მედლით დაასრულა. ხინჩეგაშვილის ტრიუმფამდე ევროპოდიუმზე კიდევ ერთი გორელი სპორტსმენი კონსტანტინე ხაბალაშვილი (65 კგ) ავიდა.

ამ რანგის ტურნირზე კარიერის პირველი ჯილდო ხაბალაშვილმა შთამბეჭდავი გამარჯვებით მოიპოვა – რეპეშაჟის ფინალში ბელარუსის ნაკრების წევრი აზამატ ნურიკოვი პირველსავე პერიოდში ორჯერ გადაიყვანა ჩოქვანში და დატრიალებით 11 ქულა აუგროვა. დამამშვიდებელ ეტაპზე გადართვამდე, ქართველმა მოჭიდავემ ორი შეხვედრა ჩაატარა. პირველ წრეში იტალიელ ალბერტო კოსტას 10:0-ით გასცდა, მაგრამ მერე მთავარ ფავორიტთან და მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ნაკრების დაღესტნელ მსოფლიოს პრიზიორ მაგომედ ყურბანალიევთან ველარას გახდა. ბრინჯაოს გზაზე კი, გადამწყვეტ ბრძოლაში უპრობლემოდ მივიდა. ჯერ პოლონელი არკადიუშ სჟეია დაამარცხა – 11:1, შემდეგ გერმანელ სებასტიან მარტინ დაუმი – 13:2.

ქართველი ქომაგებისთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა დავით მარსაგიშვილის (86 კგ) უმედლოდ დარჩენა იყო. ევროპის 2-გზის ჩემპიონსა და მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს ვანტაში საპრიზო სამეულამდე ერთი მოგება დააკლდა. უფრო ზუსტად კი, სულ რაღაც 50 წამი – რეპეშაჟის ფინალში უნგრელ იმტვან ვერებს 5:0-ს უგებდა, როდესაც მოულოდნელად „გაითიშა“ და უპირატესობა ზუსტად 50 წამში გაატანა ქარს.

დამამშვიდებელ ეტაპზე გადასვლამდე მარსაგიშვილმა ავსტრიელ დომინიკ პეტერთან და ფინელ ვილე ჰეინოსთან მოიგო. ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლის გაგრძელების მანსი კი მთელი ევროპირველობის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავესთან



→ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ნუგზარ სხირელი და კონსტანტინე ხაბალაშვილი



→ ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ფინალში 5:0 გაიმარჯვა

– რუსეთის ნაკრების წევრ აბდულრაშიდ საიდულაევთან უშანსოდ წაგებით (0:11) დაკარგა.

დავით მარსაგიშვილის მსგავსად, მძიმეწონოსანმა დავით მოძმანაშვილმაც მე-5 ადგილით დაასრულა შეჯიბრება.

ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტიმა პირველ წრეში მოლდოველ ანდრეი რომანოვს 8 უპასუხო ქულა აუღო. აზერბაიჯანის ნაკრების წევრს, ევროპის და მსოფლიოს პრიზიორ ჯამალედინ მაგომედოვს საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 5:2 აჯობა, ნახევარფინალში კი რუსეთის ნაკრების მძიმეწონოსან ალან ხუგაევთან შეხვედრის ბედი გაფრთხილებებმა გადაწყვიტა – 2:3. ხუგაევმა ბოლო ქულა ქართველი მწვრთნელების პროტესტის გამო მიიღო, რომელიც მსაჯებმა არ დააკმაყოფილეს და წესისამებრ, მეტოქეს ქულა წაუმატეს.

რეპეშაჟის ფინალში კი მოძმანაშვილმა უნგრელ დანიელ ლაგეტისთან ამ უკანასკნელის ერთი ეფექტური „შესვლის“ გამო 2:5 წააგო.

61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ლომთაძემ ჩემპიონატი სომეხ ნარეკ სანოიანთან შეხვედრით გახსნა, რომელშიც სულ 23 ქულა გაიტაცა, აქედან 14 – ქართველის სასარგებლოდ. ძირითად ბადეში გამოსვლა კი ბექამ მომავალ ჩემპიონთან – აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევთან მარცხით დაასრულა და დამამშვიდებელ ეტაპზეც უმაღლეს ნააგო, გერმანელ ალექსანდერ სემი-სოროვთან.

ევროხალიჩაზე დიმიტრი ბასილაშვილი (70 კგ), იაკობ მაქარაშვილი (74 კგ) და დავით ქერაშვილიც (97 კგ) გავიდნენ, მაგრამ შეჯიბრებას სტარტზევე გამოეთიშნენ.

ნაკრების დებიუტანტი ბასილაშვილმა პირველ წრეში უკრაინელ სემენ რადულოვთან წააგო, მაქარაშვილმა – რუსეთის ნაკრების წევრთან, ევროპის 2013 წლის ჩემპიონ ანიუარ გედუევთან, ხოლო ქერაშვილმა – გერმანელ ვილიამ ჰარტთან. ქართველების მძლეველთაგან ფინალამდე მხოლოდ გედუევი მივიდა და მაქარაშვილიც „ბრინჯაოს ფრონტზე“ გადაერთო, მაგრამ იქაც პირველივე შეხვედრა წააგო პოლონელ კრისტიან ბრზოზოვსკისთან.

ოთარ მაგლაკელიძე



→ Constantine Khabalashvili

GOLD AND BRONZE AT EUROPEAN CHAMPIONSHIP

EUROPEAN CHAMPIONSHIP

Vantaa, Finland

April 1-3, 2014

VLADIMIR KHINCHEGASHVILI (57 kg)
GOLD

CONSTANTINE KHABALASHVILI (65 kg)
BRONZE

The 2014 European Wrestling Championship was held in Vantaa (Finland) during April 1-6, 2014. For the last years it has become customary that lightweight member of the Georgian national team Vladimer Khinchegashvili fights only for champion's title at every major international tournament. His efforts are not fruitless. Vladimer is a prizewinner. However, he has been always a step away from the champion's title. This happens because of mistakes made either by him or by referees. Khinchegashvili, silver medalist of London Olympic Games and twice prizewinner of European championships, finally managed to win a golden medal this year. The tireless work and devotion allowed the 22-year old Georgian wrestler to reap the fruits of his labor at the 2014 European championship in Vantaa. Khinchegashvili started his way to the golden medal by defeating (6:2) George Vangelov (Bulgaria) despite stumbling at the beginning of the duel. Khinchegashvili was keeping the under

control from the beginning up to the very end the duel against Zohair El Uarak (France). He won the duel (7:4) despite losing some points at the beginning. Semifinal was the toughest fight for him. Khinchegashvili was losing (1:4) the duel with Rustam Ampar just 1, 5 minute before the final gong. It appeared that outcome of the battle was predetermined. However, Khinchegashvili managed to gain winning points by the victorious throw at the very last seconds of the duel.

The final battle brought Khinchegashvili together with Gennady Tulbea (Monaco). The Georgian wrestler won the first period with narrow margin. The second period went off with his full superiority, which ended by the winning four-point throw. Khinchegashvili won 5:0. The Georgian national team finished the European championship with two medals. Constantine Khabalashvili (65 kg) won bronze medal. That was the first award, which Khabalashvili had won at the tournament of this rank. He won 11 points in the repechage final against Azamat Nurikov (Belarus) by the series of moves, including turnover with body hold and turning down. Khabalashvili defeated Alberto Costa (10:0) before switching to repechage, but lost the duel against the future champion Magomed Kurbanaliev (Russia). On his way to bronze medal Khinchegashvili beat the Polish Arcadiusz Szheia (11:1) and the German Martin Daum (13:2).

OTAR MAGLAKELIDZE

მსოფლიოს ჩემპიონატი
ტაშკენტი
8-9 სექტემბერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ)
ვერცხლი

გადამწყვეტი მომენტი



ვლადიმერ ხინჩეგაშვილს 16 წამი დააკლდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულამდე და 2014 წლის სეზონის ოქროს დუბლით დაგვირგვინებამდე. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უმსუბუქესმა წევრმა ტაშკენტში გამართულ სეზონის უპრესტიჟულეს შეჯიბრებაზე გადამწყვეტ ბრძოლაში, ჩრდილოკორეელ კიონგ ლი იანგთან სწორედ საფინალო სირენამდე 16 წამით ადრე დაკარგა ქულები, რომლებმაც აზიელი მსოფლიო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მეორედ აიყვანა. პირველად იანგმა ეს ხუთი წლის წინ შეძლო. ხინჩეგაშვილმა კი, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, კიდევ ერთი დასანანი ფინალი წააგო და ოქროს შანსი ამჯერადაც მსაჯების საეჭვო გადანყვეტილების გამო დაკარგა.

57 კილოგრამში მოჭიდავე ქართველი მეტოქეს 3:2 უგებდა და ცდილობდა, შეხვედრა აქტიური ჭიდაობით ჩაემთავრებინა, გაფრთხილება რომ არ მიეღო. იანგი კი ვაზანკზე წავიდა და ჩოქბჯენში ილეთიც შეასრულა, რომელსაც ხინჩეგაშვილმა კონტრ-ილეთი მიაყოლა. ხალიჩის მსაჯმა რატომღაც მხოლოდ ჩრდილოკორეელის აქტიურობა შეაფასა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა მომენტის გასაპროტესტებელი კვადრატის ხალიჩაზე შეგდება დაავიანეს და მსაჯთა მაგიდამ სადავო ეპიზოდის განხილვა იუარა, ხალიჩის მსაჯმა კი საქართველოს ნაკრების თავკაც რევაზ მინდორაშვილს ყვითელი ბარათი აუფრიალა.

თავად ვლადიმერ ხინჩეგაშვილიც კარგა ხანს ცდილობდა სიმართლის დასამტკიცებლად ებრძოლა, პროტესტის ნიშნად მსაჯს ხელიც არ ჩამოართვა, მაგრამ, აბა, ამით რას შეცვლიდა.

ფინალამდე ხინჩეგაშვილმა ჩილელი ანდრე რენატო ქუისპე (10:0), აზერბაიჯანელი ახმედმაზი გუეზატილოვი (8:2), ბელარუსი ვლადისლავ ანდრეიუ (4:0) და მონღოლი ბეხბაიარ ერდენებატი (6:3) ჩამოიცილა.


მსუბუქ წონაში მოპოვებული მედალი საქართველოს ნაკრებისთვის ერთადერთი აღმოჩნდა 2014 წლის მსოფლიო პირველობაზე. მინდორაშვილის განვრთნილი გუნდის რვა წევრიდან ხუთი საწყისი ეტაპებიდანვე გამოეთიშა ტურნირს. ნაკრების ყველაზე წარმატებულ წევრზე უკვე ვთქვით. მის გარდა მედლისთვის ბრძოლას ბოლომდე შემორჩნენ ჯუმბერ ყველაშვილი (74 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ), მაგრამ საპრიზო სამეულამდე ორივეს თითო ნაბიჯილა დააკლდა.

22 წლის ყველაშვილს ამ რანგის შეჯიბრებაზე არასოდეს ეჭიდავა და ტაშკენტში




დებიუტანტის კვალობაზე თავისი შესაძლებლობები მშვენივრად წარმოაჩინა. ჩემპიონატი ძლიერ თურქ მოჭიდავესთან – სონერ დემიტრაშთან შეხვედრით გახსნა და მისაბაძი საბრძოლო წინის ხარჯზე 4:3 იმარჯვა. ყაზახ გალიმჟან უსერბაიევის გაცილებით ადვილად აჯობა – ოთხწუთნახევარში ხუთი ქულა აულო და დარჩენილ დროში უპირატესობა მშვიდად შეინარჩუნა (5:1). მეოთხედფინალში ყველაშვილს მეტად სახიფათო მეტოქე შეხვდა აზერბაიჯანელი აშრაფ ალიევის სახით. რა გასაკვირია, ფავორიტად ყველა ალიევის მიიჩნევდა, მაგრამ ჯუმბერმა პროგნოზისტებს სათქმელი არაფერი დაუტოვა. მონინალმდეგეს ორი ეფექტური 4-ქულიანი გდება შეუსრულა და საბოლოოდ 9:5 სძლია.

ერთი გამარჯვებაც და საქართველოს ნაკრების დებიუტანტი ფინალში გავიდოდა, მაგრამ გარანტირებულ მედალს იაპონელი სოსუკე ტაკატანი გადაეფარა. პირველი პერიოდი ყველაშვილმა მეტოქის გაფრთხილებით მიღებული ქულით მოი-



➔ ჯუბერ ყველაშვილი



ელიზბარ ოდიკაძე

გო. მეორე სამწუთეულში კი ტაკატანიმ შეხვედრის ბედის სათავესოდ შეტრიალება შეძლო ორი ქულა იღეთით მიითვალა, ერთიც მონინალმდეგის საჭიდაო ზონის მიღმა გაყვანით და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

ყველაშვილი რეპეშაჟის ფინალში გადაერთო, მაგრამ კუბელ ლივან ლოპესს წინააღმდეგობა ვეღარ გაუნია, 1:11 წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

ელიზბარ ოდიკაძემ ოქრო-ვერცხლის შანსი საწყის ეტაპზევე დაკარგა. მექსიკელი იესი რუიზ ფლორესის იოლად ძლევის (10:0) შემდეგ, მეორე წრეში აზერბაიჯანის ნაკრების ლიდერს, ევროპის 3-გზის (2009, 2010, 2011) და მსოფლიო ჩემპიონ (2010) ხეთაგ გაზიუმოვს დაექიდა და დაძაბულ ბრძოლაში 1:2 წააგო. გაზიუმოვი ექვსი წუთის განმავლობაში თავს იცავდა და ცდილობდა, მონინალმდეგისთვის შეტევის საშუალება არ მიეცა. დიდად ვერც ოდიკაძე აქტიურობდა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც მხოლოდ ის გააფრთხილა, თან ორჯერ და სწორედ ეს ორი საჯარიმო ქულა აღმოჩნდა გადამწყვეტი. ქართველმა მოჭიდავემ კი თავისი ქულა გაზიუმოვის ხალიჩის მიღმა გაყვანით ჩაინერა.

აზერბაიჯანელი ფინალამდე მივიდა და ოდიკაძე დამამშვიდებელ ეტაპზე გადაერთო. მოლდოველ ნიკოლაი ჩებანთან შეხვედრა 2:2 დაასრულა, მაგრამ ორქულიანი იღეთის შესრულების გამო მიღებული უპირატესობით (ჩებანს ორი ერთქულიანი

ნი შეფასება ჰქონდა) ფრეც ეყო რეპეშაჟის ნახევარფინალში გასასვლელად. მონლოლ ხუდერბულა დორჟანდს 3:2 აჯობა, მსოფლიო პოდიუმზე დასადგომად კი უკრაინელ ვალერი ანდრიცევიტან მოგება დააკლდა – „ბრინჯაოს ფინალის“ პირველსავე წუთზე ოდიკაძე თავისსავე წამოწყებულ იღეთზე ბეჭებზე დავარდა.

მორიგი იმედგაცრუება იწვინა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით მარსაგიშვილმა. 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ევროპის 2-გზის ჩემპიონმა (2012, 2013) საწყისი ორი ეტაპის დასაძლევად სულ სამი წუთი იკმარა. ავსტრიელ დომინიკ კლაუს პეტერს 56 წამში გასცდა (12:2), ხოლო ჩინელ შენგფენგ ბის – 2 წუთსა და 4 წამში (13:2). მეოთხედფინალში ყაზახეთის სახელით მოჭიდავე ასლან კახიძეს დაუბრისპირდა და თითქოს მორიგი ადვილი გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ ბოლო ორ წუთში უცნაურად მოდუნდა, შეიდექულიანი ჰანდიკაპი (7:0) გაანიავა და საბოლოოდ 9:10 დამარცხდა. კახიძემ ნახევარფინალში, მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ნაკრების 18 წლის ნევერ აბდულრაჰიმ სადულაევთან 59 წამში 0:10 წააგო და მისი ფინალს მიღმა დარჩენით მარსაგიშვილს ბრინჯაოს გზაც ჩაეკეტა.

ბექა ლომთაძე (61 კგ) უზბეკურ ხალიჩაზე ორჯერ გავიდა. ევროპირველობის მეშვიდეადგილოსანმა სადებიუტო მსოფლიო ჩემპიონატი ლამაზი გამარჯვებით

გახსნა – თურქემენ რამილ რეჯეპოვს 10 ქულის ასაგროვებლად წუთი და 37 წამი აკმარა. მეორე წრეში კი რუსეთის ნაკრების ნევერ ალექსანდრ ბოგომოვეს შეხვდა და პირველი პერიოდის მიწურულამდე ორქულიანი უპირატესობითაც უგებდა (3:1), მაგრამ საფინალო სირენამდე წამით ადრე ოთხქულიან გდებაზე წამოეგო, ხოლო მეორე სამწუთეულში ბოგომოვეის მძლავრ შეტევებს ვეღარაფერი მოუხერხა და მეხუთე წუთზე ათქულიანი სხვაობით ჩამორჩა (3:13), რაც ავტომატურად ნაგებას ნიშნავდა. რუსმა ფინალს ვერ უწია და ლომთაძეს ბრინჯაოს გზაც ჩაეკეტა.

მალხაზ ზარქუა (65 კგ) პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა მოლდოველ მიხაილ სავასთან. ქართველმა მოჭიდავემ წუთნახევარში მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო. ახალი წესების თანახმად, თუ გაფრთხილების შემდეგ, ნახევარი წუთის განმავლობაში იღეთს ვერ გააკეთებდა, მონინალმდეგეს ქულა ავტომატურად გადაეცემოდა. ზარქუამ აქტიურად შეუტია და ათიოდ წამში მოლდოველის ჩოქბჯენში გადაყვანით დანინაურდა – 2:0, მაგრამ უმაღლ ორქულიან კონტრილეთზე წამოეგო და ამასთან, ტრავმაც მიიღო – ნიკაპი გაუსკდა. შეხვედრის გაგრძელება მცირე პაუზის შემდეგ შეძლო, მაგრამ დარჩენილ დროში საინტერესო ვეღარაფერი გააკეთა. სავამ კი მონაგარს ორი ორქულიანიც მიამატა და მერვედფინალში გავიდა. მოლდოველს კიდევ სამი შეხვედრა რომ მოეგო,

მალხაზს პოდიუმის მესამე საფეხურისკენ მიმავალი გზა ეხსნებოდა, მაგრამ სავა მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდა.

70 კილოგრამში მოჭიდავე ალექსანდრე ჯაჭვაძეს პირველ მეტოქედ ეკვადორელი იოან ბლანკო ერგო. საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა პირველი პერიოდი 4:2 მოიგო. მეორეში მსაჯმა ერთადერთი შეფასება დააფიქსირა და ისიც საჭიდაოდ განკუთვნილი სამი წუთის ამონაწერის შემდეგ – შეხვედრის ბოლოს, ბლანკოს გააქტიურებას და მეტოქის ჩოქბჯენში გადაყვანის მცდელობას საფინალო სირენა მოჰყვა. თითქოს სანერვიულო აღარაფერი იყო, ალექსანდრე ჯაჭვაძემ უპირატესობა შეინარჩუნა, მაგრამ ხალიჩის მსაჯმა გადაწყვიტა ეკვადორელისთვის გააქტიურება მომგებიანი ქულებით დაეფასებინა და მსაჯთა მაგიდის თანხმობაც მიიღო. ქართველმა მწვრთნელებმა საკამათო გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ ამაოდ.

ჯაჭვაძემ 4:5 ნააგო და ცოტა ხანში დამამშვიდებელ ეტაპზე გადასვლის შანსიც დაკარგა, მას შემდეგ, რაც ბლანკო რუსეთის ნაკრების წევრ ხეთიკ ცაბოლოვთან დამარცხდა.

მძიმეწონოსანმა გიორგი საკანდელიძემაც (125 კგ) პირველად იჭიდავა უფროსებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ზარქუასა და ჯაჭვაძის მსგავსად, ისიც ერთადერთი შეხვედრით დაემშვიდობა სეზონის უმთავრეს ტურნირს. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პრიზიორი მძიმეწონოსანი ბელარუს მსოფლიოს ჩემპიონს (2011) ალექსეი შემაროვს დაუპირისპირდა და ექვსი წუთის განმავლობაში ქულაც ვერ აუღო (0:4). 31 წლის შემაროვს ჩვენებურის დამამშვიდებელ ეტაპზე გაყვანამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა – ნახევარფინალში ევროპის 3-გზის ჩემპიონ (2012, 2013, 2014) თურქთან, ტაჰა აკგულთან წააგო.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ მოჭიდავეთა ტამკენტური გამოსვლა უარყოფითად შეაფასა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ორივე სტილის ნაკრების სამწვრთნელო შტაბების გადაყენების შესახებ გააკეთა განცხადება. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების განთავისუფლებულმა მწვრთნელებმა კი გამოაცხადეს, რომ წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში ფედერაციის ხელმძღვანელის მხრიდან მათ საქმეში პირდაპირი ჩარევა იყო.

ლუკა ქარსალაძე

DISAPPOINTMENT IN TASHKENT

WORLD CHAMPIONSHIP

Tashkent,
September 8-9, 2014

VLADIMIR KHINCHEGASHVILI (57 kg)
SILVER

The performance of Georgian national team of freestyle wrestlers at the 2014 world championship in Tashkent was below the expectations. Vladimer Khinchegashvili (57 kg) had to hold out only sixteen seconds to celebrate victory at the championship and finish his 2014 season with two golden medals. However, when fighting Kiong Lee Yang (North Korea) in the final duel he lost decisive points just sixteen seconds before the final siren.

The defeat left Khinchegashvili with silver medal, while the Korean wrestler became the world champion for the second time. He won this title for the first time five years ago. That was Khinchegashvili's second regrettable defeat in the final duel. The first occurred at the 2012 London Olympics. He lost duels in both cases because of questionable decision by referees.

Khinchegashvili was ahead 3:2. He decided to finish the duel with proactive wrestling to avoid warning. Yang staked everything to reverse the situation. He managed turn Khinchegashvili down in referee's position and make a hold. Khinchegashvili hit back by counter-grip, which referee did not

allow for some reason. He estimated with point only the action by the North Korean wrestler. The Georgian coaches were late to protest the referee's decision by throwing a square on the rug. That delay allowed the referees not to scrutinize the disputable episode. Moreover, the referee on the rug showed yellow card to the Georgian team's chief coach Revaz Mindorashvili.

On his way to the final Khinchegashvili beat 10:0 Andre Renato Quispe (Chile), Azeri Akhmedmabi Guezatilov (8:2), Belarus Vladislau Andreiu (4:0) and the Mongolian Bekhbaiar Erdenbat (6:3).

Unfortunately, the medal won in the lightweight category turned out to be the single award, which Georgian national team earned at the 2014 world championship. Five out of eight members of the team dropped out of the competition at the initial stage. Jumber Kvelashvili (74 kg) and Elizbar Odikadze (97 kg) passed the first stage and came close to the medalists' trio. David Marsagishvili (86 kg), one of the leaders of the national team and twice champion of Europe (2012, 2013), experienced the next in turn disappointment. His start was promising. It took David only three minutes to win his two duels at the start. However, David lost quarterfinal against his compatriot Aslan Kakhidze who represented Kazakhstan at the championship. This failure deprived Marsagishvili of the chances to win medal.

LUKA KARSELADZE





➔ გივი მაჭარაშვილი



➔ შმაგი ბოლქვაძე

განიავებული ალალი ოქრო

ჭაბუკმა და ახალგაზრდა მოჭიდავეებმა მრავალწლიანი ტრადიციის არც 2014 წლის სეზონში დაარღვიეს და ეროვნულ ნაკრებებთან შედარებით გაცილებით შთაბეჭდილი შედეგი აჩვენეს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქართული დროშის ქვეშ მოჭიდავეთა გამარჯვების დასაფასებლად 12-ჯერ აუღერდა საქართველოს ჰიმნი. 4 სპორტსმენს ჩემპიონის ტიტულამდე გაღამწყვეტი გამარჯვება დაააკლდა, 14-მა კი პრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საზონის მინურულს ქართველ მოჭიდავეთა წლიურ მონაგარს ერთი ოქრო გამოაკლდა. მსოფლიო ჭიდაობის გაერთიანებულმა ფედერაციამ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების ლიდერ გენო პეტრიაშვილს (120 კგ) აგვისტოში ხორვატიაში მოპოვებული ტიტული ჩამოართვა.

მსოფლიო პირველობის დასრულებისთანავე აღებულმა დოპინგ-ტესტმა ქართველი მძიმეწონის სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოაჩინა და წესის დამრღვევი ჯერ ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, შემდეგ კი ჩემპიონობაც გაუუქმა. პრედუქტალი – ასე ჰქვია პრეპარატს, რომლის გამოც პეტრიაშვილს პრობ-





ზვიად პატარიძე



ჯონი ხეცურიანი

ლემები შეექმნა. ეს წამალი ძლიერმოქმედ დოპინგთა ჯგუფში არ შედის და შესაბამისად, სპორტულ შედეგზეც ვერ ახდენს გავლენას. 2014 წლამდე აკრძალულიც კი არ იყო, მსოფლიო ფედერაციამ „შავ სიაში“ წლეულს შეიტანა.

გენო პეტრიაშვილს თავის ასაკობრივ ჯგუფში დიდი გამარჯვებების მისაღწევად არასპორტული გზით ბრძოლა რომ არ სჭირდება, არაერთგზის დაუმტკიცებია. დოპინგ-სკანდალში გახვევამდე თვენახევრით ადრე, პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ზედზედ მეორედ ისე გაჩემპიონდა, არც ერთი მეტოქისთვის წარმატების იოტისოდენა შანსიც არ მიუცია. საბედისწერო მსოფლიო ჩემპიონატზეც ლამის ცალი ხელით გაუსწორდა ყველა კონკურენტს. სამწუხარო ინციდენტი რომ არა, საქართველოს 2013 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენს 2014 წელიც ოქროს დუბლით უნდა ჩაემთავრებინა და სავარაუდოდ, იგივე ნომინაციის უმთავრესი ფავორიტიც იქნებოდა, მაგრამ... დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა სექტემბრიდან დაიწყო.

11 ოქროს მედლიდან 6 ახალგაზრდული ნაკრებების ნადავლია. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა სეზონის ორ უმთავრეს შეჯიბრებაზე სულ 3 ოქრო და 7 ბრინჯაო გამოიმუშავეს. ზაზა სილაგაძის განვრთნილი გუნდი განსაკუთრებით შთამბეჭდავად ევროპირველობაზე (კატოვიცე. 17-22 ივნისი) გამოვიდა, სადაც ნაკრების 8 წევრიდან 7-მა მედლისთვის იჭიდავა და პოდუიმზე 6 მათგანი ავიდა. გელა ბოლქვაძე (74 კგ) და ბექა კანდელაკი (120 კგ) ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო გიზო

მელაძე (55 კგ), შმაგი ბოლქვაძე (66 კგ), ლაშა გობაძე (84 კგ) და კუკური კირცხალია (96 კგ) ბრინჯაოებს დასჯერდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის (ზაგრები. 5-10 აგვისტო) განაცხადში ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ერთადერთი ცვლილება განახორციელა – 50 კილოგრამში ხორვატიულ ხალიჩაზე თორნიკე ჭელიძე გავიდა. საკმაოდ კარგადაც იჭიდავა, მაგრამ მედალს ვერ შეწვდა, მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავა. შმაგი ბოლქვაძემ ევროპულ ბრინჯაოს მსოფლიო ოქრო მიამატა. ევროპის ჩემპიონი გელა ბოლქვაძე მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა, ისევე, როგორც გიზო მელაძე და ლაშა გობაძე. ამ ორმა 2014 წლის სეზონი ბრინჯაოს დუბლით დაასრულა. მსოფლიო პირველობის საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებმა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე იყოჩაღეს. გიორგი გოგშელიძის გუნდის 8 წევრიდან 5 ფინალში გავიდა. გენო პეტრიაშვილის გარდა, შეჯიბრება ნაუგებლად ჩაამთავრეს ომარ გურჯიძემ (66 კგ) და ტარზან მაისურაძემ (74 კგ), ხოლო გიორგი ბრეგაძემ (60 კგ) და გიორგი ჩხარტიშვილმა (84 კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ჭაბუკებში ყველაზე წარმატებული სეზონი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზვიად პატარიძეს ჰქონდა – 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში წლის ორივე უმთავრესი შეჯიბრება ნაუგებლად ჩაატარა და ასაკობრივი ნაკრებების წევრთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა. ევროპირველობაზე

(სამოკოვი. 6-11 მაისი) პატარიძის გარდა ჩემპიონის ტიტულს ნიკოლოზ ჭიკაძეც (63 კგ) დაეუფლა. ნუგზარ წურნუშია (42 კგ) კი მესამე ადგილზე გავიდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე (სნინა. 15-20 ივლისი) დავით ბედინაძის განვრთნილი გუნდის წევრთაგან უმაღლესი სინჯის მეორე მედალს ჯონი ხეცურიანი (50 კგ) დაეუფლა. ლერი აბულაძე (46 კგ) ფინალში დამარცხდა, ხოლო ჭიკაძემ (63 კგ) კონტინენტის ოქროს მსოფლიო ბრინჯაო მიამატა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა ევროპის ჩემპიონატი ჰიმნის გარეშე, 4 მედლით მოიარეს. ემზარიოს ბენტინიდისის შეგირდთაგან მიზანთან ყველაზე ახლოს მექი სიმონია (76 კგ) მივიდა – ფინალში დამარცხდა. გიორგი ხაჩიძე (42 კგ), ივერიკო ჯულაყიძე (63 კგ) და გივი მაჭარაშვილი (100 კგ) კი ბრინჯაოებს დასჯერდნენ. სიმონიამ ევროხალიჩიდან მედალთან ერთად ნანძინის 2014 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც გამოიტანა.

ევროპირველობიდან ორიოდ თვეში გივი მაჭარაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გიორგი ხაჩიძემ და შმაგი თოდუამ (54 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ოთარ მაღლაკელიძე

ევროპის ჩემპიონატი

ვანტაა, ფინეთი
4-6 აპრილი

გიორგი ცირეკიძე (80 კგ)
ბრინჯაუ

**მედალი
არაოლიმპიურ
წონაში**



➔ გიორგი ცირეკიძე

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 2014 წელი ახალი წონითი კატეგორიებით დაიწყეს. შარშან ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღებას ბოლო მომენტში გადაურჩა. სამაგიეროდ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ სახეობის „გასალამაზებლად“ მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა. ვაჟებში შვიდ-შვიდ წონას თითოც წაამატა, ოლონდ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები ამ რვა წონიდან მხოლოდ ექვსში უნდა გათამაშდეს.

საქართველოს ჩემპიონატი 2013 წლის ბოლოს ძველებური წესებით ჩატარდა. ცვლილებების ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ კი ნაკრების მწვრთნელებს ახალი კანდიდატების გამოსავლენად დამატებითი მინი-ჩემპიონატის გამართვა დასჭირდათ. ვაკის ფალავანთა კლუბში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა 71 და 80 კილოგრამებში ჩაატარეს შეჯიბრება, ხოლო თავისუფლებმა – 61 და 70 კილოგრამებში. სწორედ ეს წონითი კატეგორიებია არაოლიმპიური.

გასული სეზონის პირველ უმნიშვნელოვანეს ტურნირში – ევროპის ჩემპიონატზე კი რვა-რვა წონა ჩაერთო საქმეში. საქარ-

თველოს ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია ევროშემადგენლობის შერჩევისას მთლიანად საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს დაეყრდნო და ფინეთის ქალაქ ვანტააში წასაყვანი გუნდი შიდა კონკურენციის ლიდერებით დააკომპლექტა. თუმცა ერთი იძულებითი ცვლილების განხორციელება მაინც დასჭირდა – იაკობ ქაჯაია (130 კგ) ნაკრებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოაკლდა და მძიმე წონაში მისი ადგილი გურამ ფერსელიძემ დაიკავა.

დარჩიას გუნდმა ფინური ხალიჩიდან ერთადერთი მედალი გამოიტანა. ევროსამეულში საქართველოს მინი-ჩემპიონატის ერთ-ერთი გამარჯვებული გიორგი ცირეკიძე (80 კგ) შევიდა. ქუთაისელი მოჭიდავე არა მარტო საბოლოო შედეგით, ჭიდაობის ხარისხითაც გამორჩეული იყო თანაგუნდელებს შორის.

ჩემპიონატზე მან ერთადერთი შეხვედრა ჩააგდო – ნახევარფინალში ევროპის მომავალ ჩემპიონთან, უნგრელ პეტერ ბაკშთან 0:6 დამარცხდა. საწყის ეტაპებზე ცირეკიძემ გერმანელი პასკალ აისელე (2:0) და ბულგარელი დანიელ ალექსანდროვი (8:6) ჩამოიცილა. მეოთხედფინალში კი სომეხ ჰრან ჰოვანესიანს წაგებული ბრძოლა შემოუტრიალა – 0:6 ჩამორჩენის შემდეგ მეტოქეს 13 უპასუხო ქულა აუღო.

რეპეშაჟის ფინალში ცირეკიძემ შვედ ზაკარიას ბერგეს 6:3 აჯობა და პირველი ევროპული მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, რევაზ ლაშხს ბრინჯაომდე ერთადერთი გამარჯვება დააკლდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის 2011 წლის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი ამჯერად ევროკონკურენციაში 66 კილოგრამში ჩაერთო. ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლას საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა, უმთავრეს ფავორიტთან, რუს ადამ კურაკთან წაგებით (0:9). ეს უკანასკნელი ვერავინ შეაჩერა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ლაშხი კი დამამშვიდებელ ეტაპზე გადაერთო და ავსტრიელი ბენედიქტ სებასტიან პუფერისა (6:0) და უკრაინელი დენის დემიანკოვის (7:1) ძლევით რეპეშაჟის ფინალამდე მივიდა, სადაც სლოვაკ იშტვან ლევასთან წააგო (0:3) და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს ნაკრების კიდევ ორი გამოცდილი წევრის – მანუჩარ ცხადაიასა (71 კგ) და ზურაბ დათუნაშვილის (75 კგ) წარუმატებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებებსაც მიუძღვის.

დათუნაშვილმა ევროპირველობაზე მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ

ლამაზი ჭიდაობით და ეფექტური გდებებით ბევრ ჩემპიონ-პრიზიორსაც გაუსწრო. გერმანელი იან როტერისთვის შესრულებული კისრულის ნახვა ერთ რამედ ღირდა. ქართველმა ბრძოლა 7:2 მოიგო. თურქი სერეფ ტუფენეკი კისრულზე წამოიღო, მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად ესეც არ ეყო – მეორე პერიოდში მსაჯმა ქართველი მოჭიდავე გაფრთხილებების გამო მოხსნა.

კიდევ უფრო გასაოცარი იყო მსაჯების მიერ გამოტანილი განაჩენი მანუჩარ ცხადაიასა და რუსეთის ნაკრების წევრ ჩინგიზ ლაბაზანოვის დაპირისპირებისას – ლაბაზანოვი მანუჩარს ზურგსუკან გადაგდებას უპირებდა, მაგრამ ამან სუფთად დაუხურა. იმ მომენტში ცხადაია მინიმალური ანგარიშით იგებდა და ეს ილეთიც სამართლიანად რომ შეფასებულიყო, სოლიდური უპირატესობით დაწინაურდებოდა, მაგრამ გდება რუსს ჩაუთვალეს და 2 ქულაც მისცეს. შეხვედრის ბედიც ამ ეპიზოდმა გადაწყვიტა. ვერც ტუფენეკმა და ვერც ლაბაზანოვმა ფინალში ვერ გააღწიეს და შესაბამისად, დათუნაშვილსა და ცხადაიას ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობის გაგრძელების შანსიც აღარ მისცემიათ.

98 კილოგრამში მოჭიდავე ვასილ იმერლიშვილი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო და იტალიელი დაიგორო ტიმონჩინი 10 უპასუხო ქულით გაანადგურა, მეოთხედფინალში კი გაცილებით ძლიერ მეტოქესთან – თურქ ჩენკ ილდემთან დამარცხდა და მეტოქის ფინალში გასვლას დაელოდა. ასეც მოხდა და იმერლიშვილი „ბრინჯაოს ნახევარფინალში“ გადაერთო, მაგრამ შვედ კარლ ფრედრიკ სტეფან შონთან ვერას გახდა.

რობერტ ქობლიაშვილიც (86 კგ) მეოთხედფინალიდან გადაერთო რეპეშაჟში, ფინელ რამი ანტერო ჰიეტანიემისთან ნაგების შემდეგ. ბრინჯაოსკენ მიმავალი გზა კი პოლონელ დამიან ჯანიკოვსკისთან მარცხით ჩაეკეტა. ჰიეტანიემთან შეხვედრამდე, ქობლიაშვილმა ჩეხი პაველ პოვადასა და თურქი აჰმეტ ილდირიმის ძლევა მოასწრო.

დარჩიას გუნდის უმსუბუქესმა და უმძიმესმა წევრებმა – ლაშა გოგიტაძემ (59 კგ) და გურამ ფერსელიძემ (130 კგ) კი ევროარენაზე მხოლოდ თითო შეხვედრა ჩაატარეს. გოგიტაძე პირველ წრეში სერბ კრისტიან ფრისთან დამარცხდა, ფერსელიძისთვის კი დაუძლეველი ზღუდე ლიტველი მინდაუგას მიზგაიტისი აღმოჩნდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 18 ქულა დააგროვა და 36 ქვეყნის ნაკრებს შორის მე-11 ადგილი დაიკავა.

ოთარ მაღლაკელიძე

MEDAL IN THE NON-OLYMPIC WEIGHT



EUROPEAN CHAMPIONSHIP
VANTAA (FINLAND)
APRIL 4-6, 2014

GIORGI TSIREKIDZE (80 KG) – BRONZE

Begi Darchia, chief coach to the Georgian national team of Greco-Roman wrestlers, fully relied on the results shown by the wrestlers at the domestic championship when selected members of the team for the tournament in Finland. The leaders who staffed the national team were revealed after the internal competitions. However, the one forced replacement in the team became necessary. Jakob Kajaia's (130 kg) dropped out because of health problems. He was replaced by Guram Ferselidze.

The Georgian national team gained only one medal at the championship. The only medalist was Giorgi Tsirekidze (80 kg) who won bronze. He showed the best result among the teammates from the point of view of prizewinning and quality of wrestling. He lost only once during the entire tournament. Giorgi lost semifinal duel 0:6 against Peter Baksh (Hungary), who finally became champion of Europe. Tsirekidze beat the German Pascal Aisele 2:0 and the Bulgarian Daniel Alexandrov 8:6 at the ini-

tial stage of the championship. Then Giorgi coped with the almost impossible task in the semifinal when turned to his advantage 13:6 the almost lost 0:6 duel against Hrach Hovanessian (Armenia). Tsirekidze beat 6:3 Zakaria Berge (Sweden) in Repechage and won his first European medal.

Revaz Lashkhi, one of the leaders of the Georgian national team, was short of only one victory to win bronze medal. The champion of Europe and silver medalist of London Olympics in 66 kg weight category switched to 66 kg group at the current European championship. Lashkhi dropped out of the fight for either gold or silver medals after the failure 0:9 with Adam Kuraka (Russia) who finally became champion of Europe. Lashkhi continued contest in Repechage and reached final thanks to the victories won over the Austrian Benedict Sebastian Puffer (6:0) and the Ukrainian Denis Demiankov (7:1). Unfortunately, he lost 0:3 to Ishtvan Levay (Slovakia) in the Repechage final and took the fifth place only.

The questionable decisions by referees partially predetermined the failure of the two experienced members of the Georgian national team Manuchar Tskhadaya (71 kg) and Zurab Datunashvili (75 kg). The Georgian national team scored 18 points and occupied the eleventh place among the 36 national teams at the championship.

OTAR MAGLAKELIDZE



მსოფლიოს ჩემპიონატი
ტაშკენტი, უზბეკეთი
12-14 სექტემბერი



→ ზურაბ დათუნაშვილი

მორიბი სიჯაროელე



საპარტიველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, წარუმატებელი ევროპირველობის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ უფრო დიდი იმედგაცრეება იწვნია. სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე, რომელსაც უზბეკეთის დედაქალაქმა ტაშკენტმა 12-14 სექტემბერს უმასპინძლა, ბეგი დარჩიას განვრთნილი გუნდი უმედლოდ დარჩა.

მთავარმა მწვრთნელმა მსოფლიო პირველობისთვის გუნდი ახალი ეროვნული ტურნირის – „საქართველოს ჩემპიონთა თასის“ შედეგებით დააკომპლექტა. ერთადერთი გამონაკლისი 71 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაუშვა, სადაც შიდა კონკურენციაში გამარჯვებული გიორგი ჯავახია მინდია წულუკიძით შეცვალა.

მსოფლიო პირველობა სამი დღე გაგრძელდა და აქედან ორ დღეს ქართველმა ბერძნულ-რომაელებმა დილის პროგრამაშივე დაკარგეს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი. ფინალურ ბლოკში მოხვედრა მხოლოდ 75 კილოგრამში მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა შეძლო. 23 წლის სპორტსმენმა ექვსი შეხვედრიდან მარტო ორი წააგო და ორივე გაფრთხილებით.

ძირითად ბადეში დათუნაშვილმა პოლონელი არკადიუშ მარჩინ კულინიჩისა (8:0) და ბელარუსი ვალერი პალენსკის (4:2) ძლევის შემდეგ, მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონს, ბულგარელ იავორ დიმიტროვ იანაკიევს სასურველი ფრით აჯობა – 2:2. ბულგარელმა თითო ქულა მეტოქის ხალიჩის მიღმა გაყვანით და გაფრთხილებით აიღო. დათუნაშვილმა კი ორქულიანი იღეთი შეასრულა. შემდეგ მეოთხედფინალიც გაიარა, მას შემდეგ, რაც ინდოელი გურპრეტ სინგხიც ჩამოიშორა (7:5). ოქროვერცხლისკენ მიმავალი გზა კი ნახევარფინალში ჩაეკეტა ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური

თამაშების მრავალგზის პრიზიორ სომეხ არსენ ჯულფალაკიანთან დაძაბულ ბრძოლაში წაგებით (0:1).

რეპეშაჟის ფინალში ზურაბ დათუნაშვილი აზერბაიჯანელ ელვინ მურსალიევს დაუპირისპირდა და მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით წააგო. ქართველი მოჭიდავე მინიმალური ანგარიშით იგებდა და ბრინჯაოს მედალს რამდენიმე წამილა ამორებდა, როდესაც მსაჯმა საეჭვო გაფრთხილებით დასაჯა და მურსალიევს ქულა მიანიჭა. 1:1-ით აზერბაიჯანელმა იმარჯვა, ბოლო ქულის უპირატესობით.

85 კილოგრამში მოჭიდავე ვლადიმერ გეგეშიძეს საღამოს პროგრამამდე ერთი გამარჯვება დააკლდა, ხოლო პოდიუმამდე – ორი. პირველსავე წრეში ტიტულოვან მონინალმდეგეს, ევროპის 2012 წლის და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონ ბულგარელ ხრისტო დიანოვ მარინოვს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 4:3 სძლია. ტაჯიკი ისფანდიორ ლატიპოვის ადვილად დამარცხებით (10:1) მეოთხედფინალში ჭიდაობის უფლება მოიპოვა. იქ კი აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე ირანელ სამან ტაჰმასეზისთან ველარას გახდა.

მას მერე, რაც ტაჰმასეზიმ ნახევარფინალიც გაიარა, გეგეშიძეს ბრინჯაოსკენ მიმავალი გზა გაეხსნა, მაგრამ რეპეშაჟის ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების წევრ რამსინ აზიზსირს ვერ აჯობა და ჩემპიონატი მე-7 ადგილით დაასრულა.

ევროპის 2011 წლის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი რევაზ ლაშიც (66 კგ) მეოთხედფინალამდე მივიდა. უზბეკი ბობირეკ ზაილობიძენოვის (5:0), ამერიკელი ბრიუს სადორისისა (1:0) და უკრაინელი დენის დემიანკოვის (4:0) ძლევის შემდეგ, აზერბაიჯანელ ჰასან ალიევთან 0:5 წააგო და რეპეშაჟის შანსს დაელოდა, მაგრამ ალიევმა სერბ დავორ

შტეფანეკთან წაიფორხილა და ბრინჯაოს ფრონტზე თავად გადაერთო.

წლევანდელი ევროპირველობის ერთადერთი მედალოსანი, გიორგი ცირეკიძე (80 კგ) უზბეკურ ხალიჩაზე ერთადერთხელ გავიდა – პირველსავე წრეში გერმანელ პასკალ ეისელთან დამარცხდა და ამ უკანასკნელმა ფინალში რომ ვერ გააღწია, არც არავის გაჰკვირვებია.

დიდი ინტერესით ველოდით მძიმეწონის იაკობ ქაჯაიას (130 კგ) გამოსვლას. ახალგაზრდებს შორის ყველა ტიტულის მომგები სპორტსმენის სახით ეროვნულ ნაკრებს ძლიერი კადრი რომ ეზრდება, ფაქტია, მაგრამ ამ ეტაპზე იგი წარმატებისთვის მზად არ იყო.

პირველ შეხვედრაში უზბეკ აბრორბეკ მამასოლიევთან მოპოვებული ადვილი გამარჯვების შემდეგ, ქაჯაიამ რუს ბილიალ მახოვთან სუფთად წააგო. მარცხი მნიშვნელოვანწილად ასეთ დონეზე ჭიდაობის გამოცდილების ნაკლებობამ და ალბათ არასწორმა სტრატეგიამაც განაპირობა. ქართველი მძიმეწონის მახოვს ძალისმიერ ჭიდაობაში აჰყვა და აშკარად დაიჩაგრა. შეგახსენებთ, მახოვი მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონია, ოლონდ თავისუფალ ჭიდაობაში. ბერძნულ-რომაულში გადასვლა კი წლეულს გადაწყვიტა. ტაშკენტში მას ახალ სტილში სურდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, მაგრამ ფინალში ვერ გააღწია და შესაბამისად, ქაჯაიამ ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობის გაგრძელების შანსი დაკარგა.

საქართველოს ნაკრების უმსუბუქესი წევრი გოდერძი დავითაძეც (59 კგ) ორი შეხვედრით დაემშვიდობა სეზონის მთავარ ტურნირს. მინდია წულუკიძე (71 კგ) და ვასილ იმერლიშვილი (98 კგ) კი პირველსავე წრეში დამარცხდნენ.

დავითაძემ მაროკოელ ფუად ფაჟარის ოილად მოუგო (5:0), მაგრამ კუბელ ისმაელ ბორეროსთან ველარას გახდა – 1:7. წულუკიძისთვის დაუძლეველი ზღუდე ამერიკელი ჯასტინ დაშაუნ ლესტერი აღმოჩნდა (0:5), ხოლო იმერლიშვილისთვის – ყაზახი ჟანარბეკ კაბდოლოვი (0:1).

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ზედიზედ მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი მოიარა უმელოდ.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ კი ბეგი დარჩიასა და მისი სამწვრთნელო შტაბის მიერ წლის განმავლობაში განწეული სამუშაო და ნაჩვენები შედეგები არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნია და ეროვნული გუნდის ტამპენტიდან თბილისში დაბრუნებისთანავე მწვრთნელები გადააყენა.

ლუკა კარსლაძე



Vladimer Gegeshidze

EMPTY-HANDED AGAIN

**WORLD CHAMPIONSHIP
TASHKENT, UZBEKISTAN**

SEPTEMBER 12-14, 2014

After the failure at the European championship the Georgian national team of Greco-Roman wrestlers had experienced even a greater disappointment at the world championship tournament, which took place in Tashkent (Uzbekistan) for September 12-14. The Georgian national team coached by Begi Darchia returned from the championship empty-handed.

Georgian entrants lost the chance for winning medals yet in the morning program of the championship. Only Zurab Datunashvili (75 kg) managed to pass to the next round. The 23-year old Georgian wrestler lost only two of six duels and both of them were lost because of the warnings imposed by referee. After beating the Polish Arkadiusz Mrchin Kulinich (8:0) and the Belarus Valery Palenski (4:2) Datunashvili won victory over the Bulgarian Yavor Dimitrov, 2007 world champion. Zurab won thanks to the favorable for him draw 2:2. The Bulgarian wrestler won two points by moving the opponent out of the mat and by imposing warning on him. Meanwhile, Datunashvili scored his points by pure moves. The victory 7:5 over Gurpreet Singh (India) advanced Zurab to quarterfinal. However,

the defeat 0:1 in the duel with the champion of Europe and medalist of world championship and Olympic games Arsen Julfalakian (Armenia) closed for Datunashvili the way to semifinal having deprived of a chance to fight either for golden or silver medal.

Datunashvili lost Repechage final against Elvin Mursaliev (Azerbaijan) due to the questionable decisions by referees. The Georgian wrestler was winning the duel with a narrow margin being a step away from bronze medal. However, the referee gave Datunashvili a doubtful warning and a point to Mursaliev. The score equalized to 1:1 and the Azeri wrestler won by advantage of the last time point.

Vladimer Gegeshidze (85 kg) was short of a single victory to engage in the evening program and needed two to win any type of medal. He beat 4:3 Christo Dianov Marinov, 2012 champion of Europe and 2010 world champion, in a tough duel of the first round. Gegeshidze reached quarter final by easy victory (10:1) over Isfandiyor Latipov (Tajikistan). However, the quarterfinal duel with Saman Tahmasebi (Azerbaijan) turned out insurmountable barrier for the Georgian wrestler.

The Georgian national team of Greco-Roman wrestling has ended the world championship without medals for the second time successively.

LUKA KARSELADZE

წილი ნაყარია

2014 წელს ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატი, საკლუბო ევროტასეგზე ჩვენი გამოსვლა (უფრო სწორად – ვერბამოსვლა) და საქართველოს ნაკრების გზა ევრობასკეტისკენ. აი, ამ თემაზე მოგვითხრობს ჩვენი საკალათბურთო მიმოხილველი.





EUROBASKET 2015

FRANCE CROATIA GERMANY LATVIA

გუნდი	თ	მ	წ	სს	ქ
1. საქართველო	6	4	2	454/430	10
2. ჩეხეთი	6	4	2	446/400	10
3. უნგრეთი	6	4	2	402/376	10
4. პორტუგალია	6	0	6	353/449	6

შინაური აზგები

იყო დრო, კალათბურთელებს ამოტეხილ-დეფორმირებულ ფიცარნაგზე უნევედათ თამაში, ჭერიდან წყალი ჟონავდა და შუა თამაშისას მოედანზე ჩვარი ეგდო, რომელიც „მეექვსე“ მეტოქის როლს ასრულებდა. ეს დრო დასრულდა, საქართველოს უმაღლესი ლიგის მატჩები კეთილმოწყობილ არენაზე იმართება. მოთამაშეებისთვისაც სათანადო პირობებია შექმნილი, ჟურნალისტებისთვისაც და გულშემატკივრისთვისაც... მაგრამ სად არის გულშემატკივარი? მაყურებელი უხვად მხოლოდ რეგიონის გუნდების მატჩებზე დადის – რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში. თბილისელ გულშემატკივარს კი დარბაზში რომ მოვიდეს, განსაკუთრებული რამ უნდა შესთავაზო – ნამდვილი საკალათბურთო შოუ.

მივადექით მთავარს – საკალათბურთო გუნდებს თავის გასატანი ფული არა აქვთ, მაღალი დონის ლეგიონერების ჩამოყვანას და მათ მიერ დადგმულ შოუებს ვინ ჩივის?! 2014 წლის თებერვალში, სუპერლიგის მეორე წრე რომ დაიწყო, „სოხუმი“ და „ბათუმი“ სპორტის სასახლის ფიცარნაგზე კი გამოვიდნენ, მაგრამ სოხუმელებმა მიკროფონი ითხოვეს: სეზონის დაწყებიდან დღემდე ხელფასი არ აგვიღია, მეტი აღარ შეგვიძლია, ბოდიში ბათუმელებს, ტყუილად რომ ჩამოვიყვანეთ ასეთ მანძილზე, მაგრამ ვერ ვითამაშებთო. მათ კერძო ბიზნესმენი

აფინანსებდა. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ხალხის დახმარება დიდ რისკთანაა დაკავშირებული – ერთ დღესაც ადგება და იტყვის, მომწყინდა დაფინანსებაო... ერთმანეთის მიყოლებით დაიშალა „სტუ ჯეოსელი“, „ავიამშენი“... არადა, მანამდე მათ საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მოასწერეს. „სოხუმი“ გადარჩა კალათბურთის ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს შემწეობით.

საქართველოს თასის ფინალში „ქუთაისმა“ „სოხუმს“ აჯობა და ისტორიაში პირველად დაეუფლა ამ საპატიო ჯილდოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2014 წელი ქუთათურთათვის გამორჩეული იყო. მათ ასევე პირველად გააღწიეს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, სადაც „დინამოსთან“ 1:3 დათმეს.

დინამოელებმა 2002 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ამ მიზნისკენ ისინი პრეზიდენტთან, ვეტერან კალათბურთელ ვახტანგ ნაცვლიშვილთან ერთად სამი წელი მეთოდურად მიდიოდნენ. ბოლოს და ბოლოს შეიკრიბა თანაბრად დაბალანსებული, ქართველ-უცხოელთა კარგი ნაზავი, ახალგაზრდა, მაგრამ მზარდი მწვრთნელით, ირაკლი ხოშტარიათი და „დინამო“ ფინალებამდე იქცა პირველობის მთავარ ფავორიტად.

სეზონის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე გაცხადდა, რომ მთავრობის სტრუქტურებს საკალათბურთო გუნდები აღარ



→ ზაზა ფაჩულას მორიგი 2 ქულა

უნდა დაეფინანსებინათ. არადა, უმეტესობა სწორედ ასეთი კლუბი გახლდათ. თითქოს უფსკრულის პირას აღმოვჩნდით, თუმცა არც ამჯერად გადავიჩვენეთ – კალათბურთის ფედერაციამ შეიმუშავა კალათბურთის განვითარების პროექტი, რომელშიც ბავშვთა, ქალთა და სხვა საკითხებთან ერთად საქართველოს ჩემპიონატიც არის გათვალისწინებული. ეს პროექტი რაგბისას ძალიან ნააგავს, სადაც ფედერაცია ყოველ კლუბს საბაზო დაფინანსებას აძლევს, რაც შუა სეზონში გუნდების დაშლას გამორიცხავს. დანარჩენი კი, კლუბის ხელმძღვანელთა და მათ მენეჯერთა მარიფათზე დამოკიდებული.

პროგრამა 2015 წლის 15 იანვრისთვის უნდა ამოქმედდეს, რამაც დამატებითი პრობლემა წარმოშვა – როგორ უნდა გაიტანონ თავი გუნდებმა იანვრამდე? გამოსავალი აქაც მოიძებნა: სუპერლიგის სტარტამდე ერთი დღით ადრე სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში კალათბურთის ფედერაციისა და სამინისტროს ხელმძღვანელებმა ჩამოგვითვალეს სპონსორების ვინაობა, რომლებიც პატრონის გარეშე დარჩენილ გუნდებს დაეხმარებიან. ზოგი იანვრამდე, ზოგი სეზონის ბოლომდე. მოკლედ, 2014-15 წლების სუპერლიგა დათქმულ დროს, 25 ოქტომბერს დაიწყო და მასში 8 გუნდი ჩაერთო.

თუმცა სიტუაციის დალაგებას დრო დასჭირდა და გუნდების უმეტესობამ არათუ შეკრების გავლა ვერ მოასწრო, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა.

კითხვა პასუხს ითხოვს

მეორე წელია, ქართული გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებზე გასასვლელად ფულს ვერ შოულობენ. არადა, თუნდაც ევროჩელენჯზე თამაში ქართული კალათბურთის განვითარებისთვის ისევე საჭიროა, როგორც ავტომობილისთვის სანჯავი. სწორედ ევროტურნირების მატჩებმა უნდა გვიჩვენოს, რა სიმაღლეზე ვართ, რა გვაკლია თუნდაც საშუალო ევროპულ დონემდე ასასვლელად. რაც მთავარია, ნაკრების ლეგიონერებს, რომლებიც NBA-სა თუ ევროლიგის გუნდებში თამაშობენ, სჭირდებათ ბრძოლებში გამობრძმედილი დამხმარეები. შეიძლება, ისინი კლასით ფაჩულიასა და მარკოიშვილს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ ევროპულად თამაში უნდა იცოდნენ. რა სხვაობაა ევროპულ დ ქართულ თამაშს შორის? ზუსტ პასუხს ვერავინ გავცემთ, რადგან ორი წელია, ევროტურნირებზე ქართული გუნდი არ გასულა.

...2014 წლის ჩემპიონმა „დინამომაც“ ვერ გამონახა თანხა ევროჩელენჯზე სათამაშოდ.

საქართველოს გაუმარჯოს!

საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური მატჩი 1995 წელს გამართა, მას მერე ბევრჯერ გატკეპნა ერთი და იგივე ბილიკი, მაგრამ 2011 წლამდე ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვერ გავიდა. 2011-ის შემდეგ კი ერთი ევრობასკეტი არ გამოუტოვებია. ისეთ მასობრივ სპორტში, როგორც კალათბურთია, ზედიზედ სამჯერ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ცოტას არ ნიშნავს.

1962 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ მადრიდის „რეალი“ რომ დაამარცხა, მატჩზე მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ ემოციურად დაწერა: „ქართველები ომში პირველი შეტაკებისას ყოველთვის ძლიერები ვიყავით, მეშინოდა, „რეალთან“ ჩვენს გუნდს იგივე არ დამართნოდა, ენერჯია თავიდანვე არ შეეღია და ბოლოს არ დამარცხებულყო...“ საქართველოს დღევანდელი ნაკრებიც ქართული ხასიათის გუნდია: 2006 წლის შემდეგ ერთხელაც არ დამარცხებულა გახსნით შეხვედრაში – უგებდა პოლონეთს, ბელგიას, რუმინეთს... ნლეულს ჩეხეთის ჯერი დადგა, რომელსაც 73:62 ვაჯობეთ. ამ შეხვედრის პირველ ტაიმში ზაზა ფაჩულიას 17 ქულა ჰქონდა, რაც საბოლოო გამარჯვებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. ზაზამ მატჩი 19 ქულით დაასრულა, ვიქტორ სანიკიძემ – 12 მოხსნით, გიორგი ცინცაძემ – 10 პასით.

ამას მოჰყვა უნგრეთში გასვლითი შეხვედრა, რომლის გახსენება, მოდით, მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს ვთხოვთ:

უნგრეთთან მეოთხე პერიოდში 8 ქულის სხვაობით ვიგებდით, გვექონდა შანსი ყველაფერი კარგად დაგვესრულებინა, მაგრამ შეიძლება ითქვას, უფრო ჩვენ დამარცხდით, ვიდრე უნგრეთმა მოგვიგო. ასეთი საჩუქრით მეტოქეები ძალიან გახარებულები იყვნენ. საქართველოს ნაკრებს 2008 წლიდან ვხელმძღვანელობ და თამამად ვიტყვი – კეჩკემეტში მარცხი ყველაზე მძიმე იყო, რამაც კალათბურთელებზე ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა.

უნგრეთში 73:74 წაგების შემდეგ პორტუგალიაში გონს მოსულა გაგვიჭირდა. კალათბურთელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის შემდეგ გააცნობიერეს, რა ხდებოდა მათ თავს – პორტუგალია 23-ქულის სხვაობით ვიგებდა! არადა, ქალაქ ოვარში დამარცხე-



ვიქტორ სანიკიძე



➔ ბურთით – ლევან ფაცაცია

ბა ევროპის ჩემპიონატთან დამშვიდობებას ნიშნავდა. სსრ კავშირის ნაკრების ლეგენდარულ მწვრთნელ ალექსანდრ გომელსკის უთქვამს – კრიტიკულ მომენტში ქართველებს ძალების არაადამიანური მობილიზება შეუძლიათო. ჰოდა, სწორედ ამის მაგალითი ვიხილეთ პორტუგალიაში: გამოცდილმა ქართველებმა 23 ქულა აღმოფხვრეს და ოვერტაიმში მეტოქე 91:90 დაამარცხეს. ფაჩულია – 25 ქულა, შენგელია – 20, ფაცაცია – 14, სანიკიძე 10 ქულა, 13 მოხსნა.

გასვლითი ტურნეს მესამე შეხვედრა ჩეხეთში გექონდა, სადაც, როგორც მწვრთნელი აღიარებს, გუნდი გადაღლილი ჩავიდა და დასვენებულ მასპინძლებთან გასამკლავებლად „სანვაივი“ არ ეყო – 67:86.

ჩეხებთან ასეთი სხვაობით ჩამორჩენამ ევრობასკეტზე ქართველთა მოხვედრას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა: საჭირო გახდა

უნგრელთა 20 და მეტი ქულით გადასწრება, რომ ბოლო ტურის წინ ჯგუფში მხოლოდ საკუთარ თავზე ვყოფილიყავით დამოკიდებულნი. გადავასწარით კიდევ – თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილმა 9 ათასმა მაყურებელმა წლის მატჩი იხილა. უნგრეთის ნაკრები 79:59 დავამარცხეთ. შეუჩერებელი იყო თორნიკე შენგელია, რომელიც 26 ქულამდე ავიდა, თუმცა მეოთხე პერიოდში კოჭის ტრავმა მიიღო და ორი თვე დასვენება მოუწია.

შესარჩევის ბოლო მატჩი, პორტუგალია, 71:59 და ჯგუფში პირველი ადგილი. ევრობასკეტზე მეორეადგილოსნის სტატუსით ჩეხეთი გავიდა. პორტუგალიელებთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ თანაგუნდელები შემოიკრიბა და მოზიემი გულშემატკივრის ყურადღება ითხოვა:

– მინდა, მთელი ნაკრების სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი მხარდაჭერისთვის. ყველანი ვამაყობთ, რომ ქართველები ვართ. ზედიზედ მესამედ გავედით ევროპის ჩემპიონატზე, მესამედ! ბრძოლას ვაგრძელებთ და იმედი მაქვს, მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატს ასეთივე ანშლავით შევხვდებით. საქართველოს გაუმარ... ჯოს!

ნილისყრა

8 დეკემბერს პარიზის „დისნეი ლენდში“ გაიმართა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის ნილისყრა, რომელმაც საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაარკვია. ჩვენი გუნდი მოხვდა C ჯგუფში, სადაც ურთიერთობას გაარკვევს მასპინძელ ხორვატიასთან, სლოვენიასთან, საბერძნეთთან, მაკედონიასთან და ჰოლანდიასთან.

მატჩები ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაიმართება. პირველად ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში შეჯიბრებას ოთხი ქვეყანა უმასპინძლებს. A ჯგუფის შეხვედრები საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში შედგება, B ჯგუფისა – ბერლინში (გერმანია), ხოლო D ჯგუფისა – რიგაში (ლატვია). ასევე პირველად ისტორიაში ფიბა-ევროპამ ოთხ მასპინძელს პარტნიორი ქვეყნების არჩევის უფლება მისცა.

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი 5 სექტემბერს დაიწყება და 20-ში ფინალით დასრულდება. თითო ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო გადის, რაც სასიამოვნო სიახლეა – ბოლო ორ ევრობასკეტზე პირველი ჯგუფური ეტაპიდან მხოლოდ 3-3 ნაკრები გადიოდა. საქართველომ 2011 წელს ეს მოახერხა, 2013-ში – ვერა. ევრო-2015, წესით და რიგით, უკრაინაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ფიბა-ევროპამ მასპინძლობის უფლება ოთხ ქვეყანას გადაუნაწილა.

ჯგუფურ ეტაპს პლეი ოფი მოსდევს. მერვედფინალის სათამაშოდ გუნდები საფრანგეთის ქალაქ ლილში მოიყრიან თავს და 27-ათასკაციანი ტევადობის დარბაზში ითამაშებენ. აქვე შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი რიოს ოლიმპიადის შესარჩევი ეტაპია. ოლიმპიურ ლიცენზიას ევრობასკეტის ორი ფინალისტი ავტომატურად მიიღებს, ხოლო დანარჩენი 6 ნაკრები ზაფხუში საკვალიფიკაციო ტურნირში შეეცდება რიოს საგზურის მოპოვებას.

ვაჟა სიმონიშვილი

კალენდარი

- 5 სექტემბერი
საქართველო-ჰოლანდია
- 6 სექტემბერი
სლოვენია-საქართველო
- 8 სექტემბერი
საქართველო-საბერძნეთი
- 9 სექტემბერი
საქართველო-გააკლონია
- 10 სექტემბერი
ხორვატია-საქართველო



გიორგი ცინცაძის გარღვევა



იგორ კოკოშკოვი



ეპრობასკეტი 2015

შესარჩევი ეტაპი
E ჯგუფი

10 აგვისტო, თბილისი

საპარტოველო-ჩინეთი 73:62

17:12, 19:20, 19:21, 18:9

საქართველო: ცინცაძე (37წ, 10ქ, 10პ, 4ჩ), ფაცაცია (26წ, 7ქ), სანიკიძე (31წ, 8ქ, 12მ), შენგელია (21წ, 10ქ, 5მ), ფაჩულია (29წ, 19ქ, 8მ); მეტრეველი (5წ), სანაძე (19წ, 10ქ, 3პ), ბურჯანაძე (24წ, 6ქ), ლუჟავა (6წ, 3ქ), ნივნივაძე (3წ).

13 აგვისტო, კერკეშეთი

უნგრეთი-საპარტოველო 74:73

19:18, 18:18, 17:19, 20:18

საქართველო: ცინცაძე (38წ, 6ქ, 4პ), ფაცაცია (21წ, 2ქ), სანიკიძე (33წ, 12ქ), შენგელია (33წ, 18ქ, 5მ, 4პ), ფაჩულია (34წ, 19ქ, 6მ); სანაძე (15წ, 5ქ), ბურჯანაძე (12წ, 9ქ), ლუჟავა (11წ, 2ქ), ფხაკაძე (2წ).

17 აგვისტო, ოვარი

კორტუგალია-საპარტოველო 90:91 დ.დ.

24:14, 21:12, 19:32, 15:21, 11:12

საქართველო: ცინცაძე (44წ, 11ქ, 5პ), ფაცაცია (28წ, 14ქ), სანიკიძე (43წ, 10ქ, 13მ, 3პ), შენგელია (28წ, 20ქ, 5მ, 3პ), ფაჩულია (39წ, 25ქ, 9მ); სანაძე (11წ, 4ქ), ბურჯანაძე (22წ, 7ქ), ლუჟავა (9წ), ფხაკაძე (1წ).

20 აგვისტო, ნიმბურკი

ჩინეთი-საპარტოველო 86:67

18:13, 21:17, 19:20, 28:17

საქართველო: ცინცაძე (40წ, 9ქ, 4პ), ფაცაცია (27წ, 5ქ), სანიკიძე (36წ, 17ქ), შენგელია (28წ, 17ქ), ფაჩულია (30წ, 10ქ, 7მ); სანაძე (4წ), ბურჯანაძე (15წ, 5ქ), ლუჟავა (13წ), შარაბიძე (6წ, 4ქ).

24 აგვისტო, თბილისი

საპარტოველო-უნგრეთი 79:59

22:12, 23:18, 17:21, 17:8

საქართველო: ცინცაძე (35წ, 2ქ, 10პ), ფაცაცია (16წ, 3ქ, 3პ), სანიკიძე (30წ, 11ქ, 9მ), შენგელია (29წ, 26ქ, 8მ), ფაჩულია (31წ, 17ქ, 7მ, 5პ, 3ჩ); სანაძე (25წ, 12ქ, 5პ), ბურჯანაძე (9წ, 2ქ), ლუჟავა (9წ, 3ქ), მეტრეველი (11წ, 3ქ), ფხაკაძე (5წ).

27 აგვისტო, თბილისი

საპარტოველო-კორტუგალია 86:67

22:15, 14:16, 16:14, 19:14

საქართველო: ცინცაძე (35წ, 2ქ, 6პ), ფაცაცია (21წ, 4ქ, 3პ, 5მ), სანიკიძე (34წ, 20ქ, 8მ), ბურჯანაძე (20წ, 8ქ), ფაჩულია (32წ, 15ქ, 10მ, 9პ, 3ჩ); სანაძე (29წ, 14ქ, 5მ), ლუჟავა (15წ, 4ქ), მეტრეველი (8წ, 4ქ), ფხაკაძე (7წ).



→ Zaza Phachulia

LONG LIVE GEORGIA!

AT THE EUROPEAN CHAMPIONSHIP CUP FOR THE THIRD TIME

GEORGIAN NATIONAL BASKETBALL TEAM PLAYED ITS FIRST OFFICIAL MATCH IN 1995. DESPITE NUMEROUS ATTEMPTS, THE TEAM MANAGED TO PASS TO THE EUROPEAN CHAMPIONSHIP FINAL GROUP ONLY IN 2011. HOWEVER, THE GEORGIAN NATIONAL TEAM HAS NOT MISSED ANY EURO-BASKET SINCE 2011. THREE TIMES SUCCEEDING PARTICIPATION IN THE EURO-BASKET MEANS MUCH IN SUCH A SPORT AS BASKETBALL.

When Dinamo Tbilisi defeated Real Madrid in the Champions' League final in 1962, Grigol Robakidze, famous Georgian writer living as an emigrant, attended the match and wrote the emotional text afterwards. "The Georgians were strong in wars but only in their first offensive. I was afraid that something like could happen in the match of our team against Real. I was concerned that Georgian team would exhaust its energy at the beginning of the match and finally lose it.

Today the Georgian national basketball team is the team, which bears Georgian spirit and mood. Since 2006, the team has

not lost a single match at the opening of the season. It beat Polish, Belgian and Romanian teams and this year the Georgians won firm victory over the Czech national team 73:62. Leader of the Georgian team Zaza Phachulia scored 17 points in the first half of the match and finished the game with 19 points. Viktor Sanikidze ended the game with 12 rebounds and Giorgi Tsintsadze with 10 passes. We asked chief coach to the Georgian national basketball team Igor Kokoshkov to comment on the next visiting match against Hungarian team. "We were winning the match with 8 point advantage in the fourth period and we stood a chance

to win the match. I would say that rather we lost the match than the Hungarians won it. They were very happy by such gift from Georgia. I have been coaching the Georgian national team since 2008 and I can say openly that defeat in the city of Kecskemet was the gravest for us. The defeat had very painful psychological influence on Georgian basketball players."

After the defeat in Hungary with narrow margin 73:74, it was difficult for the Georgian team to collect itself in the match against the Portuguese team. Only after expiration of the first half, the Georgians had realized that they were losing the match with the difference of 23 points. The experienced Georgian basketball players filled the gap and beat the contender 91:90 in overtime. Pachulia scored 25 points, Shengelia – 20, Patsatsia – 14, Sanikidze – 10 and 13 rebounds. The third visiting match was against the Czech team. Kokoshkov admitted that the Georgian team came to this match overtired and therefore lacked "fuel" against the rested contender. The Georgians lost (67:86) that match too.

Such a significant goal deficit with the Czechs called in question the participation of the Georgian team in the Euro basket. The Georgian team had to defeat the Hungarian team with 20-point advantage at least in order to be dependent on the result of other games before the last tour in the group. The Georgian team successfully coped with this task. More than nine thousand spectators watched the match of the year in Tbilisi Sport Hall. The Georgians beat the Hungarian 79:59. Tornike Shengelia was unstoppable and scored 26 points. However, the injury of ankle forced him to leave the team for two months.

The Georgian team beat the Portuguese 71:59 in the last match of the qualifiers won the first place in the group and ticket to the Euro-basket. The Czech team was the second.

After the match against the Portugal Zaza Phachulia, captain of the Georgian team, gathered his teammates and asked for the attention of the celebrating fans. "I want to thank you for this strong support on behalf of the whole national team. We are all proud of being the Georgians. We have passed to the European championship for the third time successively. We are continuing fight and I hope that we will meet the next European championship with the same sold-out stadium. Long live to Georgia," he said.

VAZHA SIMONISHVILI

ოქროს დუბლი

სამზისტიზმა დამაჯერებლად დანაჯაული სეზონი მობსინანად დაასრულეს – მსოფლიოს ჩემპიონატზე 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ გენადი ჩირბაძე და ვახტანგ ჩიდრაშვილი. ჩიდრაშვილმა სეზონი სულაც ოქროს დუბლით დაასრულა – მსოფლიოს პირველობამდე საქართველოს ჰიშინი ევროპის ჩემპიონატზეც ააქლერა.



აპრილის დამდეგს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამზისტიზა ნაკრებები ესპანეთის ქალაქ კასერესში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდნენ. შეჯიბრებაში 22 ქართველი სპორტსმენი ჩაერთო და 19-მა მათგანმა მედალი მოიპოვა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც 10 ვაჟით და 2 გოგონათი იყო დამკომლექტებული და თორმეტივე სპორტსმენი კვარცხლბეკზე ავიდა. ვაჟებმა 4 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ავთანდილ ცინცაძის განვრთნილი გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ ლერი ჭელიძე (57 კგ), ლაშა პარასკევაშვილი (62 კგ), მიხეილ მეზურნიშვილი (82 კგ) და ზაურ მამარდაშვილი (90 კგ). გიორგი მელქუაშვილს (48 კგ), ლერი ბედიანაძეს (52 კგ), თორნიკე ჭოველიძესა (68 კგ) და რევაზ ნულუკიძეს (100 კგ) უმაღლეს ტიტულამდე თითო გამარჯვება დააკლდათ, ომარ ნიაზაშვილმა (74 კგ) და გიორგი ლაზუაშვილმა (+100 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. გო-

გონების ნაკრების განაცხადში მხოლოდ სალომე აბაშიძე (56 კგ) და ელენე ქებაძე (+80 კგ) იყვნენ და ორივე ევროპის ჩემპიონი გახდა. ჭაბუკთა ნაკრებმა კი ევროპირველობა 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალით ჩაამთავრა. მირიან პავლიაშვილის შეგირდთაგან ირაკლი კუპატაძე (52 კგ), გიორგი მეტრეველი (65 კგ), თორნიკე მახათაძე (70 კგ) და ირაკლი გოგია (87 კგ) შინ ოქროს მედალებით დაბრუნდნენ. კობა მჭედლიშვილი (75 კგ) და ჯაბა მუმლაძე (+87 კგ) ფინალში დამარცხდნენ, დავით ნურნუშია (60 კგ) კი ბრინჯაოს დასჯერდა. 16-18 მაისს ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც 35 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ქართველმა სამზისტიზმა 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) და დავით ლორიაშვილი (100 კგ) ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ლევან ნახუცროშვილს (68 კგ), ბესარიონ ბერულავასა (74 კგ) და ნიკო კუციას (82 კგ)

ოქროს მედალამდე თითო გამარჯვება დააკლდათ, ნოდარ მეტრეველმა (+100 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ სამზისტიზად ვახტანგ ჩიდრაშვილი დასახელდა. ევროპირველობაზე მონაწილეობა საქართველოს ქალთა ნაკრებმაც მიიღო, ოლონდ არასრული შემადგენლობით, თუმცა 3 მედალი მაინც დაისაკუთრა. თეა სუხიტაშვილი (68 კგ) და ნინო ოძელაშვილი (72 კგ) ვერცხლს დაეუფლნენ, ხოლო ირინე ლეონიძე (+80 კგ) – ბრინჯაოს. საბრძოლო სამზომში დავით ჩოჩიშვილმა (82) და ნოდარ კუდუხაშვილმა (90 კგ) მეორე ადგილები დაიკავეს. 8-12 ოქტომბერს სეულში გამართულ ჭაბუკ და ახალგაზრდა სამზისტიზა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა სპორტსმენებმა 13 მედალი მოიპოვეს: ჭაბუკებმა 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო, ახალგაზრდებმა 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ორივე ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა. ორივე ასაკში რუსეთის ნაკრებს ჩამოვრჩით.

➔ შეხვედრა სპორტის სამინისტროში





➔ ვახტანგ ჩიდრაშვილი

ჭაბუკეებში ჩემპიონები გახდნენ ირაკლი კუპატაძე (52 კგ), ჯაბა ქურდიანი (60 კგ) და ვანო ჩურჩხელაშვილი (75 კგ). ვერცხლის მედლები გიორგი მეტრეველი (65), ირაკლი გოგიაშვილი (87 კგ) და ჯაბა მუმლაძე (+87) მიიღეს, ბრინჯაო ლევან შონიამ (48 კგ) მოიგო. ახალგაზრდებში ჩემპიონობა თორნიკე ჭოველიძემ (68 კგ) მოიპოვა. ვერცხლის მედალოსნები გახდნენ ლაშა პარასკევაშვილი (62 კგ), რევაზ ნულუკიძე (100 კგ) და გიორგი ლაზუაშვილი (+100 კგ), ბრინჯაოს მედალოსნები კი – მიხეილ მეზურნიშვილი (82 კგ) და ზაურ მამარდაშვილი (90 კგ).

21-23 ნოემბერს იაპონიის ქალაქ ნარიტაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჯონდო მუზაშვილის განვრთნილებიდან ტურნირი წაუგებლად ჩამთავრეს გენადი ჩირგაძემ (52 კგ) და ვახტანგ ჩიდრაშვილმა (57 კგ). ჩირგაძემ გადამწყვეტ ბრძოლა-

ში აზერბაიჯანელი ალასიფ სამადოვი დაამარცხა. ჩიდრაშვილმა კი ტიტული რუსეთის ნაკრების ნევერის აიმერგენ ატკუნოვის ძლევით განინაღდა და სეზონი ოქროს დუბლით დაასრულა. ლევან ნახუტჩიშვილს (68 კგ) ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდა – ფინალში მონღოლ ტუმურხულეგ დავაადორჟთან წააგო. ბესარიონ ბერულავამ (74 კგ), ნიკო კუციაშვილი (80 კგ), დავით კარბელაშვილმა (90 კგ) და დავით ლორიაშვილმა (100 კგ) მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. უმედეოდ მხოლოდ შმაგი ლაგაზაური (62 კგ) და ბექა ბერძენიშვილი (+100 კგ) დარჩნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრების ოთხი სპორტსმენიც გამოვიდა. ნინო ოძელაშვილმა (72 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა. საინტერესოა, რომ მსოფლიოს პირველობის მთავარი მსაჯი თბილისელი ემირ რაში იყო.

ნიკა კოპალიანი

GOLDEN DOUBLE

Georgian Sambo wrestlers crowned their convincingly started season by the triumphant victory at the world championship in the Japanese city of Narita. The Georgian team coached by Jondo Muzashvili won two golden, one silver and four bronze medals and finished the championship unbeaten. Gennady Chirgadze (52 kg) and Vakhtang Chidrashvili (57 kg) became world champions. Chirgadze beat Aghasif Samadov (Azerbaijan) in the final duel. Chidrashvili won victory over Aimergen Atkunov (Russia) and finished the season by a golden double. Levan Nakhutsrishvili (68 kg) was a step away from the champion's title. He lost the final duel with Tumurkhuleg Davaadorzh (Mongolia). Besarion Berulava (74 kg), Niko Kutsia (80 kg), David Karbelashvili (90 kg) and David Loriaashvili (100 kg) won bronze.

The four-member women's national team of Georgia gained one award only. Nino Odzelashvili (72 kg) became silver medalist. What was noteworthy, Emir Rash from Tbilisi worked as a chief referee of the world championship.

Georgian Sambo wrestlers won two golden, three silver and one bronze medal at the European championship in Bucharest, which gathered entrants from 35 countries. Vakhtang Chidrashvili (57 kg) and David Loriaashvili (100 kg) became champions of Europe. Levan Nakhutsrishvili (68 kg), Besarion Berulava (74 kg) and Niko Kutsia (82 kg) reached the final but failed to win. They were left with silver medals. Nodar Metreveli (+100kg) took bronze. Vakhtang Chidrashvili was named the most technically skilled Sambo wrestler of the championship and that was another noteworthy achievement of the Georgian national team. Georgian women's team of Sambo wrestlers managed to win three medals despite missing some key members. Tea Sukhitashvili (68 kg) and Nino Odzelashvili (72 kg) won silver medals. Irine Leonidze (+80 kg) gained bronze. David Chochishvili (82 kg) and Nodar Kudukhashvili (90 kg) won silver medals in martial Sambo.

NIKA KOPALIANI

➔ გენადი ჩირგაძე





ევროპული გამოსვლები

წყალბურთელთა ნაკრები გასულ წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ჩაება და პლეი ოფში თურქეთთან თამაშის უფლება ბრძოლი, მომხდეველი გზის გავლის შემდეგ მოიპოვა. წყალბურთელთა პლეი ოფის პირველი შეხვედრა თბილისში 15 თებერვალს ელოდათ, ამიტომ თადარიგი დაინიშნა და პრინციპული მატჩისთვის გამალებული მზადება დაიწყო. ნაკრებმა შეკრება მოწინააღმდეგეში გაიარა, 6 თებერვალს კი ამხანაგური მატჩი ყაზახეთის ნაკრებთან თბილისში გამართა და 11:12 დამარცხდა. საბულისხმოა, რომ ჩვენებმა ლეგიონერების პირთვის გარეშე ითვალაშინა, ერთადერთი, ვინც გუნდს დაეხმარა, დამირ ცრეპულია იყო.



თბილისი

15 თებერვალს, თურქეთთან პლეი ოფის მატჩი მოლოდინისამებრ მიძიმე გამოდგა. თურქეთი გამოცდილი, ბოლო ორი ევროპირველობის მონაწილე ნაკრებია, ამასთან ევროპის ჩემპიონატზე ორივეჯერ პლეი ოფიდან გავიდა და კარგი გამოცდილებაც მიიღო. ეროვნულ გუნდს გამარჯვება აუცილებლად სჭირდებოდა, თანაც გარკვეული ფორით, რადგან სტამბოლის შეხვედრა ორმაგად რთული უნდა ყოფილიყო. თბილისური მატჩი სასურველი სცენარით წარიმართა და ქართველთა გამარჯვებით 8:4 დასრულდა. 3 გოლის გატანა შეძლო მარკო ელაჩამ, 2 გოლი დამირ ცრეპულიამ შეაგდო, თითო-თითო კი მარკო ელეზმა, რევაზ ჩომახიძემ და ზურაბ რურუამ გაიტანეს. ნაკრებმა საკმაოდ კომფორტული უპირატესობა მიიღო, მაგრამ არა ისეთი, სტამბოლში დაარსებულ ჩასულიყო.

სტამბოლი

საქართველოს ნაკრებმა პირველ მარტს სტამბოლში უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და 9:12 დამარცხდა, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მოპოვებული უპირატესობით უნგრეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ქართველი წყალბურთელების საქომად თბილისიდან „ქართული სპორტის ქომაგების“ ჯგუფთან ერთად რამდენიმე ჟურნალისტიც ჩავედით და „ბაკირკოსი“ საცურაო აუზზე გამართული დრამატული შეხვედრა ვიხილეთ. თურქების გამორჩეული მასპინძლობის ამბავი მოგეხსენებათ, ნების-

მიერ სპორტის სახეობაში საკუთარ კლუბს თუ ნაკრებს საოცრად ქომაგობენ და გამონაკლისი არც ეს მატჩი გახლდათ, მაგრამ დამხედურებმა „ქართული სპორტის ქომაგების“ შეძახილები და თბილისიდან ჩასული გულშემატიკერების მხარდაჭერა ვერაფრით გადაფარეს. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩვენ ნერვებზე თამაშობდნენ, აუზში, სათადარიგო სკამთან თუ ტრიბუნებზე მუდმივად იმის მცდელობაში იყვნენ, როგორმე პროვოკაციაზე წამოვეგეთ და თამაშის ბედი სათავისოდ შეეტრიალებინათ, რადგან აუზში მიმდინარე მოვლენები მათთვის სასურველი მიმართულებით არ ვითარდებოდა. თუმცა, დიდი მცდელობის მიუხედავად, სანადელს ვერ მიაღწიეს, აი, ნერვები კი დაგვანყვიტეს – ბოლო ნამებზე ზენოლა გაათმაგდა, აუზში თუ ტრიბუნებზე ნამდვილი „ომი“ იყო გაჩაღებული. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ისტორიული გამარჯვების შემდეგ ვინმეს გამორჩევა არასწორია, მაგრამ მარკო ელაჩამ საოცარი მატჩი ჩაატარა – 5 გოლი გაიტანა, რევაზ ჩომახიძემ კი უდიდესი მოცულობის სამუშაო შეასრულა და გოლიც მიითვალა. თურქეთის და საქართველოს ნაკრების შეხვედრას მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის მოადგილე რატი ბრეგვაძე დაესწრნენ და ბიჭებს სხვებთან ერთად უქომაგეს. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ „ბაკირკოსი“ აუზზე გადმოფრქვეული ემოციის გადმოცემა კი მართლა შეუძლებელია – ზოგი ტიროდა, ზოგი ემოციებს ვერ თოკავდა, ზოგიც ბავშვით ხტუნავდა. წყალბურთელების მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვება ქართველებმა გულანად, ქართულად აღნიშნეს.



22 მაისს, თბილისის „ივენტ ჰოლში“ წყალბურთის განვითარების ფონდის პრეზენტაცია გაიმართა სლოგანით – „გახდი წყალბურთის მხარდამჭერი“. შეხვედრას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, მინისტრი ლევან ყიფიანი და მთავრობის წევრები დაესწრნენ. ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები, წყალბურთელთა ნაკრების მოთამაშეები, ოლიმპიური კომიტეტის, სხვადასხვა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები. პრეზენტაციაზე საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რურუამ და წყალბურთის ფონდის პრეზიდენტ-



საქართველოს ნაკრები დელეგაციის წევრებთან ერთად (ბუდაპეშტი)

მა ალექსანდრე ბითაძემ წყალბურთის განვითარების გრძელვადიან პროექტზე ისაუბრეს. ასევე, დაჯილდოვდნენ ის ადამიანები, ვინც დღემდე საქართველოში წყალბურთის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს. გაიმართა რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის კლიპის პრეზენტაცია, რომელიც სპეციალურად წყალბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მხარდასაჭერად გადაიღეს.

ევროპის ჩემპიონატი

წყალბურთელთა ნაკრებისთვის ისტორიულ ევროპის ჩემპიონატს 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქმა ბუდაპეშტმა, კერძოდ მდინარე დუნაიზე მდებარე პატარა კუნძულ მარგიტზე განთავსებულმა ალფრედ ჰაიოშის სახელობის ეროვნულმა საცურაო კომპლექსმა უმასპინძლა. ბუდაპეშტში ჩასულებმა უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ევროპის ჩემპიონატი ვიხილეთ. ბუდაპეშტი წყალბურთით ცხოვრობდაო ვერ გეტყვით, მაგრამ ლამის ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა, რომ ქალაქი ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა – საინფორმაციო აფიშები ყველა კუთხეში გვხვდებოდა – ქუჩებში, სარეკლამო ბანერებზე თუ სამგზავრო ავტობუსებზე. კუნძული მარგისი, სადაც ევროპირველობა ჩატარდა მთლიანად მწვანეა ჩაფლული და ქალაქის უმთავრეს რეკრეაციულ და საცურაო სპორტულ კომპლექსს წარმოადგენს. უყურებ კუნძულს და აღარ გიკვირს, რატომ არის უნგრეთის ნაკრები 9-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, რატომ აქვთ ცურვაში თუ წყალში სტომაში ამხელა წარმატებები და რატომ მასპინძლობენ თითქმის უნაკლოდ ასეთი მაღალი დონის ტურნირებს.

საქართველოს ნაკრები 14 ივლისს სადებიუტო და, შესაბამისად, ისტორიულ ევ-

როპირველობაზე რუმინეთთან დაპირისპირებით ჩაება. ჩვენი ნაკრები დიდი ტრადიციების და გამოცდილების მქონე მეტოქეს ორი პერიოდი ტოლსწორად ეთამაშა და მხოლოდ შეხვედრის მეორე ნახევარში გატყდა – 6:11. რუმინელებმა საქართველოს ნაკრები გამოცდილებით დაჯაბნეს. ამასთან, გაჭირდა მათი მთავარი ვარსკვლავის, ცენტრფორვარდ კოსმის რადუს შეჩერება. გუნდს ძალიან აკლდა რადუს პოზიციაზე მოთამაშე რევაზ ჩომახიძე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შემდეგ კარიერა დაასრულა. ჩვენს ნაკრებს სადებიუტო მატჩში უქომაგა თბილისიდან ჩასულმა 30-მდე გულშემოტყვივარმა და ვეტერანმა წყალბურთელმა, რომლებსაც ბუდაპეშტში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და საელჩოს თანამშრომლები შეუერთდნენ. ჩვენი გუნდი ტრიბუნიდან გაამხნევეს მინისტრმა ლევან ყიფიანმა და მინისტრის მოადგილეებმა – აკაკი ლოღიაშვილი და რატი ბრეგვაძე.

ჩვენმა ნაკრებმა მეორე შეხვედრა 15 ივლისს საბერძნეთთან გამართა და 6:15 დამარცხდა. ბერძნებმა უპირატესობა თავიდანვე მოაპოვეს და მთელი შეხვედრა დამაჯერებლად წარმართეს. „ჩვენს გუნდებს შორის კლასში სხვაობა საგრძნობია, საბერძნეთი ოლიმპიური თამაშების 15-გზის მონაწილე, გამოცდილი გუნდია, რომელსაც დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და გუნდური თამაშით გამოირჩევა. ამის მიუხედავად, უკეთ თამაში და თუნდაც ნაკლები სხვაობით მარცხი შეგვეძლო,“ – მითხრა ნამატჩევს ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ ისელიძემ.

ევროპის ჩემპიონატზე 16 ივლისი დასვენების დღე იყო და გუნდებმა ძალების აღდგენაზე იზრუნეს. ტურნირზე მონაწილე 12 გუნდიდან თუ ვინმეს დასვენება და მობილიზება სჭირდებოდა, ეს სწორედ საქართველოს ნაკრები იყო. დასვენების დღე ნაყოფიერად

გამოიყენა ქართულმა დელეგაციამაც – მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილეები სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში უნგრეთის სახელმწიფო მინისტრს იშტვან სიმჩკოს შეხვდნენ. გადაწყდა, რომ საქართველო და უნგრეთი ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, ამასთან, პერიოდულად შედეგება სპორტსმენების და მწვრთნელების გაცვლითი პროგრამები. უნგრულმა მხარემ ქართულ დელეგაციას გაუზიარა არსებული პრაქტიკა კერძო სექტორსა და სპორტულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესახებ, რაც დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით. კერძო კომპანიები და საგანმანათლებლო ორგანიზაციები იღებენ საგადასახადო შეღავათებს.

17 ივლისს საქართველოს ნაკრები იტალიას დაუპირისპირდა. სამგზის ოლმპიურ ჩემპიონებთან ჩვენი გუნდის ამოცანა მოკრძალებული იყო... ჩვენები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მატჩი 5:15 დათმეს.

18 ივლისს სამინისტროს ხელმძღვანელები ნაკრებს სასტუმროში ეწვივნენ და მოთამაშეები გაამხნევეს. შეხვედრას დაესწრო უნგრეთში საქართველოს ელჩი ზაზა კანდელაკი. წყალბურთელები სიონის ტაძრის დეკანოზმა, მამა თეიმურაზმა დალოცა.

19 ივლისს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ტურში რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და უმძიმეს შეხვედრაში 12:16 დამარცხდა. ქართველებმა მთელი შეხვედრის განმავლობაში იბრძოლეს და ოთხბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ წინაც გავიდნენ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება გაუჭირდათ. მარცხის ვინმესთვის გადაბრალება არასწორია, მაგრამ ის, რაც საქართველოს ნაკრებს ფრანგმა და გერმანელმა მსაჯებმა გაუკეთეს, იშვიათად ხდება. ჩვენი წყალბურთელები 20-ჯერ გააძევეს, ჯამში ჯარიმების გამო 6





→ წყალბურთის განვითარების ფონდის პრეზენტაციაზე

კაცი გააგდეს, მატჩის შუაწელში მეორე მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი ტრიბუნაზე გაუშვეს. ამასთან, შეხვედრის დასკვნითი სამი წუთის ჩამთავრება კაცნაკლულებს მოუხდათ. ამ პერიოდში გადაწყდა მატჩის ბედიც. ნამატჩევს ჩვენი წყალბურთელები განზილუბას ვერ მალავდნენ: „ასეთი რამ ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა ხდებოდეს. მსაჯებმა ძალიან ბევრჯერ გაგვაძევეს, საკმაოდ დიდი დრო კაცნაკლულებმა ვითამაშეთ, გულდაწყვეტილები ვართ, ნამდვილად შეგვეძლო გამარჯვება“ – მითხრა გიორგი ხვედელიანმა, რომელიც დალლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. ჩვენმა წყალბურთელებმა მთელი ენერჯია აუზში დატოვეს. 21 ივლისს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ

მონტენეგროს ნაკრებთან ჩვენი გუნდი უშანსოდ – 2:17 დამარცხდა და ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ მე-7-მე-12 ადგილებისთვის პლეი ოფში ჩაება, სადაც საფრანგეთთან 6:10, რუსეთთან კი 8:9 წააგო. ევროპის ჩემპიონი სერბეთი გახდა, რომელმაც მასპინძელი უნგრეთი 12:7 დამარცხა. მესამე ადგილი იტალიამ და მონტენეგრომ გაითამაშეს. ბრინჯაოს მედლები იტალიას დარჩა – 11:9. საქართველოს ნაკრები ბოლო მე-12 ადგილზე გავიდა, მაგრამ ქართველმა წყალბურთელებმა ელიტარული გუნდების წინააღმდეგ ითამაშეს და გამოცდილება მიიღეს. ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა მსჯემა ირაკლი კიკალიშვილმაც იმუშავა და რამდენიმე პრინციპული მატჩი იმსაჯა.



19-წლამდელთა ნაკრები

24-31 აგვისტოს სპორტკომპლექსმა „ოლიმპიკმა“ 19-წლამდელ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლა. ჩემპიონობისთვის 4 ქვეჯგუფში გადანაწილებულმა 16-მა ნაკრებმა იბრძოლა. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ჯგუფში საბერძნეთის, თურქეთისა და იტალიის ნაკრებებთან ითამაშა და ევროპირველობა მოგების გარეშე დაასრულა. ჭაბუკთა ნაკრები, ბოლო მე-16 ადგილზე გავიდა, თუმცა გამოცდილება მიიღო – ელიტარულ გუნდებთან თამაშში შეცდომები და ხარვეზები თვალნათლივ დაინახა. იოვან პოპოვიჩის განვრთნილი გუნდი საბერძნეთთან 3:6 დამარცხდა, თურქეთთან 12:15, იტალიასთან 7:14 და ჯგუფში ბოლო ადგილის დაკავების შემდეგ ბრძოლა მე-13 მე-15 ადგილისთვის გააგრძელა, სადაც გერმანიასთან 8:12 დამარცხდა, ხოლო მე-15 ადგილისთვის შეხვედრა 7:8 სლოვაკეთთან დათმო. საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალი, დიდების ევროპირველობის დარად, სერბეთმა და უნგრეთმა გაითამაშეს. ჩემპიონი აქაც სერბეთი გახდა – 7:6. ბრინჯაოს მედლები ხორვატებს დარჩათ, მათ იტალია დაჩაგრეს – 8:4.

ევროტასაუბი

26-28 სექტემბერს საფრანგეთის ქალაქ მარსელში ჩემპიონთა ლიგის 2014-2015 წლის სეზონის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართა. თბილისის „ლიგამუსმა“, ევროპული წყალბურთის გრანდებთან 6-გუნდიან ჯგუფში ითამაშა და ყველა თამაშში წააგო – იტალიურ „პოსილიპოსთან“ 4:12, ფრანგულ „მარსელთან“ 4:16, სერბულ „რადნიკთან“ 4:15, უნგრულ „ოსკთან“ 7:22 და რუსულ „სპარტაკ-ვოლგოგრადთან“ 9:20. ზურაბ რურუას და სანდრო ბითაძის გარეშე მოთამაშე „ლიგამუსს“ რაიმე სახეიროს ჩვენება ორმაგად გაუჭირდა, თუმცა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის წყალობით ევროპის თასზე, ანუ მეორე რანგის ტურნირზე გადაერთო და 30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე იტალიაში ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. „ლიგამუსს“ მეტოქეებად იტალიური „სავონა“, გერმანული „ჰანოვერი“, სერბული „ვოივოდინა“ და რუსული „დინამო ასტრახანი“ ჰყავდა და ყველა თამაშში წააგო. „ჰანოვერთან“ 5:15, „ვოივოდინასთან“ 3:6, „დინამოსთან“ 12:14 და „სავონასთან“ 10:14. „ლიგამუსი“ ბოლო ადგილზე გავიდა და ევროტასებს დაემშვიდობა.

ლექსო მინსურაძე



→ **ჭოლა ჭანტურია**

წყალში მსტომელი ჭოლა ჭანტურია რიოს ოლიმპიური თამაშების მატრი იზრძოლებს. მისმა მსყვილმა შოთა კორახაშვილმა ფხის უმძიმესი ტრავმის გამო პარიერა დაასრულა და წლოვით განუვლი შრომაც წყალში ჩაიყარა. ეს ბიჭები რამდენიმე წელი ერთად ვარჯიშობდნენ და კალუმად მიიწვეოდნენ ოლიმპიური ლიცენზიისკენ, მაგრამ ტრავმამ ყველაფერი შეცვალა. ჭოლას ახალი მსყვილი კი ეყოლება, მაგრამ გამოუცდელ, ახალგაზრდა სპორტსმენთან ერთად ლიცენზიის მოპოვება გაჭირდება. ჭანტურია რიოში მოხვედრას ინდივიდუალურ დისციპლინაში ეძღება. ჩვენი მსტომელი პროგრესს განიცდის, ეძისი ვარჯიშიდან ოთხს მაძიებლური მარცხნაგლით ასრულებს. მსოფლიოს რეიტინგში კი თავისთვის სარეკორდო 24-ე ადგილი უჭირავს. ოლიმპიური თამაშებზე 30 საუბეთისო მიდის.

ჭოლას სარეკორდო

ჭოლა ჭანტურია სეზონი თებერვალში ესპანეთში გამართულ გრან-პრიზე გამოსვლით დაიწყო – 40 მონაწილეს შორის მე-13 იყო და ერთი საფეხური დააკლდა ფინალამდე, თუმცა 21 სარეიტინგო ქულა კი გამოიმუშავა. ჭანტურია იგივე შედეგი აჩვენა მისში კანადის ქალაქ ოტავაში ჩატარებულ გრან-პრიზე, სადაც ასევე მე-13 გახდლათ. მანამდე, აპრილში ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ჭოლას პარტნიორობა სანდრო მელიქიძემ გაუნია და ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში დაეხმარა. ამასობაში, ბაქოს 2015 წლის ევროპის პირველ თამაშებზე მონაწილეობის უფლება 16 წლის თამარ სიჭინავამ მოიპოვა.

17-19 ოქტომბერს სინგაპურში გამართულ გრან-პრიზე ჭოლა ჭანტურიას და ალექსანდრე გუჯაბიძის წყვილმა სინქრონულ ხტომებში 299 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილი დაიკავა. ამ შედეგით მათ 30 სარეიტინგო ქულაც მოიპოვეს და მსოფლიოს რეიტინგში მე-16 ადგილზე აინაცვლეს. ევროპაში კი სულაც მე-8 ადგილი უჭირავთ.

24-26 ოქტომბერს მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში ჩატარებულ გრან პრიზე ჭანტურია-გუჯაბიძის წყვილმა სინქრონში 310 ქულა დააგროვა და პირადი რეკორდიც დაამყარა. ამ მაჩვენებლით მე-6 ადგილთან ერთად კი 29 სარეიტინგო ქულა მოიპოვა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჭოლა ჭანტურია ფინალში შესვლა და საბოლოოდ მე-9 ადგილის დაკავება შეძლო.

ირაკლი ბართაია (ნაკრების მწვრთნელი):
„გამოიკვეთნენ ის სპორტსმენები, რომლებიც შეავსებენ ეროვნულ ნაკრებს. ჭოლასთან ერთად შეგვიძლია დავეყრდნოთ ალექსანდრე გუჯაბიძეს, სანდრო მელიქიძეს და თამარ სიჭინავას. ტრამპლინიდან ხტომაში ჭოლას ალექსანდრე გუჯაბიძე შეუწყვილდება. ინდივიდუალურ ხტომებში რიოს ოლიმპიური ლიცენზიისთვის ჭოლა ჭანტურია იზრძოლებს. ჭოლა სხვადასხვა სირთულის ნახტომიდან ორს აქამდეც მაქსიმალური ქულით აკეთებდა, წლეულს მონდომებული მუშაობის შემდეგ იმას მივადინეთ, რომ კიდევ ორი ილეთის მაქსიმალური ქულით დასრულება შეუძლია. ექსვი ილეთიდან ოთხს უმაღლეს დონეზე ამთავრებს, რეიტინგში კარიერაში საუკეთესო ადგილი უჭირავს“.

– ვფიქრობ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემებიდან გამოსარჩევია სპორტის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც სპეციალურად ამ დოკუმენტისათვის ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს აქტიური მუშაობის საფუძველზე შექმენით. დოკუმენტი პირადად ჩემს მიერ შემუშავებული „საქართველოს ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფციის“ საფუძველზე მომზადდა.

26-გვერდიანი დოკუმენტი განსაზღვრავს სპორტის სფეროში სწორი მიმართულებით განვითარების გზებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული დოკუმენტი 2014 წელს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა. დოკუმენტში სამი ძირითადი მიმართულებაა გამოყოფილი – სპორტული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და მშენებლობა, სასპორტო განათლებისა და მეცნიერების, ასევე სპორტის მედიცინის განვითარება და სპორტის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის მომზადება. სპორტის დოკუმენტი ფართო განხილვის საგანი იყო ჩვენს მიერ საქართველოში პირველად ორგანიზებულ მასშტაბურ კონფერენციაზე – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა, გამოწვევები და პერსპექტივა“.

– თქვენი ინიციატივით გააქტიურდა ურთიერთობა ევროპის საბჭოსთან. კონკრეტულად რა სახსრები იყო ამ მიმართულებით?

– დიას. სამინისტრო ძალზე აქტიურად არის ჩართული ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილი პლატფორმის, ეპასის – „გაფართოებული ნილობრივი შეთანხმება სპორტის შესახებ“ საქმიანობაში. ამ მხრივ, 2014 წელს მონაწილეობა მივიღეთ ეპასის ორგანიზებით მოწყობილ არაერთ სემინარზე, კონფერენციაზე თუ სხდომაზე. ევროპის ქვეყნების სპორტზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირთა მონაწილეობით გამართულ მინისტრიალზე შევიცარიაში, მინისტრმა ლევან ყიფიანმა საქართველოს სახელით ხელი მოაწერა „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას“. ამავე მინისტრიალზე გავაკეთეთ განაცხადი 2016 წლის მინისტრიალის თბილისში გამართვაზე. სამინისტრო აქტიურად ჩაერთო ევროპის საბჭოს კიდევ ერთი კონვენციის – „სპორტულ შეჯიბრებებზე, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მატჩებზე მყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ“ კონვენციის შესრულებაში.

ევროპის საბჭოდან შედგა საკონსულტაციო ვიზიტები, ვუმასპინძლეთ სპორტის ექსპერტებს, რომლებმაც არსებული

რეალობა შეისწავლეს და ჩვენი ქვეყნისთვის რეკომენდაციები მოამზადეს. ჩვენ ჩართულნი ვართ „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კონვენციის შესრულების პროცესში, ასევე ევროპის საბჭოს ინიციატივით საფუძველი ეყრება ახალი კონვენციების და პროექტების მომზადებას, რასაც თანმიმდევრულად უნდა ავუწყოთ ფეხი. ასევე გამოვარჩევ მოსწავლე-ახალგაზრდობის ფედერაციის და ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ მოპოვებულ იუნესკოს გრანტს, OFFS-ის წარმატებულ პროექტს საქართველოში და სხვა.

– 2014 წელს ქართულ ჭიდაობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საინტერესოა, როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯები?

– ეს გადაწყვეტილება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული ჭიდაობის მკვლევართა ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად იქნა მიღებული. სტატუსის მინიჭების შემდეგ, განისაზღვრება ეროვნული კატეგორია და დაინიშნება ქართული ჭიდაობის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსად განხილვა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია იუნესკოში. ქართული ჭიდაობა ნამდვილად იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას.

– 2014 წლიდან სტუდენტთა პირველი ნაკადი მიიღო სპორტის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტმა.

– უნივერსიტეტის აღდგენით, საქართველოს მთავრობამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. უნივერსიტეტმა წარმატებულად გაიარა ავტორიზაცია და მრავალწლიანი პაუზის შემდეგ 2014/2015 წლის სასწავლო წლისათვის პირველი სტუდენტებიც მიიღო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფუნქციონირება დაიწყო სპორტის კოლეჯმაც, რომელიც ყოფილი სპორტის აკადემიის, ამჟამად კი უკვე უნივერსიტეტის განახლებულ შენობაშია განთავსებული. უნივერსიტეტმა ჩვენს ქვეყნას სპორტის დარგში განათლებული და პროფესიონალი სპეციალისტები უნდა აღუზარდოს. სპორტის უნივერსიტეტის აღდგენა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია.

– არაერთი შეხვედრა გქონდათ სპორტულ ფედერაციებთან, ასოციაციებთან, ოლიმპიურ კომიტეტთან, ყურნალისტებთან. წლის ბოლოს კი სპორტულ საზოგადებას კონკრეტული რეკომენდაციები შესთავაზეთ.



რეფორმების მოლოდინში

განვლილ წელს აჯამებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე – თამაზ თაყაიძე, რომელმაც 2014 წელს მომხდარი არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენიდან რამდენიმე ძირითად საკითხზე გააკეთა აქცენტი.

– დიას, წლის მანძილზე მართლაც არაერთი შეხვედრა და პრეზენტაცია გვექონდა, სადაც ვმსჯელობდი სპორტის მართვის ევროპული მოდელის მნიშვნელობის, კლუბური სისტემის უპირატესობის, სპორტული ფედერაციებისა თუ ასოციაციების საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების, ბავშვთა და სტუდენტური სპორტის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.

საზგადასმით მსურს გამოვარჩიო ძალზე საჭირო ბროშურის პრეზენტაცია – არაგადამდები დაავადებების გავრცელების ტენდენციები საქართველოში და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა აგდ-ს რისკის შემცირების საკითხებში, სადაც კარგად ჩანს სპორტის როლის მნიშვნელობა ერის გაჯანსაღების პროცესში და ზოგადად სპორტის მასობრიობის ხელშეწყობის აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მთავარი პასუხისმგებლობა სწორედ სამინისტრომ უნდა აიღოს.

ჩემს მიერ წლების წინ დაწყებული კვლევებისა და ევროპული გამოცდილების

გათვალისწინებით კი შემოვედი წინადადებით, რომ სპორტის ოლიმპიური და ასევე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულმა არაოლიმპიური სახეობების ფედერაციებმა, სპორტულმა ასოციაციებმა და ორგანიზაციებმა საკუთარი ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად შექმნან „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტი“ – სეოსკი, რომელიც იქნება სპორტის მმართველობის და პოლიტიკის გამტარებელი სტრუქტურა ქვეყანაში.

მიმაჩნია, რომ ევროპული სპორტის მოდელის და ზოგადად სპორტის მართვის ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, სპორტის მმართველობის პოლიტიკამ საქართველოში ინდივიდუალური მიდგომებიდან სისტემურ მიდგომაზე უნდა გადაინაცვლოს.

გიორგი ჭანიშვილი



აღიარება

ეროვნული ნაკრები 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაება. ახალგაზრდული ნაკრებები თბილისი 2015-ის სამზადისის დასკვნით ეტაპს გადინა. დაწყებულია მუშაობა 2017 წლის 19-წლამდე კლუბურეთა მსოფლიოს ჩემპიონატის სარგანიზაციო საკითხებზე. მოგეხსენებათ, მსოფლიოს პირველგზას საბარტველო მასპინძლობს.

იროვნული ნაკრები

ხელბურთელთა ნაკრები 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაება და ორი მატჩი გამართა. საქართველოს ჯგუფში ლიტვა, ფინეთი და თურქეთი მოხვდნენ. ჯორჯ რასიჩის გუნდმა ლიტვაში მარცხის და თბილისში ფინეთთან გამარჯვების შემდეგ, მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად ბრძოლა წლეულს გააგრძელა, თუმცა ჯგუფიდან ვერ გავიდა. 2 იანვარს, ნაკრები ანკარაში მასპინძლებთან მძიმე შეხვედრაში 23:29 დამარცხდა. თურქმა დიონემ 10 გოლით გაგვამწარა, ჩვენებს კი რატი მსხვილიძემ ულიდერა 6 გოლით. 5 იანვარს ჩვენები თურქებს თბილისის სპორტის სასახლეში დაუხვდნენ და სრულფასოვანი რევანშიც აიღეს – 33:26. სტუმრებს მსხვილიძის შეჩერება გაუჭირდათ, რატიმ მეტოქეს 11 გოლი გაუტანა. 8 იანვარს ქართველებმა ჯგუფის ლიდერ ლიტვას უმასპინძლეს და დრამატული შეხვედრა გამართეს. ლიტვასთან მარტო მოგება არაფერს გვაძლევდა, ჩვენებს სტუმრად 6 ბურთით ჰქონდათ წაგებული და როგორმე ეს სხვაობა უნდა გადაეფარათ. რასიჩის გუნდმა მატჩი მოიგო, თუმცა სასურველი სხვაობით გამარჯვება არ გამოუვიდა – 26:23. გუნდის ბომბარდირი ამჯერადაც მსხვილიძე იყო 7 გოლით, მას 5-5 გოლით ვლადიმერ რუსია და რევაზ ჭანტურია მიჰყვნენ. პლეი ოფში ლიტვა გავიდა, რომელმაც 9 ქულა დააგროვა. საქართველოს ნაკრები 6 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა.

მარცხით განზიზღებულ ხელბურთის ფედრაციის თავკაცებს ხელები არ ჩამოუშვიათ და მზადება ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად დაიწყეს, რომელსაც ხორვატია უმასპინძლებს. კენჭისყრით საქართველოს მეტოქეებად ესტონეთისა და ლუქსემბურგის გუნდები ერგო. 29 ოქტომბერს ესტონეთში ჩვენები 26:28 დამარცხდნენ. ნაკრებს 10 გოლით ვლადიმერ რუსიამ ულიდერა. საოცარი სიზუსტით ითამაშა რევაზ ჭანტურია, მან რვავე დარტმა მიზანში მოარტყა. ამათ დანარჩენებმა მხარი ვერ აუბეს – საერთოდ, მოკლე სათადარიგო სკამი ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. ამან 2 ნოემბერს სპორტის სასახლეში იჩინა თავი, თუმცა ირაკლი კვეციანი გუნდმა, რომელიც ნაკრების სათავეში რასიჩის ნასვლის შემდეგ დაბრუნდა, 29:27 გაიმარჯვა და ორი მატჩის ჯამში ესტონელებს გაუთანაბრდა. ჯგუფის გამარჯვებულს დარჩენილი შეხვედრები გაარკვევს. გაზაფხულზე ორჯერ ვეთამაშე-



უტევს ვლადიმერ რუსია

ბით ლუქსემბურგს. ივნისში ესტონეთი და ლუქსემბურგი გაარკვევენ ურთიერთობას. თუ საქართველოს ნაკრები პირველ ბარიერს დაძლევს, მაშინ კიდევ ორი ჯგუფის გამარჯვებულთან ერთად 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში უარესი მაჩვენებლების მქონე სამ ქვეყანას შინ და სტუმრად ეთამაშება. გამარჯვებული მოხვდება მთავარ შესარჩევ რაუნდში, რომლის ჩატარებაც 2016-17 წლებშია დაგეგმილი და მასში ევროპის 28 უძლიერესი ნაკრები ითამაშებს.

ასაკობრივი ნაკრებები

ნაახალწლევს 18-წლამდელთა ნაკრები ხორვატიის ქალაქ უმაგს ესტუმრა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ჩაება. ჭაბუკებს მძიმე ჯგუფი ერგოთ. მასპინძელი ხორვატების სახელბურთო ტრადიციებზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, ამას მაკედონია და ჰოლანდია დაეუმადოთ და ადგილი მისახვედრია, რომ საქართველოს ნაკრებს ორ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა გაუჭირდებოდა. 10 იანვარს ჰოლანდიასთან 26:36 მარცხის შემდეგ, მეორე დღეს ხორვატებმა კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარეს – 14:44, მარცხი მძიმეა, მაგრამ ვერაფერს იზამ – ხორვატები ჩვენზე ერთი თავით მაღლა არიან. ასეთი დარტყმის მიუხედავად, ჩვენებმა მობილიზება და მაკედონიასთან ტოლსწორად ითამაშეს მოახერხეს და მხოლოდ 24:29 დამარცხდნენ. ჭაბუკთა ნაკრებში საუკეთესო იყო

თემურ ორჯონიკიძე – მან სამ შეხვედრაში 28 გოლი გაიტანა.

აპრილში ესპანეთის ქალაქმა ოვიედომ 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლა. ჭაბუკების არ იყოს, სახარბიელო ჯგუფი არც ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდა. ბექა ორჯონიკიძის გუნდს მასპინძლების გარდა, ხელბურთის ორი ფლამანი ქვეყნის – ნორვეგიის და მონტენეგროს გუნდები ერგო. 4 აპრილს საქართველო მონტენეგროს შეეჭიდა და 9:29 დამარცხდა. 5 აპრილს კი ნორვეგიასთან 18:38 დაიჩაგრა. ჩვენები დასკვნითი შეხვედრისთვის საერთოდ ვეღარ განენწყვნენ და ესპანელებთან თამაში სულაც 19:41 დათმეს. სამივე შეხვედრაში გამორჩეული თემურ ორჯონიკიძე იყო – ჯამში 17 გოლი გაიტანა, აქედან 8 გოლი უძლიერეს ნორვეგიის ნაკრებთან. ეს 17 წლის ბიჭი ყველა ასაკობრივი ნაკრების ლიდერია და წლეულს ეროვნული ნაკრების მაისურიც მოიღო.

21-25 მაისს ანდორამ უმასპინძლა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის ევროპული ზონის შეხვედრებს, რომელშიც ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა და მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა, დასახული ამოცანა – გამარჯვება და ინტერკონტინენტალური ფინალის საგზურის მოპოვება – ვერ შეასრულა. ალბანეთთან 45:18 გამარჯვების შემდეგ, ჩვენებმა ბრიტანეთიც დამაჯერებლად (34:24) დაჯაბნეს, ჯგუფის დასკვნითი შეხვედრაში კი შედარებით მოკრძალებული ანგარიშით (28:23) მოლდოვა დაჩაგრეს. საქართველო ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა და ნახევარფინალში ანდორა 39:20



ზურაბ კაკაბაძე და ჰასან მუსტაფა

დაჯაბნა. ჩვენები გადამწყვეტ შეხვედრაში ფარერებთან 25:34 დამარცხდნენ.

მაისში 16-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება, უკრაინის ქალაქ ბროვარიში საერთაშორისო ტურნირი მოიგო. საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე 6 თამაში გამართა. გიორგი ქობულაშვილის განვრთნილი გუნდი პირველ ტურში დამარცხდა „ბროვარისთან“ – 24:30, მერე კი ზედიზედ 5 მატჩი მოიგო: „ზაპოროჟიესთან“ – 41:31 და 26:25; კიევთან – 34:25 და 25:24 და „ბროვარისთან“ – 35:21. მეორე ადგილზე გავიდა „კიევი“, მესამეზე – „ბროვარი“. ნაკრების მოთამაშეებმა სამი ინდივიდუალური პრიზიც დაისაკუთრეს. საუკეთესო შუამარბი გახდა ირაკლი კბილაშვილი, საუკეთესო პივოტი – ერეკლე არსენაშვილი, ხოლო ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ დაასახელეს ჩვენი გამთამაშებელი ხაზინ რუსტამოვი. მაისშივე ბელარუსის ქალაქ გროდნოში, გოგონათა საერთაშორისო ტურნირზე, 16-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა, რომელიც ასევე ახალგაზრდული ფესტივალისთვის ემზადება, უფერულად ითამაშა. ქართველმა გოგონებმა დამარცხეს „გროდნო“ – 33:14 და წააგეს „მინსკთან“

22:32, ლიტვასთან 16:26, ბელარუსთან 12:27 და „გომელთან“ – 20:24.

მაისში გაიმართა ჯემალ ცერცვაძის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც გლდანის ხელბურთის სკოლამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში 16-წლამდელთა ნაკრებებმა ითამაშეს. ჯემალ ცერცვაძემ თავად დააჯილდოვა ტურნირის გამარჯვებულები – პოლონეთის გოგონათა და საქართველოს ბიჭების ნაკრები გუნდები. ცერცვაძის თასი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება.

სექტემბერში დუბლინში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის კონგრესზე, გაიმართა კონტინენტის 2015 წლის 17-წლამდელ გოგონათა ჩემპიონატის წილისყრა. საქართველოს გოგონათა ნაკრები მოხვდა ჯგუფში ნორვეგიის, ჰოლანდიისა და ლიტვის თანატოლებთან ერთად. ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე 2 გუნდი გადის. მნიშვნელოვანია, რომ გაიმართა წილისყრა მასპინძლობის უფლების გამოსავლენადაც, რის შემდეგაც, საკვალიფიკაციო ჯგუფის ტურნირის გამართვა საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ერგო. შესარჩევი ტურნირები 20-22 მარტს უნდა გაიმართოს, ფინალი კი 13-23 აგვისტოს მაკედონიაშია დანიშნული.

ეროვნული ჩემპიონატი

უდანაკარგოდ დაასრულა საქართველოს 21-ე ჩემპიონატი ქვეყნის თითქმის უცვლელმა ჩემპიონმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა. 9-გუნდიანი წრიული სისტემით ჩატარებული ჩემპიონატი სტუმ-ერთი ამოსუნთქვით მოიგო. ირაკლი კეკელიძის გუნდის წარმატებაში, ცხადია, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ეროვნული გუნდის მოთამაშეებმა. მათ არ გასჭირვებიათ ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეებით დაკომპლექტებული მეტოქეების დამარცხება.

ახალი დარბაზი

უნივერსიტეტის ქუჩაზე, მაღლივი კორპუსის მახლობლად, დაიწყო ახალი სახელბურთო სასახლის მშენებლობა. აქ უნდა გაიმართოს 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სახელბურთო ტურნირები ბიჭებსა და გოგონებს შორის. თავდაპირველად, ამ შეჯიბრების გამართვა სპორტკომპლექს „არენაში“ იყო დაგეგმილი, მაგრამ, სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ახალი ნაგებობის აშენება გადაწყდა. კომპლექსში ორი დარბაზი იქნება – ერთში 800 მაყურებელი მოთავსდება, ხოლო მეორეში – 3000. ორივე დარბაზი თანამედროვე საფართო და ყველა საჭირო ინვენტარით იქნება აღჭურვილი, ხოლო მთავარ არენაზე, თბილისი 2015-ის ფესტივალის შემდეგ ყველა საერთაშორისო შეჯიბრების გამართვა იქნება შესაძლებელი, მათ შორის – საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩებისა. დარბაზის მშენებლობა 2015 წლის გაზაფხულის ბოლოს დასრულდება. „თბილისი 2015“-ის თამაშები 25-31 ივლისს გაიმართება. სახელბურთო ტურნირზე ევროპის 8-8 უძლიერესი 17-წლამდელთა ნაკრები ითამაშებს ბიჭებსა და გოგონებს შორის.

სამინარეზი

ახალგაზრდა ქართველმა მწვრთნელმა ლევან გელაშვილმა უნგრეთში მონაწილეობა მიიღო უმაღლესი კატეგორიის სამწვრთნელო-სალიცენზიო სემინარზე. ლევან გელაშვილს, რომელიც სახელბურთო კლუბ „პეგასსა“ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობს, ორი კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი ლიცენზია აქვს და მესამის აღების შემთხვევაში მიიღებს „მასტერ-კოუჩის“ ლიცენზიას, რომელიც ნებისმიერ დონეზე მწვრთნელად მუშაობის საშუალებას მისცემს.



იენისში საქართველოში ჩამოვიდა ევროპის ხელბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის წევრი შანდორ ანდორკა და ქართველ მსაჯებს გამოცდილება გაუზიარა – გააცნო მნიშვნელოვანი სიახლეები, ჩაუტარა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები.

საერთაშორისო აღიარება

სექტემბერში შვეიცარიაში იმყოფებოდნენ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე და გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე. ბაზელში, IHF ოფისში მათ გადაეცათ სპეციალური დიპლომი, როგორც განვითარებად ქვეყნებს შორის საუკეთესო ფედერაციას. ბაზელში გაიმართა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარების კომიტეტის შეხვედრა. IHF ატარებს პროგრამას „ოთხნობიანი გეგმა“, რომელიც მოიცავს ე.წ. განვითარებად ქვეყნებს. ევროპიდან ამ კატეგორიაში გადაინ საქართველო, ლატვია, ესტონეთი, ისრაელი, ბულგარეთი, ბრიტანეთი, ირლანდია, ფარეულები, ალბანეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, მალტა, სომხეთი და ანდორა.

ზურაბ კაკაბაძე (საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):

„განვითარების პროგრამა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: მსაჯთა და დელეგატთა სემინარები, მწვრთნელთა კურსები, ქვიშის ხელბურთი, სასკოლო ხელბურთი და, ასევე, ახალი ტურნირი – საერთაშორისო ფედერაციის თასი, რომელზეც ახალგაზრდულმა ნაკრებმა წლეულს მეორე ადგილი დაიკავა. ბაზელში შეჯამდა პროგრამის პირველი წლის შედეგები. გათვალისწინებული იყო აქტივობების რაოდენობა, მონაწილეთა რიცხვი, ლექტორთა გამოხმაურებები, თანამშრომლობა საერთაშორისო ფედერაციასთან. საკმაოდ დიდი საგანმანათლებლო სამუშაო ჩავატარეთ, რისთვისაც მოვხვდით სამ საუკეთესო ქვეყანაში, ხოლო ამ სამ ქვეყანას – საქართველოს, ლატვიასა და მალტას შორის ჩვენ გამოვარჩიეს და IHF პრეზიდენტმა, დოქტორმა ჰასან მუსტაფამ სპეციალური დიპლომიც გადმოგვცა. გადაწყდა, რომ ჰასან მუსტაფა საქართველოში გვეწვევა 2015 წლის აპრილში“.

ლექსო მაისურაძე



PROGRESS RECOGNITION OF GEORGIAN HANDBALL

THE GEORGIAN NATIONAL HANDBALL TEAM CONDUCTED TWO MATCHES IN THE QUALIFIERS TOURNAMENT OF THE 2015 WORLD MEN'S HANDBALL CHAMPIONSHIP. IN THE QUALIFIERS GROUP GEORGIA FOUGHT LITHUANIA, FINLAND AND TURKEY. THE GEORGIAN TEAM COACHED BY GEORGE RASICH CONTINUED FIGHT FOR THE TICKET TO THE WORLD CHAMPIONSHIP AFTER THE DEFEAT IN LITHUANIA AND THE VICTORY OVER THE FINNISH TEAM IN TBILISI.

However, Georgia failed to advance further. On January 2, the Georgian team lost 23:29 the tough game with the Turkish team in Ankara. The Turkish forward Dione scored 10 goals. Rati Mskhvilidze was leader of the Georgian team with six goals. On January 5, the Georgian team fully requited for defeat in the return match having won it 33:26. Mskhvilidze was uncontainable like in the previous match. He scored 11 goals. On January 8, the Georgians hosted leader of the group – Lithuanian team. The game turned out dramatic because the Georgians not only had to win the game but they must eliminate the margin of six goals after the defeat in the previous visiting match. The Georgians won the game 26:23 but the score was not enough to get to the next round. Lithuania made the playoffs with 9 points. The Georgian team was the second with 6 points.

Despite defeat, the Georgian handball federation vigorously started preparations for the qualifiers of 2018 European championship to be held in Croatia. The draw slotted Georgia in the group with Estonia and Luxemburg. On October 29, Georgia lost 26:28 the visiting match against Estonia. On November 2, the Georgian team coached by Irakli Kekelidze, who replaced Rasich, beat Estonian team 29:27 having equalized the score in sum of two matches. The remaining matches will reveal winner of the group.

Zurab Kakabadze, president of Georgian handball federation, and Ketevan Koberidze, the federation secretary general, visited Basel (Switzerland) in September to receive a special diploma in the IHF office. They received the diploma as a token of recognizing the Georgian handball federation the best among the federations of the countries, which develop handball. Basel hosted the meeting of the development committee of international handball federation. IHF runs the program “Four Year Plan” for the countries where handball is underdeveloped. The list of the countries includes Georgia, Latvia, Estonia, Israel, Bulgaria, Great Britain, Ireland, Faeroe Islands, Albania, Moldova, Azerbaijan, Malta, Armenia and Andorra.

Said ZURAB KAKABADZE, president of Georgian handball federation, “The meeting in Basel summarized the program’s results for the first year such as the number of activities and participants, feedback of lecturers and cooperation with international federation. We conducted huge educational job, which deservedly placed us among the three shortlisted countries. IHF selected Georgia of the three countries, which included Malta and Latvia as well. IHF president Dr. Hassan Mustafa presented us with a special diploma. It was decided that Mustafa will visit Georgia in April 2015.



იბელის თაობა

განსაღ თბილისი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალზე ფრენბურთიელ ვაჟ და გოგონათა ახალგაზრდული ნაკრებებიც გამოვლენ. ჩვენი გუნდები მოახლოებული მატჩებისთვის მონდომებით ემზადებიან. ახალგაზრდა ფრენბურთიელების მიმართ ყურადღებაც და მზრუნველობაც გაათმაგებულია. ესენი უახლოეს მომავალში ეროვნული ნაკრების სახელით ითამაშებენ და მთავარი გუნდების მიერ ნაჩვენავი არცთუ სახარბიელო შედეგების გამომწვევასაც შეეცდებიან. დღეს, საქართველოს ვაჟთა და ქალთა ეროვნულ ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დაქვემდებარებაში უდავოა – ორივე გუნდს ახალი სისხლი, ახალი ძალა სჭირდება.

19-23 თებერვალი ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 1997-98 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. ამ ასაკის ფრენბურთელთა ნაკრები თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, ამიტომ შეხვედრებს მწვრთნელები გამორჩეულად აკვირდებიან, ნაკრების კანდიდატებს არჩევენ. შეჯიბრება „თბილისის“ გამარჯვებით

დასრულდა. მეორე „საჩხერე“ იყო, მესამე ადგილი „წყალტუბოს“ ერგო.

26 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ამავე დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. პირველობისთვის 8 გუნდი იბრძოდა. ჩემპიონობა აქაც თბილისელებს დარჩათ, ვერცხლის მედალი „ბოლნისმა“ მოიპოვა, ბრინჯაო – „სამტრედიამ“.

15-17 აპრილს ქუთაისის სპორტის სასახლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონატის ფინალური

მატჩები ქალთა შორის, რომელშიც ოქროს მედლები „თბილისმა“ არავის დაუთმო. „ბათუმს“ ვერცხლის მედალი ერგო, „ჯიკო“ კი, რომელიც საქართველოს მრავალჯობის ჩემპიონია და წლების განმავლობაში მისი შემჩერებული არავინ იყო, ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა.

22-24 აპრილს თბილისში ვაჟა კაჭარავას სახელობის სპორტულ ცენტრში გაიმართა საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ფინალური მატჩები ვაჟებში. ჩემპიონობისთვის კუთვნილი თასი „თბილისმა“ ჩაიბარა, მეორე იყო „ბათუმი“, მესამე – „ყვარელი“.

7-10 მაისს მაკედონიაში ჩატარდა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩები ვაჟ ფრენბურთელთა შორის. საქართველოს ნაკრები ვერაფერს გახდა მაკედონიის, შვედეთის და აზერბაიჯანის ნაკრებთან და სამივე მატჩში დამარცხდა. შვედეთთან 0:3 (19:25; 9:25; 13:25), მაკედონიასთან 0:3 (13:25; 12:25; 14:25) და აზერბაიჯანთან ასევე 0:3 (21:25; 12:25; 20:25). მომდევნო ეტაპზე მაკედონია და შვედეთი გავიდნენ.

7-10 მაისს შვედეთში უმასპინძლა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებს ქალ ფრენბურთელთა შორის. საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად მასპინძლების გარდა ნორვეგია და ლატვია ჰყავდა. ჩვენმა ნაკრებმა სამივე მატჩი დათმო. შვედეთთან 1:3 (25:19; 26:28; 11:25; 14:25) დამარცხდა, არადა პირველი სეტი მოიგო და მასპინძლებს მეორეშიც დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ შემდეგ გატყდა. მომდევნო ორი მატჩი საქართველოს ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით დათმო – ნორვეგიასთან 0:3 (19:25; 30:32; 15:25), ხოლო ლატვიასთან ასევე 0:3 (15:25; 22:25; 18:25). ჯგუფის გამარჯვებული შვედეთი გახდა, მასთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ფინალური საგზურისთვის ბრძოლა ლატვიამ გააგრძელა.

3-7 ივლისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩატარდა მსოფლიო სპორტის ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 1998-99 წლებში დაბადებულ გოგონათა და 1997-98 წლებში დაბადებულ ვაჟთა გუნდებმა. ორივე ნაკრები საპრიზო სამეულში შევიდა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

9-11 ივლისს ბათუმში ქვიშის მოედანზე ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის საპლიაჟო ფრენბურთში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა – თბილისის, ბათუმის, ბოლნისის, ჯიხაიშის, თურქეთის და სომხეთის გუნდებმა. საპრიზო სამეული ასე გადანაწილდა: თურქეთი, თბილისი, ბათუმი.

2-3 აგვისტოს თბილისმა უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს საპლიაჟო ფრენბურთში „ქართველას თასს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-მა გუნდმა. 1 ადგილი რეინის პეკმანის და ედვარდს ბუივიდის ლატვიურმა წყვილმა მოიპოვა, მე-2 ადგილი გენადი ლუკიანჩენკო-მაქსიმ დინეცის უკრაინულმა დუეტმა, მე-3 ადგილი სოსო ლობჯანიძეს და თემურ ჭაბუკიანს ერგოთ.

18-25 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ პრიმორსკოში ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 1998-99 წლებში დაბადებულ გოგონათა და 1997-98 წლებში დაბადებულ ვაჟთა ნაკრებმა. ორივე ნაკრები ჩემპიონი გახდა.

25-28 სექტემბერს ბათუმში ქვიშის მოედანზე ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი საპლიაჟო ფრენბურთში მამაკაცთა და ქალთა შორის. მამაკაცებში გაიმარჯვა გენადი ლუკიანჩენკოვისა და მაქსიმ დინეცის წყვილმა, ქალებში – ირინა ჭელიძემ და მარიამ მუყასაშვილმა.

ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ქალთა შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანში გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ოქტომბერში ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე მიიღეს, რომელიც თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაიმართა. გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს და აზერბაიჯანის ფედერაციებმა ერთობლივი პრეზენტაციები წარმოადგინეს და 2017 წელს ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვეს. საქართველოს დელეგაციას სხდომაზე ფედერაციის პრეზიდენტი – ირაკლი ჩაჩუა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი – ანდრია ლეჟავა წარმოადგენდნენ. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფის შეხვედრებს თბილისი უმასპინძლებს. საქართველოს ქალთა ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატზე, როგორც მასპინძელი ქვეყნის გუნდი, შესარჩევი ეტაპის გარეშე ითამაშებს. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩემპიონატის ფინალი, ნახევარფინალები და დანარჩენი ჯგუფების თამაშები ჩატარდება. ევროპის ჩემპიონატზე სულ 16 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

ნიკა კოვალიანი



ნოკაუტი

3 ივლისს თბილისის სპორტის სასახლემ კიკბოქსინგში WFC ვერსიით K1-ის ორთაბრძოლებს უმასპინძლა. გიგა ჭიკაძე K1-ის მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად იაპონელ სპორტსმენს ნაოკი სამუკავას დაუპირისპირდა. ქართული-იაპონური ორთაბრძოლა ჩვენი სპორტსმენის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა – ჭიკაძის მძლავრი დარტყმის შემდეგ, მეტოქემ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. გიგა ჭიკაძე: „ამ ბრძოლისთვის დიდი ხანი ვემზადებოდი. ნაოკი სამუკავა ძლიერი მონინალმდევე გამოდგა. თბილისში, ჩემს ქვეყანაში ჩასატარებელ შეხვედრას ჩემთვის ორმაგი დატვირთვა ჰქონდა და ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე. ბედნიერი იმით, რომ ქართველი გულშემმატკივრის თვალწინ ვიჩხუბე და მსოფლიოს ჩემპიონობა მოვიპოვე“.

პარალალურად გაიმართა სარეიტინგო ორთაბრძოლები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჰოლანდიელმა, არგენტინელმა, იაპონელმა, სურინამელმა, რუსმა, სომეხმა და ქართველმა მებრძოლემბა. შოუ, რომელიც იმ საღამოს სპორტის სასახლეში შედგა, საქართველოს კიკბოქსის ფედერაციის, თბილისის მერიის და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო. ლონისძიების მხარდამჭერი იყო გაეროს ქალთა ორგანიზაცია. შეჯიბრება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა ფონდში – „დამარცხე სიმსივნე“. ფონდი სიმსივნით დაავადებულებს მკურნალობაში ეხმარება.

4 ოქტომბერს ამსტერდამში გიგა ჭიკაძესა და რუსეთის წარმომადგენელ არმენ ზაკიანს (72.5) შორის K K 1-ის წესებით საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა. ჭიკაძემ მეტოქე მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.



ისტორიული ოქრო

გომიბა არქანიამ, ქართული კარატეს ისტორიაში პირველად, სამორტულ კარატეში WKF-ის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიპოვა. კარატისტებმა ევროპის ჩემპიონატებზე და საერთაშორისო ტურნირებზე სამივე სინჯის მედლები მოიპოვეს. საერთაშორისო ფედერაციიდან კი მივიღეთ საბოლოო დასტური 2016 წელს კონტაქტურ კარატეში ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ.



გომიბა არქანია

24-25 მაისს სპორტკომპლექს „არენაში“ კარატეს საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 20 ქვეყნის ნაკრებმა გუნდებმა, მათ შორის იყვნენ – საფრანგეთი, რუსეთი, ირანი, ერაყი, სომხეთი, უკრაინა, ეგვიპტე, ქუვეითი, ისრაელი, ყაზახეთი, თურქეთი. ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენდა 10 000 ლარს. საქართველოში იმყოფებოდა მსოფლიოს კარატეს ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე პრიმო ზდებენაკი, რომელმაც ქართველ მსაჯებს სემინარი ჩაუტარა.

30-31 მაისს ბაქოში გამართულ კონტაქტური კარატეს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა სპორტსმენებმა 3 მედალი მოიპოვეს. ანდრეი ზინჩენკო (70 კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა. ემზარ ნიქაცაძე (+90 კგ) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, იუნიორთა შორის კი ანი ბოჭორიშვილმა (+65 კგ) ბრინჯაო დაისაკუთრა. ბაქოში ოფიციალურად გადაწყდა, რომ კონტაქტურ კარატეში ევროპის ჩემპიონატი 2016 წელს თბილისში ჩატარდება. საერთაშორისო ფედერაციიდან შესაბამისი თანხმობა მოვიდა.

28 სექტემბერს სპორტკომპლექს „არენაში“ საერთაშორისო ტურნირი – „კავკასიის თასი – 2014“ გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, საბერძნეთის და ისრაელის ეროვნული ნაკრებების სპორტსმენებმა. მამაკაცთა შორის გამარჯვებულები 3 წონით კატეგორიაში – 70, 80 და + 80 კგ-ში გამოვლინდნენ, ქალთა შორის კი – აბსოლუტურ კატეგორიაში. საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი“ 1998 წლიდან იმართება და მასში კავკასიის რეგიონის ქვეყნები მონაწილეობდნენ, თუმცა სპორტულ ღონისძიებაში გამოსვლის სურვილი სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს და მეორე წელია, რაც მონაწილეთა შემადგენლობა

გაიზარდა. შეჯიბრება, რომელიც კონტაქტური კარატეს საერთაშორისო წესებით ჩატარდა, აფხაზეთში დაღუპულ გმირთა ხსოვნას მიეძღვნა. 70 კილოში ბერდია გორგაძემ იჩემპიონა, 80 კილოში – თენგიზ ბასტოიანმა, +80 კგ-ში კი ლევან ცინცაძემ. გუნდური პირველობაც საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

21 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლემ პირველად უმასპინძლა მსოფლიოს მაკაბის თასს კარატეში, სადაც მონაწილეობა 35 ქვეყნის 850-მა სპორტსმენმა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. მაკაბის თასი მსოფლიოს კარატეს ფედერაციის და მსოფლიოს მაკაბის კავშირის ეგიდით, საქართველოს კარატეს ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მერიისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. შეჯიბრება ქართველ და ებრაელ ხალხთა 26-საუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავად ჩატარდა. გახსნის ცერემონიალს თბილისის მერი დავით ნარმანია, სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მსოფლიოს ქართველ-ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირელაშვილი, ისრაელიდან მოწვეული სტუმრები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. მაკაბის თასზე გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ქართველმა კარატისტებმა მოიპოვეს, მე-2 ადგილზე ისრაელის გუნდი გავიდა, მე-3 ადგილზე კი – რუსეთის.

4-9 ნოემბერს გერმანიის ქალაქ ბრემენში ჩატარდა მსოფლიოს პირველობა სპორტულ კარატეში. საქართველოს ნაკრების ლიდერი გოგიტა არქანია (84 კგ) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა – მან ფინალში იაპონელი მეტოქე დაამარცხა. მნიშვნელოვანია, რომ ქართული კარატეს 35-წლიანი ისტორიის განმავლობაში WKF-ის ვერსიით პირველად



კარატისტები სპორტის სამინისტროში

იქნა მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. არქანია მწველს ამსტერდამში პრემიერ ლიგაც მოიგო, დავით ტყეშუჩავა კი სტამბოლში ამავე დისციპლინაში ვერცხლის მედალს დასჯერდა.

გოგიტა არქანია: „ბედნიერი ვარ – მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ტიტულის მოსაპოვებლად დიდი ხანი ვემზადებოდი და უდიდესი შრომა გავწიე. ფინალში წინა მსოფლიოს პირველობის ფინალისტს, იაპონელ რიუტარო არაგას დავუპირისპირდი და რთული შეხვედრის გადატანა მომიხდა. მეტოქე გამოცდილი, მებრძოლი კარატისტია, მაგრამ უკან დასახევი გზა არ მქონდა, ამ ბრძოლაში მთელი ჩემი ენერგია ჩავდე და გავიმარჯვე“.

8-9 ნოემბერს კაუნასში გამართულ ახალგაზრდა კარატისტთა ევროპირველო-

ბაზე კონტაქტურ კარატეში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 3 მედალი დაისაკუთრა. ლაშა ოზბეთელაშვილი (80კგ) ჩემპიონი გახდა. ოქროს მედალი მოიპოვა თამარ ბიბილეიშვილმაც (65კგ), რომელიც პირველი ქართველი ქალი გახდა, ვინც ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა კონტაქტურ კარატეში ახალგაზრდებს შორის. ევროპირველობაზე ბრინჯაოს მედალი სერგო ოვსესიანმა (70კგ) მოგვიტანა.

2014 წელს ქართველი კარატისტების მიერ უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებებში (ევროპის, მსოფლიოს და „ა“ კატეგორიის ტურნირებზე) სულ მოპოვებულია 6 ოქრო (ერთი გუნდური), 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.

ნიკა კოპაძე



გოგიტა არქანია ისტორიული გამარჯვების შემდეგ

THE LANDMARK GOLD

Gogita Arkania won the WKF world championship in sport Karate held in Bremen (Germany). Arkania (84 kg) was leader of the Georgian team. He won convincing victories over all of his contestants and beat Ryutaro Aragua with clear-cut advantage 4:1 in the final duel. The world champion's title in the WKF version has been won for the first time in the 35-year long history of Georgian Karate. In 2014, Arkania won premier league at the tournament in Amsterdam.

“I am happy with the victory at the world championship. I have been long preparing for winning the champion's title. I fought a silver medalist of the previous championship in the final duel. My Japanese challenger was an experienced karateka and my duel with him was quite difficult. But I could not retreat. I invested in this duel my whole energy and won,” Gogita Arkania said.

Georgian karatekas won three medals at the European championship in contact Karate held in Baku on May 30-31. Andrei Zinchenko (70 kg) became champion of Europe. Emzar Nikacadze (+90 kg) won bronze. Ani Bochorishvili (+65 kg) won bronze in the juniors' contest. During the tournament in Baku International Karate Federation officially decided that Tbilisi would play host to the European championship in karate-do in 2016.

Georgian national youth team won three medals at the European youth championship in Karate conducted on November 8-9 in Kaunas.

Lasha Ozbetelashvili (80 kg) and Tamar Bibileishvili (65 kg) became champions and Sergo Movsesian (70 kg) won bronze.

NIKA KOPADZE



■ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი) შეიქმნა 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გამართულ დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდა 377 დელეგატი. კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება სეოკ-ის დაფუძნების შესახებ, დაამტკიცა მისი წესდება და დეკლარაციის ტექსტი.



■ დამფუძნებელ კონფერენციაზე სეოკ-ის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ნონა გაფრინდაშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად – ვიქტორ სანევი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად – დავით კინწურაშვილი. სეოკის აღმასკომის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე: ნოდარ გუგუშვილი, ვაჟა კაჭარავა, დავით კუპრეიშვილი, დავით სულაქველიძე, ივანე ყიფიანი, ავთანდილ ციბაძე, ნიკოლოზ ცხაკაია და ზურაბ წერეთელი.




■ 1992 წლის 9 მარტს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სეოკ-ი დროებით და პირობითად აღიარა, 1993 წლის 23 სექტემბერს მონაკოში გამართულ 101-ე სესიაზე კი თავის სრულფუნქციონირებად მიიღო. იმავე წელს სეოკ-ი აღიარეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ევროპისა და მსოფლიოს ასოციაციებში.



თომას ბახი: ქართული ოლიმპიზმი საიბედო ხელშია

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 25 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ჩვენს დედაქალაქს საპატიო სტუმრები არ მოჰკლებია. მეოთხედი საუკუნის მანძილზე სეოკ-მა საერთაშორისო სტრუქტურებში ისეთი ავტორიტეტი მოიხვეჭა, რომ მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახში უდავოდ ერთ-ერთ დაფასებულ წევრად ითვლება. ეს კიდევ ერთხელ საიუბილეო დღეებში დამტკიცდა,

როდესაც თბილისს ქართული ოლიმპიური მოძრაობის პატივსაცემად და ამ სიხარულის გასაზიარებლად არაერთი ქვეყნის (უკრაინა, რუსეთი, ლიტვა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, ესტონეთი, პოლონეთი და ა.შ) ეოკ-თა მაღალჩინოსანი ენვია, მაგრამ ცალკე უნდა გამოვყოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია მისი პრეზიდენტის თომას ბახის მეთაურობით და ევროპის ოლიმპიური კო-



➔ პატრიკ შიკი, თომას ბახი, ლერი ხაბელოვი და ლევან ყიფიანი სეოკ-ში



→ თომას ბაბი და ირაკლი ლარიბაშვილი

მიტეტების პრეზიდენტი, ჩვენი ქვეყნის დიდი ხნის მეგობარი პატრიკ ჰიკი.

„ქართული ოლიმპიზმი საიმედო ხელშია. მსურს დიდი მადლობა მოგახსენოთ გულთბილი მასპინძლობისთვის. ჩემთვის დიდი პატივი იყო ქართველი ოლიმპიელების გაცნობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და დარწმუნებული იყავით, რომ სოკ-ი ქართველი სპორტსმენებისა და სეოკ-ის ოლიმპიური პროგრამების მხარდასაჭერად კვლავ თქვენს სამსახურშია,“ – იტყვის მოგვიანებით ლერი ხაბელოვის სახელზე გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში თომას ბაბი.

მანამდე კი იყო საკმაოდ დატვირთული, მაგრამ საინტერესო ოქტომბრის ორი დღე, რომელიც დსთ-ს, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს ეოკ-ის ხელმძღვანელთა რეგიონალური ფორუმით გაიხსნა. აღნიშნული ფორუმიც, ბუნებრივია, საერთო ღონისძიებათა ფარგლებში ჩატარდა და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხიც განიხილეს, მათ შორის შედგა გაისად ბაქოში დაგეგმილი პირველი ევროპული თამაშებისა და „თბილისი 2015“-ის პრეზენტაცია.

„საქართველომ აქვს შთამბეჭდავი ოლიმპიური ტრადიციები, გვყავს 34 ოლიმპიური ჩემპიონი და ამით მუდამ შეგვიძლია



ლერი ხაბელოვი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

„ოცდახუთი წლის წინ ჩვენს სპორტში მართლაც მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა – სეო-კის დაფუძნების მომენტიდან ქართული ოლიმპიური სპორტი ახალ რეალობაში გადავიდა და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა. დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ საქართველო საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის სრულფასოვანი წევრი გამხდარიყო. ეს იყო მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც ვითარდებოდა ახალ პოლიტიკურ რეალობაში, დრამატული მოვლენებით აღსავსე წლებში. სწორედ ოლიმპიური კომიტეტი იდგა ქართული სპორტის ავანგარდში და ცალკეულ სპორტულ ფედერაციებს, ჩვენს სპორტსმენებს გზას უკაფავდა საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად. იმ დროიდან მოყოლებული, სეოკ-ი ერთგული რჩება ქვეყნისა და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებებისა, განუხრელად იცავს ოლიმპიური ქარტიის ფუძემდებლურ პრინციპებს და ნაყოფიერად იღწვის საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისათვის, ჩვენი სპორტის მომავალი დიდი გამარჯვებებისათვის.“



→ თომას ბაბი და გიორგი მარგველაშვილი



ირაკლი ლარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

„მინდა ყველას მოგესალმოდეთ და მოგილოცოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 25 წლის იუბილე. ბედნიერი ვარ, რომ მეც თქვენთან ერთად ვიზიარებ ამ დიდ სიხარულს და ერთად ავლნიშნავთ ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობისთვის ამ მნიშვნელოვან თარიღს. ვულოცავ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, ოლიმპიელებს, სეოკ-ის მესვეურებს, ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარს.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა მთელ საბჭოთა სივრცეში, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საფუძველი სეოკ-ის დაარსებას და გახდა დიდი ოლიმპიური ოჯახის წევრი.

ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამაყოფთ ჩვენი გამარჯვებებით საერთაშორისო არენებზე. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონებით. ჩვენი ქვეყანა არის მსოფლიოში მონიწივე 30 ქვეყანას შორის ოლიმპიური თამაშებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით. სწორედ ამიტომ, თითოეული ჩვენი გამარჯვება არის ეროვნული დღესასწაულის ტოლფასი.

მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა სეოკ-ს და უდიდესი პატივისცემით მივესალმები მის პირველ პრეზიდენტს ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, ასევე ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენთა თაობას. მე მჯერა, რომ საქართველოს დროშა კიდევ არაერთხელ აფრიალდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ეროვნული პიშიც გაიჟღერებს.“



➔ ლევან ვარდოსანიძის სკულპტურული კომპოზიცია „ოდა ოლიმპიურ ჩემპიონებს“

ვიამაყოფ,“ – აღნიშნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სეოკ-ის ოფისში მონუმენტურ-სკულპტურული ექსპოზიციის „ოდა ოლიმპიურ ჩემპიონებს“ გახსნის ცერემონიაზე, რომლის ავტორიც ცნობილი სკულპტორი ლევან ვარდოსანიძეა. უფრო ადრე კი იყო სოკ-ის, ეოკ-ის, სეოკ-ის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ოფიციალური შეხვედრა მთავრობის კანცელარიაში, ხოლო ოდნავ მოგვიანებით კი პრეზიდენტის სასახლეში ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილთან.

შუალედში შედგა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სეოკ-ის პრეზიდენტს ლერი ხაბელოვსა და უკრაინის, საბერძნეთის, პოლონეთის, ლიტვის, ესტონეთისა და მოლდოვის ეოკ-ელ კოლეგებთან.

საინტერესო გამოდგა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართული გამოფენა „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“. ბახი და სხვა სტუმრები გაესაუბრნენ გამოფენაში მონაწილე მოსწავლეებს, ხოლო სამი საუკეთესო ნახატის ავტორი სოკ-ის თავკაცმა ნიგნებით „მოგაზაურობა ოლიმპეტში“ თავისი ავტოგრაფითურთ დააჯილდოვა. ირაკლი ლომოურის მიერ შექმნილი ეს გამოცემაც და პაატა ნაცვლიშვილის ხუთტომეული „ხუთი რგოლი საქართვე-



➔ რუსთაველის თეატრში



→ თბილისის მოსწავლეთა სასახლეში

ლოსთვის“ სეოკ-ის დაკვეთით სწორედ ამ საზეიმო ღონისძიებებისთვის გამოიცა.

იუბილის კულმინაცია კი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში დათო დოიაშვილის რეჟისორობით შემდგარი საიუბილეო საღამო გახლდათ, რომელსაც გულგრილი არავინ დაუტოვებია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი საქართველოში ბოლოს 16 წლის წინ იმყოფებოდა. 1998 წელს, ხუან ანტონიო სამარანჩის მიერ ნათქვამი სიტყვები – საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა, მაგრამ დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანააო, ჩვენთვის მუდამ საამაყო და ტკბილად გასახსენებელი იქნება.

16-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს მიწაზე სოკ-ის პრეზიდენტმა კვლავ გაიარა და ვიფიქრობთ, მან ჩვენი ქვეყანა ძალზედ ამაღლებული განწყობით დატოვა. თომას ბახი თბილისში 1997 წელსაც იმყოფებოდა, ოლონდ მაშინ „მერსედესის“ ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თამასა უმაღლეს დონეზე ასწია და მაღალი სტუმრები მაღალ დონეზეც მიიღო.

აკი, თომას ბახმა აღნიშნა კიდევ – იმედა, კიდევ 17 წელი აღარ დამჭირდება თქვენს ქვეყანაში დასაბრუნებლადო.

პასხ პარიძე



მოგზაურობა ოლიმპეაში

ოლიმპიური თამაშები კაცობრიობის უძველესი წამოწყებაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა და მსოფლიო სპორტის მწვერვალს წარმოადგენს. საქართველოში ოლიმპიურ თემატიკაზე არაერთი წიგნი გამოცემულა, მაგრამ სრულყოფილი და ფართოდ ილუსტრირებული საყმანვილო კრებული ქართულ ენაზე აქამდე არ გვექონია. ახლა უკვე გვაქვს და მას ჰქვია „მოგზაურობა ოლიმპეაში“. ტექსტის ავტორია მწერალი ირაკლი ლომოური, რომელმაც თხრობის საინტერესო და ორიგინალური ხერხი აირჩია. წიგნს აქვს სიუჟეტი, ჰყავს პერსონაჟები: 12 წლის ტყუპები – ეკა და ლუკა იაშვილები, მათი მშობლები და იაშვილების ოჯახის სტუმარი, ინგლისელი სწავლული მეთიუ შერბერტი – ოლიმპიური თამაშების ისტორიის მკვლევარი, ამ თემაზე არაერთი წიგნისა და სტატიის ავტორი.

გარდა სიუჟეტისა, „მოგზაურობა ოლიმპეაში“ გამოირჩევა კარგი დიზაინით, ილუსტრაციის სიუხვით, მაღალი პოლიგრაფიული დონით. წიგნის მთავარი რედაქტორია ელგუჯა ბერიშვილი, დიზაინერი – ვახტანგ შატაიძე.

წიგნი გამოიცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. „მოგზაურობა ოლიმპეაში“ 5 ათასი ცალი დაიბეჭდა. სეოკ-ს განზრახული აქვს, რომ წიგნი უსასყიდლოდ გადასცემა საქართველოს ყველა საჯარო სკოლას.



→ ლერი ხაბულოვი ევროპულ კოლეგებთან ერთად



→ Thomas Bach and Leri Khabelov

GEORGIA'S OLYMPIC ANNIVERSARY

ACCORDING TO THOMAS BACH GEORGIAN OLYMPISM IS IN RELIABLE HANDS

Georgian National Olympic Committee (GNOC) has celebrated its 25th anniversary. Tbilisi, capital of Georgia, saw numerous honored visitors in connection with this jubilee event. GNOC is deservedly considered one of the highly valued members of the international Olympic family thanks to the remarkable international authority gained during the last twenty-five years. The celebrations of the anniversary have reaffirmed this fact. Presidents and secretaries general from the national Olympic committees of Ukraine, Russia, Lithuania, Moldova, Armenia, Azerbaijan, Estonia, Greece, Moldova, Poland and other states visited Tbilisi to honor Georgian Olympic movement and participate in the celebrations.

It was particularly important to see in Tbilisi the delegation of International Olympic Committee (IOC) led by President Thomas Bach who was accompanied by IOC member and President of the European

Olympic Committees (EOC) Patrick Hickey – a longtime friend of Georgia.

“Georgian Olympic movement is in reliable hands. I want to thank you for cordial reception. It was an honor for me to acquaint with Georgian Olympians. I congratulate on this important anniversary once again and be sure that IOC is at your service to support Georgian sportsmen and GNOC international programs,” said the official letter, which Thomas Bach sent to GNOC President Leri Khabelov after the celebration.

Two days of celebration were full of interesting solemn events. The celebration was opened by the regional forum with participation of national Olympic committees from the Baltic States, NIS countries and Georgia. The forum, which was a part of the celebration program, discussed many important issues, including the first European games scheduled in Baku next year and presentation of “Tbilisi-2015.”

Georgia has impressive Olympic traditions. We have 34 Olympic champions and we can always be proud of this~ said Prime Minister of Georgia Irakli Garibashvili at the ceremony of unveiling a special sculpture “Ode to Georgian Olympians”, which represents all Olympic champions and medal winners for Georgia. The monument made by the famous sculpture Levan Vardosanidze was unveiled outside GNOC headquarters.

Leaders of IOC, EOC, GNOC and Georgian Minister of Sports and Youth Affairs had a meeting in the government’s chancellery and a meeting with President Giorgi Margvelashvili in the presidential palace. GNOC President Leri Khabelov signed memorandum of understanding with his colleagues from NOCs of Ukraine, Greece, Poland, Lithuania, Estonia and Moldova.

The exhibition “We are the future Olympians~ in the Student Youth Palace turned out interesting. President Bach and other guests talked to the students participants in the exhibition. IOC President presented authors of the three best paintings the books with his autographs. These books “Journey to Olympic world~ by Irakli Lomouri and five-volume edition “Five Rings~ by Paata Natsvlisvili were published by GNOC especially for this solemn anniversary. The jubilee soiree and reception in the Shota Rustaveli Theater culminated the celebration.

KAKHA BERIDZE





ოლიმპიური დღე

OLYMPIC DAY



საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღნიშვნას საქართველოში უკვე ოცნლიანი ტრადიცია აქვს. ბოლო წლებში, სეოკის პარტნიორი კომპანიის – „სამსუნგის“ ხელშეწყობით, სულ უფრო ფართოვდება და იზრდება ოლიმპიური დღის პროგრამა, მასობრივ შეჯიბრებებში ქვეყნის ათეულობით ქალაქის ათასობით სპორტის მოყვარული მონაწილეობს. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სერთიფიკატები, სამახსოვრო პრიზები და ფასიანი საჩუქრები. წლებანდელი ოლიმპიური დღის მთავარი ღონისძიებები 22 ივნისს მოეწყო. ყველაზე მასობრივი გარბენი თბილისში გამართა – თბილისის საკონცერტო დარბაზიდან მშვიდობის ხიდამდე, რიყის პარკში კი მოეწყო 9 ნომინაციაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონია.





ქართველები სოჭში

sochi.
2014

სოჭის ოლიმპიადში საქართველოს სპორტსმენთა გაგზავრება დიდი ვნებათა ღელვის საგნად იქცა. სხვადასხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჯგუფები ცდილობდნენ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი პოლიტიკის ჭრილში გადაეტანათ. მიუხედავად ჩვენს საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და თავად ოლიმპიადის მასპინძელი მხარის მიერ მიღებული ზომებით, რკილად რომ ვთქვათ – გაუგებარი და ოლიმპიურ ქართიასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებისა, სოკ-ის სესიამ ერთხელ დაუჭირა მხარი ქართული დელეგაციის სოჭში გაგზავრებას. ეს იყო საკმაოდ რთული, მაგრამ პრინციპული და სწორი გადაწყვეტილება.

ოლიმპიური თამაშები აქამდე არასოდეს ჩატარებულა ჩვენ ქვეყანასთან ასე ახლოს. უფრო მეტიც – ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სასტუმროს აივნიდან ჭოგრიტით შესაძლოა საქართველოც დაგელანდათ. ალბათ, ამიტომაც იყო 6 თებერვალს სოჭში ჩასვლისას ისეთი შეგრძნება რომ გვექონდა, თითქოს სადღაც გადაკარგულში კი არა, ჩვენსავე არე-მარეში მივემართებოდით.

2014 წლის 6 თებერვალი, 14:00 საათი, ოლიმპიური სოფელი, საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალი და ეროვნული ჰიმნი. ოფიციალური ცერემონიალი, რომელიც ტრადიციულად ყველა ოლიმპიური თამაშების განუყოფელი ნაწილია.

მანამდე კი იყო საქართველოს მცირერიცხოვანი დელეგაციის, 3 სპორტსმენის (ელენე გედევანიშვილი გუნდს 14 თებერვალს შემოუერთდა), მწვრთნელების, სეოკ-ის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის და მას-მედიის წარმომადგენელთა შემადგენლობით 50-წუთიანი ფრენა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქამდე. რა შესხენებაა საჭირო, რომ ცნობილ მიზეზთა გამო, სოჭში საქართველოს მთავრობის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ იმყოფებოდა.



ასევე ყველასათვის ცნობილ გარემოებათა გამო, ადლერის აეროპორტშიც, სადაც ხდებოდა ყველა ქვეყნის დელეგაციათა მიღება და შემდეგაც – თამაშების მსვლელობის განმავლობაში, საქართველოს დელეგაციის მიმართ რუსული თუ უცხოური პრესა-

ტელევიზიის ინტერესი უდიდესი იყო.

სოკ-ის ხელმძღვანელობა თითქმის ყოველდღე მართავდა საქმიან შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან, ოფიციალურ დონეზე შედგა შეხვედრა სოკ-ის პრეზიდენტ თომას ბახთან, სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის სამსახურის უფროს პერე მიროსთან, კომუნიკაციების დირექტორ მარკ ადამსთან, შვეიცარიის ელჩთან რუსეთის ფედერაციაში პიერ ჰელგთან და ა.შ.

რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, როგორც აღვნიშნეთ, მედლებისთვის ბრძოლის ილუზია არ გვქონია. ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი 19-ე ადგილს დასჯერდა, ჩვენს გუნდში ყველაზე გამოცდილმა სამთო-მოთხილამურემ იასონ აბრამაშვილმა სლალომში 22-ე შედეგი აჩვენა, ხოლო გიგანტურში ტრასის ჩამთავრება ვერ შეძლო. ახალგაზრდა მოთხილამურემ ალექსი ბენიაიძემ, რომლისთვისაც ეს სადებიუტო ოლიმპიადა გახლდათ, ვერცერთ დისციპლინაში დისტანცია ვერ დაასრულა. ნინო ნიკლაურმა გიგანტურ სლალომში 49-ე შედეგი აჩვენა, ხოლო სლალომში ხელი მოეცარა.

ოლიმპიადას უმასპინძლა თერთმეტმა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილმა სპორტულმა არენამ, რომლებმაც ერთდროულად 120 ათასი მაყურებელი დაიტია. თამაშებზე, რომელსაც 25 ათასზე მეტი მოხალისე მოემსახურა და ოფიციალურად მილიონზე მეტი ბილეთი გაიყიდა, აკრედიტებული იყო 13 ათასამდე პრესის მუშაკი. „სოჭი 2014“-ს მსოფლიოს მასშტაბით თვალი მიადევნა 3 მილიარდზე მეტმა ადამიანმა.

პასა ბერიძე



თომას ბახი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

„საქართველოს ეოკ-ი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულყოფილებიანი და საკმაოდ დაფასებული წევრია. მჯეროდა, რომ საღ აზრზე შეჯერდებოდით და საბოლოოდ ასეც მოხდა. 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ნინო სალუქვაძემ უდიდესი ოლიმპიური სულისკვეთება გამოავლინა და საქართველოზე იგივე შემძილია ვთქვა სოჭის ოლიმპიადის მიმართებითაც. ჩემი პატივისცემა უშუალოდ თამაშების მსვლელობის პერიოდშიც დავაფიქსირე, როდესაც თქვენი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს შევხვდი. ბოიკოტს კარგი არავისთვის მოუტანია არცერთ სფეროში. მით უფრო, ყოვლად გაუმართლებელია პროტესტის ნიშნად უარი თქვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ამით უპირველესად ხომ სპორტსმენები ზარალდებიან, მათ ვტკენთ გულს. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ოლიმპიური პრინციპებისა და იდეალების დამცველია.“





12 ოლიმპიელი სპორტის 7 სახეობაში და 3 მედალი – ასეთია ქართველ სპორტსმენთა შედეგი მიორე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ჩინეთის ქალაქ ნანძინში აგვისტოში გაიმართა. წინა თამაშებს თუ შევადარებთ, 2010 წელს სინგაპურში გამართულ პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე მხოლოდ 5 მოწინააღმდეგე და 1 ბრინჯაო გვირგო. ამჯერად – 12 მოწინააღმდეგე, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

სინგაპურშიდან ნანძინამდე

მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები



„ეს თქვენი თამაშები, ეს თქვენი შანსია. დღეს თითოეულ თქვენთაგანში ოლიმპიური სულია. ბოლომდე წარმოაჩინეთ თქვენი შესაძლებლობები და დატკბით ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებით, ჩინური სტუმართმასპინძლობით, ნანძინით – ულამაზესი ქალაქის ღირსშესანიშნაობებით. მიიღეთ მისგან მაქსიმალური სიამოვნება.“

– ამ სიტყვებით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა ნანძინის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილ 204 ქვეყნის 3 ათასამდე სპორტსმენს, რომელთა შორის საქართველოს 12 წარმომადგენელიც იყო: ძიუდოისტები – მარიამ ჯანაშვილი და თამაზ



→ თამაზ კირაკოზაშვილი



→ მექი სიმონია



→ ივერიკო ჯულაყიძე

კირაკოზაშვილი, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები – მექი სიმონია და ივერიკო ჯულაყიძე, მძლეოსნები – მარიამ ძაგნიძე, გოგა მალლაკელიძე, გიორგი მუჯარიძე და გიორგი ონიანი, მოფარევე ნიკა შენგელია, მოკრივე გიორგი ხარაბაძე, ბატუტზე მსტომელი თეონა ჯანაჯღაძე და მოცურავე აკაკი ვაშაყიძე.

ჩვენს ნაკრებს პირველი მედალი მოუტანა თამაშების გახსნის ცერემონიაზე ქართველთა მედროშემ თამაზ კირაკოზაშვილმა (81 კგ). ჭაბუკებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ქართველ პრიზიორს ოლიმპიურ ოქრომდე რუსი მიხაილ იგოლნიკოვის ძღვევად დააკლდა. საჩემპიონო შეხვედრა უიღეთოდ გაილია და მსაჯებმა აქტიურობისთვის უპირატესობა იგოლნიკოვს მიანიჭეს. კირაკოზაშვილმა ფინალამდე სამი მეტოქე დაამარცხა. ებრაელ იდან ვარდის წუთსა და 40 წამში სუფთა გდებით აჯობა, მეორე წრეში ავსტრიელ მარკო ბუბანიას ოქროს დროში მოუგო, შემდეგ კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორს, ჰოლანდიელ ფრანკ დე ვიტს საქმე 47 წამში მოუმთავრა.

ფავორიტთა შორის იყო საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრი, იუნიორებს შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი მარიამ ჯანაშვილი (52 კგ). მან ჯერ მადაგასკარელი მიჰანტა სანდრინა ანდრიაიმიფისი ჩამოიცილა,

მერე პუერტორიკოელ პაოლა ასევედოს 36 წამში „მასჩობელათი“ სძლია, ნახევარფინალში კი ბრაზილიელ ლიანა კოლმანთან უიღეთო ბრძოლაში შიდოთი წააგო. სამხრეთკორეელ ჰიეკიეონგ ლისთან ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, ჯანაშვილს ტრავმამ შეუშალა ხელი და საბოლოოდ მე-5 ადგილს დააჯერა...

...ქართველთაგან ოლიმპიადაში პირველი ჩაება მოფარევეთა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 15 წლის ნიკა შენგელია. 17 აგვისტოს, „ნანძინი 2014“-ის პირველ საშეჯიბრო დღეს, შენგელიამ ჯგუფში სამი შეხვედრა დამაჯერებლად მოუგო ამერიკელ, არგენტინელ და ბერძენ მუშკეტერებს (უნდა აღინიშნოს, რომ შენგელისგან ძლეული ბერძენი და ამერიკელი მოფარევეები მსოფლიო ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორები არიან), 1/8-ფინალშიც იყოჩაღა კაროლ მეტრიკასთან (აშშ) და 8 საუკეთესოს შორის მოხვდა, იქ კი წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონთან, რუს ივან ილინთან დამარცხდა.

მოგვიანებით, მძლეოსნების ჯერიც დადგა. მათგან საპრიზო ადგილზე გასვლის მეტნაკლები შანსი ჰქონდა სიგრძეზე მსტომელ მარი ძაგნიძეს, რომელიც ფინალში მეოთხე შედეგით შევიდა (5,90 მ), საბოლოოდ კი მეშვიდე ადგილის მოპოვება შეძლო (5,87 მ). სამსტომში ასევე მეშვიდე ადგილი დაიკავა გოგა მალლაკელიძემ.

მან ფინალურ ეტაპზე 14,82 მეტრი აჩვენა. ბირთვის მკვერელმა გიორგი მუჯარიძემ ტურნირი მეათე შედეგით დაასრულა (17,90 მ). უროს ტყორცნაში მე-13 იყო გიორგი ონიანი – 64.92 მ.

ნანძინში შედარებით სუსტად იასპარეზეს ბატუტზე მსტომელმა თეონა ჯანაჯღაძემ, მოკრივე გიორგი ხარაბაძემ და მოცურავე აკაკი ვაშაყიძემ, რომლებმაც პირველივე ეტაპზე დაასრულეს შეჯიბრება. სამაგიეროდ, ოლიმპიადის ბოლო დღე წარმატებული გამოდგა ჩვენი მოჭიდავეებისთვის: მექი სიმონიას (76 კგ) ვერცხლის მედალი ერგო, ივერიკო ჯულაყიძეს (63 კგ) – ბრინჯაოსი. სიმონიამ ტუნისელი აიობ ბარაჯის, კოლუმბიელ კარლო მენდესს და ჰონდურასელ კარლოს რივეირა-როსალესს მოუგო, ფინალში კი იაპონელ იძურო იამასაკისთან დამარცხდა. ჯულაყიძეს ოქროს მედლისკენ მიმავალი გზის სტარტზევე მოეცარა ხელი აზერბაიჯანელ თეიმურ მამადოვთან (მოგვიანებით, მედიაში გაჩნდა სარწმუნო ცნობები იმის თაობაზე, რომ რუსეთში დაბადებულ მამადოვს ასაკი გადაკეთებული აქვს და მეტოქეებზე რამდენიმე წლით უფროსი იყო), თუმცა „დამამშვიდებელ“ ტურნირში დამაჯერებლად იჭიდავა: ჯერ პალაუს წარმომადგენელს – ჯეიმს დუდასკოს აჯობა, შემდეგ – სამხრეთ აფრიკელ სტენ ელბერტს, „ბრინჯაოს“ ფინალი კი ინდოელ ამიტ კუმარს მოუგო.



➔ ნანძინის თამაშების ქართველი ლიცენზიანტები



➔ ნიკა შენგელია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ნანძინში ქართველი ოლიმპიელების გამოსვლა ასე შეაფასა: „ჩვენმა სპორტსმენებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენეს. ისეთი შედეგი მივიღეთ, რასაც წინასწარ ვვარაუდობდით. ამ ეტაპზე მეტის მიღწევა შეუძლებელი იყო. კარგი იქნებოდა, ნანძინში ჩვენი ჰიმნიც აგვეჟღერებინა, მაგრამ მომავალში ამას აუცილებლად გავაკეთებთ. წინა თამაშებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით და არა მხოლოდ ლიცენზიანტების და მედლების რაოდენობის თვალსაზრისით. თამაშების თითოეული მონაწილე ბრძოლის ყინით იყო ანთებული და თუ ასე გააგრძელებენ, თუ თავდაუზოგავად ივარჯიშებენ, დიდ სპორტში, დიდ ოლიმპიადებზეც წარმატებულები იქნებიან, ამაში კი უთუოდ გამოადგე-

ბათ ნანძინში მიღებული გამოცდილება. ჩვენი დევიზი – „უკეთ, ვიდრე წინა თამაშებზე“ შესრულებულია. 2018 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადა ბუენოს-აირესში გაიმართება, რისთვისაც აქედანვე უნდა ვიზრუნოთ.“
ნანძინში იმყოფებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი: „ეს იყო უმაღლესი დონის, საუცხოოდ ორგანიზებული შეჯიბრება. ყველას ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ახალგაზრდულ შეჯიბრებაზე კი არა, დიდ ოლიმპიურ თამაშებზე ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებს საოლიმპიადოდ მეტად მკაცრი სალიცენზიო კრიტერიუმები დაუნესეს, 12-მა ქართველმა სპორტსმენმა გადალახა ეს ბარიერი, რაც თავისთავად უკვე პირველი წარმატებული ნაბიჯი იყო. მე დავესწარი

თამაშების სასტარტო შეჯიბრებებს, მათ შორის – ძიუდოსიტა ტურნირს. ძალიან კარგად იჭიდავა თამაზ კირაკოზაშვილმა და გაგვახარა პირველი მედლით. ის უაღრესად მონდომებული, უმაღლეს სპორტულ შედეგებზე ორიენტირებული ახალგაზრდა და დარწმუნებული ვარ, მოზრდილთა ტურნირებშიც არაერთხელ გვასახელებს. ისევე, როგორც მარიან ჯანაშვილი, რომელმაც ტრავმის გამო ნანძინში თავისი მაქსიმუმი ვერ აჩვენა. ძალიან მომეწონა მოფარიკავეთა ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილის, 15 წლის ნიკა შენგელიას გამოსვლა. მან, მართალია, მედლის აღება ვერ შეძლო, მაგრამ რამდენიმე ფავორიტს აჯობა და ბრძოლის ყინით დავგამახსოვრა თავი...“

თამარ კოტორაშვილი



➔ ელგუჯა ბერიშვილი, ლევან ყიფიანი, ლერი ხაბელოვი და ემზარ ზენაიშვილი ნანძინში



➔ მარიან ჯანაშვილი (მარჯვნივ)

WITHOUT ANTHEM BUT WITH THREE MEDALS

TWELVE OLYMPIANS IN THE SEVEN SPORTS DISCIPLINES AND THREE MEDALS – IS THE RESULT ACHIEVED BY GEORGIAN SPORTSMEN AT THE SECOND YOUTH OLYMPIC GAMES HELD IN NANJING (CHINA) THIS AUGUST. IF COMPARE WITH THE FIRST YOUTH GAMES IN 2010 HELD IN SINGAPORE WHERE THE 5-MEMBER GEORGIAN TEAM WON ONLY ONE BRONZE, THIS TIME THE SUCCESS IS OBVIOUS – 12 ENTRANTS WITH 2 SILVER AND 1 BRONZE MEDALS. ADDITIONALLY, SEVERAL GEORGIAN SPORTSMEN WON THE RIGHT TO PLAY IN THE FINAL STAGE THANKS TO THE SUCCESSFUL START. ALTHOUGH THE ADVANCE IS VIVID, IT IS REGRETTABLE THAT THE TEAM COULD NOT WIN THE GOLD AND PUT OFF THIS TASK FOR FOUR YEARS.



The wrestler Tamaz Kirakozashvili (81 kg), standard-bearer of the Georgian team at the opening ceremony, won the first award for the team. The prizewinner of the world and Europe youth championships was just step away from the golden medal. Tamaz faced Mikhail Igolnikov (Russia) in the final duel, which ended without any move by contenders. Referees gave victory to Igolnikov just for more activity. Kirakozashvili beat three contenders on his way to the final. He beat Idan Vardi (Israel) with clear victory for a minute and forty seconds. Tamaz defeated Marco Bubania (Austria) by a “golden time~ in the second round. It took him only 47 seconds to

beat a medalist of world and Europe championships Frank De Vitt (Holland) in the third round.

Member of Georgian girls team Mariam Janashvili (52 kg), winner of European juniors’ championship and silver medalist of the world championship, was among the fa-

vorites of the games. Unfortunately, trauma hindered her to perform at full power and finally she took only fifth place.

Nika Shengelia 15, the youngest entrant in the contest of fencers, was the first of the Georgian team who engaged in the Olympics. On August 17, the first day of Nanjing-2014, Shengelia won convincing victories in the contests in his group. He beat the titled fencers from USA, Argentina and Greece. It is noteworthy that Shengelia’s Greek and American contenders were medalists of the world championship. Shengelia beat Carol Metrika (USA) in 1/8 final and was among the eight best entrants. Finally, he lost the game against the acting world champion Ivan Ilyin (Russia).

When the turn of track and field athletes came, the Georgian long jumper Mary Dzagridze stood some chances to win bronze. He reached final stage with the result of 5, 90 m. However, she only took the seventh place with 5, 87 meter. Goga Maglakelidze

was also the seventh in the triple jump. He showed 14, 82 meter at the final stage. Giorgi Mujaridze occupied the tenth place in the shot-put with 17, 90 meter. Giorgi Oniani was the 13th with 64, 92 meter in throwing of the hammer.

The last day of the Olympics turned out successful for Georgian wrestlers. Meki Simonia (76 kg) won silver while Iveri Julakidze (63 kg) took bronze. Simonia beat Iob Baraji (Tunisia), Carlo Mendez (Columbia) and Carlos Riveira-Rosalez (Honduras). He only lost the final duel against Idzuro Yamasaki (Japan).

Julakidze lost the chance to win gold right at the start when lost the duel with Teimur Mamadov (Azerbaijan). However, he succeeded in Repechage by successive victories over James Dudasko (Palau) and Stein Elbert (South Africa). Julakidze won bronze in the contest with Amit Kumar (India).

TAMAR KOTORASHVILI



წინ სხელი ჯაფხულია

2015 წელი საქართველოსთვის სპორტულად მატად ცხელი იქნება. ამ შემთხვევაში გაძოვი გასაგარტ პირველ ევროპულ თამაშებს ან „რიო-2016“-ის სალიცენზიო ტურნირებს არ ვგულისხმობთ. ჩვენი დედაქალაქი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება.

თბილისი სერიოზული სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობას კი უშიშურდება, მაგრამ ფესტივალთან აქამდე ჩატარებული ვერცერთი ტურნირი ვერ მოვა. ჩვენი ქვეყანა ასეთ კომპლექსურ, მასშტაბურ და უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას პირველად უმასპინძლებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გაისად, 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე, თბილისი კონტინენტის სპორტულ ფოკუსში

მოექცევა, რაც პატარა საქმე ნამდვილად არ გახლავთ.

ასეთი გამორჩეული ფესტივალის ორგანიზებას მალალი დონის ინფრასტრუქტურასთან და გამოცდილებასთან ერთად, სოლიდური თანხებიც სჭირდება. არის კი ამის სათანადო რესურსი? ერთი პერიოდი, ფესტივალის დაფინანსების კუთხით არასასიამოვნო მითქმა-მოთქმაც იყო, მაგრამ დღეს სამზადისი

გეგმაზომიერად მიმდინარეობს. უფრო მეტიც – პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელშიც შესულია ყველა ის მინისტრი, ვისაც შეიძლება დარგობრივად შეხება ჰქონდეს ფესტივალთან.

მალალი დონის შეჯიბრების ორგანიზებისას ათასი წვრილმანი იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ დაგვეთანხმებით, უმთავრესია სპორტული ბაზების და საცხოვრებლის კეთილმოწყობა. ამ მხრივ სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, გარკვეულ შემთხვევებში კი წინმსწრები ტემპითაც. ყველაფერს ევროპის ოლიმპიური კომიტეტიდან საკმაოდ მკაცრი თვალი აკონტროლებს, ინსპექტირება ყოველ 6 თვეში ერთხელ ხორციელდება და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ევროპელი კომისრებისგან სერიოზული საყვედური მიგვეღოს. როგორც ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ალექსანდრე ახვლედიანი ამბობს, ჩვენი სპორტის სამსახურში ჩადგება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი და გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა, „ახალი თბილისი“ დილოში, რომელიც მალე ერთ-ერთი პრესტიჟული უბანი გახდება ქალაქში და რაც ასევე სასიხარულოა, აღნიშნული ობიექტები ეროვნულ ფედერაციათა საკუთრებაში დარჩება.

ოლიმპიური სოფელი, მოგეხსენებათ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება და ძირითადი სამუშაოები ახლო მომავალში დასრულდება. „ოლიმპიური სოფლით მართლაც მოხიბლული ვარ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული საცხოვრებელი იქნება, რაც აქამდე ჩატარებულ ფესტივალებზე ყოფილა. სპორტსმენებს, მწვრთნელებს და სხვა მომსახურე პერსონალს დიდი კომფორტი ელოდებათ,“ – აცხადებს EYOF-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე იოზეფ ლიბა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოხალისეებია, რომლებსაც მსგავსი ტიპის ფორუმებზე განსაკუთრებული როლი აკისრიათ. ამ ეტაპზე 2 ათასამდე ადგილობრივი



→ „თბილისი-2015“-ის სამთავრობო კომისიის სხდომა სეოკ-ში



და 700-მდე უცხოელი მოხალისეა დარეგისტრირებული. სავარაუდოდ, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ სპეციალური სწავლებისა და ტრენინგების შემდეგ, უშუალოდ ფესტივალს 2500 „ვალანტიორი“ მოემსახურება.

ჩვენს წინაშე დგას ორი მათავარი ამოცანა: მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ ორგანიზაციული თვალსაზრისით და, ამავდროულად, მაღალი შედეგები ვაჩვენოთ უშუალოდ სპორტულ სარბიელზე. დებულების თანახმად, როგორც ფესტივალის მასპინძელ ქვეყანას, უფლება გვაქვს პროგრამის ცხრავე სახეობაში შესარჩევი ეტაპების გარეშე გამოვიყვანოთ გუნდები. დღეისათვის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროცესში ჩართულია ათასამდე მოზარდი სპორტსმენი, რომლებიც საუკეთესო პირობებში ვარჯიშობენ და, იმედი გვაქვს, ქართული გულშემატკივრების წინაშე თავს არ შეირცხვენენ. ეს არის თაობა, რომელმაც ხვალ-ზეგ ჩვენი ეროვნული ნაკრებები უნდა შეავსოს და დიდი ოლიმპიელების რიგებში ჩადგეს. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თოთოეული ნიჭიერ და წარმატებულ ახალგაზრდა სპორტსმენს არა მარტო საფესტივალოდ, არამედ შემდგომშიც შეუნარჩუნდეს ეფექტური ვარჯიშისა და სხვა შეჯიბრებებში თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ეს იქნება ყველაზე დიდი სპორტული სარგებელი, რაც შეიძლება ჩვენ ამ ფესტივალის მასპინძლობით მივიღოთ.

კახა ბერიძე

HEADING TO THE HEATED 2015

The next year promises to be very heated for Georgia from sporting point of view. We do not mean either the first European games in Baku or license winning tournament “Rio-2016.” The capital of Georgia is preparing for the European youth Olympic festival. Although, Tbilisi has already accustomed to the significant international sport tournaments but no previous sport events can be compared with the youth Olympic festival. Georgia hosts such kind of large-scale and important sport event for the first time. It is not exaggeration that Georgia will be in a sport focus of Europe for July 25-August 1, 2015

Numerous details come out during the organizing such a high-level sport event. However, the equipping of sport bases and living quarters with modern services and utilities is the most important task. The works are going according to the schedule and sometimes ahead of it. European Olympic Committee watchfully controls the works. The inspection from Europe takes place once in six months and no serious reprimand has been received so far. According to Alexander Akhvlediani, president of the festival’s organizational committee, the sport infrastructure equipped with modern facilities will enrich the national sport industry. This includes urbanized area “New Tbilisi~ in Dighomi, which will

soon become one of the prestigious districts of the capital. Another good news is that these sport entities will stay in ownership of the national sport federations.

The construction of Olympic village is underway on the territory near Tbilisi Sea and the main works will be finished in the near future.”I am truly impressed with the Olympic village. I am saying with full responsibility that this will be one of the distinguished if not the best living quarters, which we have seen at the festivals before. Sportsmen, coaches and service personnel will have a big comfort,~ said Joseph Liba, chairperson of EYOF coordination committee.

Georgia has two major tasks for the festival. The first is to prepare as well as possible organizationally and the second is to succeed in sport contests. According to the regulations, Georgia, as host of the festival, can assign teams in all of nine sport disciplines of the program bypassing qualification round. Currently, about one thousand young sportsmen are involved in the preparation for the Olympic festival. They are training in excellent conditions and give hope of successful performance at the coming festival. This is the generation, which will staff our national teams in the future and fill ranks of the famous Olympians.

KAKHA BERIDZE



საქართველო მწვრთნელისა და შედეგის ძიებაში

2014 წელს, მართალია, იყო მცირე გამონათებაები, მაგრამ მთლიანობაში, სურათი საკმაოდ მძიმეა – ძართული ფეხბურთი ისევ დიდ ბასაჭირშია. ფიფა-ს რეიტინგში ფარეპელები რომ გადაბასნრებენ, საქმე მართლაც ცუდად არის და ყველა ერთად განგაზის ზარს უნდა შემოვკრათ, ოღონდ საქმეს ამით ნამდვილად არ ეშველება. საქმე რომ წინ წავიდე და ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალოს, საფუძვლიანი საფეხბურთო რეფორმის ჩატარება და სერიოზული ფინანსური რესურსის მოძიება მოგვიწევს. ამჯერად კი თვალი გადავაკვლოთ 2014-ში მომხდარ შემთავრებს საფეხბურთო აგებას.

იღბალმა ზურგი გვაქცია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე ერთი პატარა ნაბიჯი დააკლდა. ელიტრაუნდის ბოლო ტურში ვასილ მასისურაძის გუნდს ისრაელთან ფრე ჰყოფნიდა, მაგრამ ფატალურად არ გაუმართლა – უამრავი საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენა, მეტოქემ კი იშვიათი კონტრშეტევა გოლად

აქცია და ფინალური რაუნდის საგური ცხვირწინ აგვაცალა.

არადა, ამ გუნდს ნამდვილად შესწევდა იმის ძალა, საქართველოს ღირსება კიდევ უფრო წარმატებით დაეცვა. ეს ხომ ის თაობაა, რომელმაც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე მიაღწია და იქ ნახევარფინალში ითამაშა. ისრაელთან მატჩს თუ არ ჩავთვლით, მასისურაძის გუნდმა 19-წლამდელთა საკვალიფიკაციო

ეტაპიც დამაჯერებლად განვლო – მხოლოდ იმის გახსენება რად ღირს, რომ პირველ რაუნდში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, ჰოლანდიას სძლია და ჯგუფში ჩატოვა.

ცხადია, ისრაელთან მარცხით ცხოვრება არ დამთავრებულა. ამ თაობას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ ასეთი უიღბლობა მაინც ძალიან გულსატკენია – ევროპის პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები თამამდებოდა და იქ გამოსვლა ქართველ ბიჭებს სულ სხვა კარიერულ პერსპექტივებს გაუხსნიდა...

საბაისო ელიტრაუნდი დავიკავეთ

შემოდგომაზე ჩვენმა ასაკობრივმა ნაკრებებმა ახალი საკვალიფიკაციო ციკლი დაიწყეს. 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა პირველ შესარჩევ ეტაპს თბილისში უმასპინძლეს და შინაური ტრიბუნების ფაქტორი რიგიანად გამოიყენეს. გოჩა ტყეშუჩავასა (U17) და გიორგი დევიდარიანის (U19) გუნდებმა ელიტრაუნდს მეორე ადგილით, ორ-ორი გამარჯვებითა და თითო მარცხით უწიეს. თუმცა ადგილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო ჯგუფის ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრა. ელიტრაუნდის წინ ორივე ასაკობრივი ნაკრები მე-3 კალათაში განითესა. ელიტრაუნდიდან კი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული ითამაშებს, ხოლო 17-წლამდელთა ევროსარბიელზე ელიტრაუნდის ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო მოხვდება. 19-წლამდელთა ფინალური ეტაპი 6-15 ივლისამდე საბერძნეთში გაიმართება, ევროპის საუკეთესო 17-წლამდელთა კი 6-დან 22 მაისამდე ბულგარეთი უმასპინძლებს.

ისევ დუბლი

თბილისის „დინამო“ ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა დუბლიც შეასრულა, როცა თასის ფინალში საჩხერის ჩიხურა 2:1 დაამარცხა. ორი ტიტულის მიუხედავად, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მალხაზ ჟვანია ჩეხი მიხალ ბილეკით ჩაანაცვლა. ჩემმა სპეციალისტმა ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი დიდი ამბიციებით და წარმატების იმედად ჩაიბარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და თბილისელებს უსახელოდ დაშორდა.



საქართველო – ირლანდია 1:2

მსოფლდ „ჩიხურა“ გაგვასარა

წლეულს ოთხიდან სამმა ქართულმა კლუბმა ევროსარბიელზე უხეიროდ ითამაშა და უქმად პირველივე მეტოქესთან ბრძოლის შემდეგ დარჩა. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ ყაზახურ „აქტობესთან“ ორი მატჩის ჯამში 0:4 განადგურდა. თბილისში ბილგის გუნდმა 0:1 ნაგო, საპასუხო შეხვედრაში კი სამი უპასუხო ბურთი გაუშვა. ამას „დინამოს“ პირველკაცის კარდინალური ნაბიჯი მოჰყვა, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

ევროპის ლიგაზე „ზესტაფონმა“ სლოვაკურ „ტრნავასთან“ ჯამური 0:3-ით ნაგო. გია გეგუჩაძის გუნდი ზესტაფონში 0:0-ს დასჯერდა, სამაგიეროდ, სლოვაკეთში მასპინძლებთან ვერაფერი გააწყო. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკია ნამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობას დაემშვიდობა. თითქოს, გეგუჩაძეც წასვლას აპირებდა, მაგრამ, საბოლოოდ, გაახალგაზრდავებულ შემადგენლობასთან მუშაობას დათანხმდა.

ევროპის ლიგას ბოლნისის „სიონი“ ალბანურ „ფლამურტარისთან“ მატჩებით დაემშვიდობა. თბილისური 2:3-ის შემდეგ, ლადო ბურდულის გუნდმა ძალები მოიკრიბა და ალბანეთში ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა, მაგრამ მატჩის მიწურულს ერთი გოლი მიიღო და სტუმრად გატანილი მეტი ბურთის წყალობით შემდეგ ეტაპზე „ფლამურტარი“ გავიდა.

ერთადერთი, ვინც ქვეყნის ღირსება ღირსეულად დაიცვა, „ჩიხურა“ იყო. სოსო ფრუიძის გუნდმა მაკედონიურ „ტურნოვოს“ ორივე მატჩი მოუგო, მერე კი სენსაციურად აჯობა ამბიციურ თურქულ „ბურსასფორს“, რომელიც გათამაშებას პენალტების სერიით გამოითიშა. ბევრმა თურქეთში მიღწეული 0:0 შემთხვევითობად მიიჩნია, მაგრამ ზემოიერლებმა ათმაგი ბიუჯეტის მქონე „ბურსას“ თბილისშიც არაფერი დაუთმეს და საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანეს, სადაც სტუმრებს პირწმინდად აჯობეს. „ჩიხურას“ გამარჯვება ოდნავ გააუფერულა გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანის გამტანი თორნიკე მუმლაძის უხეშმა ჟესტმა, რომელიც მან თურქ ქომაცებს უჩვენა. თუმცა ზეიმი მაინც შედგა.

შემდეგ „ჩიხურა“ ბოლომდე შემართებით ებრძოლა მდიდარ აზერბაიჯანულ „ნეფთჩის“, მაგრამ ამჯერად საკუთარ თავს ველარ გადაახტა და ბაქოში მიღწეული უგოლო ფრის შემდეგ „მიხილ მესხზე“ 2:3 დამარცხდა.

„დინამო“

მიხალ ბილგის დინამოური კარიერა კი, როგორც ვთქვით, მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა – კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ მასთან ერთად მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა გაუშვა და კახა გოგიჩაიშვილის მთავარმწვრთნელობით ახალი ჩემპიონატი მკვეთრად გაახალგაზრდავებული გუნდით დაიწყო. ფიფიამ ბილგის დათხოვნის თაობაზე რომ გამოაცხადა, იმ პერიოდში სწორედ კახა გოგიჩაიშვილის განვრთნილმა „დინამოს“ მეორე გუნდმა გერმანიაში, საკმაოდ პრესტიჟულ რურის თასის გათამაშებაში ევროპის გრანდებთან ჭიდილში იმარჯვა. „დინამოს“ ხელმძღვანელობის არჩევანზე კი სწორედ ხსენებული ტურნირის მოგებამაც იქონია გავლენა და გოგიჩაიშვილი ბილგის მემკვიდრედ დაასახელა. ახალმწვრთნელს არავინ აჩქარებს – მისგან პირველ სერიოზულ შედეგს ორი წლის შემდეგ ელოდებიან.

რატომ 16?

ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა 12-დან 16-მდე გაზარდა, რასაც კლუბების უმრავლესობა მოწონებით შეხვდა, საფეხბურთო საზოგადოებაში კი დიდი კამათი გამოიწვია. თავიდან ითქვა, რომ ეს ნაბიჯი სფფმ მთავრობასთან შეთანხმებით გადადგა და მისგან კლუბების დაფინანსების პირობა მიიღო, თუმცა საქმე საქმეზე მიდგა და მათთვის 200-200 ათასი ლარი ისევე ფედერაციამ მოიძია – უფასვან ისესხა. საკითხავია, რა მოხდება მაშინ, კლუბები ამ ფულს რომ დახარჯავენ და ისევე წუნუნს დაიწყებენ. ეს ფული კი უმაღლესლიგელთა უმრავლესობას უკვე დახარჯული აქვს...

რვა მსაჯი გისოსებს მიღმა

წლის სკანდალი სექტემბრის ბოლოს მოხდა, როცა საფეხბურთო მაქინაციებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულმა სააგენტომ რვა ქართველი არბიტრი დააკავა: ოთარ ხეცაძე, ირაკლი ურუშაძე, მამუკა ურუშაძე, თეიმურაზ ხუჭუა (ეროვნული კატეგორიის არბიტრები), ალექსანდრე გუნთაძე, ზვიად ასკაროლი (პირველი კატეგორია), ონისე მოლოდინაშვილი (ეროვნული კატეგორიის ასისტენტი) და თორნიკე გვანცელაძე (ფიფას არბიტრი).



საქართველო – პოლონეთი 0:4

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული მსაჯები 2500-დან 5000-მდე ამერიკული დოლარის სანაცვლოდ წინასწარ ურიგდებოდნენ მოქალაქეებს მათი მსაჯობით ჩასატარებელ მატჩებზე ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობაზე, რასაც ასრულებდნენ კიდევ“, – ასე აღწყა ამბავი საზოგადოებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა ვებგვერდმა. იმედი, რომ გისოსებს მიღმა ამ მსაჯებზე უფრო გასვრილი და გავლენიანი ფიგურებიც მოხვედებოდნენ, არ გამართლდა, შესაბამისად, ქართული ფეხბურთი ძალიან დიდი სიბინძურისგან კვლავაც გასანწმენდა.



„ჩიხურა“ – „ბურსა“ 4:1 (პენ.)

ვინ შეცვლის ქეცბაიას?

2014 წელი საქართველოს ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩით და ორი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენებმა ჯერ თბილისში ლიხტენ-შტაინი დამარცხეს 2:0, შემდეგ ესპანეთში საუდის არაბეთს ასეთივე ანგარიშით სძლიეს და ქომაგსაც იმედი ჩაესახა, ეროვნულმა გუნდმა ეგებ 2014-ში მაინც იყოჩაღოსო, მაგრამ...

„როგორც კი ჯგუფიდან გასვლის შანსს დავეკარგავთ, თანამედრობიდან წავალ“, –

თქვა საქართველოს ეროვნული ნაკრების ან უკვე ყოფილმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ოფიციალური მატჩების მოახლოებისას. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კი ძალიან მალე დაეკარგეთ – საქართველო ჯერ სექტემბერში თბილისში ირლანდიასთან დამარცხდა, მერე კი – გლაზგოში შოტლანდიასთან. მაჩანჩალა გიბრალტარის ძღვევას შინ პოლონეთთან განადგურება მოჰყვა და ქეცბაიას ხუთწლიანი სანაკრებო კარიერაც ამით დასრულდა. საქართველოს ფეხბურთის ფე-

დერაცია მისი შემცვლელის ძიებაშია. ქართველი თუ უცხოელი, ახალგაზრდა თუ გამოცდილი, ძვირირანი თუ იაფირანი – ჯერ ზუსტად არ ვიცით, რომელი კატეგორიიდან შეირჩევა ჩვენი ეროვნული გუნდის ახალი მესაჭე. მემკვიდრეობა კი ნებისმიერ მათგანს მძიმე დახვდება. ისე კი ნაკრების მწვრთნელთა კანდიდატებს შორის ყველაზე ხშირად კახა ცხადაძეს, გია გეგუჩაძესა და შოთა არველაძეს ასახელებდნენ.

საპრეზიდენტო რბოლა

ზუსტად ვიცით, რა იქნება საგაისოდ უმთავრესი საფეხბურთო თემა – რაღა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები, რაც თბილისში 2015 წლის აგვისტოში გასამართ ევროპის სუპერთასსაც კი დაჩრდილავს. ლევან კობიაშვილმა კულუარებში დიდი ხნის წინ მობრუნებული ხმები ოფიციალურად დაადასტურა – თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. მის უმთავრეს კონკურენტად ფედერაციის ამჟამინდელი გენერალური მდივანი რევაზ არველაძე მოჩანს, თუმცა გამორიცხული არც ის არის, კენჭი მოქმედმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ, მიხეილ ყაველაშვილმა და ვლადიმერ გუცაევმა იყარონ...

კოპა ინასარიძე



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები

საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი 2014 წელს

- 05.03. საქართველო 2:0 ლიხტენშტაინი (ამხანაგური მატჩი)
- 29.05. საუდის არაბეთი 0:2 საქართველო (ამხანაგური მატჩი)
- 03.06. არაბთა გაერთ. საემ. 1:0 საქართველო (ამხანაგური მატჩი)
- 07.09. საქართველო 1:2 ირლანდია (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 11.10. შოტლანდია 1:0 საქართველო (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 14.10. გიბრალტარი 0:3 საქართველო (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 14.11. საქართველო 0:4 ჰოლანდია (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 2014 წელს საქართველოს ნაკრებმა ჩაატარა 7 მატჩი: 3 მოიგო, 4 წააგო. ბურთების შეფარდება – 8:8.

ქართული კლუბების მატჩები 2014 წელს

- ჩემპიონთა ლიგა.**
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო 0:1 აქტობე (ყაზახეთი)
აქტობე 4:0 დინამო
- ევროპის ლიგა.**
პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი
ჩიხურა 3:1 ტურნოვო (მაკედონია)
ტურნოვო 0:1 ჩიხურა
სიონი 2:3 ფლამურტარი (ალბანეთი)
ფლამურტარი 1:2 სიონი
- ევროპის ლიგა.**
მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი
ბურსა (თურქეთი) 0:0 ჩიხურა
ჩიხურა 0:0 (4:1 პენ.) ბურსა
ზესტაფონი 0:0 ტრნავა (სლოვაკეთი)
ტრნავა 3:0 ზესტაფონი
- ევროპის ლიგა.**
მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი
ნეფტიჩი (აზერბაიჯანი) 0:0 ჩიხურა
ჩიხურა 2:3 ნეფტიჩი

IN SEARCH OF COACH AND... DESIRED RESULT

Georgian U-19 national team was a step away from getting in the finalists group of European championship. The draw in the game with Israeli team in the last round was quite enough for the Georgians to win the ticket to the championship. However, a fatal bad luck did not allow realizing even a single goal chance out of many. Meanwhile, the opponent converted into goal one of the rare counterattacks and deprived the Georgian team of the ticket to the final round.

Georgian U-17 and U-19 national teams started a new qualifiers cycle in the fall. Both teams took advantage of the host matches in the first stage of qualifiers held in Tbilisi. U-17 (Coach Gocha Tkebuchava) and U-19 (Coach Giorgi Devdariani) passed to the elite round with two victories and one draw. The Euro Cup U-19 will be held for July 6-15 in Greece. Bulgaria will host Euro Cup U-17 during May 6-22.

This year three of four Georgian football clubs failed in the very first qualifiers games of UEFA Europa League and UEFA Champions' League. "Dinamo~ Tbilisi suffered a crushing defeat from the Kazakh "Actobe~ with aggregated score 0:4. "Zestaponi~ lost against the Slovak "Trnava~ with aggregated score 0:3 in the Europa League qualifier. Bolnisi "Sioni~ lost both qualifier matches against the Alban "Flamurtari.~ The club "Chikhura~ Sachkhere was the sole Georgian team, which suitably represented Georgia at the qualifiers. The team coached by Soso Fruidze beat Macedonian "Turnovo~ in both matches and then won a sensational victory over the ambitious Turkish club "Bursaspor~ by the series of penalties in extra time. Then "Chikhura~ faced the Azerbaijani "Neftchi.~ This time the Georgian club turned out weaker. The Georgian team had lost the home match 2:3 after the zero draw in Baku.

By the end of this September Georgia saw the scandal of the year. Anti-corruption agency of the Interior Ministry detained as many as eight Georgian football referees for financial fraud and underhand dealings. "The investigation exposed the detained referees in striking a shady bargain with citizens about the number of yellow and red cards in the matches they judged and actually fulfilled it. The bribe for the deal ranged from USD 2500 to USD 5000,~ the official website of the ministry reported. The hopes for detaining the



corrupt football officials of higher ranks were not realized. Therefore, the necessity of purging Georgian football from corruption remains.

Georgian national team started the 2014 season with two victorious friendly matches. The Georgian team first defeated Lichtenstein in Tbilisi 2:0 and then beat Saudi Arabian team with the same score at the tournament in Spain. Georgian football fans hoped that 2014 season could become more successful for the national team. However, the hopes turned out vain.

"I will resign as soon as the team loses the chance to get in play-off,~ Temur Ketsbaia, chief coach to the Georgian national team, pledged before the start of official qualifiers to Euro 2016. The Georgian team lost the chance quite soon. First, it lost the home match with Ireland and then lost the visiting game as well. The victory over the obvious outsider Gibraltar was followed by the crushing defeat 0:4 in the home match against Poland. Ketsbaia stuck to the pledge and announced his resignation having thereby finished his five-year work as chief coach of Georgian national team.

Now the Georgian Football Federation is in search of a new coach. It is still unknown whether the federation will recruit foreigner or opt for a domestic candidature. It is also uncertain whether the federation wants to hire a pricey and experienced coach or entrust the team to a low-paid and young specialist. In any case, the new coach has to cope with grave inheritance.

KOBA INASARIDZE



ზურაბ აზმაიფარაშვილი, კირსან ილუმინოვი და გია გიორგაძე

შედეგი, როგორც გვაიძლევა

2014 წლის მთავარ საჭადრაკო მოვლენაზე გვიასუბრაბა საპარტნიოროს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, სპარტაშორისო დიფლუტატი გიორგი გიორგაძე:

– დავიწყებ იმით, რომ უკვე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოჭადრაკეებსაც გვექნება საქართველოს ჭადრაკის განვითარების 2015-2018 წლების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსდება. ამ პროგრამაში მრავალი საინტერესო საკითხია შეტანილი. პირველ რიგში, გამოვყოფ ბათუმში გასამართ 2018 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას, რომლისთვის მიზანმიმართულ მზადებასაც აქედანვე ვინწყებთ. ძალიან მნიშვნელოვანია ჭადრაკის განვითარება რეგიონებში და რაც მთავარია – საჯარო სკოლებში ჭადრაკის პროგრამის ამოქმედება. სახელმწიფო პროგრამაში, აგრეთვე, შეტანილი გვაქვს საჭადრაკო ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების საკითხი. მაგალითად, თბილისის ჭადრაკის სასახლე სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს მოითხოვს. 2017 წელს თბილისში მსოფლიო თასი გაიმართება და თბილისის მერისასთან სიტყვიერი შეთანხმე-

ბა გვაქვს, რომ ამ დროისთვის მოხდება ამ სასახლის რემონტი-რეაბილიტაცია.

ავვისტოში, ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში მოენყო ფიდეს კონგრესი, რომელზეც გადაწყდა, რომ 2018 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას ბათუმი უმასპინძლებს. ამ ბრძოლაში ჩვენი კონკურენტი იყო სამხრეთ აფრიკა. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან სწორედ ამან განაპირობა სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება. ახლა მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვების შესახებ, რომელიც ასევე ტრომსოში მოვიპოვეთ – ევროპის საჭადრაკო კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები დამაჯერებლად მოიგო ზურაბ აზმაიფარაშვილმა. მან წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა – ფაქტობრივად, მთელი ევროპის ქვეყნები მოიარა და თავისი პროგრამა გააცნო ამ ქვეყნების საჭადრაკო წრეებს.

რაც შეეხება უშუალოდ წლის მთავარ შეჯიბრებას – მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას, სამწუხაროდ, აქ საგრძნობლად მოვიკოჭლეთ. ვაჟებმა ძალიან ცუდად ითამაშეს და, ბუნებრივია, სათანადო შეფასებაც მივეცი მათ გამოსვლას. რაც შეეხება ჩვენი ქალთა ნაკრების მეოთხე ადგილს, შეიძლება

სპორტის ბევრი სახეობისთვის ასეთი შედეგი წარმატებად ჩაითვალოს, მაგრამ – არა ჩვენითვის. შეჯიბრება მეოთხე რეიტინგით დავინყეთ და ასევე დავამთავრეთ. როცა ტურნირში 160-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, ეს შედეგი, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელია, მაგრამ წარმატებად ვერ ჩაითვლება. ჩვენი ქალთა გუნდი საჭადრაკო ოლიმპიადების ოთხზის ჩემპიონი და მრავალზის პრიზიორია და მეოთხე ადგილი ვერავის დააკმაყოფილებდა. პირველ დაფაზე აბსოლუტური შედეგით მცირე ოქროს მედალი მოიპოვა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონები. მეორე დაფაზე ასევე კარგად ითამაშა ბელა ხოტენაშვილმა, რომლის მონაგარიც მცირე ვერცხლის მედალი იყო. სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ჩვენს ქალებს გუნდური მედალი მოეპოვებინათ.

აუცილებლად გამოსაყოფია სალომე მელიას სტაბილური თამაში ევროპის ჩემპიონატზე. შარშან მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, წლეულს კი – ბრინჯაოსი. ეს სტაბილურობა კლასის მაუწყებელია და იმის დასტური, რომ სალომე ყალიბდება სერიოზულ პროფესიონალად. ასევე უნდა გამოვყოთ ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ბათუმის „ნონამ“ (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი და მირანდა მიქაძე) ფენომენალური შედეგი აჩვენა – ყველა მატჩი მოიგო და ერთი ტურით ადრე გახდა სხვებისთვის მიუწვდომელი.

წლეულს ქალთა გრან-პრის ერთ-ერთი ეტაპი საქართველოში, შესანიშნავ კურორტ „ლოპოტაში“ ჩატარდა. ეს იყო ძალიან მაღალ დონეზე ორგანიზებული ღონისძიება – ასეთი შეფასება მივიღეთ ფიდესა და ევროპელი ექსპერტებისგან. მონაწილეებიც ძალიან ძლიერები იყვნენ: მსოფლიოს ჩემპიონი ჰო იფანი და პირველი ათეულიდან 7 საუკეთესო მოჭადრაკე. სხვათა შორის, 2013-2014 წლების გრან-პრის ეტაპებისგან განსხვავებით, ლოპოტას ტურნირზე უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. გრან-პრის გათამაშებაში ორი წარმომადგენელი გვყავდა – ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი, რომლებმაც წარმატებით ითამაშეს. ჯამური შედეგები რომ დაითვალეს, ნანა მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, ბელა – მეექვსეზე.

წლეულს ბათუმში ევროპის ასაკობრივ (8-დან 18 წლამდე) ჩემპიონატსაც უმასპინძლა. ასეთი მასშტაბური საჭადრაკო შეჯიბრება საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა – 45 ქვეყნის ათასამდე მონაწილე ჩამოვიდა, პლუს თანხლები პირები და ჯამში 1500-მდე სტუმარი მივიღეთ. ტურნირი ოქტომბერში, საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ ჩატარდა და ეკონომიური თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი იყო ქალაქ ბათუმისთვის და ჩვენი ფედერაციისთვისაც, რადგანაც ამ



→ სალომე მელია



→ ნანა ძაგნიძე



→ ბაადურ ჯობაევა

ტურნირიდან შემოსული ფულით დავაფინანსეთ 140 ქართველი ბავშვი, რომლებმაც ამ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. სასიხარულოა, რომ თუ წინა ევროპის ჩემპიონატზე არც ერთი მედალი არ გვქონდა, წლეულს 4 მედალი მოვიპოვეთ – 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოსი. მედლების რაოდენობით მესამე ქვეყანა ვიყავით. 18 წლის გოგონებში მეორე ადგილზე გავიდა ნატო იმნაძე, 16 წლამდელებში ნინო ხომერიკვა და გიორგი სიბაშვილმა მოიპოვეს ვერცხლის მედლები, 10 წლის ნიკოლოზ კაჭარავამ კი I-III ადგილები გაიყო და მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით აღმოჩნდა III ადგილზე. ამ ბიჭმა წლეულს მსოფლიოს პირველობაზეც ითამაშა და IV ადგილი გაიყო.

აუცილებლად აღსანიშნავია ბაადურ ჯობაევას პირველი მონაწილეობა ტაშკენტში გამართულ მსოფლიოს ვაჟთა გრან-პრის ეტაპზე, რომელშიც მან IV ადგილი მოიპოვა, თუმცა პირველობასთანაც ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ფინიშის სწორზე დასანანი მარცხი იწვინა არცთუ ძალიან ძლიერ მეტოქესთან. იგი მოუშვადებელი ჩაება ამ ტურნირში – ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ საქართველო იქნებოდა შემდეგი ეტაპის მასპინძელი ქვეყანა და აქედან გამომდინარე, ერთი მოჭადრაკის გამოყვანის უფლება მოგვეცა. საგაისო გრან-პრი თბილისში 14-28 თებერვალს ჩატარდება. ასეთი მასშტაბური ღონისძიება ჩვენში ჯერ არ გამართულა. მსოფლიოს ნორვეგიელ ჩემპიონ მაგნუს კარლსენისა და ინდოელი ვიშეთანთან ანანდის გარდა, ყველა ტოპ-მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის იქნება ბაადურ ჯობაევაც. სხვათა შორის, ამ ტურნირის თბილისში გამართვა ბატონ ზურაბ აზმაიფარაშვილის დიდი მეცადინეობითა და ხელშეწყობით გადაწყდა.

წლეულს ჩვენმა ვეტერანმა მოჭადრაკეებმა წარმატებით ითამაშეს სენიორეთა ტურნირებში. აქ მსოფლიოს ორი ჩემპიონი გვყავს – ნონა გაფრინდაშვილი და ზურაბ სტურუა. ზურა ევროპაზე მეორე იყო, ქალბატონი ნონა კი უკვე რამდენიმეჯერ მსოფლიოს ჩემპიონია თავის ასაკში. მსოფლიოს ჩემპიონატზე თავთავიანთ ასაკში პრიზიორები გახდნენ ქეთევან მელაშვილი და თამარ ხშიადაშვილი, ევროპის პირველობაზე კი ციალა ქასოშვილი მეორე იყო.

წელს პირველად მოვახერხეთ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარება. სახელმწიფო რომ არ დაგვხმარებოდა, ვერც ამჯერად გავმართავდით ამ ტურნირს. ურეკში 8 კოლექტივი მონაწილეობდა. ყველა უძლიერესი მოჭადრაკე თამაშობდა, მათ შორის ბაადურ ჯობაევაც. რადგან პირველად ვმარ-

თავდით ასეთ შეჯიბრებას, ყველას ინტერესი გავითვალისწინეთ და გუნდები ასეთი პრინციპით დავაკომპლექტეთ – სამი მამაკაცი, თითო ქალი და 20 წლამდე ახალგაზრდა (ზოგან ბიჭი, ზოგან გოგო). ნამდვილი საჭადრაკო ზეიმი გამოვიდა. ათი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ბათუმის „ნონამ“. მეორე ადგილზე რუსთაველები გავიდნენ, მესამეზე – კახეთი. სხვათა შორის, რადგან კახეთზე ჩამოვარდა სიტყვა, რეგიონულ ფედერაციებს თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კახეთია (ხელმძღვანელი – გელა სამხარაული). წელს იქ გაიხსნა იუდიტ პოლგარისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის საჭადრაკო კლუბები და კიდევ ორი კლუბის გახსნა ნავარაუდევია.

დავით ქალიძე





→ ლაშა გურული

ბრინჯაოს ნერტილი

ეროვნული გუნდის მოკრივეებმა ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე მედლის მოპოვება ვერ მოახერხეს, თუმცა იყოჩაღეს საერთაშორისო ტურნირებზე. მათმა უმცროსმა კოლეგებმა კი მედლები ასაკობრივ ევროპირველობაზეც აიღეს და საერთაშორისო შეჯიბრებებზეც.



→ გიორგი ხარაბაძე

5-9 მარტს ბაქოში „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც ეროვნული ნაკრები 7 მოკრივეთ გამოვიდა, 7 მედალი მოიპოვა და 12 გუნდს შორის მე-2 ადგილზე გავიდა. პირველობა მასპინძლებმა არავის დაუთმეს. ბაქოში ჩემპიონი გახდა მიხეილ ბახტიძე (+91 კგ), მეორე ადგილზე ირაკლი მელიქიშვილი (64 კგ) გავიდა, მესამეზე კი – გოგა გელაშვილი (60 კგ), გოჩა ბაღურაშვილი (75 კგ), რომან თავაძე (81 კგ) და ირაკლი გვენეტაძე (91 კგ).

8-13 აპრილს ვარშავაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა „ინჩუბეს.“ საქართველოს ღირსებას 6 სპორტსმენი იცავდა. მათ 2 ოქრო, 4 ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილი დაისაკუთრეს. 60 კილოგრამში ოთარ ერანოსიანმა ოთხ მეტოქეს სძლია და კვარცხლბუკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარ-

მატებას მიაღწია ზაალ კვაჭატაძემ (69 კგ), გადამწყვეტ პაექრობაში მან ტაჯიკი ანავარ იუნუსოვი დაამარცხა.

3-8 ივნისს ჩეხეთის ქალაქ უსტინად ლაბემში გამართულ „ა“ კატეგორიის ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა გამოსვლა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა. პირველობა არავის დაუთმეს გელა აბაშიძემ (69 კგ) და ლევან გულედანმა (91 კგ). ოთარ ერანოსიანს (60კგ) ვერცხლი ერგო, გოჩა ბაღურაშვილს (75კგ) და ნიკოლოზ სეხინაშვილს (81 კგ) – ბრინჯაო. საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა.

7-17 აგვისტოს ბულგარეთში ევროკავშირის ქვეყნების ღია ჩემპიონატი ჩატარდა. ქართველმა სპორტსმენებმა 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 60კგ წონით კატეგორიაში ოთარ ერანოსიანი ფინალში

დამარცხდა ირლანდიელ ოლივერ დევიდ იოკესთან. 91კგ-ში ლევან გულედანმა ნახევარფინალში ლიტველ მასკაუსკას ტექნიკური ნოკაუტით სძლია, ფინალში გასულს კი პოლონელ კუბოვსკისთან მოეცარა ხელი. მიხეილ ბახტიძემ (+91კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

17-26 ოქტომბერს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა მოკრივეებმა 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ევროპის პრიზიორები გახდნენ ლაშა გურული (60კგ) და გიორგი ხარაბაძე (69კგ). ხარაბაძემ 3 გამარჯვება მოიპოვა და ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლა ირლანდიელი ჯონსის წინააღმდეგ მინიმალური სხვაობით დათმო. 3 ბრძოლა მოიგო ლაშა გურულმაც, რომელიც ნახევარფინალში ინგლისელ დალტონ სმიტთან დამარცხდა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას 6 სპორტსმენი იცავდა. ჩემპიონატს პირველ წრეში გამოეთიშნენ 64 კგ-ში მოკრივე ნუკრი ადამია და რატი ტლაშაძე (75 კგ), მეორე წრეში დამარცხდა უჩა მაისურაძე (56 კგ), გაგიკ პოზოიანი (52 კგ) კი შეეჯიბრებას მეოთხედფინალურ ეტაპამდე შეემორჩა.

1-8 ნოემბერს ანაპაში გამართულ ჭაბუკთა ევროპირველობაზე ჩვენმა მოკრივეებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გიორგი მანჯავიძემ (52 კგ) ჯერ რუმინელ მონინალმდეგეს აჯობა, შემდეგ ტექნიკური ნოკაუტით შოტლანდიელ მეტოქეს სძლია, ხოლო მეოთხედფინალში ირლანდიელი ჯონ ნევინი დაჯაბნა. ნახევარფინალური ორთაბრძოლა კი იტალიელ მატეო პერერასთან დათმო და ბრინჯაოს დასჯერდა.

ალექსანდრა მაისაშვილი



BRONZE POINT

Georgian national team of boxers could not win medals at the world and European championships, but succeeded at the other international tournaments. Their junior colleagues were more successful. They won medals at the age-specific European championship and other international contests. Below is the list of the international tournaments with Georgian boxers there.

Baku hosted the international tournament of "A" category for March 5-9. The 7-member Georgian national team won seven medals and the 2nd place among the 12 entrant teams. Mikheil Bakhtidze (+91 kg) won gold, Irakli Melikishvili (64 kg) grabbed silver. Goga Gelashvili (60 kg), Gocha Baduraashvili (75 kg), Roman Tavadze (81 kg) and Irakli Gevenetadze (91 kg) became silver medalists.

During August 7-17, Bulgaria played host to the 2014 EU open championship in boxing. Georgian boxers won two silver medals and one bronze. Otar Eranosian (60 kg) lost the final duel against Oliver David Joyce (Ireland). Levan Guledani (91 kg) beat Tadas

Tamasauskas (Lithuania) by technical knockout but lost to Igor Jakubowski (Poland) in the final duel. Mikheil Bakhtidze (+91 kg) won bronze.

At the European youth championship (17-26 October) in Zagreb, Georgian boxers won two bronze medals. Lasha Guruli (60 kg) and Giorgi Kharabadze (69 kg) were prizewinners. Kharabadze won three victories and lost the semifinal match with narrow margin. Guruli also won three duels and lost to the Dalton Smith (Great Britain) in the semifinal.

Georgian young boxers won a bronze medal at the European juniors' championship (1-8 November) in Anapa (Russia). Giorgi Manjavidze (52 kg) beat his contenders from Romania and Scotland and then defeated John Nevin (Ireland) in the quarterfinal. He, however, lost the semifinal duel against Mateo Pereira (Italy) and took bronze medal only.

ALEXANDER MAISASHVILI



ჭაბუკური სეზონი

16 მიწალი, აქედან – 3 ოქრო, 5 ვერცხლი და 8 ბრინჯაო, ეს არის ქართველი სუმოსტაგის წლებანდელი სეზონის მონაბარი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე.

26-28 აპრილს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. იქ ზურაბ აქუბარდია გამოვიდა და საქართველოს ორი ბრინჯაოს მედალი მოუტანა (100 კგ და აბსოლუტური).

14-15 ივნისს ბულგარეთის ქალაქ სამოკოვოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ევროპის 13 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, საქართველოს ნაკრების წევრებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ქართველმა სპორტსმენებმა ჯამში 11 მედალი მოიპოვეს – 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. დიდებს შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული გიორგი მეშვილდიშვილმა (აბსოლუტური) დაისაკუთრა, კიდევ ერთი ოქრო საქართველოს ნაკრებმა ჭაბუკებს შორის გუნდურ შეჯიბრებაში მოიპოვა, ჭაბუკებს შორის ოქროს მედალი აიღო ლაშა ჯელაძემაც (აბსოლუტური). უფროსებში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლევან ბერიანიძემაც, ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ – გიორგი მეშვილდიშვილი, ავთანდილ კერცვაძე და ლევან ბერიანიძე, ჭაბუკებს

კი ორივე ვერცხლი გიორგი ფარადაშვილმა მოუტანა, ბრინჯაო – ლაშა ჯელაძემ.

29-31 აგვისტოს ტაივანის ქალაქ კაოშიონგში ჭაბუკ სუმოსტა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. გიორგი ფარადაშვილმა (115 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ლაშა ჯელაძემ (აბსოლუტური) კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ყველაზე საინტერესო ამბები კი გუნდურ პირველობაში მოხდა. ქართული დელეგაცია მსოფლიოს პირველობაზე სულ ორი სპორტსმენით იყო ჩასული, მაგრამ გუნდურ პირველობაში მაინც გამოვიდა. არადა, გუნდურ შეჯიბრებაში ოთხი კაცით დაკომპლექტებული ნაკრებები მონაწილეობენ – სამი შეჯიბრებაში გამოდის, ერთი სათადარიგოა. გამოდის, რომ საქართველოს ნაკრები მეტოქესთან შეხვედრას თავიდანვე 0:1 იწყებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა უძლიერეს იაპონიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ მასპინძელი ტაივანი, პოლონეთი და რუსეთი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ალექსანდრე მაისაშვილი



→ ქრისტინე ესებუა

23-30 ივნისს ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ ევროპის გრან-პრის გათამაშებას უმასპინძლა. სოფიაში მშვილდი ქართველებმაც მოზიდეს და ისარი ვერცხლის მედალს მორატყეს. ჩვენს დელეგაციას მედალი მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორმა ქრისტინე ესებუამ მოუტანა.

30 ივლისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მშვილდოსნობის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ხმათა უმრავლესობით, ამ თანამდებობაზე მოქმედი სპორტსმენი, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა ნარიმანიძე აირჩიეს, რომელიც მშვილდოსნობის ფედერაციას ორი წლით უხელმძღვანელებს. ნარიმანიძის გარდა, არჩევნებში კიდევ ორი კანდიდატი, გიორგი გორდეზიანი და დილარ ხაბულიანიც მონაწილეობდნენ, თუმცა მათ თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. 27 ხმოსანი დელეგატიდან არჩევნებს 22 დაესწრო, რომელთაგან 21-მა ნარიმანიძეს სრული ნდობა გამოუცხადა. პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი სულიკო თოფურიამ დაიკავა, ლაშა მაჩაიძე და ბადრი ვარშანიძე ვიცე-პრეზიდენტებად მუშაობენ, დავით ლეკვეიშვილი გენერალური მდივანია. ამათ გარდა, ფედერაციის 7-კაციან პრეზიდიუმში შევიდნენ ლელა აფციაური და გიორგი მაკოევი.

26 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით სომხეთში, კერძოდ ერმაიძინში ევროპის

ჩემპიონატი გაიმართა. ქალთა ნაკრები გუნდურ პირველობაზე მეშვიდე ადგილზე გავიდა და ბაქოს 2015 წლის ევროპის პირველი თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ინდივიდუალურ პირველობაში გამოიჩინა ლაშა ფხაკაძე, ბაქოს ლიცენზიას მანაც გამოჰკრა ხელი.

4-10 აგვისტოს, პოლონეთის ქალაქმა ვროცლავმა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლა. საქართველოს ქალთა ნაკრებს მცირედი დააკლდა საპრიზო ადგილის დასაკავებლად და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

20-25 სექტემბერს, ბათუმში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ხათუნა ნარიმანიძემ პირველი ადგილი არავის დაუთმო, ქრისტინე ესებუა მეორე იყო, იულია ლოზჟანიძე – მესამე. მამაკაცთა შორის ჯაბა მოსეშვილმა ბრინჯაოს მედალი მიიღო. გუნდურ შეჯიბრებაში ქალთა ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა. შერეულ წყვილებში ქართულმა დუეტმა ბრინჯაო აიღო.

ერევანში სექტემბრის მინურულს და ოქტომბრის დასაწყისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი ნაკრების ლიდერმა ქრისტინე ესებუამ პირველი ადგილი დაიკავა, მეორე იყო იულია ლოზჟანიძე. ვაჟთა შორის პირველი ადგილი და ოქროს მედალი ლაშა ფხაკაძეს ერგო.

ალექსანდრა მაისაშვილი

უკეთესის მოლოდინში

მშვილდოსანთა წლებანდელი შედეგები უკეთესის სურვილს გვიტოვებს – ჩვენმა ჩუბინებამ სერიოზულ ტურნირებზე სათანადო შედეგები ვერ აჩვენეს, თუმცა ქალთა ნაკრებმა გაქოს ევროპის პირველი თამაშების ლიცენზია მიიღო. მთავარი ამბავი მაინც ბაისალ იწყება – მშვილდოსნები რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის ბრძოლაში ჩაერთვებიან.



მიზანი

ვერცხლის მედალი მსოფლიოს თასზე – ეს არის ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუკვაძის მონაბარი განვლილ სეზონში. მას მედლის მოპოვება გაბალაში, მსოფლიოს თასის ფინალშიც შეეძლო, მაგრამ შეცვლილი და ჩახლართული წესების გამო საქმე გაურთულდა და უმედეოდ დარჩა. ახალგაზრდებიდან გამოირჩა 14 წლის ლიზი კილაძე. ეს გოგონა ევროპის და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებზე გუდმივად საპრიზო სამეულის სიახლოვეს ტრიალებს.



ლიზი კილაძე

20-26 თებერვალი მოსკოვში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუკვაძე 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში 51 მონაწილეს შორის 377 ქულით 25-ე ადგილზე გავიდა. 20-წლამდელებში გამოვიდა 14 წლის ლიზი კილაძე. მან 10 მეტრიდან ისროლა და 381 ქულით 56 მონაწილეს შორის მე-5 ადგილი დაიკავა, რაც ლიზის ასაკის გათვალისწინებით უდავოდ კარგი შედეგია.

17 წლის ცოტნე მაჭავარიანმა სპორტული პისტოლეტით სროლაში 564 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა 50 მონაწილეს შორის და 3 ქულა დააკლდა ახალგაზრდული ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით ამერიკის ქალაქ ფორტ ბენინგში გამართულ მსოფლიოს თასზე ნინო სალუკვაძემ 25-მეტრიან დისტანციაზე სპორტული პისტოლეტით სროლაში 581 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და მოიპოვა მსოფლიოს თასის ფინალში მონაწილეობის უფლება. სალუკვაძემ 10-მეტრიან დისტანციაზეც ისროლა და 384 ქულით დაიკავა მე-5 ადგილი.

6-18 სექტემბერს ესპანეთის ქალაქ გრანადაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიზი კილაძეს ნაბიჯი დააკლდა მედლამდე. ლიზიმ ახალგაზრდებში 10-მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში 384 ქულა დააგროვა და 60 მონაწილეს შორის მე-4 ადგილზე გავიდა. კილაძის ნაჩვენები შედეგები გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს პერიოდში მან ახალგაზრდებში მედლის მოპოვებაც უნდა შეძლოს, სამომავლოდ კი უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორისაც დაიმკვიდროს ადგილი. მსოფლიოს პირველობა სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი იყო – პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში 5, ხოლო სპორტულიდან სროლაში 4 საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენი რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას იღებდა. სამწუხაროდ, ნინო სალუკვაძე ამ სიაში ვერ მოხვდა. ჩვენმა ჩემპიონმა 25-მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში 576 ქულით 27-ე ადგილი დაიკავა, პნევმატურით 377 ქულით 38-ე იყო და ამ ეტაპზე ულიცენზიოდ დარჩა. გრანადაში ახალგაზრდებში ცოტნე მაჭავარიანმაც ისროლა სპორტული პისტოლეტიდან და 570 ქულით 70 მონაწილე შორის მე-14 ადგილს დასჯერდა.

ოქტომბრის მიწურულს ბაქოში გაიმართა მსოფლიოს თასი, რომელზე გამოსვლის უფლებაც სალუკვაძემ ამერიკაში მიიღო. ნინომ საკვალიფიკაციო ეტაპი დამაჯერებლად დაძლია – 585 ქულა დააგროვა და ფინალში პირველი ადგილით შევიდა, მაგრამ ახალი წესების თანახმად, ფინალში საკვალიფიკაციოს ქულები ნულდება და მსროლელები ქულების დაგროვებას თავიდან იწყებენ. ფინალში ნინომ მესამე შედეგი აჩვენა და ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ჩინელ ჟანგ ჯინგს დაუპირისპირდა, ვისთანაც სეტების ჯამში 3:8 წააგო. ფინალში გერმანელმა მონიკა კარჩმა, მონღოლ ოტრიად გუბერმანს სძლია და ჩემპიონი გახდა.

ნიკა კოპაძე



THE GOAL

A silver medal at the World Cup is the sole achievement of the famous Georgian Olympic champion in sport shooting Nino Salukvadze for the past season. She could win a medal at the world cup in Gabala but complicated rules left her without award. Lizi Kiladze, 14, showed progress among the young shooters. She has always been a step away from awards at the world and European age-specific championships for the last years.

Nino Salukvadze won silver medal at the ISSF world cup rifle/pistol held in Fort Benning (USA). With 581 points scored after the qualifying 25-meter shootings by sport pistol Nino won the right to participate in the World Cup's final round. Salukvadze shot from 10-meter distance and took the fifth place with 384 points.

Lizi Kiladze was a few steps away from medal at the youth world championship held for September 6-18 in the city of Granada (Spain). Lizi scored 384 points in the 10-meter shootings with pneumatic pistol and was the fourth among the 60 entrants. Kiladze's results give hope for further improvements, which could lead her to medal at the coming youth contests. She has a potential to make a foothold among the sport shooters of senior age in the near future. Apart from medals, the world championship was noteworthy for the opportunity of getting Olympic licenses. The licenses were destined for five entrants with best results in shooting from pneumatic pistol and for the four best in shooting from sport pistols. Nino Salukvadze is expected to achieve this goal in the nearest license-winning tournaments. The license will give her the right to participate in her eighth Olympic Games.

NIKA KOPADZE



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაარსდა 1938 წელს როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტი გახლდათ პირველი სპორტული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ქართული სპორტის აღორძინებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან სახელოვანი სპორტსმენები, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები — დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი, გივი კარტოზია, რობერტ შავლაყაძე, მირიან ცალქალამანიძე, ავთანდილ ქორიძე, ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანევი, ვახტანგ ბლაგიძე, შოთა ხაბარელი,

2007 წელს უნივერსიტეტი დაიხურა, ბაზები გაიყიდა და ილიას უნივერსიტეტს მიუერთდა, მაგრამ 2013 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აღედგინა სპორტის უმაღლესი დაწესებულება და 64-ე განკარგულების საფუძველზე დაფუძნდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც მიზნად განესაზღვრა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება. 2014 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია, კაპიტალურად გარემონტდა და შეკეთდა ძველი შენობა, კეთილმოეწყო კაბინეტები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი – მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტები, ასევე 12 კათედრა. 2014-2015 სასწავლო წლისათვის შიდა ტურის გამოცდები ჩააბარა 136-მა აბიტურიენტმა. უნივერსიტეტში მუშაობს ცენტრები, ფუნქციონირებს აკადემიური და არააკადემიური სასწავლო კურსები, ინგლისური ენის სასწავლო და კომპიუტერული ცენტრი. სტუდენტთა სწავლისა და პროფესიული განვითარების საქმეს ემსახურება ფეხბურთის სტანდარტული მოედანი, მძლეოსნობის სექტორები და სარბენი ბილიკები, სპორტული დარბაზები, რეაბილიტაციის ცენტრი, კომპიუტერული კლასი და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომლებიც მოეწყო და აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერებით და ნივნებით.

უნივერსიტეტში ორივე მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული არიან კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესორები, აკადემიური დოქტორები, დარგის მიმართულებით სასწავლო და მეტოდური სახელმძღვანელოების, სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის 20 პროფესორი, 39 ასოცირებული პროფესორი, 36 ასისტენტ-პროფესორი და 5 ასისტენტი. დამატებითი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საიტზე www.sportuni.ge. უნივერსიტეტის შენობაში ფუნქციონირება დაიწყო სპორტის კოლეჯ-მაც. კოლეჯში სტუდენტები 3 სპეციალობას შეისწავლიან, ესენია – მწვრთნელი, სამკურნალო მასაჟი და სამთო გამყოლი. იგეგმება კიდევ 3 სპეციალობის დამატება – კორესპონდენტ-ფოტოგრაფის, ადაპტური ფიზიკური აღზრდელი და მამველი.

სპორტის უნივერსიტეტი: სწავლა დაიწყო!

განახლებულ და აღდგენილ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტში 2014 წლის 29 სექტემბრიდან სასწავლო პროცესი დაიწყო.



ლერი ხაბელოვი, ნინო სალუქვაძე, გიორგი ასანიძე, რევაზ მინდორაშვილი, ზურაბ ზვიდაური, ტიტულოვანი მოჭიდავეები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები – ვახტანგ ბალავაძე, გოგი სხირტლაძე, მუხრან ვახტანგაძე, რამაზ ნოზაძე, მოცურავე – ბორის ნიკიტინი, მაგიდის ჩოგბურთელი – სარქის სარხოიანი, ფეხბურთელები – ბორის სიჭინავა, ნოდარ ლეჟავა, გოჩა გავაშვილი, გიორგი დემეტრაძე, მურთაზ შელია, ველომრბოლელი ომარ ფხაკაძე, მძლეოსნები ნინო დუმბაძე, საიდა გუმბა, მაია აზარაშვილი, მარიამ ქვეციშვილი, წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე, კალათბურთელი ოთარ ქორქია, მოთხილამურე კობა ნაქაძე, წყალში მხტომელი ლიანა ცოტაძე, მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვები.

თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე უნივერსიტეტმა გამოუშვა 20 000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა დიდი ნაწილი მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობს; აკადემიის დიპლომი დღესაც აღიარებულია მთელ მსოფლიოში. სპორტული შედეგების თვალსაზრისით, აკადემიის კურსდამთავრებულები 19 ოლიმპიური ოქროს, ასევე მსოფლიო და ევროპის ოქროს მედლების მფლობელები არიან.

უნივერსიტეტის სტუდენტებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილე თამაზ თევზაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გურამ ძაგანია ვეტერან სპორტსმენებთან, ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს.

მოცურავეებმა საერთაშორისო ტურნირებზე არაერთი მედალი მოიპოვეს, აკაკი ვაშაკიძემ ნანძინის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე მე-14 ადგილი დაიკავა, ირაკლი ჩევიშვილმა კი ბანსად ყაზანში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ნორმატივი შეასრულა. მსოფლიოს პირველობა თავის მხრივ, რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებს გასცემს. ახლა ყველაფერი ჩემპიონის ოსტატობაზეა დამოკიდებული – მან ოლიმპიადზე გამოსვლის შანსი მიიღო, ამ შანსის გამოსაყენებლად კი ყველაფერი უნდა გაიღოს.



აკაკი ვაშაკიძე



ირაკლი ბოლქვაძე (მარჯვნივ)

ახალი თაობის მედლები

23-26 აპრილს დუბაის საერთაშორისო ტურნირზე თეიმურაზ კობახიძე 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ფინალში გავიდა და მეორე ადგილი მოიპოვა, მანვე 200 მეტრზე ფინალში შესვლა და მე-4 ადგილის დაკავება შეძლო. 50 მეტრზე კი სულაც საუკეთესო იყო – ჩემპიონი გახდა. ირაკლი რევიშვილი 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მე-9 ადგილს დასჯერდა, 400 მეტრზე კი – მეოთხეს. ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბოლქვაძემ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა. 200 მეტრზე ბრასით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ბრინჯაო მოიპოვა. ახალგაზრდებში აკაკი ვაშაკიძემ 200 მეტრზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. რუსუდან გოგინაშვილი 50 მეტრით ბრასით ცურვაში ჩემპიონი გახდა, ხოლო 100 მეტრზე იგივე დისციპლინაში ბრინჯაო მიიღო. მანვე 100 მეტრზე ბატერფლაით ოქრო მოიპოვა, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც პირველი იყო. ირაკლი კვარაცხელია 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ბრინჯაოს დასჯერდა. 14-17 მაისს, ბრესტში გამართულ ბელარუსის ლია ჩემპიონატზე ირაკლი რევიშვილი 200 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მესამეზე გავიდა, 400 მეტრზე კი 4:58.86 აჩვენა და ფინალში მე-3 ადგილი დაიკავა, რითაც შესარულა კიდევ 2015 წელს ყაზანში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის სალიცენზიო ნორმატივი. თეიმურაზ კობახი-

ძემ 100 მეტრი ბატერფლაით 55.31 წამში გაცურა და ფინალში მე-6 ადგილი დაიკავა, 50 მეტრზე იგივე სტილით 24.91 წამში გაცურა და მე-5 იყო. მნიშვნელოვანია, რომ ორივე შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია. კობახიძემ ამავე დისციპლინაში, ოღონდ 200 მეტრზე ვერცხლის მედალიც მოიპოვა. ამავე პერიოდში ბელარუსის ქალაქმა ნოვოპოლოცკმა ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, სადაც ჩვენმა მოცურავეებმა იმდენი მედლები მოიპოვეს კაცი ვერ დათვლის. რუსუდან გოგინაშვილი 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით და 200 მეტრზე კომპლექსურში ოქროს შესწავდა. მერი მუმლაძე 50 და 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით გაჩემპიონდა, 200 მეტრზე კომპლექსურში მე-2 ადგილს დასჯერდა. ელენე ბერაია 50 და 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ვერცხლი ირგუნა. ლევან ბახტურიძემ 50 და 100 მეტრზე ბრასით იჩემპიონა, ირაკლი კვარაცხელიამ სულაც 3 ოქრო აიღო – 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით და 200 მეტრზე კომპლექსურში. ქეთევან გაგინიძე 100 მეტრზე ბრასით ოქროს, ხოლო 50 მეტრზე ვერცხლს შესწავდა. ლუკა პატარაია 100 მეტრზე ბატერფლაით ბრინჯაოს გამორჩა, რატი კერვალიშვილი 100 მეტრზე ბრასით ასევე ბრინჯაოს. 4X50 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ჩვენმა გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა.

8-12 აპრილს ქალაქ ბრესტში გამართულ ბელარუსის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენი მოცურავეებიც გამოვიდნენ – აკაკი ვაშაკიძემ 200 მეტრზე ბატერფლაით პირველი ადგილი დაიკავა და შესარულა ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების „ნანძინი-2014“-ის სალიცენზიო ნორმატივი. 19-20 ივლისს სლოვენის ქალაქ რადოვლიცაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ვაშაკიძე 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაჩემპიონდა, ასევე ჩემპიონი გახდა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ეს ბიჭი გამოირჩევა სტაბილურობით, საერთაშორისო ტურნირებზე მუდმივად საპრიზო სამეულში ტრიალებს და სპეციალისტები მისგან სამომავლოდაც ბევრს ელიან. რუსუდან გოგინაშვილმა ბრასით 200 მეტრზე პირველი, ხოლო 100 მეტრზე მეორე ადგილი ირგუნა. მერი მუმლაძე 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მე-2 იყო. გიორგი თხელიძემ 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში ვერცხლი დაისაკუთრა. ლევან ბახტურიძემ 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში ოქრო აიღო, 200 მეტრზე ბრინჯაო. ალექსანდრე ლომიძე 50 და 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში ვერცხლის მედლებს დასჯერდა. ქეთევან გაგინიძეს 100 მეტრზე ბრასით ბრინჯაო ერგო.

ნიკა კოპალიანი



➔ ლევან საგინაშვილი (მარჯვნივ)



ბოლიათის მსოფლიო

მკლავჭილელმა ლევან საგინაშვილმა პრესტიჟულ მკიმი წონაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა – მისი გამარჯვებული ვერც მარცხენა და ვერც მარჯვენა მკლავით შეჯიბრებაში არავინ გამოჩნდა. საერთოდ, ჩვენამდე მკლავჭილელებმა სეზონი უხვემდღიანად დაასრულეს – 20 ოქრო, 20 ვერცხლი და 14 ბრინჯაო – ასეთიან ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მონაგარი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ვერფარს იტყვი, საუკეთესო შედეგია – მკლავჭილელებმა ბულგარეთის მოლოდინი ამჯერადაც გაამართლეს.



➔ იმედა ჭინჭარაული

მაისში ბაქოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების წევრებმა ჯამში 28 მედალი – 6 ოქრო, 15 ვერცხლი და 7 ბრინჯაო მოიპოვეს. უფროსი ასაკის პროფესიონალ სპორტსმენებს შორის ევროპის ჩემპიონები გახდნენ ვილენ გაბრავა (60 კგ, მარცხენა მკლავი) და ჯამბულ ვიბლიანი (65 კგ, მარჯვენა მკლავი), ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვილენ გაბრავამ (მარჯვენა), ჯამბულ ვიბლიანმა (მარცხენა), ვეფხია სამხარაძემ (75, მარჯვენა), ირაკლი გამთენაძემ (90, მარჯვენა), ლევან საგინაშვილმა (+110, მარჯვენა); ნიკოლოზ წერეთელმა (70) მარჯვენა მკლავით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 21-წლამდელებმა საქართველოს დელეგაციას 4 ოქროს მედალი მოუტანეს. იმედა ჭინჭარაულმა (55) ორი პირველი ადგილი დაიკავა (მარცხენა და მარჯვენა მკლავით). მას მხარი აუბეს დავით თენიაშვილმა (90, მარჯვენა) და ვალერიან მელაძემ (80, მარცხენა). მეორე ადგილებზე გავიდნენ გიორგი ჯამიაშვილი (60, მარჯვენა), გურამ

აბულაშვილი (70, მარცხენა, მარჯვენა), დავით თენიაშვილი (+90, მარცხენა). ბრინჯაოს მედლებს ზაურ ხუბიაშვილი (60, მარჯვენა) და ელჩინ ბინატოვი (85, მარცხენა, მარჯვენა) დაუფლნენ. 18-წლამდელებში ვერცხლი ერგოთ ალექსი ზაურაშვილს (60, მარჯვენა), ზურაბ იმერლიშვილს (65, მარცხენა), გიორგი გოგიჩაიშვილს (80, მარცხენა), თორნიკე გიგაურს (70, მარჯვენა). გიგაურმა მარცხენათი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ვეტერანებში მეორე იყო ლადო ხუციშვილი (90, მარჯვენა). მანვე მარცხენათი ბრინჯაოს გამოჰკრა ხელი, როგორც გელა ბექაურმა (90, მარჯვენა) და პაატა მახარაშვილმა (70, მარცხენა). შეზღუდული შესაძლებლობის სპორტსმენთა პაექრობაში ბესიკ ლეკიაშვილი (75) ცაციათი მეორე იყო.

16-20 სექტემბერს ვილნიუსში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა სპორტსმენებმა 26 მედალი (14 ოქრო, 5 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) მოიპოვეს. 46 ქვეყანას შორის საქართველომ გაუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა, ოქროთა რაოდენობით კი, მხოლოდ პირველადგილოსან რუსეთს ჩამორჩა. გამოსარჩევია ქართველთა გამოსვლა უმსუბუქეს და მძიმე წონებში. იმედა ჭინჭარაულმა ახალგაზრდებში მოპოვებულ ოქრო-ვერცხლს, უფროსებში ერთი ოქროც მიამატა და სამშობლოში 3 მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა. 60 კგ წონით კატეგორიაში სასიამოვნოდ გაგვაკვირვა გელა არაბულმა – 40 წლის ხევსურ სპორტსმენს წინა ტურნირებზე ოქრომდე სულ ცოტა აკლდებოდა, ამჯერად კი, ყველა დაჩაგრა და 40 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. მძიმეწონოსანი ლევან საგინაშვილის გამჩერებელი მთელ დუნიაზე არ გამოჩნდა. ქართველმა გოლიათმა უპრესტიჟულეს მძიმე წონაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა – მეტოქეები მარჯვენა და მარცხ-

ენა მკლავით დაჯაბნა. ფინალურ შეხვედრაში მარჯვენა მკლავით ბულგარელი გიორგი ცვეტკოვი დაამარცხა, მარცხენა მკლავით კი – თურქი ფერიტ ოსმანი. გარდა ამისა, უფროსებში მარცხენა მკლავით ვერცხლი ვილენი გაბრავამ (60კგ), ბრინჯაო კი რაჩო გახარია (100კგ) მოიპოვეს. მარჯვენა მკლავით იჩემპიონეს ალექსი ფრენუაშვილმა (55კგ) და გელა არაბულმა (60კგ), ჯამბულ ვიბლიანი კი ვერცხლის მედალოსანი გახდა (65კგ).

ახალგაზრდებში ჭინჭარაულის გარდა მარცხენა მკლავით იყოჩაღეს გიორგი ჯაშიაშვილმა (55კგ, ბრინჯაო), გურამ აბულაშვილმა (65კგ, ვერცხლი), მერაბ კაკაბაძემ (-75კგ, ოქრო), ვაკო მელაძემ (-80კგ, ოქრო), ელჩინ ბინატოვმა (85კგ, ოქრო) და დათო თენიშვილმა (+90კგ, ბრინჯაო). მარჯვენა ხელით გამოიჩინეს გიორგი ჯაშიაშვილი (55კგ, ოქრო), იმედა ჭინჭარაული (55კგ, ვერცხლი), ლევან პოლოსიანი (60კგ, ბრინჯაო), გურამ აბულაშვილი 65კგ, ოქრო), ზაზა ოქროცვარიძე (75კგ, ვერცხლი), ვაკო მელაძე (80კგ, ოქრო) და ელჩინ ბინატოვი (85კგ, ბრინჯაო). ჭაბუკებში მარცხენა ხელით მედლები დაისაკუთრეს თორნიკე გიგაურმა (70კგ, ოქრო) და ნიკო ბაჯალაძემ (+80კგ, ოქრო); მარჯვენა მკლავით კი – ალექსი ზავრაშვილმა (60კგ, ოქრო) და თორნიკე გიგაურმა (70კგ, ბრინჯაო).

7-12 ოქტომბერს, პოლონეთის ქალაქ პუცკოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა შორის გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბესიკ ლეკიაშვილმა 80 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელით ოქროს, ხოლო მარცხენათი ვერცხლის



მედალი მოიპოვა. მემარჯვენეთა შორის ფინალურ შეხვედრაში ლეკიაშვილმა ინდოელი დალჯუტ სინგხი დაამარცხა და ჩემპიონი გახდა, მარცხენა მკლავით კი მან ფინალური ორთაბრძოლა ნორვეგიის წარმომადგენელ იორნ ერივიკ კიელშესთან დათმო და ვერცხლი მოიპოვა.

ლევან საგინაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი): „ბედნიერი ვარ. ექვსწლიანი დაუღალავი შრომა დამიფასდა და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. არადა, ჩემგან პირველობას არავინ ელოდა, ფავორიტები სხვები იყვნენ. მძიმე წონაში ერთმანეთზე ტიტულიანი ბიჭები გამოდიოდნენ, ყველა ორთაბრძოლა მძიმე გამოვიდა. მოვიინდომე, ბევრი ვიბრძოლე და ქართველი გულშემატიკივარი გავახარე – ამაყი ვარ“.

ნიკა კოპალიანი

VICTORY IN THE MOST PRESTIGIOUS WEIGHT CLASS

Georgian arm-wrestler Levan Saginashvili won two golden medals in the prestigious heavy weight at the world championship. Levan was unbeatable either in the left or right arm wrestling. Georgian arm-wrestlers finished the season with an ample set of medals. The national, youth and junior teams won total 20 golden, 20 silver and 14 bronze awards at the world and Europe championships. It is obvious that the result is excellent. Georgian arm-wrestlers met expectations of their fans once again.

Members of the Georgian youth and junior national teams won 28 medals (6 golden, 15 silver and 7 bronze) at the Europe championship held in Baku this May.

Vilen Gabrava (60 kg, left arm) and Jambul Vibliani (65 kg, right arm) became champions of Europe in the senior group of professionals. Members of U-21 team brought the Georgian delegation four golden medals. Imeda Chincharauli (55 kg) was the first in the both left and right arms wrestling. David Teniashvili (90 kg, right arms) and Valerian Meladze (80 kg, left arm) repeated the success of their teammate.

The following world championship in Vilnius ended with 26 medals (14 gold, 5 silver and 7 bronze) won by Georgian entrants. Georgia won the fourth place in the team contest among the 46 countries and was the second by the number of golden medals after the winner Russian team.

The performance of Georgian team in the flyweight and heavyweight was remarkable. Imeda Chincharauli (55 kg) added the golden medal won in the senior group to the golden and silver gained in the youth contest and came back to Georgia as holder of three medals. Forty-year-old Gela Arabuli (60 kg) pleasantly surprised by winning the world championship. He has always been a step away from golden medal at the previous tournaments. The heavyweight Levan Saginashvili was truly unbeatable at the world championship. He beat Bulgarian Giorgi Tsvetkov with right arm and Turkish Ferit Osmanly with left in the final contest.





თბილისური ევროკა

თბილისა ივნისში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის თაგვაცთა ბამონწვევას ღირსეულად დაწხვდა და ევროპირკველობა ლაზათიანად ჩათარა. ევროკული ფარიკაობის მამეზბა ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო მხარე დადებითად შუფასეს, რაც სამომავლოდ სხვა საერთაშორისო ტურნირების მიღების წინაპრობაა. ჩვენთვის მთავარი ამბავი კი ტურნირის დაწყებას მოჰყვა, როცა 21 წლის სანდრო ბაზაძე ევროკული ოქრო, ქართველბა ქომავბა კი საქართველოს ჰიმნი მიიღო.

1-5 მარტს ისრაელში გამართულ კადეტთა და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა მოფარიკავეებმა ვერც ინდივიდუალურ და ვერც გუნდურ პირველობაში გამორჩეული შედეგი ვერ აჩვენეს. ახალგაზრდებში, ხმალში სხეებზე უკეთ მიხეილ მარდალეიშვილი გამოვიდა და 22-ე ადილს დასჯერდა. კადეტებში კი გივი მერკვილაძის (ხმალი) 28-ე პოზიცია იყო სხეებზე უკეთესი. გუნდურ შეჯიბრებაში ახალგაზრდებს შორის კი საქართველოს სახელით მიხეილ მჭედლიშვილი, საბა სულამანიძე და დავით უკლება გამოვიდნენ და მე-7 ადგილი დაიკავეს. ქართველებმა 1/8-ფინალში პოლონეთი 45:40 დაამარცხეს, 1/4-ფინალში კი

საფრანგეთთან 34:47 დამარცხდნენ და მე-7 ადგილისთვის შეხვედრაში დაძაბულ პაექრობაში გერმანიასთან 45:42 გაიმარჯვეს.

5-10 აპრილს ბულგარეთის ქალაქ პლოვიდოში კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. 63 ქვეყნის მუშეკეტერებს შორის პაექრობაში ჩვენი სპორტსმენებიც ჩაებნენ. კადეტთა შორის ნიკოლოზ შენგელიამ იყოჩაღა, მე-9 ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მიიღო.

ახალგაზრდებში მიხეილ მარდალეიშვილის ხმლით დაკავებული 35-ე ადგილი სხეებზე უკეთ ჩანს, თორემ ცხადია ქომავს გულს ვერაფრით უხარებს. ასევე ხმლით

გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მე-15 ადგილზე გავიდა.

11-15 ივნისს საფრანგეთის ქალაქ სტარასბურგში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. აქ მოფარიკავეები უფერულად გამოვიდნენ. სხეებზე შეტად გულდასაწყვეტი სანდრო ბაზაძის 27-ე ადგილია. სანდრო სულ 21 წლისაა და ევროპის ჩემპიონატზე, გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, გამობრძმედილ, ნაცად მეტოქებთან ჭიდილში გამარჯვების მოპოვება ვერ კიდეე უჭირს. ჩვენი ნაკრები გუნდურ პირველობაშიც გამოვიდა და 1/8-ფინალში ბელარუსთან 39:45 დამარცხდა.

24-28 ივნისს სპორტკომპლექსმა „არენამ“ 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას ამხელა გამონვევა არ ჰქონია – ასეთი დონის ტურნირი პირველად მიიღო და საორგანიზაციო საკითხებს თავი კარგად გაართვა. თბილისში 20-მდე ქვეყნის 150 მოფარიკავე შეგროვდა და საუკეთესოები ხმალში, რაპირაში და დაშნაში გამოავლინა.

საქართველოს ნაკრებისთვის ევროპირველობის საწყისი დღე წარმატებული გამოდგა – 21 წლის სანდრო ბაზაძე ევროპის ჩემპიონი გახდა. ხმალში ვაჟთა ტურნირს 29 მონაწილე ჰყავდა და მათგან 4 ქართველი გაზღდათ: სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარ-

დალეიშვილი, საბა სულამანიძე და ლუკა ობოლაძე. ბაზაძემ ჯგუფში ხუთი მეტოქე დაამარცხა – არტსიომ კარაბინსკი (ბელორუსი, 5:1), იაკუბ ოკინსკი (პოლონეთი, 5:4), ტოდორ კუკუ (რუმინეთი, 5:2), ჰუსეინ დუდაშოვი (აზერბაიჯანი, 5:1), ბრინმორ საუნდერსი (დიდი ბრიტანეთი, 5:3) და პლეი ოფში პირველ ნომრად გავიდა, შესაბამისად, საწყის რაუნდში დაისვენა, შემდეგ კი თურქ აჰმედ-იბრაჰიმ ანტის (15:7), იტალიელ ლეონარდო აფედეს (15:13) მოუგო და ნახევარფინალში ასევე იტალიელ ლუკა კურატოლის დაუპირისპირდა. აპენინელთან პაექრობა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა – ხან ერთი მეტოქე იყო წინ, ხან – მეორე. შეხვედრის მიწურულისთვის ბაზაძე ორი ჩხვლეტით დანინაურდა – 14:12. კურატოლიმ შეძლო ძალების მობილიზება და წონასწორობა აღადგინა – 14:14. ბოლო შეტევაში სანდრომ იმარჯვა და ტიტულიანი მოწინააღმდეგე 15:14 დაამარცხა. მეორე ნახევარფინალში 20-წლამდელებში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ალექსანდრ ტრუშაკოვმა (რუსეთი) ბელორუს სიარპეი შაჩანინს აჯობა – 15:12. ფინალში სანდრო თავიდანვე 3:0 დანინაურდა, მერე ანგარიშში სხვაობა სულაც რვაზე გაზარდა (11:3), საბოლოოდ კი, 15:7 გაიმარჯვა და საქართველოს ჰიმნი ააჟღერა. ბრინჯაოს მედლები იტალიელმა ლუკა კურატოლიმ და ბელარუსმა სერჰეი შაჩანინმა დაისაკუთრეს. საბოლოო ცხრილში მე-9 პოზიცია ერგო მარდალეიშვილს, სულამანიძე მე-16 ვახლდათ, ხოლო ობოლაძე – 24-ე. საქართველოს 4 წარმომადგენელი ჰყავდა ქალთა დაშნაშიც, თუმცა, მათ გაცლილებით სუსტი შედეგები აჩვენეს: 23-ე – მარია ზაკირჩენკო; 24-ე – ნიცა იაგორაშვილი; 26-ე – ქრისტინე მიქაძე; 30-ე – ანა ბიბიჩაძე.

ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ორი დღე გუნდურ შეჯიბრებებს დაეთმო. ნახევარფინალში საქართველოს მოხმალავთა ნაკრების (სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ლუკა ობოლაძე) რუსებთან ორთაბრძოლამ დიდხანს გასტანა. ჩვენები 39:45 დამარცხდნენ. ბრინჯაოს მედლისთვის საქართველოს ნაკრები იტალიელებისგან ძლეულ (45:38) ბელორუსებს დაუპირისპირდა, 45:35 აჯობა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფინალში იტალიამ რუსებს 45:42 მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

ოქტომბერში თურქეთის ქალაქ ბურსაში გამართულ მსოფლიოს თასზე ჩვენმა მუშკეტერებმა ორი მედალი მოიპოვეს – ჩემპიონი ბექა ბაზაძე გახდა, ვერცხლის მედალი კი 15 წლის ნიკა შენგელიამ დაისაკუთრა.

ნიკა კოპაძე

THE VICTORY WITH GEORGIAN ANTHEM

TBILISI HOSTED THE U-23 EUROPEAN CHAMPIONSHIP. THE GEORGIAN SPORTS COMPLEX “ARENA~ PLAYED HOST TO THE U-23 EUROPEAN CHAMPIONSHIP FOR JUNE 24-28. AS MANY AS 150 FENCERS FROM 20 COUNTRIES ARRIVED IN TBILISI. THE CHAMPIONSHIP REVEALED THE BEST IN THE CONTESTS WITH SABER, FOIL AND ÉPÉE.

The Georgian Federation of Fencing was up-to the mark in organizing this important European tournament. The European leaders of fencing gave positive assessment to the organizational component of the European championship in Tbilisi. This positive assessment can be considered a precondition of hosting other important international tournaments. Certainly, the most important event of the tournament was the golden medal won by the 21-year old Georgian fencer Sandro Bazadze who pleased Georgian fans by the Georgian anthem played in honor of his victory.

The first day of the European championship turned out successful for the Georgian national team. Sandro Bazadze became champion of Europe. There were 29 entrants in the men saber individuals and four of them were Georgians – Sandro Bazadze, Mikheil Mardaleishvili, Saba Sulamanidze and Luka Oboladze.

Bazadze beat five contestants in his group. Then he defeated (15:7) Ahmed Ibrahim Anti (Turkey) and the Italian Leonardo Afede (15:13). Semifinal match brought him together with the Italian Luca Kuratoli. The duel went off with alternating advantage. Bazadze advanced 14:12 by two shots. Kuratoli managed to equalize the score 14:14.

Sandro, however, succeeded in the last attack and defeated the challenger with narrow margin 15:14. Alexander Trushakov (Russia), bronze medalist of the U-20 world championship, defeated 15:12 Siarhei Shachanin (Belarus) in the other semifinal. The final duel Bazadze vs. Trushakov started with the advance of the Georgian fencer 3:0. Then Sandro increased his advantage to 11:3 and finally won the duel 15:7. The Georgian national anthem accompanied his victory.

Team contests occupied the last two days of the championship. The semifinal match between Georgian and Russian national saber men’s teams lasted too long. The Georgian team represented by Sandro Bazadze, Mikheil Mardaleishvili, Saba Sulamanidze and Luka Oboladze lost the duel 39:45. Then Georgian team played against Belarus, which had lost (45:38) the game with the Italian team before. The Georgians won the duel 45:35 and grabbed bronze medal. Italia beat Russia 45:42 in the final and took the first place.

Georgian fencers won two medals at the world cup in Bursa (Turkey). Beka Bazadze won golden medal. His younger 15-year old teammate Nika Shengelia gained silver.

NIKA KOPADZE



ბედლის კასი

სანდრო ბაზაქი – 21 წლის მოფარიკავე, რომელმაც მოასწრო ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება და ახლა რიოს ოლიმპიურ ლიცენზიას უმიზნებს. სანდრო ახალი თაოზის სპორტსმენებიდან ერთ-ერთი გამოჩენილია. მან იცის თავისი საქმი და შრომის ფასი. დაუზარლოვას, სიბავჯითეს, მიზანსწრაფულობას სპორტში განუზომლად დიდი ფასი აქვს. სანდროსთან ინტერვიუ აველი აგვაპით დავიწყეთ.



– ჩემი ოჯახი ქუთაისიდან არის. მე კი თბილისში დავიბადე და გავიზარდე. სპორტზეც აქ მივედი. თავიდან ფეხბურთზე დავდიოდი, 35-ე სკოლაში დავით ხიზანიძის მიერ მავარჯიშებდა. მამა მოფარიკავეა და, რა გასაკვირია, რომ მეც ფარიკაობისკენ მიბიძგებდა, თუმცა თავიდან გავფიქვტდი. 15 წლის ვიყავი, როცა მამამ სანადელს მიაღწია – დარბაზში შემიტყუა. ფარიკაობით მოვიხიბლე და დავრჩი. მალევე გემო პირველ მედალს გავუგე, საქართველოს პირველობაზე ვიყოჩაღე, ერთ მედალს მეორე მოჰყვა და დღეს ფარიკაობის გარეშე თავი ვერც წარმომიდგენია – ჩემი ცხოვრების ნაწილია.

– ფარიკაობაზე საკმაოდ გვიან 15 წლის მიხვედი, თუმცა ასეთ მცირე დროშიც შექელი პროფესიონალ სპორტსმენად ჩამოყალიბება და ასაკობრივი ევროპის ჩემპიონატების მოგება. ვინ დაგეხმარა ყველაზე მეტად, ვინ ითამაშა გადამწყვეტი როლი შენს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში?

– მამამ, მერაბ ბაზაქემ. ფარიკაობაზე მისი თხოვნით მივედი, ჩემი მწვრთნელია და ჩემთან ერთად ძალიან ბევრს მუშაობს. შეჯიბრებაზე გავდივარ და სულ იმას ვფიქრობ, როგორ ნერვიულობს, როგორ განიცდის. მინდა გავიმარჯვო და შრომა დავუფასო. მასთან ერთად მუშაობა ორმაგად საინტერესოა.

– წლეულს თბილისში გამართული 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგე. სპორტსმენისთვის საკუთარ ქვეყანაში გამოსვლას ყოველთვის დამატებითი დატვირთვა აქვს.

– თავისთავად. ევროპირველობისთვის განსაკუთრებულად მოვემზადე. ძალიან

მინდოდა თბილისში გამარჯვება და ქომავის გახარება. ყველაზე მძიმე იტალიელ ლუკა კურატოლისთან ნახევარფინალური შეხვედრა გამოდგა. 14:14-ზე ცოტა ავნერვიულდი, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და გავიმარჯვე. ფინალში რუს ალექსანდრ ტრუშაკოვთან არც მინერვიულია, დამაჯერებლად მოვიგე.

– სპორტში და მით უმეტეს, ფარიკაობაში ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ემოციებს აყვები, ნერვებს ვერ მოთოკავ და დისჯუბი. ამ კუთხით თუ ემზადები შეჯიბრებაზე გასვლამდე?

– ყოველთვის. ფსიქოლოგიური მზადყოფნა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია წარმატების მოსაპოვებლად. ამ მიმართულებით ფსიქოლოგთანაც ვმუშაობდი და სხვათა შორის, ძალიან ნამდგა. უფრო თავდაჯერებული გავხდი, საკუთარი ძალების ვირწმუნე. თუმცა, ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოცდილებაა – ვხედავ, რომ მოვუმატე და მეტი შემიძლია, ამიტომ საკუთარი თავისგან ბევრს ვითხოვ.

– ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული მედალი კარგია, მაგრამ მთავარი მაინც ოლიმპიდაა. რიოს ოლიმპიადის ლიცენზიისთვის გადამწყვეტი ბრძოლები გაისად გელის.

– მსოფლიოს რეიტინგში 23-ე ვარ. ოლიმპიდაზე 16 საუკეთესო მიდის, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ერთი ქვეყნიდან მხოლოდ 2 სპორტსმენს შეუძლია ოლიმპიდაზე გამოსვლა, მაშინ როცა რეიტინგში ჩემს წინ მყოფი მოფარიკავეებიდან რუსეთს, კორეას, იტალიას 3 და 4 სპორტსმენიც კი ჰყავთ, ეს ჩემს შანსს ზრდის და მგონი ახლაც შევდივარ 16 საუკეთესოში, მაგრამ მთავარი მაინც გაისად მელის. 8

მსოფლიოს თასი, 4 გრან-პრი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი, ყველა ამ შეჯიბრებაზე სარეიტინგო ქულები დარიგდება და თავი მაქსიმალურად კარგად უნდა წარმოვაჩინო.

– მთავარ კონკურენტებად მაინც ვის მიიჩნევ, ყველაზე უხერხული მეტოქე ვინ არის?

– უნგრელი ოლიმპიური ჩემპიონი აარონ ზილაგი და რუსი ალექსეი იაკიმენკო. სხვებსაც ვერ დავივინყებ, იგივე იტალიელი მოფარიკავე, ვისაც თბილისში ნახევარფინალში ვაჯობე – კარგი ბიჭია. ოლიმპიადის საგზური მოვიპოვო და მერე ყველაფერი შეიძლება, ერთი შეხვედრა ყველას შეიძლება მოუგო.

– პროფესიონალი სპორტსმენის ცხოვრება დატვირთულია – ორჯერადი ვარჯიში, შეჯიბრება, გამუდმებით გზაში ყოფნა, მერე ძალების აღდგენაზე ზრუნვა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. ასეთი განრიგის ფონზე, სპორტის გარდა რამეს თუ ასწრებ?

– ერთადერთი თავისუფალი დღე კვირა მაქვს. მაშინაც მინდა, რომ დავისვენო, ძალები აღვიდგინო. დრო სწავლისთვისაც არ მრჩება, წლეულს მისაღებ გამოცდაზეც ვერ გავედი, თბილისში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი პერიოდი გუნდურ შეჯიბრებას დაეთმო, ჩემი გამოცდაც მაინცდამაინც ამ დროს დავმთხვა, ისე დავრჩი – ნაკრებს ვერ ვულალატე. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობ, ეს საქმე მიყვარს და გამომდის. ყურებაც მზიბლავს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვქობავობ.

ლექსო მაისურაქა



ბექა ღვინიაშვილის სიურპრიზი

საქართველოს ფალავანი 19 წლისაა



90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე 19 წლის ძიუდოისტმა თბილისის ცირკში გამართულ ფინალში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი დაამარცხა და ტიტულთან ერთად ავტომატურად „პორშე კაიანს“ დაეუფლა. ოქრუაშვილს 5 ათასი ლარი გადაეცა. ხოლო მესამე ადგილზე გასულ დავით ლორიაშვილს – 3 ათასი ლარი.

დრამატულ ფინალურ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა, როდესაც ბექა ღვინიაშვილის ილეთი მსაჯებმა 2 ქულით შეაფასეს, საბოლოო ანგარიში 4:3 დაფიქსირდა და ფალავნის ტიტული ახალგაზრდა ღვინიაშვილს ერგო,

აბსოლუტური ფალავნობის დანყებამდე ჩემპიონ-პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში: 80, 90, 100 და +100 კილოგრამებში გამოვლინდნენ და უმთავრესი ტიტულისთვის ბრძოლა სწორედ ამ წონების მედალოსნებმა გააგრძელეს, წონით კატეგორიებში გამარჯვებულ და პრიზიორ სპორტსმენებს კი ფულადი პრიზები გადაეცა. წლევეანდელი ფალავნობის ჯამური საპრიზო თანხა 70 ათასი ლარი იყო.

ფალავნობის წლევეანდელი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა. ფალავნობაში მონაწილეობა 80-მდე სპორტსმენმა მიიღო, მათ შორის იყვნენ უცხოელი მოჭიდავეებიც.





ევროპული მკლეოსნობა თბილისში

მას უმადობ, რაც საქართველოს მკლეოსნობის ფედერაციამ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო და ჩვენი ძველი მკლეოსნებისთვის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის - არენის კეთილმოწყობას მივყავართ, სპორტის ამ სახეობის განვითარების გზაზე კვლავ სანდოდასოვი პერიოდს ჩაეყარა საფუძველი.



2014 წლის მთავარი მკლეოსნური ამბებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ის წარმატებები, რასაც მკლეოსნობის ფედერაციამ საერთაშორისო დონის ტურნირების თბილისში ორგანიზების მხრივ მიაღწია.

ეს გახლავთ ევროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე ლიგის მასპინძლობა 2014 წელს და 2016 წლის ევროპის მკლეოსნობის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩატარების უფლების მოპოვება. თუ ამ ყველაფერს 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს დავუმატებთ, სადაც მკლეოსნობა ერთ-ერთი დომინანტია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ მკლეოსნობას უმნიშვნელოვანესი გამოწვევების პერიოდი უდგას.

ევროპის ჩემპიონატი მესამე ლიგის გუნდებს შორის 21-22 ივნისს „დინამო არენასა“ და დილოში მდებარე მკლეოსნობის ახალს ტადიონზე გაიმართა. მკლეოსნური შეჯიბრები, რომელშიც საქართველოსთან ერთად ევროპის 14 ნაკრები მონაწილეობდა, კვიპროსის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. გუნდურ ჩემპიონატში მე-2 ადგილზე გავიდა ისლანდიის ნაკრები და შესაბამისად, რანგით უფრო მაღალი, მეორე ლიგის საგზური სწორედ კვიპროსმა და ისლანდიამ მოიპოვეს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენი გუნდი მხოლოდ მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა. ქართველთაგან საუკეთესოები იყვნენ – 110 მეტრზე თარჯრბენში დავით ილარიანი, 400 მეტრზე რბენაში ნიკა კარტავეცივი (ორივე მეორე ადგილი), 100 მეტრზე რბენაში ბაჩანა ხორავა და 3000 მეტრზე წინაღობებით სირბილში გიული დეკანაძე (ორივე მესამე ადგილი).

ევროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე ლიგის ორგანიზებამდე, ქართული მკლეოსნობისათვის და მათი გულშემმატკივრებისათვის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გაჟღერდა – 3 მაისს, გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ევროპის მკლეოსნობის ფედერაციის კონგრესი შედგა, სადაც საქართველო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად იბრძოდა.

საქართველოს მთავარი კონკურენტ იტალია იყო, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ 2016 წელს ევროპის მკლეოსნობის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვა. ჩემპიონატი 2016 წელს ევროპაში პირველად ჩატარდება და საქართველო ისტორიაში შევა, როგორც ასევე პირველი ქვეყანა, რომელიც ევროპის მკლეოსნობის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.



სპორტული სეზონი კი მძლეოსნებისათვის ტრადიციულად ზამთრის ღია ჩემპიონატით გაიხსნა, სადაც მონაწილეობა 200-ზე მეტმა სპორტმენმა მიიღო. 2014 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის ერთგვარი რეპეტიცია იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლატვიის 100-მდე ათლეტის მონაწილეობით გამართული „კავკასიის თასის“ ღია გათამაშება, რომელსაც თბილისის მძლეოსნობის სასახლემ თებერვალში უმასპინძლა. განახლებულ სასახლეში მედლების 16 კომპლექტი გათამაშდა, საიდანაც საქართველოს სპორტსმენებმა 10 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.


ქართველი მძლეოსნებისთვის თებერვლის პერიოდი დატვირთული გამოდგა საერთაშორისო ასპარეზზეც. საქართველოს ნაკრების წევრებმა ბალკანეთის ქვეყნების ზამთრის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და 2 მეორე ადგილი მოიპოვეს – ლაშა თორღვაიძემ (სამხტომი. შედეგი 16.15მ) და დავით ილარიანმა (60მ/თ. შედეგი 7.88მ).

ბალკანურ სარბიელზე უფრო დიდი წარმატება ჰქონდათ ახალგაზრდებს, რომლებმაც ბულგარეთის ქალაქ სლივენში 1 ოქრო, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქრო სიგრძეზე მხტომელმა მარიამ ძაგნიძემ აიღო, ვერცხლი სამხტომელმა გოგა მალაკელიძემ და ბირთვის მკვრელმა გიორგი მუჯარაძემ, ხოლო ბრინჯაო ბადროს ტყორცნაში თემურ აბულაშვილმა, საინტერესო გამოდგა საქართველოს ღია ჩემპიონატიც, სადაც მონაწილეობა მიიღეს რეგიონებიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა და ასევე სომხეთის ნაკრების წევრებმა.

აღსანიშნავია, საერთაშორისო მსაჯთა პირველი დონის სემინარის, განსაკუთრებით კი მსოფლიო მძლეოსნობის ლიდერთა საერთაშორისო სემინარის ორგანიზება თბილისში, რომელიც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსი ახვლედიანმა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული განვითარების ცენტრის დირექტორმა ვადიმ ზელიჩენოკმა გახსნეს. სემინარს IAAF-ის განვითარების და საბჭოს ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი აბდელ მალეკპეილი უძღვებოდა. საქართველოსთან ერთად, სემინარში

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციების პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივნები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სემინარში ლეგენდარული უკრაინელი სპორტსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენის, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის – სერგეი ზუბკას ჩართულობა.

გიორგი ჭანიშვილი





გაისპოლი საქართველოში 80-იანი წლების ბოლოს შემოვიდა, მაგრამ საფუძვლიანად ვერ მოიკიდა ფეხი. გულშემატკივართა დიდი ნაწილისთვის სპორტის ეს სახეობა დღემდე უცხო ხილია. ომის და გაჭირვების ჟამს წამყვანი სპორტის სახეობებიც უწყაღდღებოდ იყო და რა გასაკვირია, რომ გაისპოლისთვის არავის ეცალა. ჰოდა, თამაშობდა გაისპოლს იომდრომზე შეკრებილი 50-მდე ენთუზიასტი თავისთვის და თქვენ ნარმოიღბინეთ იმ უღენოზის და უპუროზის პერიოდში საკუთარი სარჯებით საერთაშორისო ტურნირებზეც კი დადიოდა...

ძველი ახალი თამაში

გაისპოლისტები სპორტის ამ სახეობის გადარჩენას და პოპულარიზაციას ახლაც ცდილობენ. ამერიკელ პარტნიორებთან ერთად „ბეისბოლის და სოფტბოლის მეგობართა კლუბი“ დაარსეს, გარკვეული თანხაც მოიზიდეს და წლეულს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს.

26 აპრილს, თემქაზე მდებარე ბეისბოლის და სოფტბოლის სტადიონზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში – რიჩარდ ნორლანდმა ახალგაზრდა ქართველ ბეისბოლისტებს და სოფტბოლისტებს საჩუქრად გადასცა სპორტული ინვენტარი, რომელიც YMCA-ს პროგრამაში ჩართულმა ახალგაზრდებმა მიიღეს. დამწყები მოთამაშეებისათვის ასევე ჩატარდა მასტერ-კლასი, რომელიც ამერიკის ელჩთან და მონვეულ სტუმრებთან ერთად, საქართველოს ბეისბოლის და სოფტბოლის ფედერაციის და ბეისბოლისა და სოფტბოლის მეგობართა კლუბის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

31 მაისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ამერიკელი საზღვაო ქვეითებისა და საქართველოს ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩი გაიმართა. ავღანეთში დაშავებული ქართველი მეომრების მხარდასაჭერად ჩატარებულ ტრადიციულ შეხვედრაში, რომელიც უკვე მეოთხედ შედგა, საქართველოს ნაკრებმა ამერიკელი საზღვაო ქვეითების გუნდი დიდი ანგარიშით 21:3 დაამარცხა. შეხვედრას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და პარლამენტის ვიცე-სპიკერი, საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ აბაშიძე დაესწრნენ. მატჩი ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

ალექსანდრა გაისპოლი

PARTNERS HELP TO DEVELOP BASEBALL

Georgian baseball players founded The Club of Baseball and Softball Friends together with American partners. This year they managed to raise some funds and organized several interesting events. On April 26, US Ambassador to Georgia Richard Norland granted to the young Georgian baseball and softball players sports equipment at the baseball and softball stadium in Temka. The youth participating in YMCA program were recipients of the equipment.

The master class was conducted for the beginners in baseball. The US Ambassador, representatives of Georgian baseball and softball federation, baseball and softball friends club and the invited guests participated in the event.

On May 31, spare field of Mikheil Meskhi stadium played host to the friendly match between Georgian baseball national team and American marines. This traditional match aimed at support of the Georgian soldiers injured in Afghanistan ended with a convincing victory of the Georgian team 21:3.

Defense Minister of Georgia Irakli Alasania, vice-speaker of the Parliament and president of Georgian federation of softball and baseball Zurab Abashidze attended the match, which was organized by the Defense Ministry of Georgia, baseball and softball federation, football federation and the Ministry of Sports and Youth Affairs.



საკვანძო მომენტები

24 წლის ელენე გელევენიშვილისთვის ბანველილი სეზონი კარიერაში, ალბათ, საკვანძო იყო: გამოვიდა სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე და ევროპის ჩემპიონატზე, დაბალი რეიტინგის გამო კი ვერ მოხვდა მსოფლიოს პირველ რიგში. ეს ასაკი ზოგიერთ სპორტის სახეობაში ჯერ კიდევ არ ითვლება კარიერის პიკად, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ფიგურულ ციგურაობაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც – 27 წლის კაროლინ კოსტნარი ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ. სამწუხაროდ, ელენე უფერული სეზონი მოილია და ქომბავს ბული დაწყვიტა. ელენე ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორს ბრინჯაოს პრიზიორია და ეს აგზავნი დასაფასებელი, მაგრამ ქომბავი მისგან მიტანს ელის და ითხოვს.

13-19 იანვარი უნგრეთის დედაქალაქმა ბუდაპეშტმა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ევროპირველობა ელენესთვის ორმაგად საყურადღებო იყო, მას უნდა ებრძოლა მედლისთვის და ამასთან მოესინჯა საკუთარი შესაძლებლობები სოჭის ზამთრის ოლიმპიადის დაწყებამდე, რომელიც ევროპირველობის შემდეგ ერთი ხელის განვდენაზე იყო. მოკლე პროგრამის შემდეგ ელენე 54.78 ქულით მე-7 იყო. თავისუფალ პროგრამაში კი ქართველი სპორტსმენი მე-13 ადგილს დასჯერდა – 87.04 ქულა მიიღო. ელენესთვის ეს ქულები მხოლოდ მე-10 ადგილის მომტანი აღმოჩნდა. ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდა ანგელინა ტელეგინასა და ოთარ ჯაფარიძის წყვილი, მაგრამ ფინალში ვერ მოხვდა.

სოჭში გამართულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ელენე გელევენიშვილმა მე-19 ადგილი დაიკავა. მოკლე პროგრამაში 54.70 ქულა მიიღო და მე-16 მაჩვენებელი აჩვენა, თავისუფალ პროგრამაში კი 92.45 ქულა მიიღო, სულ 147.15 ქულა მოუგროვდა და

ოცეულში მოხვდა. ჩემპიონი რუსი ადელინა სოტნიკოვა (224.59 ქულა) გახდა, სამხრეთ-კორეელი იუნა კიმი (219.11) ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაოს მედალი კი იტალიელ კაროლინ კოსტნერს (216.73) ერგო. ოლიმპიადა სულ სხვა რანგის ტურნირია, შედეგის ჩვენება იქ ათამაგად რთულია და თავისუფლად შეიძლება, რომ გამძაფრებული კონკურენციის ფონზე ფეხი ნარმატებულ, ტიტულოვან სპორტსმენსაც დაუცდეს, თუმცა გელევენიშვილის მიერ ნაჩვენები შედეგი მაინც უფერულად მოჩანს. არადა, სოჭში ქართველი ქომბავი თუ ვინმესგან ხელშესახებ შედეგს ელოდებოდა, ეს სწორედ ელენე იყო...

მარტში ოთხი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა ბუდაპეშტში გამართულ ახალგაზრდა მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართა. შედეგიანად ისრიალა 9 წლის ანა გულბიანმა, რომელმაც თავისუფალი პროგრამით 33,94 ქულა მოაგროვა და

ოქროს მედალი დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუსი ვალერია რისევა (31,10) და უნგრელი ზოი გბლი (29,08) გავიდნენ. ქართულ დელეგაციას ბრინჯაოს მედალი ილია გოგოტიძემ მოუტანა. მან 17,21 ქულით დაიკავა მესამე ადგილი. 18,88 ქულით პირველი იყო სლოვაკი ლუკას ვაკლავიკი, ხოლო უნგრელ დომინიკ პორტობოგის მეორე ადგილი (17,82) ერგო.

იაპონურმა საიტამამ 26-30 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ნინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ელენე გელევენიშვილმა 29-ე ადგილი დაიკავა, ახალი დებულებით კი, მსოფლიოს პირველობაზე გამოსასვლელად სარეიტინგო ქულები უნდა მოეგროვებინა, რაც მან ვერ შეძლო და ამჯერად, მსოფლიოს მიღმა დარჩა. მოცეკვავეებმა – ანგელინა ტელეგინამ და ოთარ ჯაფარიძემ კი შარშან კიევის სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვეს ჩემპიონატის საგზური. 28 მარტს წყვილმა მოკლე პროგრამის შესრულებისას რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა – 42.85 ქულით. ამ შედეგით ისინი მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშნენ და 29 მარტს თავისუფალ პროგრამაში მონაწილეობა ვეღარ მიიღეს.

დეკემბერში გამართულ ტურნირებზე ტატიანა კოზმაკასა და ალექსანდრ ზოლოტარიოვის წყვილმა, ასევე არმენ აგაიანმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ლიცენზიები მოიპოვეს.

ალექსანდრა მაისაშვილი





კლდეურობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით. მყინვარწვერზე ლაშქრობა მიეძღვნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპულთა ხსოვნას. ამერიკის მეგობართა კლუბმა ტერაქტში დაღუპულთა ხსოვნის საპატივცემულოდ მყინვარწვერზე აიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დროშა „9-11 Flag of Heroes,“ რომელზეც დატანილია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში დაღუპულთა სახელები და გვარები. ზღვის დონიდან 4000 მეტრზე, კლდის ქანზე დამონტაჟდა მემორიალური დაფა.

17-21 სექტემბერს მესტიის სპორტულ დარბაზში მოწყობილ ხელოვნურ კედლებზე მიხეილ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა საქართველოს ყველა რეგიონის 62 სპორტს-

მეკლდეურები მყინვარწვერზე

მეკლდეურებმა ლენტეხში და მესტიის სანტარასო, თვალსასიერო ტურნირები ჩაატარეს. დაღუპულთა მემორიალური 11 სექტემბერის ტერაქტში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად. გორის რაიონში, კონფლიქტური ზონის მიმდებარე სოფელ ნიქოზში კი მეკლდეურობის ხელოვნური კედელი მოაწყვეს, სადაც ყოველ დღე 60-მდე ახალგაზრდა ვარჯიშობს.



26-30 ივნისს ლენტეხმა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. პირველობაში 65 სპორტსმენი, მათ შორის აზერბაიჯანელი მეკლდეურებიც გამოვიდნენ. ტურნირზე გათამაშდა ცნობილი მთამსვლელის, ჯოკია გუგავას თასიც. შეჯიბრება სწრაფ და რთულ ცოცვაში ჩატარდა. რთულ ცოცვაში გიორგი გაბულდანი იჩემპიონა, გოგონებში საუკეთესო იყო სალომე მეშველიანი. სწრაფ ცოცვაში ოქრო გიგა ჯანხოთელს და სალომე მეშველიანს ერგოთ.

11 სექტემბერს, 11 ადამიანით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა, ამერიკის მეგობართა კლუბის პრეზიდენტის ილია ზუკაკიშვილის და მეკლდეურობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მირზა ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით განახორციელეს ალპინიზადა მყინვარწვერზე. ალპინიზადა შედგა ამერიკის მეგობართა კლუბის, სპორტის სამინისტროს, თბილისის მერიის, ამერიკის საელჩოს და მე-

მენმა და აზერბაიჯანელმა მეკლდეურებმა მიიღეს. შეჯიბრება რთულ, სწრაფ და ბუნებრივ კლდეებზე ინდივიდუალურ ცოცვებში ჩატარდა. ვაჟებს შორის გამართულ რთული ცოცვის ტურნირში გიორგი გაბულდანი გაიმარჯვა, სწრაფ ცოცვაში – გიგა ჯანხოთელმა. გოგონათა შეჯიბრებაზე რთულ ცოცვაში სხვებზე უკეთ თამუნა მელაძე გამოვიდა, სწრაფ ცოცვაში პირველი ადგილი არავის დაუთმო დარო რატიანმა. გუნდურ ჩათვლაში მესტიის პირველმა გუნდმა იჩემპიონა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები თბილისის პირველ გუნდს ერგო, მესამე ადგილი – ლენტეხს. მესტიის მუნიციპალიტეტმა ინდივიდუალურ ტურნირში გამორჩეული ორი მეკლდეური – გიორგი გაბულდანი და თამუნა მელაძე 1000-1000 ლარით დააჯილდოვა.

ნიკა კოპალიანი

კანოეს ფედერაციისთვის განვლილი სეზონი წარმატებული გამოდგა: 21 წლის მცხეთელი ზაზა ნადირაძე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე პრინციპულ მედალს მფლობელი გახდა. ნადირაძე პირველი სპორტსმენი ლამის 30-წლიანი შესვენების შემდეგ, რომელმაც ქართულ ნიჭოსნობას ასეთი მასშტაბის ტურნირზე მედალი მოუპოვა. თუმცა, საქმი მართო მედალშიც არ არის – ნადირაძე დიდი პოტენციალის მქონე ნიჭოსანია და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, რიოს ოლიმპიურ თამაშებზე უნდა ვიხილოთ.



ზურაბ მაღანია



ზაზა ნადირაძე

წარმატებული სეზონი

26-29 ივნისს საფრანგეთში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ბადრი ყაველაშვილმა 500-მეტრიან მონაკვეთზე ფინალურ გაცურვაში, ბაიდარა ერთადგილიანი ნავით მე-7 ადგილი დაიკავა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. იგივე დისციპლინაში, ოლონდ 200 მეტრზე, ყაველაშვილმა უკეთესი შედეგი აჩვენა და მე-5 იყო.

11-13 ივლისს გერმანიაში გამართული ევროპის ჩემპიონატი ქართველი სპორტსმენებისთვის ნაყოფიერი გამოდგა. 200-მეტრიან მონაკვეთზე ფინალურ გაცურვაში, ბაიდარაში ერთადგილიანი ნავით ბადრი ყაველაშვილი მხოლოდ C-ფინალში გამოვიდა და მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა ეს საკმარისი გამოდგა 2015 წელს ბაქოში გასამართი ევროპის პირველი თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად. ლიცენზია დაისაკუთრა ზაზა ნადირაძემაც – მას 200-მეტრიან მონაკვეთზე ერთადგილიანი ნავით B-ფინალში პირველი ადგილი ერგო.

17-20 ივლისს უნგრეთის ქალაქ შედეგში გამართულ 23-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე 21 წლის მცხეთელი ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე კანოეთი 200-მეტრიან დისტანციაზე მესამე ადგილზე გავიდა! ზაზა ნადირაძე პირველი ქართველი ნიჩბოსანია კახაბერ ლომიშვილის შემდეგ, რომელმაც დიდ საერთაშორისო ტურნირზე

მედალი მოიპოვა (ლომიშვილი, რომელიც დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელია, 1985 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა 4-კაციანი კანოეთი). საკვალიფიკაციო ეტაპი ზაზამ 39,555 წამში დაფარა, ნახევარფინალში უკეთესი დრო აჩვენა – 39,001, ფინალში კი მხოლოდ ლიტველ ჰენრიკას ზუსტაუტასს და რუს ანდრეი კრაიტორს ჩამორჩა – 40,567.

ზაზა ნადირაძე: „ამ წარმატებამდე დიდი ხანი მოვდიოდი. ბევრი ვიშრომე, ვიბრძოლე და ჩემს მწვრთნელებთან ერთად მძიმე დღეები გამოვიარე. იყო პერიოდი, როცა ვარჯიშსაც ვერ ვახერხებდი. მიხარია, რომ შრომა დამიფასდა და ქართველი გულშემოტივარი გავახარე. ეს მედალი ჩემთვის დიდი სტიმულია, ძალიან მინდა რიოს ლიცენზია მოვიპოვო და ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდე“.

მსოფლიო ჩემპიონატი 18-წლამდელთა შორისაც გაიმართა. ერთადგილიანი კაიაკით 200 მეტრზე ბადრი ყაველაშვილმა ფინალში გააღწია, იქ კი დისტანცია 36,614 წამში დაფარა, რაც მხოლოდ მე-7 ადგილის დასაკავებლად იყო.

სექტემბერში ბრატისლავაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე – „ოლიმპიური იმედები“, ფოთელი მურმან მაღანია გამოვიდა და კანოეში ერთადგილიანი ნავით 200-მეტრიან მონაკვეთზე ფინალურ გაცურვაში მე-3 ადგილი მოიპოვა. ქართ-

ველმა სპორტსმენმა მეტოქეებს დიდი ბრძოლა გაუმართა და მეორე ადგილოსან ნიჩბოსანთან მცირე სხვაობით დამარცხდა. ლატვიელმა ილჟინას დევისმა დისტანცია 41,06 წამში დაფარა, მაღანია კი 41,12 წამში – ტურნირის ორგანიზატორებს ფოტო-ფინიშის გამოყენება დასჭირდათ, საიმისოდ, რომ მეორე-მესამე ადგილოსნების ვინაობა დაეზუსტებინათ.

დავით ქაცარავა (კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი): „განვლილი წელი კანოეს ფედერაციისთვის წარმატებული გამოდგა – ორწლიანი მოსამზადებელი ციკლის შედეგად, ჩვენმა ნაკრებმა მოიპოვა ბაქოში გასამართი 2015 წლის ევროპის თამაშების ორი ლიცენზია და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მესამე ადგილი. ვფიქრობ, ეს წარმატება სწორი აქცენტების გაკეთების, კარგად გაწერილი სამოქმედო გეგმის შედეგია. თუმცა, ამ წარმატებების მთავარი შემოქმედები მაინც ჩვენი სპორტსმენები არიან, რომლებმაც არცთუ სახარბიელო პირობების ფონზე ასეთი შედეგები მოგვიტანეს. ამ ბიჭებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ და შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში მათგან ბაქოს თამაშებზე ფინალში გასვლას ველით. ჩვენ გეგმებში შედის რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებაც“.

ნიკა კოპაძე

პარალიმპურმა კომიტეტმა გაზარდა იმ საერთაშორისო ტურნირების, ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატების რიცხვი, რომელზეც ქართველი პარასპორტსმენები მონაწილეობენ. იყო დრო, საერთაშორისო შეჯიბრებებზე თითოეუნი ჩამოსათვლელი ქართველი პარასპორტსმენები გამოდიოდნენ და მათგან შედეგსაც ნაკლებად თუ ვინმე ელოდა. ახლა ვითარება შეცვლილია – ევროსარკილზე საქართველოს სახელით გაცილებით გვერდი პარასპორტსმენი გამოდის და სხვადასხვა სიწვინის მედალიც ჩამოაქვს. 2014 წელი ამ მხრივ გამორჩეული იყო, მათ აგზავს ქრონოლოგიურად მოგიყვებით.

პარალიმპური აგზავნი



→ ირმა ხეცურიანი

10-16 იანვარი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტი გაიმართა უნგრეთის ლია ჩემპიონატი ნოლჭიმში, სადაც მერაბ დუკაშვილი (72კგ) გამოვიდა და მე-7 ადგილი დაიკავა.

5-11 აპრილს დუბაიში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ნოლჭიმში, სადაც ძალები მოსინჯეს იაგო გორგოძემ, მერაბ დუკაშვილმა და დავით ქობალიამ. იაგო გორგოძემ (97 კგ) – მე-10, მერაბ დუკაშვილმა (72 კგ), მე-18, ხოლო დავით ქობალიამ (80 კგ) 21-ე ადგილი დაიკავეს.

24-27 აპრილს, ბერლინში, ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ცურვაში, სადაც საქართველოს სახელით ნიკა თვაური და კობა კობახიძე გამოვიდნენ. ნიკა თვაურმა ბრასით 200 მეტრზე ცურვაში ჩემპიონობა არავის დაუთმო, ხოლო 200 მეტრზე ვერცხლის მედალს დასჯერდა, კობა კობახიძე თავისუფალი სტილით 800 მეტრზე ცურვაში მე-2 ადგილზე გავიდა და ვერცხლი ერგო.

2-3 მაისს, სპორტკომპლექს „არენაში“ პარასპორტსმენებისთვის და პარალიმპურ სპორტის სახეობათა მწვრთნელებისთვის სემინარი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე პარასპორტსმენმა და მწვრთნელმა.

2-4 მაისს კანადის ქალაქ მონრეალში მოფარიკავეთა გრან პრის გათამაშებაზე

ირმა ხეცურიანი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, თემურ დადიანი და ალექო გითოლენდია გამოვიდნენ. საუკეთესო შედეგი ირმა ხეცურიანმა აჩვენა – რაპირაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

7 მაისს ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში, პირველად საქართველოს პარალიმპური მოძრაობის ისტორიაში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ჩემპიონატი მონაწილეობა მიიღო 22-მა პარამსროლელმა, მათ შორის ISAF-ის მისიაში დაზარებულმა 18-მა სამხედრო მოსამსახურემ. შეჯიბრება ჩატარდა პნევმატური შაშხანით და პისტოლეტით 10-მეტრიან დისტანციაზე სროლაში, გამარჯვებულები მედლებით და თასებით დაჯილდოვდნენ.

26 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით შვეიცარიის ქალაქმა ნოთვილმა მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ვანო ნიკლაურმა, გოდერძი ზაქარაიამ და ზვიად დუმბაძემ, რომელთაც ია ტალახაძე წვრთნის, გუნდური მე-8 ადგილი დაიკავეს.

25-30 სექტემბერს ვარშავაში, მსოფლიოს თასზე საქართველოს პარამოფარიკავეები: ნიკოლოზ ხატიაშვილი, თემურ დადიანი, ალექო გითოლენდია, რომან აბაშიძე და ირმა ხეცურიანი გამოვიდნენ. შეჯიბრებაში 26 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩვენმა მოფარიკავეებმა სარე-



ნიკა თვათურ

იტინგო ქულები დააგროვეს. ირმა ხეცურიანი მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზეა. საინტერესოა, რომ სპორტის ამ სახეობაში 12 საუკეთესო იღებს ლიცენზიას რიოს პარალიმპიადისტისთვის.

4 ოქტომბერს საქართველოს პარალიმპური კომიტეტის ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მედია-სემინარი ჩატარდა. სემინარის მიზანი იყო ჟურნალისტებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების გაცნობა და პროფესიული ცოდნის გაღრმავება, შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხების ირგვლივ ჟურნალისტების გაცნობიერება. სემინარში მონაწილე ტელევიზიის, რადიოს, პრესის და ვებ-გვერდების ჟურნალისტებმა შესაბამისი სერთიფიკატები მიიღეს.

ნიკა კოკალაინი



უარი დოპინგს!



საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ წლის დასაწყისში ეროვნულ ფედერაციებთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომელიც მნიშვნელოვანი შეჯიბრების დაწყებამდე ჩვენი სპორტსმენების შემონეშებას ითვალისწინებს. საქართველოს ეროვნული ნაკრებების სპორტსმენებს უტარდება ტესტირება და ინფორმაციული სემინარები დოპინგის შესახებ. მსგავსმა პრევენციულმა ნაბიჯებმა უნდა გამოიწვიოს შესაძლო გართულებები, რამაც, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში იმატა. სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მონაწილეობით მომზადდა და დამტკიცდა ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამა.

იანვარში ქუვეითში ჩატარდა რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს პრეზიდენტმა პავლე კასრაძემ, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ანტიდოპინგური ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ და თამარ სვანიშვილმა, ამავე ორგანიზაციის მენეჯერმა.

თებერვალში სოჭის 2014 წლის ზამთრის პარალიმპიურ თამაშებზე მინვეულნი იყვნენ თეიმურაზ უკლება და მარიამ ჩოკაშვილი, როგორც საერთაშორისო დოპინგკონტროლის ოფიცრები. მათ საერთაშორისო ფედერაციისგან განუღებულ სამუშაოსთვის მადლობის სიგელებიც მიიღეს. მოგვიანებით, შვეიცარიის ქალაქ

ლოზანაში ჩატარდა მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო სააგენტოს თავმჯდომარე პავლე კასრაძემ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „სპორტში დოპინგის პრობლემები, პრევენციის ზომები, 2015 წლის ახალი მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის მიმოხილვა“. კონფერენცია ჩატარდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით.

2014 წელს საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებას უმასპინძლა, რომლის დოპინგ-კონტროლი ჩვენმა ანტიდოპინგურმა სააგენტომ განახორციელა. სააგენტოს თანამშრომლებმა კონტროლი გაუწიეს ისეთ მასშტაბურ შეჯიბრებებს, როგორიცაა თბილისის მსოფლიო თასი ძიუდოში; თბილისის თასი რაგბში; ერთა თასის მატჩები რაგბში; ევროპის გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში და 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში. სულ ჩატარდა 208 სინჯი. გამოვლინდა დოპინგის გამოყენების 3 შემთხვევა.

ალექსანდრე მაისაშვილი





→ სალომე ფაჟავა

რიზიდან ბათუმამდე

ჩვენმა ტანმწარმოებებმა და ბატუმისტებმა სართავორისო ტურნირებზე სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს. თუმცა, ეს შეჯიბრებები ვერც პრესტიჟულობით დაიკვივნის და ვერც მასშტაბურობით. ახალი თაობის ტანმწარმოებები სხვაზე უკეთ მინც სალომე ფაჟავა გამოდის, რომელიც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამთავრებულ შედეგებს აჩვენებს და საუკეთესოთა ათეულთან ტრიალებს.



6-8 მარტს ლატვიის დედაქალაქ რიგაში სპორტულ ტანვარჯიშში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე დიდებს შორის პაატა ნოზაძემ ორქელში მე-2 ადგილი დაიკავა. მრავალჭიდი და თავისუფალ ვარდნაში კი მე-3 იყო. ახალგაზრდებში იონანე ჯიმშელიშვილი ორქელში და თავისუფალ ვარდნაში პირველ ადგილზე გავიდა, ბიძინა სიჭინავა კი თავისუფალ ვარდნაში მესამე ადგილს დასჯერდა.

11-13 აპრილს პორტუგალიის ქალაქ გიმარაეში გამართულ ბატუმისტთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი სპორტსმენები უფერულად გამოვიდნენ. თენგიზ კომკაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია და მე-14 იყო, ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე ლუბა გოლოვინა კი სულაც 42-ე ადგილზე გავიდა. გამოსარჩევი შედეგის ჩვენება გაუჭირდათ ახალგაზრდებსაც.

11-14 აპრილს პოლონეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე მხატვრულ ტანვარჯიშში ახალგაზრდებს შორის გამოირჩა ნინო როხვაძე, ვინც მრავალჭიდის ჯამში მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მანვე მაისის მინურულს და იენისის დამდეგს ისრაელში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მრავალჭიდი ბრინჯაოს მედალი აიღო. ბრინჯაოსნები გახდნენ სალომე ურუშაძე და ქეთევან ლომაძე, გურზებით ვარჯიშში ბრინჯაო ერგო მარინა კაკაბაძეს, ლენტით ვარჯიშში ასევე ბრინჯაოს შესწვდა ლიზი აფაქიძე.

18-21 აპრილს სლოვენიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მხატვრულ ტანვარჯიშში სალომე ფაჟავამ მრავალჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ცალკეული დისციპლინებიდან კი ლენტით ვარჯიშში პირველი იყო, ბურთით და გურზებით მეორე, რგოლში – მესამე.

მაისში ფრანგულ კორბელ-ესონიში გამართა მხატვრულ ტანმწარმოებთა მსოფლიო თასის ეტაპი, რომელშიც 36 ქვეყნის 52 სპორტსმენი გამოვიდა. მათ შორის, ელიტის წარმომადგენლები – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იანა კუდრიაცევა (რუსეთი), მსოფლიოს და ევროპის პრიზიორები – განა რიზატდინოვა (უკრაინა) და მარგარიტა მამუნი (რუსეთი), ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონები – ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი) და კატსიარინა ჰალკინა (ბელორუსი), ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე სენიე დენი (ჩინეთი). უმაღლესი დონის ტანმწარმოებებთან პაექრობაში სალომე ფაჟავამ 67.666 ქულით მრავალჭიდი მე-9 ადგილი დაიკავა.

მაისის ბოლოს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა ტანმწარმოებ-



→ ანა ოდიშვილი და თეონა ჯანჯღავა

თა ევროპის ჩემპიონატი უფროსებსა და ახალგაზრდებში. ევროპირველობაში საქართველოდან რვა სპორტსმენი მონაწილეობდა: ნატალია ძიძიგური, პაატა ნოზაძე, შალვა დალაქიშვილი, ნოდარ ლიონიძე, მიხეილ ხარაბაძე (დიდებში), მაგდა რობაქიძე, იოანე ჯიმშელიშვილი და საბა აბესაძე (ახალგაზრდებში). ვაჟებში, მრავალჭიდაში დალაქიშვილმა 21-ე, ხოლო ნოზაძემ 25-ე ადგილები დაიკავეს და 2015 წლის ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვეს, რომელსაც ბაქო უმასპინძლებს.

შარშან მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატში 30 ქვეყნის 81 წარმომადგენელს შორის 15 წლის სალომე ფაჟავამ მე-18 ადგილი დაიკავა და 2014 წლის კონტინენტის დახურული ჩემპიონატის 20 მონაწილეს შორის დაიბევა ადგილი. იენისში ამ შეჯიბრებას აზერბაიჯანის დედაქალაქმა უმასპინძლა. სალომე ფაჟავა ოთხივე საგნით სტაბილურად გამოვიდა (რგოლი-16.850, ბურთი-16.833, გურზები-17.400, ლენტი-17.233) და 68.316 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა.

22-27 სექტემბერს სამი ქართველი გოგონა გამოვიდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც თურქეთის ქალაქმა იზმირმა უმასპინძლა. ჩვენებიდან სხვებზე უკეთესი შედეგი სალომე ფაჟავამ აჩვენა, რომელმაც მრავალჭიდაში 49.949 ქულა მოაგროვა (რგოლი – 16.566, ბურთი – 17,000, გურზები – 16.383) და მე-13 ადგილზე გავიდა, რითაც ფინალში

გამოსვლის უფლება მოიპოვა. სალომეს ფინალში გამოსვლის შემდეგ ჯამური 67.182 ქულა დაუგროვდა და საერთო ჩათვლაშიც მე-13 ადგილზე დარჩა. ჩემპიონი რუსი იანა კუდრიავეცევა გახდა 75.226 ქულით, ჩვენი და რუსი ტანმოვარჯიშის ქულებს შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ათეულში შესულ სხვა სპორტსმენებს ფაჟავა შედარებით მცირედით ჩამორჩა. 132 მონაწილეს შორის გაბრეილა ხვედელიძემ მრავალჭიდაში 43.682 ქულით (რგოლი – 14.633, ბურთი – 14.541, ლენტი – 14.450) 52-ე ადგილი დაიკავა, ხოლო ლიანა ცეცაძეს 42.466 ქულით (რგოლი – 13.833, ბურთი – 14.200, გურზები – 14.433) 61-ე ადგილი ერგო.

11-13 ივლისს ბათუმმა ახალგაზრდა ბატუტისტთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. ქართველმა ბატუტისტებმა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 15 მედალი მოიპოვეს. ინდივიდუალურ გამოსვლაში ჩემპიონები გახდნენ – ზურაბ ნოზაძე, გიორგი ნაცვლიშვილი, თორნიკე ბარბაქაძე, თეონა ჯანჯღავა, ნუცა ჭკუასელი, სოფო დაშნიანი. ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს – ლაშა გაბაშვილმა, თამაზ ლომსაძემ, ანა ოდიშვილმა, მარიამ გუთინაშვილმა და დიანა ფოთელიძემ. ბრინჯაოს დასჯერდნენ – ონისე თვალავაძე, ნიკოლოზ შახბაზიანი, მარიამ ეგაძე და ანა ქეშელაშვილი.

3-4 სექტემბერს პორტუგალიის ქალაქ გიმარაეშში გამართულ ბატუტისტთა მსოფლიოს თასის ეტაპზე თენგიზ კოშკაძის და გიორგი ფუტყარაძის წყვილი ფინალში შე-

ვიდა, 7-9 სექტემბერს მინსკში გამართულ ანალოგიურ ტურნირზე კი ასევე ფინალში შევიდა და მე-5 ადგილი დაიკავა. მინსკში მე-5 ადგილზე გავიდა თამარ კაკაშვილის და ნანა გოგაშვილის წყვილიც. ნოემბერში საქართველოს ბატუტზე მსტომელთა ნაკრების ლიდერმა თენგიზ კოშკაძემ ამერიკაში, ქალაქ დეიტონა ბიჩში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალურ რაუნდში იასპარეზა და მე-6 ადგილზე გავიდა 57.965 ქულით. კოშკაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებულად გადალახა და პირველი ქართველი (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ) ბატუტზე მსტომელი გახდა მამაკაცთა შორის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში გავიდა ინდივიდუალურ ხტომებში. მოგვიანებით, ანა ოდიშვილის და თეონა ჯანჯღავას წყვილმა სინქრონულ ხტომებში საკვალიფიკაციო ეტაპზე 44.700 ქულა აჩვენა და მესამეზე გავიდა, ფინალში კი 41.300 ქულით მე-6 ადგილს დასჯერდა. 17-18 ნოემბერს შორის ინდივიდუალურ შეჯიბრში თეონა ჯანჯღავამ საკვალიფიკაციოზე 92.945 ქულა დააგროვა და ფინალში პირველი ადგილი შევიდა. იქ კი 48.580 ქულით მე-6 იყო. ზურან ნოზაძემ კი 99.000 ქულით საკვალიფიკაციოზე მე-4 იყო, ფინალში ვარჯიში გაუტყუდდა და მე-7 ადგილზე გავიდა 16.770 ქულით.

ნიკა კოპალიანი





გამოწვევები და პერსპექტივა

საერთაშორისო სპორტული კონფერენცია

15-16 აპრილს, საგამოფანო ცენტრ „ემსპო ჯორჯიაში“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით პირველი მასშტაბური საერთაშორისო სპორტული კონფერენცია გაიმართა თემაზე – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“. მასაწილებთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სლოვენიაში, ამერიკაში, ბრიტანეთში და უკრაინაში ემსპო-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით.

15 აპრილს კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა – დელეგატებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. კონფერენციას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე; კონფერენციაზე მონაწილე იყვნენ სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და



სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

ორდღიანი კონფერენციის ფარგლებში სხვადასხვა თემატიკაზე საპრეზენტაციო გამოსვლები ჰქონდათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეებს – ზურაბ აზმაიფარაშვილს, აკაკი ლოდუას, სპორტის დეპარტამენტის უფროსს ირაკლი დოლაბერიძეს, ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსს ნუგზარ კანდელაკს, ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს, კონფერენციის წინამძღოლებს – ანატოლი კორეპანოვს და ვასილ ლიპარტელიანს, ასევე სხვადასხვა სპორტული ფედერაციებისა და ასოციაციების ხელმძღვანელებს, სპორტის უცხოელ და ქართველ ექსპერტებს და მონაწილე სტუმრებს.

კონფერენციის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის და სამართლებრივი ბაზის დახვეწასთან დაკავშირებით, სპორტში ფინანსების მოზიდვის, სპორტული არბიტრაჟის მნიშვნელობის, მასმედიის ჩართულობის და ზოგადად, სპორტისთვის აქტუალური სხვადასხვა საკითხების შესახებ. მომზადდა დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს პრემიერ-მინისტრმა, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული სპორტული ფედერაციების, ასევე სპორტული კლუბების წარმომადგენლებმა და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი მასშტაბის სპორტული კონფერენცია საქართველოში არ ჩატარებულა. კონფერენციაში მონაწილე სპორტული ფედერაციის წარმომადგენლებმა,



სპორტსმენებმა თუ უბრალოდ სპორტში ჩართულმა პირებმა ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი (მინისტრის პირველი მოადგილე): „კონფერენციამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მას უამრავი ადამიანი, სპორტული ფედერაციის პრეზიდენტები, მოქმედი სპორტსმენები, სპორტში ჩართული პირები დაესწრნენ. ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ექსპერტებმა გამოცდილება გაგვიზიარეს. ჩვენ ჩვენი მოსაზრებები გავაცანით და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც დავსახეთ. მსგავსი კონფერენციები ქვეყანაში სპორტის განვითარების კუთხით უდიდეს როლს თამაშობს და უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია“.

ნიკა კოპაძე

STEP FORWARD

INTERNATIONAL CONFERENCE ON SPORT

During April 15-16, the exhibition center “Expo Georgia” hosted the first large-scale international sport conference organized by the Ministry of Sports and Youth Affairs. Topic of the conference was – “State policy of sport: challenges and perspectives.” Along with Georgian participants, experts from Slovenia, USA, Great Britain and Ukraine took part in the conference.

On April 15, at the official opening of the conference Prime Minister of Georgia Irakli Gharibashvili, Minister of Sports and Youth Affairs Levan Kipiani, deputy minister Tamaz Tevzadze, President of the National Olympic Committee Leri Khabelov addressed delegates of the conference with welcoming speeches. Leaders of sports federations, acting and veteran sportsmen, non-governmental organizations, media and other stakeholders attended the conference.

During the two-day conference deputies minister of sports and youth affairs Zurab Azmaiparashvili, and Akaki Lodia, head of sports department Irakli Dolaberidze, head of the youth department Nugzar Kandelaki and the first vice-president of the National Olympic Committee Elguja Berishvili made presentations on the various sport-related topics. The conference chiefs Anatoly Korepanov and Vasil Liparteliani as well as leaders of sport federations and associations, local and international experts and invited guests made speeches about salient issues of sport.

NIKA KOPADZE





RED BULL GER GET IT 2014

13 სექტემბერს, სტაფანსმინდლაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და ფედერაციის – „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზაციით გაიმართა ექსტრემალური გუნდური შეჯიბრება – „Red Bull GER GET IT – 2014.“

ამ საინტერესო ტურნირში მონაწილეობდა 22 გუნდი 4 დისციპლინაში: კაიაკი, კლდეზე ცოცვა, სამთო ველოსპორტი და სამთო სირბილი. ქართველებთან ერთად სტარტზე გამოვიდნენ გერმანელი, პოლონელი, რუსი, სომეხი და ყაზახი ექსტრემალეები. გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა „ორიენტ ლოჯიკმა“, რომლის ლირსებასაც იცავდნენ ტომას შაპლიჩკი, გიორგი გაბულდანი, ბესიკ გავაშელი და მიხეილ სანაძე. ინდივიდუალურ დისციპლინებში კი პირველი ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: კაიაკი – კრისტოფ შუეური (გერმანია), კლდეზე ცოცვა – გოგიტა ჩართოლანი, სამთო ველოსპორტი – ბესიკ გავაშე-

ლი, სამთო სირბილი – გიორგი შეყრელიძე. „Red Bull GER GET IT-2014“-ის საპრიზო ფონდი 8 ათასი ლარი გახლდათ, საიდანაც 4 ათასი ლარი გამარჯვებულ გუნდს – „ორიენტ ლოჯიკს“ გადაეცა, დანარჩენი თანხა კი თითოეულ დისციპლინაში გამარჯვებულებზე გადანაწილდა, ამასთან ფესტივალის საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენებმა სამახსოვრო პრიზები მიიღეს.

„Red Bull GER GET IT“ საქართველოში მეორედ ჩატარდა. ესტაფეტური შეჯიბრება ექსტრემალური სპორტის ოთხი დისციპლინის უნიკალური კომბინაციაა: თითოეული გუნდი კაიაკერის, მეკლდეურის, სამთო ველოსიპედისტისა და სამთო მორბენალისგან



On September 13, the Ministry of Sports and Youth Affairs, Ministry of Environment and Natural Resources and the Federation "Sport for Everyone" organized the team contest in extreme sport disciplines in Stepantsminda. The contest was titled as "Red Bull GER GET IT-2014."

Twenty-two teams participated in this interesting tournament, which included four disciplines such as kayak, rock climbing, highland cycling and highland race. Along with Georgian entrants German, Polish, Russian, Armenian and Kazakh followers of extreme sports participated in the contest. Orient Logic team represented by Thomas Zhaplichk, Giorgi Gabuldani, Besik Gavasheli and Mikheil Sanadze emerged winner in a team contest.

According to the sports disciplines the winners in the individual contests were Christophe Sheuer (Germany) – kayak; Gogita Chartolani – rock climbing; Besik Gavasheli – highland cycling; Giorgi Shekrelidze – highland race. The prize money of Red Bull GER GET IT-2014 was equal at 8000 Laris. Of this sum, 4000 was awarded to the team winner Orient Logic. The rest of the sum was distributed among the winners in each discipline. Additionally, the tournament entrants who showed the best results received keepsakes.

შედეგა. მონაწილეები ამავე თანმიმდევრობით გადასცემენ ესტაფეტას წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტზე. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს დისტანციის დაძლევას. ფინიში გერგეთის მთის ფერდობზეა. „Red Bull GER GET IT“ საერთაშორისო პროექტი Red Bull Dolomitenmann-ის ქართული ანალოგია. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ქართულ შეჯიბრში კლდეზე ცოცვია დამატებული.

Red Bull Dolomitenmann ავსტრიის ალპებში ყოველწლიურად იმართება და ის ცნობილია, როგორც ყველაზე რთული ესტაფეტური შეჯიბრება დასავლეთ ევროპა-

ში. წარმატებული დებიუტის შემდეგ „Red Bull GER GET IT“-ის მიზანია გახდეს ყველაზე ექსტრემალური გუნდური შეჯიბრება აღმოსავლეთ ევროპაში, რაც მას მიმზიდველ საერთაშორისო პროექტად აქცევს. ყაზბეგში გამართულ ღონისძიებას მოწვეულ სტუმრებთან და ჟურნალისტებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდია და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ კოპაძე დაესწრნენ, რომლებმაც გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

ნიკა კოპაძე





ცხრამთაბადავლილები

საიუბილეო ლაშქრობა

ოლიმპიურ თამაშებს, მასთან დაკავშირებულ საიუბილეო თარიღებს დროდადრო მთამსკვლელებიც ეხმიანებიან. მართალია, ალპინიზმი ოლიმპიური სახეობა არ არის, მაგრამ ოლიმპიზმის იდეებით გამსჭვალული მთამსკვლელები ლაშქრავან მწვერვალებს. ივრიათად, ძალზე ივრიათად, მწვერვალებზე მთამსკვლელებთან ერთ თოქში ჩაგშული ოლიმპიელებიც აღინა, მათ შორის თვით ოლიმპიური ჩემპიონებიც.

ამ მხრივ, საქართველოს ოლიმპიელები ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულები არიან. თუნდაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საშემოდგომო საიუბილეო ასვლა გავისხენოთ. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა – ვახტანგ ბლაგიძემ, კახი კახიაშვილმა, შოთა ხაბარელმა და ლერი ხაბელოვმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის მთამსკვლელებთან ერთად სტეფანწმინდის რაიონში, ხდის ხეობის სათავეში აღმართული 4150-მეტრამდე სიმაღლის მწვერვალი „საქართველოს ოლიმპიელი“ დალაშქრეს. ყველაფერი კი 2003 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მაშინ თსუ-ს პროფესორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატსა და საქართველოს მთამსკვლელთა ფედერაციის პრეზიდენტ შოთა მირიანაშვილს დაებადა იდეა, რომ ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად უსახელო მწვერვალზე ასულიყვნენ და მისთვის „საქართველოს ოლიმპიელი“ ეწოდებინათ. ეს იდეა სეოკ-შიც აიტაცეს და შოთა მირიანაშვილის მეთაურობით განახორციელეს კიდევ. მაშინ თსუ-ს მთამსკვლელებ-

თან ერთად მწვერვალი დალაშქრეს ვახტანგ ბლაგიძემ და შოთა ხაბარელმა. პირველამსკვლელთა შორის იყვნენ მიხეილ გოგორიშვილი, აკაკი ველთაური, ზურაბ კიკნაველიძე, ლევან ლომიძე, ზურაბ მახათაძე, გიორგი მაჭავარიანი, გიორგი მახარაძე, გიორგი მოლოდინი, დავით მჭედლოშვილი, გიორგი ხაბურზანია, გიორგი ქრისტესიაშვილი, აგრეთვე ალპინიზმთან წილნაყარი ჩვენი კოლეგა ყურნალისტები – ელგუჯა ბერიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ახლა, სეოკ-ის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კვლავ გავისხენეთ „საქართველოს ოლიმპიელი“, რომლისკენაც მიმავალ გზას ისევ შოთა მირიანაშვილის მეთაურობით დავადექით. იმ პირველამსკვლელთან კვლავ ჩვენთან ერთად იყვნენ ვახტანგ ბლაგიძე, შოთა ხაბარელი და გიორგი მაჭავარიანი. მწვერვალის დალაშქრით გამონვეული სიხარული მათთან ერთად გაიზიარა კიდევ ორმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა – კახი კახიაშვილმა და ლერი ხაბელოვმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა. მათ გარდა „საქართველოს ოლიმპიელი“ დალაშქრეს თსუ-ს ალპური კლუბის წევრებმა – ნატალია აბაზაძემ, ვალერი ადამიამ, ნინო ბურდულაძემ, თამარ გოქაძემ, შალვა თეთრაშვილმა, ზეზვა მარტიაშვილმა, გიორგი მაჭარაშვილმა, ბექა პატარაიამ, მარიამ ხაინდრავამ, სეოკ-ის პრესსამსახურის უფროსმა კახა ბერიძემ, „რუსთავი 2“-ის ტელეოპერატორმა ნიკა ლებანიძემ, ტელევიზიამ TVS-დან მისმა კოლეგა მამუკა სირაძემ, რომელთა ასვლასაც შოთა მირიანაშვილთან ერთად მეთაურობდა ალპინიზმისაბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონ-პრიზიორი ჯემალ ქელესაშვილი.

ეს ასვლა წლებგანდელი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი იყო. თუმცა არც სხვა ლაშქრობები გამოდგა ნაკლებ საინტერესო. მათგან გამოსარჩევია გუდამაყარში უსახელო მწვერვალზე ასვლა და მისთვის გოდერძი ჩოხელის სახელის დარქმევა.

– ჯერ კიდევ შარშან, საქართველოს მთამსკვლელთა ფედერაციის ხელმძღვანელობას ჩვენი ქვეყნის პარლამენტის წევრთა ერთმა ჯგუფმა გეთხოვა, იქნებ გუდამაყარში უსახელო მწვერვალი მონახოთ და ცხონებული გოდერძი ჩოხელის დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად მისი სახელი უწოდოთო, – გვიამბობს შოთა მირიანაშვილი, – ასეთივე მიზანი მეც მქონდა. ასე რომ, ჩემი და პარლამენტარების სურვილები ერთმანეთს დაემთხვა. ასე იყო თუ ისე, უსახელო პიკი, რომელიც მწვერვალების, წმინდა ნინოსა და ბურსაჭირის მახლობლად მდებარეობს, ჯერ კიდევ შარშან შევარჩიეთ, მაგრამ იქ ასვლა და მისი ნათლობის საქმე ამ შემოდგომისთვის გადავდეთ, რათა გო-

დერძი ჩოხელის საიუბილეო თარიღისთვის დაგვემთხვია.

ამიტომაც საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ საზაფხულო სამთო შეკრების ადგილად გუდამაყარი შეარჩია და ამ მხარეს 31-კაციანი რაზმით მიაშურა. იმავე დღეებში იქაურობას პარალელურად ესტუმრნენ თსუს სტუდენტთა საზაფხულო ალპინიადის მონაწილენი 36 კაცის შემადგენლობით.

უცნაურია, მაგრამ ბოლო წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტი მსგავს ღონისძიებას მხოლოდ სტუდენტთათვის აფინანსებს, მაგრამ ალპინიზმის მოსურნე ახალგაზრდების მთელ არმიას ხელმძღვანელობაც რომ სჭირდება, გამოცდილი ინსტრუქტორების რჩევა-დარიგება, მათი მეთვალყურეობა თუ სამაშველო სამსახურის თანადგომა, ამაზე რატომღაც აღარაფერ ფიქრობს. უამისოდ კი ალპინიზმი წარმოუდგენელი და ერთიორად სახიფათოა. ამიტომაც, ახლა თსუს ალპინიადებს, ფაქტობრივად, ამავე სასწავლებლის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპკლუბი საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად ატარებს.

ერთი სიტყვით, ახალბედა მთამსვლელებმა სასწავლო მომზადების პირველი ეტაპი გამოცდილების მეთაურობით გაიარეს და მათი ალპინისტური ნათლობა მწვერვალ „წმინდა ნინოზე“ შედგა, 9-კაციანი ჯგუფი კი, რომლის შემადგენლობაშიც ანა ბეჟანიშვილი, ლევან ვაჩიშვილი, შალვა თეთრაშვილი, გიორგი კორძაძე, ქეთევან ოჩხიკიძე, ბექა საღარაძე, მანანა სხირტლაძე და ირაკლი ჯავახიშვილი იყვნენ, ბაბუ ალუდაურის მეთაურობით იმ უსახელო პიკზე ავიდა და მას „გოდერძი ჩოხელი“ უწოდა.

ერთი შეხედვით, საქართველოში დაულაშქრავი მწვერვალები აღარ დარჩენილა, მაგრამ დროდადრო ასეთი აღმოჩენები მაინც კეთდება. ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული ჭაუხების მასივია, რომელიც, ეტყობა, კიდევ არაერთ საიდუმლოს ინახავს, განსაკუთრებით – პირიქითა ხევსურეთში, „გადამალული“ განშტოება, სადაც ორად-ორი მწვერვალია დალაშქრული. არადა, როგორც ამ ზაფხულს დავრწმუნდით, იქ კიდევ საკმაოდ დაა ფეხმუდგამი პიკები, რომლებიც სხვადასხვა სირთულისა უნდა იყოს.

ამ მხარეში პირველი ლაშქრობა 1943 წელს ალიომა ჯაფარიძის მეთაურობით მოეწყო. მისი გუნდი იქ 4 200 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალ კიდევანის მაღალზე ავიდა, რომელიც ასას ხეობას გადმოჰყურებს. 1952 წელს ამ მწვერვალზე ასვლა გაიმეორა ალექსი ივანიშვილის 10-კაციანმა გუნდმა და მას მერე ეს პიკი ყველამ დაივიწყა. ამ მწვერვალზე ჯაფარიძისა და ივანიშვილის ჯგუფების ასვლების მერე მთამსვლელებს სალაშქროდ აღარც გაუხედათ. და აი, ამ ზაფხულს ასას ხეობის სათავეებისკენ აღ-



მართული ჭაუხებისკენ გზას გაუფიქრეთ. თსუს ალპკლუბის 18-კაციანი გუნდს შოთა მირიანაშვილი მეთაურობდა. ხევსურეთის კენწეროში მდებარე სოფელ როშკაში ბარისახოს სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის მოადგილე არმაზ ნიკლაური შემოგვიერთდა. ის მთელი ხევსურეთის ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობს, ამიტომაც, არხოტის შემოვლაში და მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე მისმა მეგზურობამ საქმე გაგვიოხლა. საკუთარი ცხენიც მოგვაშველა, არხოტელებისაც და სავალი მეტად შეგვიმსუბუქა.

– კიდევანაზე ასვლას ბავშვობიდან ვოცნებობდი, – გვიამბობს არმაზ ნიკლაური. – ბოლოს, რამდენიმე წლის წინათ მარტო გაუფიქრე გზას. მიზნამდე, როგორც იტყვიან, ერთი ხელის განვდენაღა მრჩებოდა, მაგრამ ხეობიდან ბინდი დაიძრა. უკარვოდ და საძილე ტომრის გარეშე ლამის თევა მელოდა, ამიტომ პირი ვიბრუნე. ახლა, როცა შევიტყვე, რომ შოთა მირიანაშვილი ახალგაზრდებთან ერთად კიდევანაზე ასვლას

გეგმავდა, მოსვენება დავკარგე და შემოგიერთდით.

ერთი სიტყვით, შოთა მირიანაშვილმა, კიდევანას მყინვარის ცირკში ასული 18-კაციანი რაზმიდან შეიღწი ამ მწვერვალზე საიერიშოდ რომ გაამწესა, არმაზ ნიკლაური მათ შორის პირველი დაასახელა. ყველანი: არმაზიც, შალვა თეთრაშვილიც, გიორგი მაჭავარიანიც, მისი სესნია რეხვიაშვილიც, მამა-შვილი მალხაზ და გიორგი ზუციშვილებიც მშვიდობიანად ავიდნენ მწვერვალზე და შებინდებისას ბანაკში დაეშენენ. თან ჩამოიტანეს მწვერვალზე კონსერვის ქილაში დატოვებული ბარათიც, რომელმაც 1994 წელს კიდევანაზე არსენ ერქომიშვილისა და მინდია ნიკლაურის ასვლა დაადასტურა. სხვა „საიდუმლოს“ ამოხსნა, რაკი პროგნოზით ავადარი ახლოვდებოდა, საგაისოდ გადავდეთ და ჩვენს გულთბილ არხოტელ მასპინძლებს მომავალ შეხვედრამდე დავემშვიდობეთ.

ავთანდილ გურასაშვილი





საორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის და ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით, 29 ივნისს მიუთხად ჩატარდა საორტული ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტრადიციული მილიატურნირი. მილიის წარმომადგენლები, ასევე ბაჩო სვანიძის მემორიალის ნაკრები გუნდები ფეხბურთსა და კალათბურთში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. საფეხბურთო ტურნირს ფეხბურთის ფედერაციის მინი-სტადიონმა უმასპინძლა, საკალათბურთო შეჯიბრებას კი ვაკის პარკში მღაბარე მოეწინა. „ბაჩო თასი 2014“-ის მხარდამჭერები იყვნენ ფეხბურთის ფედერაცია, კალათბურთის ფედერაცია და კომპანია „ნატანტარი“.

თასი და ნიგნი

საფეხბურთო ტურნირი, შარშანდელის დარად, ბაჩო სვანიძის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ფინალში მათ გაზეთ „სარბიელის“ ნაკრები პენალტების სერიაში 5:4 დაამარცხეს. ძირითადი დრო ფრედ 5:5 დასრულდა. მესამე ადგილი პრესმედიელებმა დაიკავეს, რომლებმაც ტელემედიის გუნდი დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ბაჩო სვანიძის ნაკრების ლიდერი ზურაბ მიგრიაული დასახელდა, საუკეთესო ბომბარდირი კი პრესმედიის ნაკრების თავდამსხმელი პაპუნა ფირალიშვილი გახდა. საკალათბურთო ტურნირის (ქუჩის კალათბურთი 3X3) მთავარი პრიზი სპორტის სამინისტროს ნაკრებმა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გუნდმა გაითამაშეს. გამარჯვება „რუსთავი-2“-ს დარჩა. მესამე ადგილოსანი გუნდი გახდა „ოლსპორტის“ ნაკრები, რომელმაც „ბაჩო სვანიძის ნაკრები“ დაამარცხა. 2 ივლისს, სპორტულ

ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს, სამინისტროში ბაჩო სვანიძისადმი მიძღვნილი ნიგნის – „ლიმილის ბიჭი“ – პრეზენტაცია შედგა. გამოცემა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მოამზადა. ნიგნში შესულია ბაჩო სვანიძის მეგობრების და კოლეგების მოგონებები, ასევე ინტერვიუები მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებთან, რომელიც 2005-2008 წლებში გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა. მათ შორის, ინტერვიუები დიეგო მარადონასთან, მარსელ დესაისთან, ტანა უმაგასთან, გაბრიელა საბატინისთან, კრის ევერტთან, ეკატერინა გამოვასთან, მარიო პესკანტესთან. გამოცემაზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი ილია ბაბუნაშვილის, თამაზ მიგრიაულისა და ლაშა გოდუაძის შემადგენლობით.

ნიკა კოპაია



ახალი პერსპექტივა

70 მილიონი 53,9 მილიონი ლარის ნაცვლად

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა – 53,9 მილიონი ლარის ნაცვლად 70 მილიონი ლარი გახდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აააკი ლოღია გაზღვილ ბიუჯეტზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.



– სამინისტროს საწყისი ბიუჯეტი 16 მილიონ ლარზე მეტით გაიზარდა და 70 მილიონი იქნება. ახალი ბიუჯეტი საშუალებას გვაძლევს სპორტულ ფედერაციებს დაფინანსება გავუზარდოთ. 50-მდე ფედერაციიდან, რომელთაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, დაფინანსება მინიმუმ 10 პროცენტით ყველას გავზრდებთ. ახალი წლიდან სამინისტრო სპორტულ ფედერაციათა დაფინანსების პროგრამულ ვარიანტზე გადადის – ფეხბურთის, რაგბის და კალათბურთის სპეციალურ პროგრამებს კიდევ სპორტის 7 სახეობა დაემატება, მნიშვნელოვნად მოიმატებს ხელბურთის, ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, ფარეკაობის, ჭადრაკის ფედერაციების და პარალიმპიური კომიტეტის ბიუჯეტი.

– გაზრდილი ბიუჯეტი კიდევ რა მიმართულებებს მოხმარდება?

– მიმდინარეობს მუშაობა, რათა ვეტერანმა და მოქმედმა სპორტსმენებმა, რომლებიც სამინისტროდან ფინანსდებიან და შესაბამის სტიპენდიებსაც იღებენ, სპეციალური დაზღვევით ისარგებლონ. დაზღვევის ამუშავება ფედერაციებს და სპორტსმენებს ძალიან ბევრ პრობლემას გადაუჭრის. ტრავმები სპორტის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სპორტსმენები დაზღვეულნი იყვნენ.

– მუნიციპალიტეტებისთვის სპორტული ინვენტარის გადაცემა გრძელდება. რომელ რეგიონებს სტუმრობდით და რა სახის ინვენტარი ჩაიტანეთ.

– საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩავედით და მთლიანობაში მუნიციპალიტეტებს თუ სპორტულ სკოლებს 700

ათასი ლარის ინვენტარი გადავეცით. ბიუჯეტი ამ მიმართულებითაც გაიზარდა – რეგიონებში 1 400 000 ლარის სპორტული ინვენტარს დავარიგებთ. სპორტული ინვენტარის შერჩევა წინასწარი შეთანხმებით ხდება – ზოგს ჭიდაობის ხალიჩა და ფორმები სჭირდება, ზოგს – კალათბურთის ფარი და ბურთები.

– 2015 წელს თბილისი ახალგაზრდულ ფესტივალს მასპინძლობს. ოლიმპიადისთვის მშენებარე ობიექტებიდან ორის კეთილმოწყობაზე ვალდებულია სამინისტრომ აიღოს რა მდგომარეობა ამ კუთხით?

– საწყლოსნო სახეობებისთვის განკუთვნილი აუზის და მრავალფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა სამინისტროს თაოსნობით მიმდინარეობს და მასზე შპს „სპორტმშენსერვისი“ მუშაობს. ობიექტების მშენებლობაზე 25 მილიონი ლარი დაიხარჯება და აპრილში დასრულდება. სპორტული ბაზები უმაღლესი სტანდარტებისა იქნება, ფესტივალის შემდეგ კი თავისუფლად შეიძლება უმაღლესი დონის ტურნირებს უმასპინძლოს. ეს ყველაფერი აქედანვე შეთანხმებულია შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებთან. გეტყვი, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით გამორჩეულია თბილისში და რეგიონებში ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების დამონტაჟება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს და შშმ პირებისთვისაც აპრობირებულია. გარდა ამისა, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს „დინამო არენას“ რეკონსტრუქციაზე, რომელიც 2015 წლის აგვისტოში უეფას სუპერთასის ფინალს უმასპინძლებს. აპრილის ბოლოს

თბილისს შეემატება 7 დარბაზი: ძიუდოს აკადემია, ტანვარჯიშის სასახლე, ფრენბურთის სასახლე, მძლეოსნობის არენა, ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის დარბაზი, დიდუბის საკალათბურთო დარბაზი, ჩოგბურთის კორტები. ამ ბაზებიდან ნაწილის რეკონსტრუქცია ხდება, ნაწილი კი თავიდან შენდება.

– ორი წელი გავიდა სამინისტროში თქვენი გუნდის მუშაობიდან. როგორ შეაფასებთ განვლილ პერიოდს და რას გვეტყვი 2015 წლის გეგმებზე?

– რთული პერიოდი უკან მოვიტოვეთ, მცირე დროში ბევრი პრობლემის გადაჭრა მოგვიხდა. 2015 წელი ემოციებით სავსე, საინტერესო მოვლენებით დატვირთული გამოვა. ოლიმპიურ სახეობებში რიოს ოლიმპიადის ლიცენზიების გაცემა დაიწყება და ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად იბრძობებენ. სამინისტრო მათთვის ღირსეული პირობების შესაქმნელად და სრულყოფილი მოსამზადებელი ეტაპების გასაველად ყველაფერს გააკეთებს. თბილისში დაგეგმილია რამდენიმე მასშტაბური ტურნირის მასპინძლობაც, რომლის ჩასატარებლად მუშაობა დიდი ხანია დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მასობრივი სპორტის პოპულარიზაციას, რეგიონებში აქტივობებს. ჩვენ შევალთ ყველა ოჯახში, რათა მოსახლეობას ცხოვრების ჯანსაღი წესის უპირატესობა ავუხსნათ, ჯანსაღი თაობის გაზრდას ხელი შევეწყოთ. ამ გეგმის განსახორციელებლად კი ბიუჯეტი გავზარდეთ, გავასამაგეთ.

ლექსო მანუშაძე



→ საქართველოს პრეზიდენტი აჯილდოებს პრიზიორებს

და. 105 კილოში ფიცარნაგზე ორი ჩვენებური გავიდა. გია მაჭავარიანმა ორჭიდში 363 კილოგრამით (168+195) 22-ე ადგილი დაიკავა. ალბერტ კუზილოვმა 170 კილოგრამი აიტაცა, მაგრამ აკვრაში საწყისი წონა – 205-კილოიანი შტანგა ვერ დაიმორჩილა და შეუფასებელი დარჩა ისევე, როგორც გიორგი ლომთაძე (77 კგ). 62 კილოში რამინ შამილიშვილი მე-20 ადგილს დასჯერდა. სულ საქართველოს ნაკრებმა 107 ქულას მოუყარა თავი და 27-ე ადგილზე გავიდა, რაც ჩვენს გუნდს ოლიმპიადის სამი ლიცენზიის მოპოვების შანსს უნარჩუნებს. დოზინგის მიღების გამო დასჯილ 4 ქართველ ძალოსანს დისკვალიფიკაციის ვადა მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე უმთავრდება და ფიცარნაგზე გასვლის საშუალება მიეცემა. ეს კი საგრძობლად გაზრდის საქართველოს ნაკრების შანსებს, რომ 18 საუკეთესო გუნდში მოხვდეს და 2016 წლის ოლიმპიადაზე 4 სპორტსმენით გაემგზავროს.

22-29 ნოემბერს, კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში 20 და 23-წლამდელთა შორის

საფუძველი ჩაყრილია

კალოსნობა რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის ბრძოლა დაიწყო. მსოფლიოს პირველობაზე ეროვნულმა ნაკრებმა პირველი სალიცენზიო ქულა მოიპოვა და ამჟამად, აქტიური 3 ლიცენზიის ფლოს. ყველაფერი გაიხსნა ამერიკაში გასაბარტ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიკვება, სადაც ჩვენი გუნდი ოპტიმალური შედეგებით გამოვა. წლავანდელი მსოფლიოს პირველობა კი ოთხმა წამყვანმა ძალოსანმა დოზინგზე ჩაპარდნის გამო გამოტოვა. იგივე მიზეზით ჩვენმა სპორტსმენებმა ჭაბუკთა და უფროსთა ეკოპის ჩემპიონატები გამოტოვეს.



11-13 სექტემბერი დუშეთის კულტურის სახლში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. 8 წონით კატეგორიაში ჩემპიონობისთვის 60 სპორტსმენი იბრძოდა. ჩემპიონატის დასკვნით დღეს, 13 სექტემბერს დუშეთის კულტურის სახლს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ესტუმრა და მიძიმე წონაში გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვა.

6-16 ნოემბერს ყაზახეთის ქალაქ ალმატაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრები 6 სპორტსმე-

ნიტ გამოვიდა. მსოფლიოს პირველობაზე დაიწყო რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის ბრძოლა. ლიცენზიებს გუნდები წლევანდელ და საგაისო მსოფლიოს პირველობაზე დაგროვილი ქულების მიხედვით მიიღებენ. აზიურ ფიცარნაგზე სხვებზე უკეთ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ირაკლი თურმანიძე (+105კგ) გამოვიდა: 195 კილო აიტაცა და 227 კილო აკრა, ორჭიდში 422 კილოგრამი მოაგროვა და მე-6 ადგილი დაიკავა. ატაცში ბრინჯაომდე 4 კილო დააკლდა – მე-4 ადგილს დასჯერ-

ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც ევროპირველობაზე 5 სპორტსმენით გამოვიდა, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე თავკაცობდა. ჩვენი ძალოსნები ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ 20-წლამდელებს შორის გამოვიდნენ და ორი მცირე მედალიც მოიპოვეს. ირაკლი გაბრიჭიძემ (77 კგ) 145 კილო აიტაცა და მცირე ვერცხლის მედალი მიიღო. გიორგი ჩხეიძემ (105 კგ) კი 201 კილო აკრა და ბრინჯაო დაისაკუთრა.

მოძღვრო საფეხურზე



სოფიო შაფათავა

საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგბანამ ანა ტატიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღო. ეს აგავი ჩოგბურთელმა თავად გვამცნო „ფინისკის“ საკუთარ ბჰერდზე. 24 წლის ტატიშვილი 2012 წელს მსოფლიოს საუკეთესო 50-ეულში შედიოდა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით გამოვიდა. ჩვენ დავკარგეთ პირველი ჩოგანი და რიოს ოლიმპიური თამაშების პოტენციური ლიცენზია. ულიდეროდ დარჩენილმა ჩვენმა ქალმა ნაკრებმა კონფედერაციის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფი დამაჯერებლად დაძლია და ბისად პირველ ჯგუფში ითამაშეს.

ინვარში ვაჟთა ნაკრების ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გერმანიაში, 15 000-იან საერთაშორისო ტურნირზე ორჯერ დაიკავა უმაღლესი საფეხური. ჯერ ერთეულთა თანრიგის ფინალში მე-2 ნომრად განთესილ მილოსლავ მეჩირს (სლოვაკეთი) აჯობა – 2:6, 7:5, 6:3 და პირველ ადგილზე გავიდა, მერე კი ბელორუს ალექსანდრე ბურისთან ერთად იჩემპიონა. ქართულ-ბელორუსულმა დუეტმა დაუბრკოლებლად განვლო მთელი ტურნირი, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ვლადიმირ იგნატიკისა (ბელარუსი) და დიმიტარ კუტროვსკის (ბულგარეთი) წყვილს მოუგო – 4:6, 6:4, 10:6.

თებერვალში ფრანგულმა გრენობლმა ჩოგბურთელ ქალთა 25 000-იან საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში სოფიო შაფათავაც გამოვიდა და წყვილებში ანასტასია ვასილიევასთან (უკრაინა) გამარჯვება მოიპოვა. თებერვალშივე ტალინში გამართულ 15 000-იან შეჯიბრებაში შაფათავამ კვლავ წყვილებში იყოჩაღა. ჩვენებური სლოვენელ შაპე სკირიჩთან იყო შეამხანაგებელი და სამი წრის გავლის შემდეგ ფინალში აგნეს ბუკტას (უნგრეთი) და ვიქტორია ტომოვას (ბულგარეთი) ტანდემი დაჯაბნა – 6:4, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

აპრილში ლიტვურ შიაულიაში გაიმართა ფედერაციის თასის გათამაშება ევროაფრიკული მეორე ზონის გუნდებს შორის. ქართველმა გოგონებმა პირველ ტურში მშრალი ანგარიშით სძლიეს ეგვიპტის ნაკრებს. კორტზე ჯერ ეკატერინე გორგოძე გავიდა, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში სანდრა სამირსს მოუგო – 7:5, 6:3, სოფიო შაფათავამ კი იოლად აჯობა მეიერ შერიფს – 6:1, 6:1. ქალთა ნაკრებმა შემართებით ითამაშა წყვილებშიც – შაფათავამ და ოქსანა კალაშნიკოვამ ოლა ებოუ ზეკრისა და მეიერ შერიფის დუეტს – 6:2, 6:4 აჯობეს. მე-2 ტურში საქართველოს ნაკრები სამხრეთ აფრიკას დაუპირისპირდა. პირველები კორტზე სოფიო ქვაცაბაია და მადრილე როუქსი გავიდნენ. ჩვენებურმა ორივე სეტი ნააგო, თუმცა სოფიო შაფათავამ წონასწორობა აღადგინა – ჩანელ საიმონდსი დაამარცხა ორ სეტში – 6:3, 6:3. მატჩის ბედი ოქსანა კალაშნიკოვა-სოფიო შაფათავას და ნატალი გრანდინი-ჩანელ საიმონდსის წყვილთა პაექრობას უნდა გადაეწყვიტა. ქართველებმა სამ სეტში 6:7, 7:6,

6:3 გაიმარჯვეს. ამის შემდეგ ქვეჯგუფში ბოსნია-ჰერცეგოვინა მშრალი ანგარიშით დაამარცხეს – 3:0. პლეი ოფში საქართველოს ნაკრები აჯგუფის მეორეადგილოსან ფინეთს შეხვდა და 2:1 დაჯაბნა (კალაშნიკოვა-ემა ლაინე 6:1, 5:7, 6:7, შაფათავა-პიია სოუმალაინენი 6:2, 6:2, კალაშნიკოვა, შაფათავა – ლაინე, სოუმალაინენი 6:4, 6:1), რითაც ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. პირველ ჯგუფში საქართველო და ლიხტენშტაინი ლუქსემბურგსა და სლოვენას ჩანაცვლებენ.

მაისში საფრანგეთის ღია პირველობის ძირითად ბადეში ითამაშა სოფიო შაფათავამ, სადაც რუს სვეტლანა კუზნეცოვას შეხვდა, 3:6, 1:6 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა. მანამდე სოფომ პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით განვლო – ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია და 40 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. ივნისში შაფათავამ წარმატებით ითამაშა იტალიურ პადოვაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 000 დოლარი იყო. სოფო წყვილებში მასპინძელ ჯოია ბარბიერისთან ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი. ქართულ-იტალიურმა დუეტმა ფინალში პაულა კრისტინა გონსალესსა (ბრაზილია) და ფლორენცია მოლინეროს (არგენტინა) სამ სეტში აჯობა – 6:4, 0:6, 14:12 და მთავარი პრიზი დაისაკუთრა.

სექტემბერში ბათუმმა და თელავმა უმასპინძლა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებს, რომელსაც ქართველი ჩოგბურთელებისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს – ეს ტურნირები ჩვენ მეტოქეებს საშუალებას აძლევს უცხოელ მეტოქეებს გაეჯიბრონ და გამოცდილება მიიღონ. სამწუხაროდ, საერთაშორისო ტურნირებზე სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრება ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის – ბათუმის და თელავის შეჯიბრებებზე თამაში კი მათთვის გაცლებით იოლია.

ნიკა კოვალიანი



ირბინა მსოფლიოსთან ერთად

4 მაისს ყვარალში, ლოკოტას ხეობაში, გაიხარტა მასშტაბური მარათონი – Wings For Life World Run. ეს იყო საქველმოქმედო მარათონი – შებენილი თანხა ზურგის ტვიხის პრობლემათს კვლევას და შხმ პირებს მოხმარდება. გარბენში მონაწილეობა მიიღო მინისტრმა ლევან ყიფიანმა, მინისტრის მოადგილეებმა, სამინისტროს 60-მდე თანამშრომელმა, მოქმედმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა, სპორტული ფადარაციების წარმომადგენლებმა.



გარბენში საქართველოს დროით ზუსტად 14:00 საათზე მსოფლიოს 35 ქვეყანაში 100 ათასზე მეტი ადამიანი ჩაერთო. ლონისძიება Red Bull-ის მიერ იყო ორგანიზებული. საქართველოში საქველმოქმედო აქცია კახეთში, ლოპოტის ტბის გადასახვევთან დაიწყო. გარბენში 3 ათასზე მეტი პროფესიონალი სპორტსმენი თუ მოყვარული მონაწილეობდა, მათ შორის 300-მდე უცხოელი 26 ქვეყნიდან. რეგისტრაციის ღირებულება 20 ლარი იყო.

საინტერესოა, რომ წინასწარ არ იყო განსაზღვრული ტრასის სიგრძე და დრო, ანუ არ არსებობდა ფინიში. წესის მიხედვით, სტარტიდან 30 წუთის შემდეგ მოძრაობას იწყებდა სპეციალური ავტომობილი, რომელიც წინასწარ განსაზღვრული სიჩქარით გადაადგილდებოდა: 15კმ/სთ, მოგვიანებით 20კმ/სთ, ბოლოს კი – 25 კმ/სთ. როგორც კი ეს ავტომობილი მონაწილეს ჩაუვლიდა, მისი შედეგი მონაცემთა საერთო ბაზაში ფიქსირდებოდა და ის გათამაშებას ეთიშებოდა. ის, ვისაც ყველაზე ბოლოს დაეწყო და ავტომობილი, რბოლის გამარჯვებულად ცხადდებოდა.

„Wings For Life World Run საქართველო 2014“ ქალთა შორის ფრანგმა მარიელ კარმანოლიმ მოიგო – Red Bull-ის ავტომობილი მას 25,34კმ-ზე დაენია, მამაკაცთა შორის კი 31 წლის ლავოდეხელმა ანატოლი ოლეინიკოვმა გაიმარჯვა, რომელიც 52,65კმ-ზე გამოეთიშა მართონულ გარბენს. მსოფლიოს მასშტაბით წლებანდელი აქციის გამარჯვებული გახდა ეთიოპიელი ლემავორკ კეტენა, რომელიც ავსტრიაში დარბოდა. აფრიკელმა 78,58 კილომეტრის გარბენა მოასწრო. ქალებს შორის ნორვეგიელმა ელისე სელვიკვაგ მოლვიკმა გაიმარჯვა – ავტომობილი მას ნორვეგიის გზებზე 54,79 კილომეტრზე წამოენია.

ლევან ყიფიანი: „ეს ჩინებული აქციაა და ბედნიერი ვარ, რომ მასში ვმონაწილეობ. მინდა ლონისძიების ორგანიზატორებს დიდი მადლობა გადაუხადო. მოხარული ვიქნები, თუ მსგავსი გარბენები ჩვენთან მომავალშიც მოეწყობა“.

ანატოლი ოლეინიკოვი: „გარბენისთვის ორი თვე ვემზადებოდი, ცოტა გამიჭირდა. გამარჯვებას ნაკლებად ველოდი, ამიტომ ორმაგად გახარებული ვარ. ძლიერი კონკურენტები მყავდა, თუმცა გამარჯვება მე დამრჩა. ბედნიერი ვარ გამარჯვებით და მივესალმები ამ გარბენს, რომელიც საქველმოქმედო და ადამიანებს ეხმარება“.

ალექსანდრა მაისაშვილი



RUN TOGETHER WITH THE WORLD

The large-scale marathon Wings for Life World Run was arranged in Lopota valley in Kvareli (east Georgia) on May 4. The funds raised during that charitable action will go for the research spinal cord problems. Red Bull organized the event. More than 3000 professional sportsmen and amateurs, including 300 foreigners from 26 countries and 60 employees of the Georgian Ministry of Sports and Youth Affairs participated in the race. The registration fee was 20 Laris. Mariel Karmanoli (France) was the winner of `Wings for Life World Run Georgia 2014` among the women. 31-year-old Anatoly Oleynikov from Lagodekhi was winner among the men.

Said Levan Kipiani, Minister of Sports and Youth Affairs of Georgia, "This is an excellent action and I am happy to participate in it. I want to thank very much organizers of this event. I'll be glad if we have the races of this kind in the future."

ALEXANDER MAISASHVILI



სპორტის დღე

6 აპრილს, სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და სხვადასხვა სპორტული ფედერაციების ორგანიზებით, თბილისში, კუს ტბაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიებები გაიმართა სლოგანით – „იცხოვრე სპორტით“. აქციის ფარგლებში კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საბავშვო კუთხე, ასევე სპორტის მუზეუმის საგამოფენო სივრცე დამთვალიერებლებისთვის. სპორტული ღონისძიებები მთელი დღე გაგრძელდა და 500-მდე მონაწილე ჩაერთო. ახალგაზრდებს შორის შეჯიბრებები მოეწყო ქუჩის კალათბურთში, გრეხეტბოლში (სახალისო ქუჩის ფეხბურთი), მეკლდეურობაში, ქვიშის ფრენბურთში, კანოეში, ხრიდოლში, ქართულ ჭიდაობაში, კარატეში, მკლავჭიდასა და ჭადრაკში, ნარდასა და მხიარულ სტარტებში, საჩვენებელი გამოსვლები გაიმართა უმუში და ჩერლიდინგში. გამარჯვებულებს და პრიზიორებს სამინისტროსგან მაისურები, სიგელები, მედლები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. კუს

ტბაზე ჩატარებულმა სპორტულმა ღონისძიებებმა დიდი მონონება დაიმსახურა.

ლევან ყიფიანი: „საქართველო უერთდება მსოფლიოს სპორტის თანამეგობრობას და ფართოდ აღვნიშნავთ სპორტის საერთაშორისო დღეს. კარგია, როცა სპორტულ აქტივობებში, პროფესიონალი სპორტსმენების გარდა, მოყვარულები, სპორტის ქომაგებიც მონაწილეობენ. მშობლებს მოჰყავთ ბავშვები, მათთან ერთად ერთვებიან სხვადასხვა სპორტულ თამაშებში და არის მხიარულება, რაც ასე უხდება სპორტულ შეჯიბრებებს. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სხვადასხვა სპორტული აქტივობები ჩვენი სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტია და შემთხვევითი არ არის, რომ ამ ღონისძიების სლოგანია „იცხოვრე სპორტით“. სპორტის საერთაშორისო დღე მომავალშიც აუცილებლად აღინიშნება და კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს“.

ნიკა კოპაძე





დიდი იუბილა

1964 წლის 18 ნოემბერი ჩვენი ფეხბურთის და ზოგადად, ქართული სპორტის ისტორიაში გამორჩეული თარიღია. ამ დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, „ფახთაქორის“ სტადიონზე, ჩემპიონატის დამატებით, 33-ე შეხვედრაში მოსკოვის „ტორპედო“ 4:1 დაამარცხა და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის უძლიერესი კლუბის წოდება.

ჩემპიონატის ოქროს მედლები – ეს თბილისის „დინამოს“ და ქართული ფეხბურთის პირველი დიდი გამარჯვებაა, რომელზეც ფეხბურთელთა თაობები ოცნებობდნენ. პირველი თაობის დინამოელებმა – ბორის

პაიჭაძემ, სერგო შუდრამ, მიხეილ ბერძენიშვილმა, ოთარ გაგუამ, შოთა შავგულიძემ და მათმა თანაგუნდელებმა რამდენიმეჯერ დაიკავეს საპრიზო მეორე-მესამე ადგილი, მეორე თაობამ – ავთანდილ ლოლობერიძემ, ვლადიმერ ელოშვილმა, ვლადიმერ მარღანიამ, გაიოზ ჯეჯელავამ, ავთანდილ ჭკუასელმა, ნიაზ ძიაპშიპამ პირველობის მედლებს თასის ფინალში ასპარეზობაც დაურთეს, 1964 წელს კი, მესამე თაობის დინამოელებმა ნანატრ გამარჯვებას მიაღწიეს.

ნოემბრის იმ დღეებში, როცა თბილისის „დინამო“ ჩემპიონობას ძალიან მიუახლოვდა, თბილისიდან ტაშკენტის მიმართულე-ბით მიდიოდა თითქმის ყველა, განურჩევ-



→ ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია და გიორგი სიჭინავა

ლად იმისა, ჰქონდა თუ არა გადამწყვეტი მატჩის ბილეთი. ცნობილია, რომ თბილისიდან ტაკშენტში დამატებით დაინიშნა რამდენიმე ათეული ავიარეისი, „ტორპედოსთან“ თამაშზე დასწრების მსურველთა რაოდენობამ კი ნახევარ მილიონს მიაღწია...

1964 წლის ჩემპიონატი „დინამომ“ კარგად დაიწყო: ზედიზედ მოიგო რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა. ამას მცირე ჩავარდნა მოჰყვა, რასაც მთავარი მწვრთნელის ცვლილება დაერთო: მიხაილ იაკუშინი ევროპის 1960 წლის ჩემპიონატის მომგებმა გავრილ კაჩალინმა შეცვალა. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „დინამო“ ჩინებულად ათამაშდა, ლამის მთელი მეორე ნრე დაუმარცხებლად განვლო და გადამწყვეტ შეხვედრაში მონანილეობის უფლებაც მოიპოვა.

„ტორპედოსთან“ დაპირისპირება გადაჭედელ სტადიონზე გაიმართა. თავდაპირველად მოსკოველები დაწინაურდნენ, თუმცა ილია დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან პირდაპირ კარში ჩახვეული ბურთის შემდეგ უპირატესობა მთლიანად ქართველი ფეხბურთელებისკენ გადავიდა და დამატებით დროში „დინამომ“ საბოლოოდ გატეხა მეტოქე – 4:1 და ნანატრი ოქროს მედლები! ქართული თეატრის ვარსკვლავები ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე, რომლებიც



რადიომსმენელებისათვის ამ შეხვედრას ტაშკენტიდან ერთად უძებოდნენ, დიდხანს გაჰყვიროდნენ მიკროფონში: „ვართ, ვართ ჩემპიონები“!

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები მოიპოვეს მთავარმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინიამ, მწვრთნელმა ალექსანდრე კოტრიკაძემ, გუნდის უფროსმა ავთანდილ ლოლობერიძემ, ფეხბურთელებმა: გუნდის კაპიტანმა შოთა იამანიძემ, გიორგი სიჭინავამ, სლავა მეტრეველმა, გურამ ცხოვრებოვმა, ვლადიმერ ბარქაიამ, ჯემალ ზეინკლიშვილმა, ბორის სიჭინავამ, მიხეილ მესხმა, ილია დათუნაშვილმა, სერგო კოტრიკაძემ, გურამ პეტრიაშვილმა, ალექსანდრე აფშევმა და ვახტანგ რეხვიაშვილმა. გულშემატკივრებმა ჩემპიონი „დინამო“ „ოქროს გუნდად“

მონათლეს, ფეხბურთელები კი „ოქროს ბიჭებად“. სამწუხაროდ, დღეს მათგან მხოლოდ სამია ცოცხალი: გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია და ილია დათუნაშვილი.

1964 წლის საჩემპიონო სეზონში „დინამოს“ მაისურით ითამაშეს, თუმცა ჩემპიონის ტიტული არ მიუღიათ მურთაზ ხურცილავას, ნოდარ ლეჟავას, ნომალ მაისურაძეს, ელგუჯა ხუციშვილს და ზაურ კალოვეს. სათქმელია ისიც, რომ თბილისის „დინამოს“ პირველ გუნდთან ერთად ჩემპიონის წოდება იმ წელს „დინამოს“ დუბლშემადგენლობამაც მოიგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასპარეზობის მანძილზე „დინამომ“ სულ ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი. მეორედ – 14 წლის შემდეგ, 1978 წელს.

ლავა გოდუაძე

HALF A CENTURY SINCE LANDMARK VICTORY

November 18, 1964 is a truly distinguished date in the history of Georgian sport. That same day Dinamo Tbilisi beat Torpedo Moscow 4:1 in the extra time on “Pakhtakor” stadium in Tashkent (Uzbekistan). By this victory, Dinamo Tbilisi became champion of the USSR for the first time.

The match against Torpedo in Tashkent was going on the overcrowded stadium. Torpedo advanced at the beginning but after the goal scored by Iliia Datunashvili with the skillfully performed corner kick the advantage completely switched to the Georgian team. Dinamo ultimately suppressed the contender in the extra time with score 4:1 and won the long-wished golden medals.

The title of the USSR champion and golden medals were awarded to Gavril Kachalin, chief coach to Dinamo Tbilisi, Alexander Kotrikadze, coach, Avtandil Gogoberidze, head of the team and footballers: Shota Iamanidze, Giorgi Sichinava, Slava Metreveli, Guram Tskhovrebov, Vladimer Barkaia, Jemal Zeinklishvili, Boris Sichinava, Mikleil Meskhi, Iliia Datunashvili, Sergo Kotrikadze, Guram Petriashvili, Alexander Apshev and Vaktang Rekhviashvili. Georgian fans nicknamed the champion Dinamo and its players as “Golden Team” and “Golden Guys.” Unfortunately, only three of them are alive today. They are Giorgi Sichinava, Vladimer Barkaia and Iliia Datunashvili.

LASHA GODUADZE





მესხი კვარცხლბეკი

თბილისის „დინამოს“ ისტორიული გამარჯვების საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიხსნა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის ქანდაკება. ბრინჯაოში ჩამოსხმული სკულპტურის ავტორია ცნობილი მოქანდაკე გიორგი შვაცაბაია. ცერემონიაზე შეიკრიბნენ ვეტერანი ფეხბურთელები, მესხის თანაგუნდელები, ოჯახის წევრები, სპორტის სამინისტროს, ქალაქის მერიის და საკრებულოს, ოლიმპიური კომიტეტის, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები,

ფეხბურთის გულშემატკივრები. გიორგი შვაცაბაიამ მაღლობა გადაუხადა იმ ადამიანებს და ორგანიზაციებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ამ საქმის დასრულება და ქანდაკების აღმართვა. სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს მიხეილ მესხის ნიჭიერებაზე, მის დიდ დამსახურებაზე ქართულ ფეხბურთში. გამოითქვა სურვილი, რომ კარგი საქმე გაკეთდება, თუ აღსდგება საფეხბურთო სკოლა „ავაზა“, რომელიც მესხმა დაარსა და სიცოცხლის ბოლო წლები ამ სკოლის სამსახურს შეაღია.

ქართული სპორტის დიდი სახელები

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საგამომცემლო პროექტის – „ქართული სპორტის დიდი სახელები“ ფარგლებში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, რამდენიმე წიგნი გამოიცა. პროექტს აასოციაციის პრეზიდენტი გიორგი გორგოძე ხელმძღვანელობს. ის არის ასევე მთავარი რედაქტორიც და წინასიტყვაობების ავტორიც.



წიგნი მოგვითხრობს თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებზე და მწვრთნელებზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დინამოელთა „ოქროს“ გუნდს, რომელმაც 1964 წელს, ნახევარი საუკუნის წინ პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო იქნება მიხეილ კაკაბაძის, ნოდარ გუგუშვილის, გარუნ აკოფოვის, არჩილ გოგელიას, გულბათ ტორაძის, გურამ ფანჯიკიძის, დავით ქლიბაძის, ოთარ გაგუას, ბიჭიკო ქორქიას და სხვათა წერილების გახსენება, აგრეთვე ცნობილი საფეხბურთო ჟურნალისტების – ლევ ფილატოვისა და მარტინ მერჟანოვის თბილისის „დინამოს“ გამარჯვების სეზონისადმი მიძღვნილი სტატიები. ერთ წიგნში გაერთიანებული საინტერესო პუბლიკაციების კრებული ქართული ფეხბურთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ამბებს გვახსენებს და ჩინებული საჩუქარია ფეხბურთის ქომაგებისთვის.

ის გასლავთ ქართული ფეხბურთის პატრიარქის – ანდრო ჟორდანიას ნააზრევის ლიტერატურული ჩანაწერი, რომელიც რომან მიმინოშვილმა შეასრულა. ის, რომ ბატონი ანდრო ჟორდანიას ქართული ფეხბურთის ამაგდარი და დიდი მწვრთნელი იყო, რა თქმა უნდა, ბევრმა იცის, მაგრამ წიგნის ნაკითხვისას გაგაოცებთ ჟორდანიას საფეხბურთო ხედვა. ვინც ფეხბურთში ტრიალებს და ნრფელად უყვარს ეს შესანიშნავი თამაში, უნდა ნაკითხოს ანდრო ჟორდანიას წიგნი, რადგან „ქართულ ფეხბურთს მართლა არასდროს ჰყოლია მისი ბადალი გულშემატკივარი და სპეციალისტი“, რომელსაც ხელმეწყობის მაგივრად ხშირად უმადურობა და ტკივილი შეხვედრია. ამიტომ გახლდათ უპრიანი, რომ ამ წიგნით კიდევ ერთხელ შეგვხმინებოდა დიდი მწვრთნელი, რომელიც ბრძანებდა, რომ: „ნარსულის მოგონება ხვალინდელი დღის დასანახავადაა საჭირო. უნდა შეგეძლოს გაიხედო ხვალის მიღმა, ამისთვის კი საჭიროა ნარსული გახსოვდეს“.

რაბაზ შენგელია დიდი ფეხბურთის იმ მცირერიცხოვან რჩეულთა რიგებს განეკუთვნება, ვინც ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ უმაღლეს დონეზე ასრულებდა სათამაშო მინდორზე იმას, რაც ასე მოთხოვნადია თანამედროვე ფეხბურთში. „დინამოს“ მაშინდელ მართლა დიდ გუნდში მოსული ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი ორიოდ წელიწადში საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის უპირველესი ბომბარდირი და ორჯერ (!) სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა! ნაკრებშიც გამორჩეული იყო. სტაჟიან ქომაგებს დღესაც ასოვთ 1981 წელს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გადამწყვეტი თამაში მაშინდელ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან, რომელიც თბილისში გაიმართა და რამაზის ნამდვილ ბენეფისად იქცა. არც ესპანეთში, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შურცხვინა თავი. ამ წიგნით ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგებს კიდევ ერთხელ გვინდა გავახსენოთ დიდი ფეხბურთელი და საოცრად კარგი პიროვნება – ჩვენი რამაზ შენგელია, ის ხომ ჩვენ სიხარულს გვჩუქნიდა!..

ის წიგნი ეძღვნება ქართული სპორტის გამორჩეულ წარმომადგენელს, დიდ კალათბურთელს და ჩინებულ პიროვნებას ნიკოლოზ დერიუგინს. „ჩვენი კოლია დერიუგინი,“ – წიგნის სათაურიდანვე გაგყვებათ ეს თბილი განწყობა, ბევრჯერ გაგახსენდებათ არცთუ ძალიან შორეულ წარსულში გადაჭედული სპორტის სასახლის ტრიბუნების გამორჩეული ქომაგობა. თვალნათლივ წარმოიდგენთ მეტოქის ფართან მზაკვრული უწყინარობით ზურგით მდგარ, ერთი შეხედვით „ბულკივით ბიჭს“ – სულნათელი სულიკო თორთლაძის უტყუარი გუმანით დაფრთიანებულ კიდევ ერთ დიდ საჩუქარს ქართული (და არა მარტო ქართული) კალათბურთისთვის! და მერე ეს „ბულკივით ბიჭი“ ისე მზაკვრულად გააცუცურაკება მასზე 10-12-14 სანტიმეტრით მაღალ გულიერებს, რომ ლამის მეტოქე შეგებრალეობდა... წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად, მისი ავტორის, ილია ბაბუნაშვილის დამსახურებაა.



საქართველოს სტუდენტთა ნაკრები – ევროპის 2014 წლის უნივერსიადას ჩემპიონი

სტუდენტური ლელო

სტუდენტობა შიდა სარკივლის გარდა თავე საერთაშორისო ასპარეზზე გამოიჩინეს და სტუდენტურ ყულაბას ოძროს მეღალი შესძინეს. შვიდკაცა რაბგის ევროპის ჩემპიონატზე სეუ-ს გუნდმა პირველობა არავის დაუთმო და ევროპული ოძრო საქართველოში ზედიზედ მეორედ ჩამოიტანა.

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ საინტერესო შეჯიბრებებით დასუნძოლი სეზონი 27-29 იანვარს საბილიარდო კლუბ „რიოში“ სახეობა რვიანში გამართული სტუდენტური ჩემპიონატით დაიწყო, რომელშიც მონაწილეობა 15 უმაღლესი სასწავლებლის 34 სტუდენტმა მიიღო. გოგონებში გამართულ შეჯიბრში ჩემპიონი გახდა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი ეკა თორაძე, ვერცხლის მეღალი სტუ-ს სტუდენტს მარიამ დადაშიანს, ხოლო ბრინჯაო სამედიცინოს წარმომადგენელს ხატია ეჟიშვილს ერგო. ვაჟებში საუკეთესო იყო ლევან მამალაძე (სტუ), მეორე ადგილზე გიორგი კორძია გავიდა (სამედიცინო), მესამეზე ზურაბ თუშიშვილი (ილიაუნი).

20-22 თებერვალს დაბა ბაკურიანში ჩატარდა ზამთრის „უნივერსიადა-2014“. საუკეთესოები 20 უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტს შორის გამოვლინდა. თხილამურებით კროსში ვაჟებში საუკეთესო შედეგი აჩვენა დავით თედიასვილი (ილიაუნი), ამავე დისციპლინაში გოგონებში თამარ ბაქრაძე (სა-

ქართველოს უნივერსიტეტი) გამოიჩინა. სნოუბორდში, ასევე კროსში მიხეილ თასოშვილმა (თსუ) იჩემპიონა. სნოუბორდით თავისუფალ დაშვებაში პირველი იყო დავით ბურდული (კავკასიის უნივერსიტეტი). თხილამურებით თავისუფალ დაშვებაში კი ჩემპიონი გურამ ვაშყმაძე (თავისუფალი უნივერსიტეტი) გახდა.

10 მარტს დაიწყო და 19 მაისს დასრულდა ფუტსალში სტუდენტური ჩემპიონატი, რომელიც ორ ლიგად იყო დაყოფილი – უმაღლეს ლიგაში 12, ხოლო პირველ ლიგაში 16 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის ორგანიზებაში საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას კომპანია „ბილანი“ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაეხმარა. სპორტკომპლექს „არენა-2“-ში გამართულ ფინალურ შეხვედრაში ჩემპიონის ტიტული-სათვის თსუ და სტუ იბრძოდნენ, დაძაბული მატჩში გამარჯვება სტუ-ს დარჩა, რომელმაც მეტოქე 2:1 დაამარცხა, მე-3 ადგილზე ეროვნული უნივერსიტეტი გავიდა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ შოთა თოფურია დაასახელეს, რომელიც ეროვნული უნივერსიტეტის





გუნდში თამაშობდა.

იენისის მეორე ნახევარში სტუდენტური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში ჩატარდა. მედლებისთვის 18 უმაღლესი სასწავლებლის 100-მდე სპორტსმენმა იბრძოლა. შეჯიბრებები დაძაბულად წარიმართა და გულშემატკივრების ინტერესი და მონონება დაიმსახურა.

ზაფხულში სტუდენტებმა შეჯიბრებები ქვიშის ფეხბურთში და ფრენბურთშიც გამართეს. ფეხბურთში ჩემპიონი ბათუმის უნივერსიტეტი გახდა – ფინალში სტუ-ს 4:1 მოუგო. ფრენბურთში გამართული ტურნირის გამარჯვებული კი, რომელშიც გოგონები მონაწილეობდნენ, ოქროს მედლები შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდმა დაისაკუთრა. ფინალურ შეხვედრაში მათ თსუ-ს 2:1 აჯობეს.

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია მარტო შიდა პირველობებით არ შემოიფარ-

გლა და სტუდენტები საერთაშორისო სარბიელზეც გაიყვანა. ესპანეთის ქალაქმა მალაგამ 13-16 ივლისს ფუტსალში მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს სტუდენტური ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გამოვიდა და 16 ნაკრებს შორის მე-13 ადგილი დაიკავა. პორტუგალიის ნაკრებთან 3:5 მარცხის შემდეგ, ჩვენებმა ტაილანდთან 3:3 ითანაშეს, ჩინელ სტუდენტებს კი 5:0 სძლიეს. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ საქართველომ უკეთესი ადგილისთვის ბრძოლაში – ომანს 5:0 მოუგო, თუმცა გერმანიასთან 1:3 დამარცხდა და დასკვნით მატჩში იმავე ჩინეთს 4:0 აჯობა.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის შვიდკაცა რაგბის გუნდმა სეუ-მ, ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში 29-30 ივლისს გამართული საუნივერსიტეტო ევროპის ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და მთავარი ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიპოვა. სეუ-მ ჯგუფურ ეტაპზე ლისაბონის უნივერსიტეტი 22:5, უტრეხტის უნივერსიტეტი 34:0, რიგის უნივერსიტეტი 24:0 დაამარცხა და თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც პორტოს უნივერსიტეტს 29:0 სძლია და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩვენმა სტუდენტებმა ფინალში ციმბირის ფედერალური უნივერსიტეტის გუნდს ოთხი უპასუხო ლელო გაუტანეს – 26:0. ამრიგად, სეუ-მ როტერდამში ხუთი თამაში მოიგო და ჩემპიონი ისე გახდა, მხოლოდ ერთი ლელო გაუშვა.

ალექსანდრა მაისაშვილი

STUDENTS' GOLD

In addition to the domestic tournaments, Georgian students have succeeded in the international sports arena too. They won a golden medal for the students' award box. The seven-member rugby team of Georgian national university won the 2014 European championship of universities for the second time successively. The championship took place in Rotterdam (Holland) for July 29-30. The Georgian university team passed the championship without defeat. The Georgian students defeated Lisbon University team 22:5, Utrecht University 34:0 and Riga University 24:0. These victories advanced the Georgian team to the semifinal where they beat 29:0 University of Porto and moved to the final. The final duel was against the Siberia Federal University team. The Georgian students scored four unanswered tries and won the game 26:0. The rugby team of Georgian National University won total five games having allowed only try. The Georgian students' team became champion of Europe deservedly.





მემორანდუმი სპორტული მედიცინის ცენტრთან

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ცენტრის დირექტორმა დავით ტატიშვილმა. ლონისძიებას ესწრებოდნენ ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, ქართულ სპორტში მომუშავე ექიმები, სპორტული მედიცინის ცენტრის და სამინისტროს თანამშრომლები. მემორანდუმი ითვალისწინებს

საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების, კანდიდატების, პერსპექტიული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის, ასევე ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტისათვის გადაზიდვების და გაცვლითი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, მაღალი მიღწევების, ბავშვთა და მასობრივი სპორტის მხარდაჭერას და სხვა.




პატივი იუნკარების სსოვნას

მინისტრმა ლევან ყიფიანმა და სამინისტროს თანამშრომლებმა 25 თებერვალს კოჯორში იუნკერთა მემორიალზე დალუპულთა სსოვნას პატივი მიაგეს. მემორიალი 25 თებერვალს სხვადასხვა სამთავრობო უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც მოინახულეს, მემორიალზე იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის წევრები.

საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 21 ივლისის დადგენილებით, ყოველი წლის 25 თებერვალი გამოცხადებულია საბჭოთა ოკუპაციის დღედ და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ემეება საქართველოს სახელმწიფო დროშები. ახალგაზრდა ქართველი იუნკერები 1921 წლის თებერვალში კოჯორის მახლობლად ნითელ არმიასთან შეტაკებების დროს გმირულად დაიღუპნენ.

ფილმები ჩამკიონება

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით ახალი პროექტი წამოიწყო – ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენებზე მოკლემეტრაჟიანი ფილმების სერია სახელწოდებით – „ქართული სპორტის დიდი სახეები“. პროექტის პრეზენტაცია სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა. ნაჩვენები იყო ორი ფილმი – „ბორის პაიჭაძე“ და „გივი კარტოზია“ „ფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. სამწუხაროდ, ძველი ნარმატებების ამსახველი კადრები ძალიან ცოტა შემოგვრჩა და მიხარია, რომ ამ ფილმების წყალობით მათ გადარჩენას შეეძლებო. ჩვენი სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ წამოწყებას,“ – ასე გამოეხმაურა პროექტს ლევან ყიფიანი. „ქართული სპორტის დიდი სახეები“ 20 ფილმს მოიცავს. ბორის პაიჭაძის და გივი კარტოზიას გარდა, უკვე მზადაა ფილმები ჯემალ ცერცვაძის, ომარ ფხაკაძის, ვიქტორ სანეივის, ნონა გაფრინდაშვილის, ძმები ქორქიების, ალექსანდრე მეტრეველის და სხვა ლეგენდარული ქართველი სპორტსმენების შესახებ. ფილმები სილქტივის სპორტულ არხზე გადაიცემა.




თანადგომა

ლევან ყიფიანმა, ვეტერან ფეხბურთელებთან – მიხეილ ყაველაშვილთან და მამუკა მაჭავარიანთან ერთად ახალგაზრდა ნიკა სიხარულიძე მოინახულა. მინისტრი ავტოავარიის შედეგად დაზარალებულ მოზარდს სახლში ესტუმრა, მას სამახსოვრო საჩუქრები და სპორტული ეკვიპირება გადასცა, სიხარულიძეების ოჯახს კი სამედიცინო და სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად დახმარებას დაჰპირდა. ნიკა სიხარულიძე, რომელსაც 2014 წელს 16 წელი შეუსრულა, „ბარსელონას“ ნიჭიერთა პროექტის გამარჯვებული გახდა და დიდი საფეხბურთო მომავალი ელოდა, თუმცა მოულოდნელად მოზარდის ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ავტოავარიამ ახალგაზრდა ფეხბურთელის კარიერა ნაადრევად შეაჩერა. ნიკა სიხარულიძეს რეაბილიტაციის კურსის გასაგებლად თურქეთში მკურნალობა ესაჭიროება, რის შემდეგაც მისი ჯანმრთელობის აღდგენა შესაძლებელი იქნება. მოზარდის შესახებ ტელევიუჟეტი ტელეკომპანია „TV3“-ის ეთერით გავიდა და დიდი გამოხმაურებებიც მოჰყვა.



პრეზენტაცია ფედერაციებისთვის

მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ წლის განმავლობაში სპორტული ფედერაციების, ასოციაციების, ოლიმპიური და პარალიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის რამდენიმე შეხვედრა გამართა. შეხვედრებზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები სხვადასხვა თემებზე, მათ შორის – სპორტში გასატარებელ რეფორმებზე, ევროპულ გამოცდილებაზე, სპორტული კლუბური სისტემის პერსპექტივაზე საქართველოში, თანამედროვე სპორტის სამართლებრივ უზრუნველყოფაზე და სხვა.



პოლგარი სამინისტროში

საქართველოს ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე იუდიტ პოლგარი ეწვია. უნგრელ დიდოსტატს ლევან ყიფიანი და მისი პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი შეხვდნენ. შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე დაესწრნენ. მხარეებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების და განვითარების შესაძლებლობებზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ ლევენდარული უნგრელი მოჭადრაკე თბილისში ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპის საჭადრაკო კავშირის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა. მოგვიანებით, ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში ჩატარებულ არჩევნებში ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს.



არა ბიონარკოტიკს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ე.წ. „ბიოს“ მოხმარების წინააღმდეგ ანტიარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანია დაიწყო. კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო რგოლები მომზადდა. რგოლები ტელე და რადიოეთერებში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელებში განთავსდა. კამპანიის მიზანია ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირება. გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში საუბარია იმაზე, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ჯანმრთელობისთვის ბიონარკოტიკის მოხმარება. ანტიარკოტიკული კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კამპანიას სხვადასხვა სამინისტროებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ცნობილი სპორტსმენები შეუერთდნენ, მათ შორის NBA-ს ქართველი ვარსკვლავი ზაზა ფაჩულია და სხვები.

სპორტის პოლიტიკის დოკუმენტი

2014 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობის სხდომაზე, მინისტრთა კაბინეტმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული და უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებული – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“ დაამტკიცა. „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“



მუშაობა ბოლო პერიოდში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ინტენსიურად მიმდინარეობდა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძის ხელმძღვანელობით. 26-გვერდიანი დოკუმენტი განსაზღვრავს სპორტის სფეროში სწორი მიმართულებით განვითარების გზებს. დოკუმენტში ასახულია სპორტის განვითარების ეტაპები სამი ძირითადი ხაზით, ესენია – სპორტული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და მშენებლობა; სასპორტო განათლებისა და მეცნიერების (მათ შორის სპორტის მედიცინა) განვითარების ხელშეწყობა და სპორტის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის მომზადება.



დიპლომატიური თასი ქველმოქმედებისათვის

საგარეო საქმეთა სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ფედერაციის – „სპორტი ყველასათვის“ ერთობლივი ორგანიზებით, თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა მინი-ფეხბურთის ტურნირი – „საქართველოს დიპლომატიური თასი 2014“. ტურნირში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამთავრობო უწყებების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და საელჩოების 16-მა გუნდმა. ფინალურ შეხვედრაში საგარეო საქმეთა სამინისტროს გუნდმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გუნდი GALAXY 2:0 დაამარცხა, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი სპორტის სამინისტროს ნაკრებმა 7:2 მოუგო შვედეთის საელჩოს.

გამარჯვებულები და საუკეთესო მოათამაშებები მინისტრებმა – მაია ფანჯიკიძემ და ლევან ყიფიანმა, ასევე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ დააჯილდოვეს. ტურნირის სპორტულ ღონისძიებასთან ერთად, საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციის დატვირთვაც ჰქონდა, დევიზით – „ინიციატივა ქველმოქმედებისთვის“. მონაწილე გუნდებმა, საქართველოში აკრედიტებულმა საელჩოებმა და საქართველოს სამთავრობო უწყებებმა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების ათი საჯარო სკოლისთვის სასკოლო და სპორტული ინვენტარი შეიძინეს. სკოლებს სპორტული ინვენტარი საგარეო საქმეთა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრებმა პირადად გადასცეს.

თანამშრომლობა ბელარუსთან

სამინისტროს დელეგაცია – მინისტრი ლევან ყიფიანი და ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელი ვასილ ლიპარტელიანი ოფიციალური ვიზიტით ბელარუსის დედაქალაქ მინსკში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში ბელარუსიის სპორტისა და ტურნიზმის სამინისტროსა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა სპორტის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი 12 მუხლისგან შედგება და მოიცავს

ყველა იმ ძირითად ასპექტს, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას სპორტის სფეროში. ყიფიანმა ოფიციალური შეხვედრა გამართა ბელარუსიის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის უნივერსიტეტის რექტორთან გრიგორი კოსიაჩენკოსთან, ქართულმა დელეგაციამ ასევე მონაწილეობა მიიღო სპორტული ბაზებში, მინისტრი დაესწრო ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებსაც და შეხვდა ბელარუსის სხვადასხვა სპორტის სახეობის ფედერაციების წარმომადგენლებს.



სტუმრები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან

საქართველოს საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელები – ბერინდა ლორინგი და გაუდენ გალეა. უცხოელ სტუმრებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე შეხვდნენ. სამინისტროში გამართულ შეხვედრას დაავადებთა კონტროლის და საზოგადოების ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ამირან გამყრელიძე, ცენტრის წარმომადგენლები – ლელა სტურუა, ნინო მაღლაკელიძე და სხვა მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საუბარი შედგა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სპორტის პოლიტიკის დოკუმენტში და დაკავშირებულია სპორტისა და ჯანმრთელობის ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით, ასევე საუბარი იყო ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდასა და ჯანმრთელობის როლზე.



საჩუქრები ღუშეთის მუნიციპალიტეტს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ღუშეთის მუნიციპალიტეტს და ღუშეთის მუზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატს საჩუქრები გადასცა. ღუშეთის კულტურის სახლში მინისტრმა ლევან ყიფიანმა და სამინისტროს ხელმძღვანელებმა მუნიციპალიტეტს სპორტულ სკოლების და ბავშვთა სახლებისთვის სპორტული ინვენტარი – მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ბურთები, ჩოგნები,

ძიუდოს, მოკრივეთა და კალათბურთელთა ფორმები, ფრენბურთის ბურთები, ბაგირი და სხვა საგარჯიშო ატრიბუტიკა გადასცეს. ლევან ყიფიანმა ღუშეთის შშმ პირთა პანსიონატიც მონახულა და ბენეფიციარები მასურებით, სპორტული ფორმებით, წიგნებით, მობილური ტელეფონებით და სხვა საჭირო ნივთებით დაასაჩუქრა. სამინისტროს მესვეურებთან ერთად ღუშეთის შშმ პანსიონატს მსახიობი გუჯა ბურდულიც სტუმრობდა.

ეპროვის რეკომენდაციები

საქართველოში უახლოეს მომავალში დაგეგმილია საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი მასობრივი სპორტული ღონისძიებები, მათ შორის – 2015 წელს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, უეფას სუპერთასის ფინალი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, 2017 წელს ხელბურთის მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის და სხვა. ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამინისტროს მოწვევით თბილისს ევროპის საბჭოს „სპორტულ შეჯიბრებებზე, განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ ევროპის კონვენციის“ მუდმივმოქმედი კომიტეტის საკონსულტაციო ჯგუფი ეწვია. ჯგუფის წევრები მინისტრ ლევან ყიფიანსა და მის მოადგილე აკაკი ლოდისა შეხვდნენ და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და რეკომენდაციების მომზადებას დაგვირდნენ. „სპორტულ შეჯიბრებებზე, განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ ევროპის კონვენციას“ საქართველომ 2004 წლის 17 სექტემბერს მოაწერა ხელი.

კლავინის წარმომადგენელი თბილისში

მარტში საქართველოში უეფას პრეზიდენტის, მიშელ პლატინის წარმომადგენელი – ჟან-ფრანსუა დომერგი ჩამოვიდა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს და სხვადასხვა ფრანგული კლუბების მწვრთნელს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში შეხვდა. მხარეებმა საქართველოში სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესახებ იმსჯელეს. საუბარი შეეხო უეფას ახალ პროექტსაც, რომლის ორგანიზება ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების განვითარებას შეუწყობს ხელს. ჟან-ფრანსუა დომერგმა ლევან ყიფიანი უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩზე („პარსელონა“ – „მანჩესტერ სიტი“) დაპატიჟა და მინისტრს თამაშზე დასასწრები მოსაწვევი გადასცა.



პარას მეგობართა კლუბი

დეკემბერში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს პარალიმპური კომიტეტის მეგობართა კლუბის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. შეხვედრას მონვეული სტუმრებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად დაესწრო. მინისტრმა დამსწრეთ სიტყვით მიმართა და პარასპორტსმენებს წარამატება უსურვა. პარალიმპურმა კომიტეტმა შეხვედრა კომპანია „ბი პის“ დახმარებით ჩაატარა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სახელმწიფოს, ბიზნეს სექტორის და მედიის წარმომადგენლები. ასევე სპორტის დამსახურებული მოღვაწეები და ოლიმპიური ჩემპიონები. კლუბის პრეზენტაციაზე საუბარი იყო საქართველოს პარალიმპური კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა თუ ტურნირებზე, ასევე პარალიმპულ სპორტსმენთა შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე.



მემორანდუმი ოლიმპიურ კომიტეტთან

2014 წლის 10 აპრილს, სამინისტროში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური სახეობების შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ფართო ფენებში სპორტის პოპულარიზაციას, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა სახეობებით დაინტერესების ამაღლებას და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირებისათვის სპორტსმენების მომზადებას. ძირითად პუნქტებად გამოყოფილია უახლოესი ტურნირებისათვის – პირველი ევროპული თამაშების („ბაქო-2015“), „ავსტრია-ლიხტენშტაინი-2015“ ზამთრისა და „თბილისი-2015“-ის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების სათანადოდ მომზადება.

შეთანხმება გასკონელებთან

თბილისში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ესპანური საფეხბურთო გუნდის „ალავეის“ მფლობელი, „Saski Baskonia, S.A.D.“-ის ფონდის დირექტორი ხესუს ვასკესი და ბასკონიის სპორტის უნივერსიტეტის დამფუძნებელი ინიაკი ურკიანო. ესპანელ სტუმრებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. მინისტრთან შეხვედრისას თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს, ითქვა, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე შეიქმნება საკონსულტაციო ჯგუფი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარებას და დაახლოებას მსოფლიო სტანდარტებთან.

სპორტის ერთიანობის ფორუმი

პარიზში, პანთეონ-სორბონის უნივერსიტეტისა და სპორტის უსაფრთხოების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა „სპორტის ერთიანობის ფორუმი 2014“, რომელსაც მინისტრი ლევან ყიფიანიც დაესწრო. ფორუმი გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მხარდაჭერით და ევროპის საბჭოს ოფიციალური მონაწილეობით დაიგეგმა. სპორტის ერთიანობის ფორუმზე მონაწილეობას იღებდა 400-მდე დელეგატი. ფორუმზე წარმოდგენილი იყო ორგანიზაციების ორწლიანი კვლევის შედეგები, განიხილეს სპორტში კორუფციის, სპორტული ფსონების, გარიგებულის თამაშების საკითხები და მათთან ბრძოლის მექანიზმები. სპორტის ერთიანობის ფორუმის გლობალური მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე სპორტულ მიმართულებით პრობლემების გადაწყვეტა, სპორტულ შეჯიბრებებში მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ერთობლივი ძალების მობილიზება და სპორტული ორგანიზაციების მმართველობის ფორუმების გაუმჯობესება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.



მემორანდუმი გაქსპუდის სკოლასთან

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მდებარე სპორტული დიდების მუზეუმსა და ბაქსეუდის სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ბაქსეუდის სკოლის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ვაშაკიძემ და სპორტის მუზეუმის დირექტორმა ნანა მიქაძემ. ბაქსეუდის სკოლის მოსწავლეებმა

სპორტის მუზეუმში დაცული თასები, მედლები, ფოტოები, ვიდეოები და სხვადასხვა სპორტული ატრიბუტიკა დაათვალიერეს, სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს, ქართული სპორტის ისტორია კი მათ მუზეუმის მცველმა ლილი ლომსაძემ გააცნო. აღსანიშნავია, რომ ბაქსეუდის სკოლაში რამდენიმე სპორტული სექცია მოქმედებს და ზოგადად, სპორტს სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა.



„საქართველო 2014“

2104 წლის 31 მაისიდან, 28 სექტემბრის ჩათვლით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით და ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით, გაიმართა სპორტული ფესტივალი „საქართველო 2014“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში სამოყვარულო სპორტის განვითარებას, მასობრიობის ზრდას, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას. ფესტივალი სპორტის სამ სახეობას აერთიანებდა: მინი

ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და სამოყვარულო ხელბურთი. საფესტივალო ღონისძიებებს საქართველოს ათმა რეგიონმა უმასპინძლა, სადაც გამოვლინდნენ მაგიდის ჩოგბურთისა და სამოყვარულო ხელბურთში საუკეთესო მოყვარულები, რომლებიც ჩემპიონის თასებთან ერთად, სამახსოვრო საჩუქრებითაც დაჯილდოვდნენ. ფესტივალის ფარგლებში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მინი ფეხბურთში სხვადასხვა რეგიონის 16 გუნდი ჩაერთო. საქართველოს ჩემპიონის ტიტული თბილისის „პსპ“-მ მოიპოვა და 4000 ლარი გადაეცა.



დამოუკიდებლობის დღე

გასული წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თბილისთან ერთად 11 ქალაქში – ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, ამბროლაურში, მცხეთაში, თელავში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, რუსთავეში და ბათუმში გაიმართა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და თავისუფლების მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომაც მიიღო და ღონისძიებაზე მისულ ადამიანებს სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები შესთავაზა, რამაც მნახველთა დიდი ყურადღება და მონონება დაიმსახურა.

სპორტული აქტივობები ქართულ ჭიდაობაში, ქუჩის კალათბურთში, ბატუტზე ხტომაში, მეკლდეურობაში, მხიარულ სტარტებში, ნარდში, ჭადრაკში, გრეხეტბოლში, შაში და უშუში გაიმართა და მნახველთა ინტერესი დაიმსახურა. შეჯიბრებებში ძაღვების მოსინჯვა პროფესიონალ სპორტსმენებთან ერთად ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ასევე მოეწყო სპორტის მუზეუმის ექსპონატების და სპორტული ლიტერატურის გამოფენა.

სპორტული ინვენტარი რეაბილიტაციის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და სპეციალური სამოქმედო პროგრამის გათვალისწინებით, 2014 წლის მანძილზე, სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და სპორტული ფედერაციებისათვის დიდი ოდენობით სპორტული ინვენტარი დაარჩიეს.

ინვენტარი სჭიროების მიხედვით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 30-მდე ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტს გადაეცა, ასევე თბილისში, რეგიონულ ცენტრებსა თუ ქალაქებში დამონტაჟდა ქუჩის გამაჯანსაღებელი სავარჯიშო მონუმენტები, რაც ჯანსაღი ცხოვრების სტილის დამკვიდრებასა და ზოგადად, სპორტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

სამინისტრო მომავალშიც გეგმავს დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა სპორტული ინვენტარით

ევროპელი სტუმრები

მაისის თვეში თბილისში ოფიციალური ვიზიტით ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის (CEV) პრეზიდენტი ანდრე მეიერი და ვიცე-პრეზიდენტი იან შრონეკი ჩამოვიდნენ. ევროპის კონფედერაციის ხელმძღვანელები სასტუმრო „ვერე პალასში“ გამართულ აღმოსავლეთ ევროპის ფრენბურთის ზონალური ასოციაციის გენერალური ასამბლეას დაესწრნენ. ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის



პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა შეხვედრები გამართეს ოლიმპიურ კომიტეტში, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში. სტუმრებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ უმასპინძლეს. შეხვედრაზე საუბარი იყო ფრენბურთის მხარდაჭერაზე 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, ასევე დღის წესრიგში დადგა საკითხი 2017 წელს საქართველოში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, რაც საბოლოოდ დადებითად გადაწყდა.



სტუდენტური სპორტის ევრომმართველთა თბილისში

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მოწვევით, თბილისში ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ. ასოციაციის პრეზიდენტს ადამ როზიკს და გენერალურ მდივანს მატიაშ პეჩოვიჩს სამინისტროში მინისტრი ლევან ყიფიანი შეხვდა. შეხვედრას დაესწრნენ მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ლექსო გუგავა. ქართულმა მხარემ ევროპელი კოლეგებისგან საქართველოში საუნივერსიტეტო სპორტის

განვითარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მიიღო. ჩვენი სურვილია უახლოეს მომავალში საქართველომ, რომელიც სპორტის სახეობაში ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატს უმასპინძლოს. მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა, თუ რომელ სპორტის სახეობებში უმასპინძლებს საქართველო ევროპის საუნივერსიტეტო თამაშებს და კონკრეტულად როდის. თბილისის ესტუმრნენ ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის აღმასკომის წევრებიც, რომლებმაც აღმასკომის სხდომა გამართეს და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.



პარალიმპური მედია-სემინარი

საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ პირველი მედია-სემინარი გაიმართა. სემინარის ძირითადი მიზანი გახლდათ მასმედიის წარმომადგენლების ინფორმირება პარასპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგების შესახებ და ზოგადად, სპორტის როლის მნიშვნელობის გაცნობა შპმ პირთათვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირთა პრობლემატიკის, ტერმინოლოგიის ახსნა და პროფესიული ცოდნის გაღრმავება ამ მიმართულებით. სემინარზე საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის პრეზიდენტმა ლელა აფციაურმა, კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რევაზ რევაზიშვილმა, კომიტეტის გამგეობის წევრმა რატი იონათამიშვილმა და კომიტეტის მედია-მენეჯერმა ნინო მეუნარგიამ ისაუბრეს.

ეპასთან თანამშრომლობა გააქტიურდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან სპორტის სფეროს მიმართულებებით.

21-22 მაისს საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში შედგა EPAS (ევროპის საბჭოს გაერთიანებული ნილობრივი შეთანხმება სპორტის სფეროში) მმართველი საბჭოს შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ EPAS-ის მმართველი საბჭოს და საკონსულტაციო კომიტეტის წევრები, ევროპის საბჭოს „ადამიანური ღირსებისა და თანასწორობის დირექტორატის“ წარმომადგენლები და დელეგატები სხვადასხვა ინსტიტუტებიდან.

სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, 2-დღიან კონფერენციაზე განიხილეს 2014 წლის მიმდინარე და 2015 წელს დაგეგმილი პროგრამები და სხვადასხვა გადაწყვეტილებები, ანტიდოპინგური კონვენციის და EPAS ბიუჯეტი. შეფასდა ევროსაბჭოს არანეერ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და კონვენციაში ამ ქვეყნების ჩართულობის საკითხი. შემუშავდა რეკომენდაციები სპორტში გენდერული თანასწორობის მიღწევის შესახებ, ასევე ბავშვებისა და ახალგაზრდა სპორტსმენების მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

მინისტრი ერთობლივ პრეზენტაციაზე

მინისტრი ლევან ყიფიანი საგურამოში „ლოკომოტივის“ ბაზას ესტუმრა და „ლოკომოტივის“ და ნიუტონის თავისუფალი სკოლის ერობლივი პროექტის პრეზენტაცია იხილა. პროექტის წარდგენას დაესწრნენ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ლექსო თოფურია, ნიუტონის თავისუფალი სკოლის დირექტორი გიორგი მელაძე, „ლოკომოტივის“ მწვრთნელები, ფეხბურთელები და ჟურნალისტები.

პროექტის მიზანია ახალგაზრდა ფეხბურთელების განათლებაზე ზრუნვა და მათი ჩამოყალიბების პროცესისთვის ხელშეწყობა. ნიუტონის სკოლა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს მიიღებს, ამ ბავშვების ფეხბურთის სწავლებას კი „ლოკომოტივის“ სამწვრთნელო შტაბი უხელმძღვანელებს, რომელსაც ვასილ მასურაძე და გიორგი დედარაიანი თავაკაცობენ. „ლოკომოტივი“ საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდის თვალსაზრისით გამოირჩეულია. ამ გუნდის ფეხბურთელები წლების განმავლობაში ასაკობრივი ნაკრებების ბირთვს წარმოადგენენ. 2006 წელს „ლოკომოტივის“ აღზრდილი ლევან ყენია გერმანულ „შალკეში“ გადავიდა, წლეულს ლუკა კიკაბიძემ ფრანგულ „ბასტიასთან“, ხოლო ლუკა ზარანდიამ ბელგიურ „გენკთან“ გააფორმეს კონტრაქტი.

კალათბურთის სამოყვარულო ღია

2013 წლიდან დაწყებული წარმატებული პროექტი – კალათბურთის სამოყვარულო ღია, 2014 წელსაც გაგრძელდა. მოეწყო ღიის 2014-2015 წლის სეზონის პრეზენტაცია. ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ



17 და უფროსი ასაკის მოყვარული მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდებს, სულ კი მეორე სეზონზე 15 გუნდი მოგროვდა, რომელთა შორის საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშეებიც არიან.

ღიის შესახებ ინფორმაციას ვებ-საიტზე www.gabl.ge მოიძიებთ. სამოყვარულო ღიის პარტნიორი და მხარდამჭერები არიან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და კალათბურთის ფედერაცია, მედია-მხარდამჭერები ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და ტელეკომპანია „იმედი“, ხოლო რადიო-პარტნიორია სპორტული რადიო JAKO FM 96.3.



სახალისო ფეხბურთი სულაქველიძის აკადემიაში

სექტემბრის თვეში, ვეტერანი „დინამოელის“, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის – თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემიაში, უეფას და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (ღია სახალისო საფეხბურთო სკოლა) 5-დღიანი ფესტივალი გაიმართა. ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალის გახსნას, სადაც 6-12 წლამდე მოზარდები იღებდნენ

მონაწილეობას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე თამაზ თევზაძესთან ერთად დაესწრო, გახსნაში მონაწილეობა მიიღეს თავად თენგიზ სულაქველიძემ და პროექტის ხელმძღვანელმა ვალერი ჩოლარაძემ.

ფესტივალი ჯანსაღი ცხოვრების წესის და ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ფეხბურთის პოპულარიზაციას ემსახურება.



რიჩარდ სტოქსის სემინარები

ფიბა-ევროპის სამსაჯო და საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსმა რიჩარდ სტოქსმა თბილისში, სასტუმრო „შერატონში“ საკალათბურთო კომბინირებული სემინარები ჩაატარა ქართველი მსაჯებისთვის, კომისრებისთვის, მსაჯ-მდივნებისა და მწვრთნელებისთვის.

სტოქსს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილესთან თამაზ თევზაძესთან ერთად სამინისტროში შეხვდა. შეხვედრას დასწრნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, გენერალური მდივანი გიორგი

ქართველიმედილი და ფიბას კომისარი მერაბ რატიშვილი. როგორც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ტექნიკური დელეგატი, სტოქსი ასევე შეხვდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და „თბილისი 2015“-ის ხელმძღვანელებს. სტოქსის ხელმძღვანელობით ინსპექტირება ჩაუტარდა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის განკუთვნილ საკალათბურთო არენებს. ფიბა-ევროპის მაღალჩინოსანი სპორტის სასახლეში საქართველოს თასის გათამაშების ფინალს, ასევე 20-წლამდელთა და 16-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო.



ახალი არენები

მინისტრმა ლევან ყიფიანმა და მისმა მოადგილე აკაკი ლოდიაშვილმა 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის მშენებარე საცურაო აუზი და მრავალფუნქციური სპორტის სასახლე დათვალიერეს. საცურაო აუზი დილომში, ამერიკის საელჩოს უკან მდებარე ტერიტორიაზე შენდება, მრავალფუნქციური სპორტის სასახლე კი უნივერსიტეტის მალღვივი კორპუსის მიმდებარედ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მშენებლობისთვის დამატებითი თანხები გამოიყო – 4.800 მილიონი აუზის, 3.200 მილიონი კი სპორტის სასახლის მშენებლობაზე დაიხარჯება. საცურაო აუზზე შესაძლებელი იქნება წყალბურთის, ცურვის, სინქრონული ცურვის და წყალში ზტომის საერთაშორისო ტურნირების ჩატარება, ასევე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობა. აუზი ჯამში 2000-მდე მაყურებელზეა გათვლილი.

საზოგადოებრივი და უწყებათაშორისი საბჭოები

სამინისტროს ინიციატივით, 2014 წელს ჯანმრთელი ცხოვრების წესის მხარდამჭერი საზოგადოებრივი საბჭო შეიქმნა. საბჭო მიზნად ისახავს სამინისტროსთან თანამშრომლობით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობას საზოგადოების ფართო ფენებში, სპორტის გამაჯანსაღებელი და აღმზრდელი ფუნქციების გამოყენებას, მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობისკენ მონოღებას, მასობრივ სპორტში მეთ ჩართულობას.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ამოცანებია: სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბება, ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა. საკოორდინაციო საბჭომ და შესაბამისმა თემატურმა ჯგუფებმა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე რამდენიმე თვიანი მუშაობის შემდეგ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი მოამზადეს.

ჩახი პარლამენტარები სამინისტროში

სამინისტროში ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა პალატის მეცნიერების, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის კომიტეტის დელეგაციას უმასპინძლეს, კომიტეტის თავმჯდომარის – ირჟი ზლატუშკას ხელმძღვანელობით. კომიტეტის წევრები ლევან ყიფიანს მოადგილე თამაზ თევზაძესთან ერთად შეხვდნენ და საქართველოში სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკასა და სამომავლო განვითარების გეგმებზე იმსჯელეს...

ჩეხმა სტუმრებმა ქართული სპორტის მუზეუმი მოინახულეს, სადაც ჩეხი და ქართველი სპორტსმენების საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის პატივსაცემად, მუზეუმში მისული სტუმრებისთვის სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ ფოტოგამოფენა მოეწყო.

სამინისტროში მდებარე მუზეუმში ჩეხ დამთავლებლებს თითქმის საუკუნის წინანდელი საფოსტო ბარათები, უნიკალური ფოტომასალა, სანოტო რეკულები, სამკერდე ნიშნები და ჟურნალ „შეგარდენის“ პირველი და უკანასკნელი გამოცემები გააცნეს.



სტუმრები ევასიდან

სამინისტროს მოწვევით, 13-15 ოქტომბერს საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროპის საბჭოს EPAS („ნილობრივი გაფართოებული შეთანხმება სპორტის შესახებ“) საკონსულტაციო ჯგუფის წევრები, ევასის გენერალური მდივნის სტანისლას ფროსარდის ხელმძღვანელობით.

შეხვედრები შედგა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, ეროვნული ოლიმპიური და პარალიმპიური კომიტეტების,

სპორტული ფედერაციებისა და კლუბების წარმომადგენლებთან. ევასის საკონსულტაციო ჯგუფის ვიზიტი მიზნად ისახავდა საქართველოში სპორტის სფეროში არსებული ვითარების შესწავლას, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკისა და სპორტის კანონმდებლობის, სპორტში სახელმწიფო დაფინანსების, საქართველოს მიერ ევროპის სპორტის ქარტიისა და სპორტის ეთიკის კოდექსის დებულებების ეფექტიანი შესრულების საკითხებზე რეკომენდაციების მომზადებას.



სპორტი ძალადობის წინააღმდეგ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია დაიწყო, რომლის მთავარი გზავნილია – „სპორტი ძალადობის წინააღმდეგ“, „არა – ოჯახურ ძალადობას“ და „არა – ქალზე ძალადობას“. აქციას შეუერთდნენ კალათბურთელები, წყალბურთელები, მკლავჭიდელები, მორაგბეები, ძიუდოსისტები, მოჭიდავეები,

ფეხბურთელები, ხელბურთელები. კამპანიის ფარგლებში დამზადდა შესაბამისი ბანერები წარწერით – „სპორტი ძალადობის წინააღმდეგ“, რომლებიც გამოიფინა სხვადასხვა შეჯიბრებებზე. სამინისტროს კამპანია სხვადასხვა სპორტის სახეობებში საქართველოს ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო მატჩებზე სამომავლოდაც გაგრძელდება.



სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების სემინარი

საქართველოში 2003 წლიდან წარმატებით მიმდინარეობს კულტურათა გადაკვეთის ასოციაციის პროექტი სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები (CCPA/OFFS), რომლის სათაო ოფისი მდებარეობს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, აღმოსავლეთ ევროპის ფილიალი კი ფუნქციონირებს თბილისში. 1 ოქტომბრიდან ევროკავშირთან თანამშრომლობით აღნიშნული პროგრამა ტრანსფორმირდა პილოტურ პროექტად „სკოლა+სპორტი+პოლიცია“, რაც ითვალისწინებს მოზარდთა დანაშაულის პრევენციას და პროფილაქტიკას. პროექტის პროგრამით გათვალისწინებული სემინარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჩატარდა. სემინარში მონაწილეობა მიიღეს პროექტის მონაწილე

მუნიციპალიტეტების სასპორტო და საჯარო სკოლების დირექტორებმა, პედაგოგებმა, მანდატორებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა. სემინარს უძღვებოდა ანდერს ლეინსენი (დანია; კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის დირექტორი) და ასეე კოსარი (დანია; პროექტის კურატორი). პროექტის ფარგლებში, სახალისო ფეხბურთის მინი-ტურნირები ტარდება ბათუმში, გორში, ზუგდიდში, რუსთავში, ქუთაისსა და თბილისში. პროექტის პარტნიორები არიან – შინაგან საქმეთა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროები, ფეხბურთის ფედერაცია.


მემორანდუმი CODNA.GE-სთან

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული ინტერნეტის განვითარების საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ეროვნული ინტერნეტის განვითარების საზოგადოების დირექტორმა ვახტანგ ჯინჯიხაძემ. მემორანდუმის მთავარი მიზანია ინტერნეტის მეშვეობით სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარების

სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობა. ეროვნული ინტერნეტის განვითარების საზოგადოებამ, რომლის პროექტს CODNA.GE წარმოადგენს, სტუდია WEBGEORGIA-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსების გამოყენებით გადაწყვეტილება მიიღო ყველა სპორტულ სექციას სრულიად უფასოდ ინტერნეტში საკუთარი საქმიანობის პრეზენტაციის საშუალება მისცეს.

ეპროვის ჩამპიონი

საქართველოს ბოდიბილდინგის ეროვნული ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ესპანეთის ქალაქ სანტა-სუსანაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ევროპის 40-მდე ქვეყნის საუკეთესო ბოდიბილდერები გამოდიოდნენ სხვადასხვა კატეგორიებში.




კლასიკურ ბოდიბილდინგში, 168 სმ. სიმაღლის სპორტსმენებს შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ირაკლი გაგუამ. საქართველოს ბოდიბილდინგის ფედერაციის პრეზიდენტის კოტე მაცაბერიძის თქმით, ირაკლი გაგუას მიღწევა განსაკუთრებული შედეგია ქართული ბოდიბილდინგის ისტორიაში.



ჰაიდელბერგის მარათონზე

თბილისობაზე, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაში თბილისი-მარათონი 2014-ს უმაჰინძლა, სადაც სიმბოლური სტარტი მინისტრმა ლევან ყიფიანმაც აიღო. მარათონის სტარტზე მინისტრთან ერთად იყვნენ თბილისის მერი დავით ნარმანია და გერმანიის ელჩი ორთვინ ჰენიგი. მარათონზე 2000-მდე მონაწილე დარეგისტრირდა. მამაკაცთა შორის პირველი ადგილი საქართველოს წარმომადგენელმა ანატოლი ოლეინიკოვმა დაიკავა, ქალთა შორის კი სომხეთის წარმომადგენელმა ვალია ავაგიანმა გაიმარჯვა. თბილისი-მარათონი „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის“ ორგანიზებით, თბილისის მერიის, გერმანიის საელჩოს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით ჩატარდა. მარათონის რეგისტრაციის თანხა – 10 ლარი „ჰაიდელბერგცემენტის“ მიერ გაორმაგებული ოდენობით ბედნიანს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის მშენებლობას მოხმარდა.



ალეკლოვა ავტომობილის სისწრაფით



ბოლო პერიოდში ქართული ავტოსპორტის აღმავლობა ავტომობილის სისწრაფით იზრდება. კავკასიაში ერთადერთი სრულფასოვანი, საერთაშორისო კატეგორიის ავტოდრომის რეაბილიტაციის შემდეგ, ქართველი მრბოლელები მსოფლიო საავტომობილო სამყაროში ხმაურთან და დამაჯერებლად შეიჭრნენ. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის და რუსთავის ავტოდრომის ერთობლივი სამუშაოს შედეგია ის, რომ დღესდღეობით ფორმულის კლასში წრიული რბოლის სტარტზე 21 ბოლიდი დგას. ბოლიდების რაოდენობის და მონაწილე მრბოლელების მაღალ დონეზე მომზადების გამო, საქართველოს ჩემპიონატი მიმზიდველი გახდა უცხოელი სპორტსმენებისთვის. ეპოქალური მნიშვნელობის იყო წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის ერთი ეტაპის გამართვა თურქეთში, სტამბულში, ფორმულა 1-ის ლეგენდარულ ტრასაზე. ამ იდეის განხორციელებაში წვლილი მიუძღვის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა



სამინისტროს. უკვე მესამე წელი, ევროპის ჩემპიონატზე ლეგენდ კლასში ქართველი მრბოლელი დათა ქაჯაია პირველ ადგილს იკავებს. ქაჯაიას და მისი გუნდელის, კონსტანტინე კოლიაშვილის დამსახურებით, ლეგენდების ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში, ქულების მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა.

ქართული ავტოსპორტისთვის სრულიად ახალი საფეხური იყო „ლამბორგინი ბლანკ პეინ სუპერ ტროფეო“ – სერია, რომელიც მონომარკის კლასში მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევა. ჩემპიონატზე საქართველოს ლიდერებს შოთა აფხაზავა იკავდა. ევროპის ლეგენდარულ ტრასებზე, როგორცაა მონცა, ნურბურგრინგი, სილვერსტონი, სპა და სხვა. დაძაბული რბოლების შედეგად, აფხაზავამ საერთო ჩათვლაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ხოლო მესამე იყო მალაიზიაში, სეპანგის ფორმულა 1-ის ტრასაზე გამართულ მსოფლიო ფინალზე, ახალი გამოწვევა იყო 2014 წელს ფორმულას კლასში საქართველოს მოქმედი ჩემპიონის მეგულდ მელადის, ამერიკის რალის ნაციონალურ ჩემპიონატის ორ ეტაპზე მონაწილეობა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ეკიპაჟი ოკეანეს მიღმა ჩემპიონატზე გამოვიდა და პირველივე ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა. ყველაზე პატარა პროფესიონალი მრბოლელია 14 წლის სანდრო თავართქილაძე, რომელმაც 2014 წლის ფორმულების ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში მესამე ადგილის მოპოვება შეძლო.

იუბილარის გამოფენა

2 ივნისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მოეწყო სპორტული ფოტოგრაფის ბადრი კეთილაძის საუკეთესო ფოტოების გამოფენა, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა და კეთილაძის 55 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ლევან ყიფიანმა ბადრი კეთილაძეს ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები



გადასცა, ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ოლიმპიური კომიტეტის სიგელი და ფულადი პრიზი, თბილისის „დინამოს“ პრეზატაზე გიგა გვერცაძემ კი „დინამოს“ სახელობითი მაისური უსახსოვრა. მოგვიანებით, ბადრი კეთილაძეს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი გორგოძემ გურამ თიკანაძის სახელობის პრიზი გადასცა. ფოტოგამოფენა სამინისტროში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა – დამთავალიერებლებს საშუალება ჰქონდათ კეთილაძის არქივიდან 55 გამორჩეული ფოტო ხილათ.



მათეუსი საქართველოში

ლუდსახარმ „ზედაზენის“ მონვევით, საქართველოს რამდენიმე დღიანი ვიზიტით ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი – ლოთარ მათეუსი ეწვია. მათეუსს შეხვედრები ჰქონდა როგორც გერმანიის ნაკრების ქართველ გულშემამტკიცებთან, ასევე ოფიციალურ პირებთან – სპორტის სამინისტროში, ფეხბურთის ფედერაციაში, თბილისის „დინამოს“ აკადემიაში. მათეუსის ვიზიტის შემაჯამებელი პრესკონფერენცია სპორტის სამინისტროში გაიმართა, სადაც ფეხბურთელმა საკუთარ კარიერაზე ისაუბრა, ქომაგებს კი ავტოგრაფები დაურიგა და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღო. მათეუსმა სამინისტროში განთავსებული ქართული სპორტის მუზეუმი დაათვალიერა და ავტოგრაფით დამშვენებული გერმანიის ნაკრების მაისური უსახსოვრა.

ევროპის საბჭოს მინისტრიალზე

მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სამინისტროს მთავარ სპეციალისტ ანატოლი კორეპანოვთან ერთად, 17-19 სექტემბერს საქმიანი ვიზიტით შვეიცარიაში იმყოფებოდა. ქალაქ მაკოლინში ჩატარდა EPAS („გაფართოებული წილობრივი შეთანხმება სპორტის შესახებ“) ევროპის საბჭოს სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების რიგით მე-13 კონფერენცია-მინისტრიალი. კონფერენციის ფარგლებში, კოლეგა მინისტრებთან ერთად ლევან ყიფიანმა ხელი მოაწერა „ევროპის საბჭოს კონვენციის სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“. საქართველომ მზადყოფნა გამოთქვა 2016 წლის ევროპის საბჭოს სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების რიგით მე-14 კონფერენციის მასპინძლობაზე. მინისტრიალის თბილისში გამართვაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის საბჭო 2015 წლის მაისში მიიღებს. კონფერენციის მსვლელობისას, ლევან ყიფიანმა ორმხრივი შეხვედრები გამართა მის აზერბაიჯანელ, უნგრელ, ებრაელ, ბელარუს, უკრაინელ, შვეიცარიელ, ყაზახ კოლეგებთან.



მოინახულე სპორტის მუზეუმი

სპორტის მუზეუმი, რომელიც სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროშია განთავსებული, 2015 წელს დაარსების 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. ბოლო წლებში მუზეუმის სპორტული ცხოვრება მისი ხელმძღვანელის – ნანა მიქაძისა და თანამშრომლების დახმარებით სულ უფრო მრავალფეროვანი გახდა. 2014 წლის განმავლობაში მუზეუმში მოეწყო არაერთი საინტერესო შეხვედრა და გამოფენა, აღინიშნა იუბილეები... სულ წლის მანძილზე მუზეუმს 4 000-მდე ვიზიტორი ჰყავდა. 2014 წელს მუზეუმს შეემატა 50-მდე სპორტული ექსპონატი და 300-მდე საარქივო სპორტული

მასალა. მუზეუმში დაცული მასალა გამოფენილი იყო ძიუდოს გრან-პრიზე, ევროპულ დღეებზე, დამოუკიდებლობის დღეზე, სპორტის საერთაშორისო დღეზე. მუზეუმში დროებით განთავსდა რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ჯილდო – ვებ ელისის თასი, რომელიც 300-მდე ვიზიტორმა მოინახულა. საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაიწყო მუზეუმში დაცული ფოტოების ციფრულ ფორმატში გადაყვანა. 2015 წელს სპორტის მუზეუმში მოღვაწეობის 50-წლიან იუბილეს აღნიშნავს მუზეუმის მცველი, „იმედის გმირი“ ლილი ლომსაძე.

ჯილდოები ჟურნალისტებს

2 ივლისი სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაზეთ „სარბიელის“ ახალგაზრდა ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის – „ლიმლის ბიჭი“ პრეზენტაცია გაიმართა. გამოცემა სამინისტროს და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტიკა ასოციაციის ძალისხმევით მომზადდა. წიგნში შესულია ბაჩო სვანიძის მეგობრების და კოლეგების მოგონებები, ასევე ინტერვიუები მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებთან, რომელიც 2005-2008 წლებში გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა. მათ შორის ინტერვიუები დიეგო მარადონასთან, მარსელ დესაისთან, ტანა უმაგასთან,

გაბრიელა საბატინიანთან, კრის ევერტთან, ეკატერინა გამოვასთან, მარიო პესკანტესთან. გამოცემაზე ავტორთა ჯგუფი მუშაობდა ლამა გოდუაძის, ილია ბაბუნაშვილის და თამაზ მიგრიასულის შემადგენლობით. 2 ივლისს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტიკა ასოციაციამ ოთხი ჟურნალისტი სხვადასხვა პრემიით დააჯილდოვა: მიხეილ კაკაბაძის სახელობის ჯილდო ვეტერან ჟურნალისტს დემიკო ლოლაძეს გადაეცა; კოტე მახარაძის სახელობის პრიზით თემურ ჯაფარიძე დაჯილდოვდა; ელენე ბილიხიძეს ეროსი მანჯგალაძის პრემია, ზადრი კეთილაძეს კი – გურამ თიკანაძის სახელობის ჯილდო. სპორტულ ჟურნალისტიკა საერთაშორისო დღე 2 ივლისს 1924 წლიდან აღინიშნება.

მსიარული სტარტები

რამდენიმე წელია ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის, ასევე მსიარული სტარტების ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში, 2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელშეწყობით გაიმართა აზარტული სპორტული თამაშები სასკოლო ასაკის მოზარდებს შორის – „მსიარული სტარტები“, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა დედაქალაქის მუნიციპალურ და ქვეყნის რეგიონალურ ჩემპიონატებში გამარჯვებულმა 24 სკოლის ნაკრებმა გუნდმა მიიღო. ფინალში გამარჯვება მარნეულის მე-6 საჯარო სკოლამ მოიპოვა. სულ „მსიარულ სტარტებში“ 300-მდე საჯარო სკოლა და 10 000-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 12 ტელე-გადაცემა, რომელიც 500 000-ზე მეტმა მაყურებელმა იხილა.



ექსტრემალეზი

ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს, ვისაც სათავგადასავლო, ხიფათიანი ამბები ხიბლავთ არ შეიძლება ოფროუდერთა კლუბის შესახებ არ სმენოდეთ. ამ კლუბში გაერთიანებული ექსტრემალეზი წლებია მიუდგომელ, გაუვალ ადგილებში სხვადასხვა სიმძლავრის მანქანებით შეჯიბრებებს აწყობენ და მეზობელ ქვეყნებში ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირებზეც გამოდიან. 2 მარტს ბაკურიანში გამართულ ოფროუდერთა ტურნირზე პროფესიონალთა, ანუ „ა“ კატეგორიის შეჯიბრებაში საუკეთესო იყო იოანე ყიფშიძე. მან ტურნირის ორგანიზატორების მიერ დასახულ ამოცანას თავი ღირსეულად გაართვა და კონკურენტებიც დამაჯერებლად დაჯაბნა. მეორე ადგილზე დავით ლობჯანიძე გავიდა, მესამე ივანე კოზანაშვილი იყო. 20 ივლისს ბაქომ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს, სადაც აკაკი ქეთამაძემ უმეტურმანოდ იჩემპიონა, გიორგი ლვინჯილიას და დავით კალანდიას წყვილი კი „ტრ-2“ კატეგორიაში საუკეთესო იყო. 30-31 აგვისტოს თურქეთის ქალაქ არდეშენში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი სპორტსმენებიც გამოვიდნენ და ორი ოქროს მედალი დაისაკუთრეს – „ს1“ კლასში დავით ლობჯანიძის და ალექსანდრე აბულაძის წყვილმა გაიმარჯვა, „ს3“ კლასში კი გიორგი ლვინჯილიამ და აკაკი ქეთამაძემ იჩემპიონეს. 20-21 სექტემბერს სომხეთში, იჯევანში ჩატარებულ ტურნირზე კატეგორია 1-ში გამართულ შეჯიბრებაზე დავით ლობჯანიძემ პირველობა არავის დაუთმო. კატეგორია 2-ში ვასილ გაგნიძის და გიორგი ვადაჭკორიას წყვილმა ოქრო, ხოლო ირაკლი კეკელიძის და თორნიკე გიორგაძის წყვილმა ბრინჯაო მოიპოვა.





სამოქმედო გეგმა

წლის მინურულს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით, სომხეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გაბრიელ გაზარიანი ეწვია თანმხლებ პირებთან ერთად. ვიზიტის ფარგლებში, სამინისტროებს შორის სამოქმედო გეგმას მოეწერა ხელი, ასევე შედგა ვიზიტი ოლიმპიური რეზერვების ცენტრსა და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. სომხეთისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის

სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი ჯერ კიდევ 2011 წელს გაფორმდა და ეფექტური განხორცილებისთვის ერთობლივი სამოქმედო გეგმა შემუშავდა. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას, ინფორმაციის გაცვლას, სასკოლო, საუნივერსიტეტო და მასობრივი სპორტის განვითარების სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებასთან დაკავშირებულ გამოცდილების გაზიარებას.



ქართული ჭიდაობის აღიარება

2014 წელს ქართულ ჭიდაობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. სტატუსის მიანიჭების შემდეგ, განისაზღვრება ეროვნული კატეგორია და დაიწყება ქართული ჭიდაობის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსად განხილვა იუნესკოში. ეს გადაწყვეტილება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლის ეროვნული სააგენტოს,

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული ჭიდაობის მკვლევართა ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად იქნა მიღებული. ქართული ჭიდაობის გარდა, არამატერიალური კულტურის ძეგლად შესაძლოა სპორტის რამდენიმე სახეობა გამოცხადდეს. საუბრია ლელობურთზე, ხრიდოლისა და ისინდიზე. ამ საკითხს 2014-2020 წლების სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა.



„ლელო“ 80 წლისაა

2014 წელს სპორტული გაზეთი „ლელოს“ 80 წლის იუბილე აღინიშნა. „ლელოს“ წინამორბედი საქართველოს ფიზკულტურული იყო, „ლელოს“ სახელწოდებით გაზეთი 1949 წლიდან გამოიცემა, 2008 წლიდან კი „პალიტრა მედიის“ ჰოლდინგში გაერთიანდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კულტურის ცენტრ „მუზაში“ 8 მაისს საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც „ლელოს“ რჩეულ ნომინაციებში გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ. დასახელდნენ ბოლო 80 წლის საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცი და ქალი – დავით ყიფიანი და ნონა

გაფრინდაშვილი, წლის სპორტსმენის პრიზი გადაეცა მორაგბე მამუკა გორგოძეს, დაჯილდოვდნენ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე და გაზეთის ჟურნალისტები. „ლელო“ ერთადერთი სპორტული გაზეთია, რომელსაც არც სახელი შეუცვლია, არც ლოგო, არც პრინციპები და არც კონცეფცია – რასაც ემსახურებოდა 80 წლის წინათ, იმას ემსახურება დღემდე – ამბობს თენგიზ გაჩეჩილაძე, რომელიც გაზეთის 1985 წლიდან ხელმძღვანელობს, თავად მას კი 2014 წელს 75 წელი შეუსრულდა.

ოლიმპიური ცენტრი ახალი კალაპიტი

წლის ბოლოს, საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ახალმა დირექტორმა გიორგი ასათიანმა 2014 წელი სამინისტროში შეაჯამა. ცენტრის ხელმძღვანელმა სპორტსმენთა მიღწევებზე, მატერიალურ-ტექნიკური და სანვრთნელი ბაზის გაუმჯობესებასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ოლიმპიური ცენტრის აღზრდილ საუკეთესო სპორტსმენებს წამახალისებელი ფილდოები გადაეცათ. უფასო სპორტული სექციებისთვის განსაკუთრებული მონაცემების მქონე სპორტსმენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შეირჩნენ.

ოლიმპიური ცენტრის აღზრდილმა სპორტსმენებმა არაერთხელ მიაღწიეს მაღალ შედეგებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ტურნირებზე – მსოფლიო პირველობაზე – 6 მედალი, ევროპის პირველობაზე – 20 მედალი, საქართველოს პირველობაზე – 58 მედალი, ხოლო საერთაშორისო და სხვა ტურნირებზე – 154 მედალი, ჯამში – 238 მედალი. 2015 წელს ოლიმპიური ცენტრის ბაზაზე იგეგმება ძიუდოსა და კრივის დარბაზის მშენებლობა, აშენდება საცურაო აუზი, შეიქმნება სარეაბილიტაციო ცენტრი და ახალი სასტუმრო სპორტსმენებისთვის.



– ბატონო რატი, როგორ შეაფასებდით სამინისტროს მიერ 2014 წელს ახალგაზრდობის კუთხით განხორციელებულ სამუშაოს?

– ახალგაზრდობის საკითხებზე 2014 წელს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად ძალიან პროდუქტიულად იმუშავა სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა. 2014 წელი იყო გამორჩეული, პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობამ დამტკიცა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, ამავდროულად მომზადდა ახალგაზრდული პოლიტიკის განსახორციელებელი 2015-2020 წლების სტრატეგიული გეგმა. ამ გეგმის თანახმად, 2020 წლამდე სხვადასხვა სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით ახალგაზრდობისთვის განახორციელდება 200 სხვადასხვა პროექტი.

გარდა ამისა, ჩვენ დავინწყეთ მუშაობა კანონზე, რომელიც ეხება ახალგაზრდობას და მას 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტი განიხილავს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს კანონი ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს და მისი მიღების შემთხვევაში ქართველი ახალგაზრდები განვითარებული სამყაროს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ღირსეული წევრები გახდებიან.

– როგორ შეაფასებდით სამინისტროს მიერ განხორციელებულ კონკრეტულ პროექტებს?

– მთელი წლის მანძილზე ახალგაზრდობის მიმართულებით უამრავი პროექტი განხორციელდა. უმეტესობა ამ პროექტებისა არის 2013 წლის პროგრამების გაგრძელება, თუმცა, გვექონდა სიახლეებიც. ერთ-ერთი ასეთი ნოვაციაა სამინისტროს პროგრამა – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, რომელსაც ვახორციელებთ საქართველოს საგარეო სამქეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით.

ასევე ახალი პროგრამული მამართლებული არის ახალგაზრდული ჟურნალისტიკის განვითარების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ფართო ფენებისთვის სამინისტროს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა მონაწილეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა, დაიხვეწა პროგრამის ვებ-გვერდი და მომზადდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის ამსახველი ვიდეო რგოლები. საიტი გახდა მეტად ინტერაქტიული და ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს ინფორმაცია მიიღონ მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ. მინდა გითხრათ, რომ უკრაინის ხელისუფ-



ბამორჩეული და პროდუქტიული

ბევსაუბრებთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რატი ბრეზბაძე

ლება 2015 წლიდან საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით გეგმავს ანალოგიური პროგრამის განხორციელებას მთელი უკრაინის მასშტაბით.

ჩვენ გაავარძელეთ 2013 წელს დაწყებული არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამა. მინდა აღვნიშნო, რომ წელს მე პირადად ვიმყოფებოდი ეპას-ის კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა ციხეებში სპორტის დანერგვისა და განვითარების საკითხებს და საქართველოს მაგალითი, კეძოდ ჩვენი პროექტი მიჩნეული იქნა საუკეთესო და სამაგალითო პრაქტიკად.

– როგორც ცნობილია, სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება...

– სწორედ ასეა და ამის დასტურია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარ-

გლებში ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდულ სამსახურთან. თბილისში ჩატარდა არაერთი ღონისძიება კანონმდებლობასთან და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფორუმი, რომელიც 1-2 ივლისს ჩატარდა თბილისში. მას ესწრებოდნენ ევროკავშირში ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე პირველი პირები და წამყვანი სპეციალისტები. ეს ფორუმი საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ პირველი ფართომასშტაბიანი ევროპული ღონისძიება იყო. ასევე ვთანამშრომლობთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან, ამჟამად ვმუშაობთ ურთიერთობების გაღრმავებაზე გერმანიასთან, კერძოდ, გაჩნდა იდეა, რომ გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობით დაარსდეს ახალგაზრდობის კვლევითი ინსტიტუტი, უკვე დაწყებულია მუშაობა პროექტის კონცეფციაზე, მიმდინარეობს ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები. ჩვენი მიზანია, გავაღრმავოთ საქართველო-გერმანიის ურთიერთობა ახალგაზრდობის სფეროში - არაფორმალური განათლების, გაცვლითი პროგრამებისა და მოხალისეობის კუთხით.

წელს პირველად ხორციელდება მზრუნველობამოკლებული ბავშვების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებში ვატარებთ სხვადასხვა ტრენინგ სემინარებს, სპორტულ ვარჯიშებსა და კულტურულ-შემოქმედებით აქტივობებს.

– რას გეგმავთ 2015 წელს?

– ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 2015 წელს ყველა ეს პროგრამა გაგრძელდება და 2 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე გაუმჯობესდება კიდევ, დაემატება სხვადასხვა ახალი მიმართულებები და, რაც მთავარია, კიდევ უფრო მასშტაბური გახდება. მასშტაბურობაში ვგულისხმობ საქართველოს რეგიონებში კიდევ უფრო მასობრივად გასვლას, რაშიც ჩვენ დაგვეხმარება ახალგაზრდული რეგიონალური ცენტრების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით საქართველოს რეგიონებში დაარსდება ახალგაზრდული ცენტრები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ადგილობრივი ახალგაზრდების საქმიანობას, მიანვდიან მათ ინფორმაციას სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების შესახებ და შექმნიან ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოსა და სივრცეს.

ვეპო კვარაცხელია

აქტიური ზაფხული

რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა



საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან სათანადო შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდულ თუ არა-ფორმალურ საგანმანათლებლო პროექტებში, რომელიც მათ დაეხმარება პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში, საზოგადოებაში ინტეგრაციასა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაში, ჯანსაღი ცხოვ-

რების წესის გათავისებაში. სახელმწიფოს, შესაბამისად კი სპორტისა ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა შექმნას თანაბარი პირობები რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის, მისცეს მათ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები. ამ მიზნების მისაღ-

წევად 2014 წელს „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არაერთი ღონისძიება ჩატარდა.

ტრენინგები – „მცირე მენარმეობისა და ბიზნეს-სექტორის ხელშეწყობი პროექტების შედგენა-მენეჯმენტი და ფონდების მოძიება“



16-19 ივლისს ქუთაისში, USAID-ის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „მცირე მენარმეობისა და ბიზნეს-სექტორის ხელშემწყობი პროექტების შედგენა-მენეჯმენტი და ფონდების მოძიება“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის რეგიონში მცხოვრებმა 18-დან 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა, მათ შორის შშმ პირებმაც. ტრენინგები ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ – „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“. 4 დღის განმავლობაში ახალგაზრდებმა შეისწავლეს ბიზნეს პროექტების შემუშავება, დაფინანსების წყაროების (სხვადასხვა ფონდები, სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებები, დონორი ორგანიზაციები და სხვ.) მოძიება. ტრენინგებს ესწრებოდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები და აკვირდებოდნენ ახალგაზრდების საქმიანობას. ტრენინგები ახალგაზრდებისათვის იმდენად ეფექტური და საინტერესო აღმოჩნდა, რომ პროექტის ბოლოს ქუთაისის ბიზნეს-ინკუბატორის ხელმძღვანელებისაგან მიიღეს 6-თვიანი სტაჟირების შეთავაზება, რაც ახალგაზრდებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სამუშაო გამოცდილების დაგროვების საშუალებას მისცემს და მომავალში მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

ტრენინგ-სემინარები მოხალისეობის თემაზე

2014 წლის ივლის-სექტემბერში საქართველოს 3 რეგიონში ჩატარდა ტრენინგ-სემინარები მოხალისეობის თემაზე, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის რეგიონის, ამბროლაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა 18-დან 26 წლამდე ასაკის 100-მდე ახალგაზრდამ და ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სემინარების მიზანი იყო „მოხალისეობის“ ცნებისა და მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობის განმარტება ახალგაზრდებისათვის. პროექტში ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს თავიანთი საქმიანობის ამსახველი პრეზენტაციები, შეიმუშავეს წლის განმავლობაში ჩასატარებელი მოხალისეობრივი ღონისძიებების და აქტივობების გეგმა და დასახეს მათი განხორციელების ერთობლივი გზები. ასევე, შეიქმნა მოხალისეთა რეგიონალური ინკუბატორი, რომელშიც უკვე განეწიანდა 100-მდე ახალგაზრდა.





„სკაუტური“ ბანაკი ვარციხეში

სამინისტროსა და საქართველოს სკაუტური მოძრაობის ერთობლივი ძალისხმევით, 4-დან 9 აგვისტოს ჩათვლით, ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში გაიმართა 300-კაციანი საზაფხულო სკაუტური ბანაკი, რომელშიც სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 7 რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი) 42 მუნიციპალიტეტის 126-მა ახალგაზრდამ (თითო მუნიციპალიტეტიდან 3 მონაწილე). დღის განრიგი დატვირთული იყო სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებით: „ლიდერობა და პიროვნული განვითარება“, „სამოქალაქო განათლება“, „გარემოს დაცვა“, „ბუნებაში ორიენტირებისა და თვითგადარჩენის კურსები.“ მონაწილეები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, სკაუტურ თამაშებსა და ლაშქრობებში. ბანაკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რეგიონებში სკაუტური მოძრაობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება და თავისუფალი დროის ორგანიზება და რაციონალურად გამოყენება.

ახალგაზრდული ტურიზმის განვითარება რეგიონებში

2014 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს რეგიონებში (აჭარა, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია) მოეწყო სასწავ-

ლო ტურისტული ლაშქრობები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 200-მდე ახალგაზრდამ. მოლაშქრეებმა მონაწილეს ბახმარო, ვაკიჯვარი, გორიკული, ფოკა, ფარვანის ტბა, ასფარა, ტობავარჩხილი, ჯვარი, თრეხვის ხეობა და სხვა საინტერესო ადგილები. პროექტის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა ტურიზმის ინდუსტრიაში. ახალგაზრდებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ. ლაშქრობებზე მიღებული გამოცდილების მეშვეობით ახალგაზრდები დამოუკიდებლად შეძლებენ საკუთარ რეგიონებში მსგავსი ტურების დაგეგმვასა და წარმატებით განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ დონეზე დასაქმებას ტურიზმის სფეროში.

ლაშქრობების დროს, მონაწილეებს ჩაუტარდათ თემატური ტრენინგ-სემინარები ტურიზმის პრობლემატური საკითხების შესახებ, ახალგაზრდებმა ისწავლეს საკუთარ რეგიონებში ტურისტული თვალსაზრისით სტრატეგიული მარშრუტების შედგენა, მიიღეს სასარგებლო ინფორმაცია ბუნებაში ორიენტირებისა და თვითგადარჩენის ხერხების შესახებ. აღნიშნულ პროექტში ასევე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანამაულის პრევენციის ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფდა ლაშქრობის მოსაწყობად საჭირო ინვენტარსა და საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა ტრანსპორტირებას. თითოეულ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა აღნიშნული უწყების 5 წარმომადგენელი.





8 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელმა გაეროში ლაშა შაკულაშვილმა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით მსოფლიოს ლიდერებს გაეროს ტრიბუნიდან მიმართა.



შეხვედრა უმაღლეს დონეზე

ქართველი ახალგაზრდების ხმა გაეროში

ლაშა შაკულაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან ისაუბრა ყველა იმ საკითხზე, რომელიც ქართველი ახალგაზრდებისთვის არის აქტუალური და პრობლემატური. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდობის წარმომადგენელმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამგზავრებამდე არაერთი შეხვედრა გამართა, სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან და სწორედ მათი სახელით მიმართა მსოფლიო ლიდერებს: „ახალგაზრდებთან შეხვედრებისას ასევე საუბარი შეეხო მათ სურვილს, ჰქონდეთ მეტი ხელმისაწვდომობა არაფორმალურ განათლებაზე და გაიზარდოს ახალგაზრდული ცენტრების რაოდენობა რეგიონებში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს განათლების პრაქტიკაში განხორციელებას და დასაქმების გაზრდას. ამასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მომავალ წელს ააშენებს არაფორმალური განათლების 10 რეგიონალურ ცენტრს. სამინისტროს მიერ ბოლო დროს განხორციელებული, კიდევ ერთი ინიციატივა – „ახალგაზრდა ელჩის“ პროექტი – საშუალებას აძლევს ქართველ ახალგაზრდებს გახდნენ

სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ელჩები და განახორციელონ პროგრამები, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობას და გაზრდის ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო დონეზე.“

ამ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს შეხვდა. ახალგაზრდობის წარმომადგენლების პროგრამა გაეროს ერთ-ერთ წარმატებულ ინიციატივად მიიჩნევა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ პირველად 1981 წელს მოუწოდა წევრ ქვეყნებს, რომ ახალგაზრდა დელეგატები ქვეყნის ოფიციალურ დელეგაციებში შეეყვანათ. აღნიშნული მონოდება დაფიქსირებულია გაეროს რამდენიმე რეზოლუციაში.

2013 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 20 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს ჰყავს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში. საქართველოში პროგრამას საფუძველი 2012 წელს ჩაეყარა და სრულად ფინანსდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან პარტნიორობით.

TOP-LEVEL MEETING

VOICE OF GEORGIAN YOUTH IN UN

On October 8, Lasha Shakulashvili, Georgian youth delegate to the UN, addressed the world leaders from a rostrum of the United Nations.

Shakulashvili talked about all salient for the Georgian youth issues. The Georgian youth representative had conducted several meetings with the youth in different Georgian regions before departure for the UN Assembly General and addressed the world leaders on behalf of those youth.

The Georgian youth's delegate met UN Secretary General Ban Ki Moon within the visit in the UN. The youth delegate program gathering young people from various countries is considered one of the successful UN initiatives. In 1981, General Assembly of the United Nations first called member states to include youth delegates in the state official delegations. This call has been spelled out in several UN resolutions. In Georgia, the program was launched in 2012. The program is fully financed by the Ministry for Sports and Youth Affairs of Georgia in partnership with the Ministry of Foreign Affairs.



ჩვენ ერთი სამუხლო ბვავს

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაციის შედეგად, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. კავშირის ერთადერთი საშუალება კი არაფორმალური დიალოგის პროცესია.

იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს არა აქვს სოციალურ და სპორტულ აქტივობებში სრულფასოვნად მონაწილეობის საშუალება.

პროგრამის მიზანია საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება არსებული კონფლიქტებით და მათი ინიციატივებისა და ჩართულობის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების კარგი საშუალებაა. იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს უნდა შეეძლოს პირობები სპორტულ და სოციალურ აქტივობებში ჩართულობისა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მიზნების მისაღწევად განხორციელდა არაერთი ღონისძიება: წეროვნის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ეწყობა რაგბის სწავლების კურსები – პროექტში ჩართულია 120 ახალგაზრდა; დაფინანსდა რამდენიმე ველოტური ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის – პროექტში ჩართულია 50-მდე ახალგაზრდა; კახეთში ამოქმედებული შემეცნებითი ბანაკის ბინადარი აფხაზეთიდან დევნილი 50 ახალგაზრდისათვის შექმნილ იქნა კარვები;

ჩატარდა სასწავლო ტრენინგები ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მათი სოციალურ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერის მიზნით;

ააიპ „მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „პროგრეს ჯგუფები საზღვრისპირა სოფლებში.“ საზღვრისპირა

სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები იქნენ პროექტის წერისა და ბიუჯეტის შედგენის უნარ-ჩვევებს, ეუფლებიან კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებს ტრენინგ-სემინარებისა და დისკუსიების მეშვეობით. 5 საზღვრისპირა სოფელში, კერძოდ – მუჟავაში, ფახულანში, ჭალესა და ნიქოზში ჩამოყალიბდება პროგრეს-ჯგუფები, რომლებიც შემდგომში ინდივიდუალურად განაგრძობენ მუშაობას და განახორციელებენ ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივებს. ხუთივე სოფელში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები პროექტის შედგენასა და კონფლიქტოლოგიაში, სოფელ ნიქოზში შედგა ფილმის ჩვენება და დისკუსია. თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 20-მდე ახალგაზრდა, სულ პროექტში ჩართულია 100-მდე ახალგაზრდა.

ასევე ამოქმედდა პროექტი – „ქართველ სტუდენტთა სასწავლო ვიზიტი კონფლიქტის გამოცდილების მქონე ქვეყანაში.“ პროექტში მონაწილეობა მიიღო კონკურსის წესით შერჩეულმა 9 სტუდენტმა, – საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

ვეიკო კვარაცხელია



შესაძლებლობები შეზღუდვია

საპარტიველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ მიზნით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამა, რომლის მიზანია: შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია შშმ პირებში; შშმ პირების მოტივირება კულტურულ-შემოქმედებით აქტივობებში ჩასართავად; ნიჭიერი ახალგაზრდების ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა; საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება შშმ პირთა უფლებების შესახებ; შშმ პირთა გადამზადება შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. პროგრამა დაყოფილია 3 ქვეპროგრამად: სპორტული აქტივობები შშმ პირთათვის; კულტურულ შემოქმედებითი მიმართულება; არაფორმალური განათლება და შშმ პირთა გადამზადება.

2014 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: მეკლდეურობის, პარაკალათურის, ცხენოსნობის სწავლება დაუნის სინდრომისა და აუტისტიური სპექტრის ბავშვებისთვის; შაშის

სწავლება და ტურნირები; 4Dსპექტაკლი უსინათლოთათვის შეგარძნებითი ეფექტებით; პანტომიმის დადგმა შშმ პირთა მონაწილეობით „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; თეატრალური დადგმა უსინათლოთა მონაწილეობით; სახელობო 3-თვიანი სწავლება; ვიზაჟისა და მანიკურ, პედიკურის 2-თვიანი შემსწავლელი კურსები „პივოტ პოინტ აკადემიაში“ შშმ პირთა ჩართვით; დებატების ხელოვნების შესწავლა უსინათლოთათვის და საჩვენებელი დებატები; ინკლუზიური ექსკურსიები შატო მუხრანში და ბოლნისში.

ამასთანავე განხორციელდა: ვიზიტები დუშეთისა და გურჯაანის შშმ პირთა სახლებში; შშმ პირთა მიერ შექმნილი ხელნაკეთობების გამოფენები (ჭიათურა, გურჯაანი, ხობი, თბილისი); 1 ივნისის „მზის ფესტივალი“; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული თბილისსა და ქუთაისში გამოფენებით, სპორტული და კულტურულ შემოქმედებითი აქტივობებით; სმენადაქვეითებულთა შესახებ შეიქმნა დოკუმენტური ფილმი – „მოუსმინე სიჩუმეს.“

2014 წელს პროგრამას 500-მდე ბენეფიციარი ჰყავდა.





სტუდენტური დღეები

სტუდენტური დღეები 2014

ევროპული მოგავლისთვის

სტუდენტური დღეები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური პროექტია, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის.

2014 წელს „სტუდენტური დღეები“ ქართველი ახალგაზრდების ევროპული მომავლის ეგიდით ჩატარდა – პროექტში მონაწილეობდნენ 47 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. მათ მიეცათ შესაძლებლობა წარმოეჩინათ თავიანთი ნიჭი სხვადასხვა მიმართულებით.

2014 წლის სტუდენტური დღეების ფარგლებში ჩატარდა არაერთი სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიება. სპორტული შეჯიბრებების პროგრამაში იყი გრეხეთბოლი, პეინტბოლი, ამერიკული ფეხბურთი, ქვიშის ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, მკლავჭიდი, კლდეზე ცოცვა, ქუჩის კალათბურთი, პარაკალათბურთი. კულტურულ-შემოქმედებითი მიმართულების აქტივობები (ხალხური და თანამედროვე ცეკვა, ხალხური და თანამედროვე სიმღერა, მუსიკალური ბენდები, იუმორისტული,

თეატრალური და ორიგინალური დადგმები) ჩატარდა კახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარაში. თბილისსა და მცხეთაში მოენყო ინტელექტუალური მიმართულების ღონისძიებები, მათ შორის – „დებატები“, „რა?სად?როდის?“, სტრატეგიული თამაში ე.წ. „City Game.“

პროექტში გამარჯვებული გუნდები და სტუდენტები გამოავლინა კომპეტენტურმა ჟიურიმ და მსაჯებმა სხვადასხვა მიმართულებებისა და სახეობების მიხედვით. 6 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა „სტუდენტური დღეები 2014“-ის საზეიმო დახურვის ცერემონიალი. დასკვნით კონცერტზე დაჯილდოვდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ნომინაციებში გამარჯვებულები. სტუდენტური დღეები 2014-ის გრანპრის მფლობელი გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

გამარჯვებულ უნივერსიტეტს ჯილდო გადასცა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.



STUDENTS DAYS 2014

FOR EUROPEAN FUTURE

Students Days, the annual project of Georgian Ministry for Sport and Youth Affairs, is destined for all university students of Georgia.

In 2014, Students Days were conducted under the aegis of European future for Georgian youth. Students from 47 universities participated in the project. They received the opportunity to display their talents in various spheres.

The Students Days 2014 saw a number of sports, cultural, creative and educational events. The program of



sport tournaments included cricket-ball, paintball, American football, beach volleyball, table tennis, badminton, arms wrestling, rock climbing, street basketball and para-basketball.

The cultural and art events such as folk and modern dances, songs, music band, humor, theatrical and original performances took place in Kakheti, Imereti, Samegrelo and Adjara. Tbilisi and Mstkhetta hosted intellectual activities including such popular brain games as "Debates," "What, Where, When" and "City Game."

On June 6, Tbilisi concert hall hosted the concluding solemn ceremony of "Students Days 2014." The concluding concert ended with award ceremony for the winners in both individual and group nominations. Georgian Technical became winner of the Students Days 2014 Grand Prix.




ქართული ენის ონლაინ სწავლება

2014 წლის განმავლობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტს ახორციელებდა.

ერთ-ერთი ასეთი პროექტი განხორციელდა შემეცნებით ინტერნეტ პორტალ www.teach.ge-სთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამინისტროს დაფინანსებით, საიტზე შეიქმნა სპეციალური სასწავლო მოდული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შეს-

წავლის პროცესის გამარტივების მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსდა რუსულ-ქართული და აზერბაიჯანულ-ქართული სასწავლო ონლაინ-საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაციის შედეგად, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. კავშირის ერთდერთი საშუალება კი არაფორმალური დიალოგის პროცესია.

გაკვეთილები. საიტზე რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია ისარგებლოს ამ სერვისით.





აირჩიე პროფესია

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა

ამ მიზნით, პროგრამის ფარგლებში შეიქმნა პროფორიენტაციისათვის საკონსულტაციო ინტერაქტიული ვებ-გვერდი WWW.MYPROFESSION.GE და სახელმძღვანელო-გზამკვლევი „აირჩიე პროფესია“. ასევე შეიქმნა ვებ-გვერდის მხარდაჭერი FB გვერდი – [facebook.com/MyprofessionGeorgia](https://www.facebook.com/MyprofessionGeorgia) – ვებ-გვერდზე განთავსდა პროფკონსულტაციისათვის განკუთვნილი ადაპტირებული ფსიქოლოგიური ტესტები, პროფესიული გადანყვევტილების საკვლევი და მიღების კითხვარი, სახელმძღვანელოს „აირჩიე პროფესია“ ელექტრონული ვერსია, ვიდეორგოლები სხვადასხვა პროფესიის შესახებ, პროფესიების მოკლე აღწერა, პროფორიენტაციის სარეკომენდაციო საკითხები მასალა: რა არის პროფესიული ორიენტაცია? როგორ გამოვიყენოთ WWW.MYPROFESSION.GE? რა არის კარიერული განვითარება? პროფესიული გადანყვევტილების მიღების ტრადიციული მეთოდები; თუ პროფესიის არჩევა გიჭირთ... შემთხვევათა ანალიზი; რა არის ღირებულებები? რა

არის პროფესიული ინტერესები? რა არის თანდაყოლილი ნიჭი? შეისწავლეთ საკუთარი პიროვნება. პროფესიების შესახებ ვებ-გვერდზე განთავსებული ვიდეორგოლები ინტერვიუს ფორმატისაა, სადაც კონკრეტული პროფესიის წარმატებული წარმომადგენელი საკუთარ პროფესიაზე საუბრობს შემდეგი საკითხების ირგვლივ: პროფესიის არჩევა, სამუშაოს მახასიათებლები, განათლება, უნარები, შესაძლებლობები და პიროვნული მახასიათებლები, რჩევები პროფესიის არჩევისას, სამუშაოს დადებითი და უარყოფითი მხარეები, პროფესიის განვითარების ტენდენციები, რჩევები ახალგაზრდებს. ვიდეორგოლში ასევე, წარმოდგენილია კადრები, სადაც მეტ-ნაკლებად ასახულია პროფესიონალის სამუშაო გარემო. სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“ შედგება შემდეგი სარეკომენდაციო მასალისაგან: კარიერული განვითარება, პროფესიის არჩევა-გადანყვევტილების მიღების პროცესი, ღირებულებები, ინტერესები,

ამ პროცესის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდას პროფესიის არჩევის, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, საკუთარი უნარების, ინტერესების და გარი ფაქტორების გათვალისწინებით გააზრებული პროფესიული არჩევანის მიღებაში.



უნარები, პროფესია, სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები, იდეალური სამუშაოს ძიების პროცესი. სახელმძღვანელოს 2000 ეგზემპლარი გადაეცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებისათვის.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მიზნების მისაღწევად ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები თბილისის, გურჯაანის, მარნეულის, რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდებთან, საინფორმაციო შეხვედრებზე მოენყო შექმნილი ვებგვერდის პრეზენტაცია, მონაწილეებს დაურიგდათ სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“ და მაისურები პროგრამის ატრიბუტიკით.

პროექტის პრეზენტაცია შედგა საზოგადოებრივი მაუწყებლის და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში. ასევე, პროგრამა გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო 1-ის გადაცემა „მედიატორის“, ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ ეთერის საშუალებით. მოენყო პრეზენტაცია სატელევიზიო და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებთან (გუდაური).

ვებ-გვერდის www.myprofession.ge-ს მხარდაჭერ ფეისბუქ-გვერდზე „აირჩიე პროფესია“ (<https://www.facebook.com/MyprofessionGeorgia>) სისტემატურად ხდებოდა საიტზე განთავსებული მასალების გაზიარება, მომხმარებელთა შეკითხვებზე რეაგირება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების და რჩევების მიცემა. Google Analytics-ის საშუალებით მუდმივად ხორციელდებოდა ვებ-გვერდის მონიტორინგი. ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა. ვებ-გვერდის მომხმარებელთა 94.8% საიტს საქართველოდან სტუმრობდა.

ამ პროექტით მოზარდებს და ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე განთავსებული პროფორიენტაციული ტესტების, კითხვარების, სხვადასხვა საჭირო ინფორმაციული და სარეკომენდაციო მასალების, სახელმძღვანელოს საშუალებით მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უნარების, შესაძლებლობების, ძირითადი პროფესიული მახასიათებლების, პროფესიებთან შესატყვისი ფსიქოტიპების შესახებ. მიღებული ინფორმაცია და ცოდნა მათთვის და მათი მშობლებისთვის წარმოადგენს რეკომენდაციას პროფესიული არჩევანის, კარიერის დაგეგმვის პროცესში. პროგრამა დაეხმარება მოსწავლე ახალგაზრდებს, აბიტურიენტებს, პროფესიის მაძიებლებს მოახდინონ საკუთარი უნარების და მიდრეკილებების გამორკვევა, თვითშეფასება და თვითორიენტაცია, რაც დაეხმარება მათ მიიღონ გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილება.



იხსოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა!

სამინისტრომ, 2013 წლის მსგავსად, 2014 წელსაც ახალგაზრდული მიმართულებით ერთ-ერთ პრიორიტეტად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის დონის ამაღლება მიიჩნია და ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტები განახორციელა.

2014 წლის 31 მაისს სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა მძლეოსნური გარბენი. გარბენში მონაწილეობა მიიღო 200-მდე ადამიანმა. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და მედლები.

17-18 აგვისტოს ფოთში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქუჩის ვარჯიშებში – Street Workout. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს 25 ქალაქიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა. შეჯიბრის გამარჯვებული გაემგზავრა ასტანაში, მსოფლიო ჩემპიონატზე.

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მხარდაჭერითა და ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით, 27 სექტემბერს ბორჯომში ჩატარდა მძლეოსნური გარბენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-მა ადგილობრივმა ახალგაზრდამ. გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და სიგელები.

5 ოქტომბერს, 50-მდე ადამიანის მონაწილეობით, კუს ტბაზე ჩატარდა შე-

ჯიბრება ტრიატლონში. გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და პარტნიორი კომპანიების მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები.

პროგრამის ფარგლებში დამზადდა ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობისა და აუცილებლობის ამსახველი საინფორმაციო ბროშურები და ფლაერები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით დარიგდა.

იხსოვრე თავისუფლად!

ფიზიკური აქტივობა – სპორტმა ცხივარების გადაჭრა და მოსამზადებლის ბარამი რთული საქმიანობა!

გამოსაწავლი პრემიუმის: გახდი ფიზიკურად აქტიურ!

! დასამუშავებლს, რომ ამოიხარებენ სპორტით და ფიზიკური აქტივობით დაეხმარებათ!

- 55%-ით ზრდის თამბაქომთა თავის დაწევის მანძილს
- 43 %-ით ამცირებს თამბაქოს მოხმარების ხელახლა დაწყებას
- 3 ამცირებს თამბაქოს გადაჭრის სიმართლას: ბალტიზანობადობას, დეპრესიას...
- 50 %-ით ამცირებს მოწვევასთან დაკავშირებულ ზუსტ დაავადებებს, ისეუღს, კიბოს...
- 43%-ით ამცირებს თამბაქომთა დაკავშირებულ დაავადებებში გარდაცვალების რისკს!

იხსოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა!

msy.gov.ge www.ncdc.ge



თანადობა

გულითადი მადლობა უკრაინიდან

საპარტოვლოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში არსებულმა ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში სამხედრო მოქმედებებისა და აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ახალგაზრდები „მომავლის ბანაკში“ ჩამოიყვანეს.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ახალგაზრდობისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო მოქმედებებისა და აგრესიის შედეგად დაზარალებული ბავშვების რეაბილიტაციასა და ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნების ხელშეწყობას. პროგრამა დატვირთული იყო როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი აქტივობებით.

უკრაინელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ აქტივობებში

(ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი), დაესწრნენ კინორეჟინგებს და ითამაშეს ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ იმოგზაურეს აკვაპარკსა და მარტვილის კანიონში, მოინახულეს დადიანების სასახლე.

პროექტის ფარგლებში 1-30 სექტემბერს ბანაკს 110 ახალგაზრდა და 15 თანმხლები პირი ესტუმრა. მონაწილეთა ყველა ხარჯი (ადგილობრივი ტრანსპორტირება, საკვები, საცხოვრებელი) ქართულმა მხარემ დაფარა.

ლევან ყიფიანი: „საქართველოს მთავრობის ერთიანი ძალისხმევით უკრაინელი ახალგაზრდისა და მათი თანმხლები პირების სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა განხორციელდა. იმედია, „მომავლის ბანაკში“ გატარებული დღეები სამხედრო მოქმედებებისა და აგრესიის შედეგად დაზარალებუ-

ლი უკრაინელი ბავშვების ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროექტი კი საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული მეგობრობისა და თანადგომის საუკეთესო მაგალითია.“

მოგვიანებით, უკრაინიდან სამადლობელი წერილი მოვიდა: „ჩვენო ძვირფასო ქართველო მეგობრებო! მიიღეთ ჩვენი და მთელი უკრაინელი ხალხისა და განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების გულითადი მადლობა, რომლებსაც თქვენ მიეცით საშუალება დროებით მაინც მოშორებოდნენ იარაღისა და მძიმე არტილერიის სროლის ხმასა და იმ შემზარავ გარემოს, რომელიც სუფევს დღეს მათ სამშობლოში.“

შესანიშნავი ადგილი, ბანაკი, კარგად დაგეგმილი პროგრამა სპორტული და ინტელექტუალური თამაშები, კონკურსები და ცეკვები ძალიან ეფექტური საშუალებაა მოზარდებში შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოსავლენად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც იმყოფებოდნენ მომავლის ბანაკში, ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილგანწყობისა და, ზოგადად, მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი მომავლის ელჩები იქნებიან!

გვსურს გულითადი მადლობა გადავუხადოთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს და ყველა იმ უწყებასა თუ ადამიანს, ვისაც ეკუთვნოდა აღნიშნული ინიციატივა და ვინც აქტიურად იყო ჩართული პროექტის განხორციელებაში! ეს ნამდვილად დიდი მხარდაჭერაა უკრაინელი ხალხისთვის, უკრაინელი ერის მშვიდობიანი მომავლისთვის იმიტომ, რომ სწორედ ეს ახალგაზრდები არიან ჩვენი ქვეყნის მომავალი!

ასევე გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ ნუგზარ კველიშვილს, მომავლის ბანაკის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, მუდმივი ზრუნვისა და სტუმართმოყვარეობისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს უკრაინელი ბავშვების მიმართ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამ ბავშვებს საშუალება მიეცათ თავი უდარდელად და ბედნიერად ეგრძნონ მშვიდობიან საქართველოში!“





ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე



CORDIAL GRATITUDE FROM UKRAINE

Georgian Ministry for Sports and Youth Affairs and its division – National Center of Youth and Children brought to the “Camp of Future” the young Ukrainians aggrieved by the hostilities and aggression in the eastern regions of Ukraine.

National Center of Youth and Children elaborated a special program for the Ukrainian youth. The program aimed at rehabilitation and social reintegration of the war-affected children and the youth by bringing them back to the habitual life. The program included both entertaining and educational activities. About 110 youth with 15 accompanying persons stayed in the camp within the program for September 1-30. The Georgian party fully covered the costs for transportation, accommodation and meal. The Ukrainian youth took part in the sport activities, including football, basketball, volleyball, chess and table tennis. They watched movies, traveled to aqua-park and Martvili canyon, visited the prince Dadianis palace and played the intellectual game “What, Where, When?”

Later on, the letter of gratitude came from Ukraine. It said the following, “Our dear Georgian friends! Please receive a cordial gratitude from the Ukrainian people and particularly from those young people whom you gave opportunity to even temporarily get rid of hostilities, artillery shelling and the grave situation which reigns today in our country. We want to warmly thank Georgian Ministry of Sports and Youth Affairs, the State Minister’s Apparatus for Diaspora Issues and all those institutions and persons who were behind this initiative and were actively engaged in the implementation of this program. This is a truly significant support to the Ukrainian people and to the peaceful future for the Ukrainian nation, because these very young people are the future of our country.”

12 აგვისტოს მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა გაეროს ასამბლეის 1999 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით, 2000 წლის 12 აგვისტოს კი ცივილიზებულმა სამყარომ პირველად აღნიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

ამ დღესასწაულს საქართველოც შეუერთდა და 2014 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ეს დღე პირველად საქართველოშიც აღინიშნა... ამ დღესთან დაკავშირებით, ახალგაზრდული კვირეულის ფარგლებში, სწორედ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აჭარის მთავრობისა და კერძო სექტორის მხარდაჭერით 12 აგვისტოს მთელი დღის მანძილზე ახალგაზრდებმა მიიღეს სპეციალური ფასდაკლებები: საერთო მონაცემებით, 12 აგვისტოს ფასდაკლებებით ისარგებლა 2500-მდე

ახალგაზრდამ. ისინი ასევე ენვიგნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალ დაწესებულებებს – ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს, ეროვნულ გალერეას, ხელოვნების მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, თბილისის ისტორიის მუზეუმს, ოკუპაციის მუზეუმს, სიღნაღის მუზეუმს, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალს, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალს, სვანეთის მუზეუმს, ძალისას მუზეუმ-ნაკრძალს, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმს და სახლ-მუზეუმებს (ე. ახვლედიანი, უ. ჯაფარიძე, მ.თოიძე და ი. ნიკოლაძე). აჭარელმა მოზარდებმა მოინახულეს გონიოს ციხე, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, არქეოლოგიური მუზეუმი. სამინისტროში მოენყო ფოტოგამოფენა, ასევე ახალგაზრდული კონფერენცია სამინისტროსა და World Vision-ის ორგანიზებით.

სამინისტრო ახალგაზრდებს ჰპირდება, რომ ეს აქცია ტრადიციულ ხასიათს შეიძენს და გაცილებით უფრო ფართო მასშტაბიანი გახდება.



იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა“.

პროექტის საშუალებით, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, შესაძლებლობა აქვთ ერთ-ნაირი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“.

მათი მთავარი ამოცანა არის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით, ურთიერთობის განვითარება საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ პროექტებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბდება საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელი.

„ახალგაზრდა ელჩები“ სპეციალურმა კომისიამ შეარჩია, რომლის წევრები იყვნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

გაიცანით ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩები: ამერიკის შეერთებული შტატები – იოსებ ჟორჯოლიანი; ავსტრია – სალომე სალაძე; გერმანია – მიხეილ სარჯველაძე; დიდი ბრიტანეთი – გიორგი ლომიძე; თურქეთი – თეონა ვარშალომიძე; ლიტვა – სანდრო ვეკუა; პოლონეთი – ქეთევან ფრანგულიაიშვილი; საფრანგეთი – ლია ჭიპაშვილი; უკრაინა – მიხეილ გეგეჭკორი; ჩეხეთი – ლაშა ნავერიანი.



სოსო ჟორჯოლიანი:

„ვსნავლობ ვაშინგტონის და ჯეფერსონის კოლეჯში. გავიმარჯვე პროექტში „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი.“ ამ პროექტის ფარგლებში ვაპირებ ჩამოვაყალიბო ქართული ახალგაზრდული გაერთიანება აშშ-ში, რომელიც ჩემი ელჩობის ვადის ამონაურვის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და მოიცავს არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ სტუდენტებს.“


საკონტაქტო მისამართი: j.jorjoliani@hotmail.com



სალომე სალაძე:

„ამჟამად ვცხოვრობ ქალაქ ზალცბურგში და ვსნავლობ პარის-ლოდრონის სახელობის ზალცბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში. "საქართველოს ახალგაზრდა ელჩის" პროგრამის ფარგლებში ვაპირებ ავსტრიაში მცხოვრებ ქართველების თანამონაწილეობით ავსტრიელებს უკეთ გავაცნო საქართველო. რთული და საპასუხისმგებლოა, ატარებდე შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის სახელს. ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ ჩემი საქმიანობა ჩემივე ქვეყნისთვის პროდუქტიული და ნაყოფიერი იყოს.“

საკონტაქტო მისამართი: saladzesali@yahoo.com



მიხეილ სარჯველაძე:

„ჩემი, როგორც ახალგაზრდა ელჩის მიზანია, შევასრულო დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია გერმანიაში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს და ქართულ სახელმწიფოს შორის. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა საქართველოს პოპულარიზაციის გზით ევროპულ ახალგაზრდებს შევუქმნათ წარმოდგენა საქართველოს შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვნად დაეხმარება.“

საკონტაქტო მისამართი: msarjvel@smail.uni-koeln.de



გიორგი ლომიძე:

„ვარ ექსეტერის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების ბაკალავრიატის ბოლო კურსის სტუდენტი. სტუდენტურ აქტივობებში საკმაო გამოცდილება დამიგროვდა – უკვე სამი წელია ვარ ექსეტერის უნივერსიტეტის ქართული საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი. ვაპირებ ჩემი გამოცდილება საქართველოს ახალგაზრდა ელჩის რანგში გამოვიყენო და დიდ ბრიტანეთში განვახორციელო ახალგაზრდული ღონისძიებები ქართველი სტუდენტების მაქსიმალურად ჩართვით.“

საკონტაქტო მისამართი: gl264@exeter.ac.uk

12 დეკემბერს სასტუმრო Holiday Inn-ში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი. შეკრებილებს მიესალმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი. სეზვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები. ამბასადორიალს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.



თიონა ვარშალომიძე:
„ვსწავლობ ანკარაში, ჰაჯეტბეს უნივერსიტეტში. აქ 4 წლის წინ ჩამოვედი, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მეგობრებთან ერთად საქართველოს პოპულარიზაციისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ამ ყველაფრის კეთება კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობით მომიწევს. თურქეთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა. თურქეთში ცხოვრობს ჩვენი ისტორიული დიასპორა, რომელთაც სჭირდება ისტორიული სამშობლოს შესახებ სრული ინფორმაციის მინოდება. ჩემს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დიდი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებითა იქნება.“

საკონტაქტო მისამართი:
t_varshalomidze@yahoo.com

ლაშა ნავერიანი:
„5 წელია ვცხოვრობ და ვსწავლობ პრალაში, ჩეხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვხელმძღვანელობ ქართულ სტუდენტურ ორგანიზაციას, რომელიც აქ დავაარსეთ მე და ჩემმა მეგობრებმა. სურვილი მაქვს, რომ ქართველი სტუდენტობა უფრო გააქტიურდეს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ. ახალგაზრდა ელჩის რანგში ვგეგმავ პრალაში ჩავატარო რამდენიმე საინტერესო ღონისძიება. ყველაზე საპასუხისმგებლო პროექტი, რომლის განსახორციელებლად განსაკუთრებით ვემზადებით, არის ქართული ფილმების ფესტივალი. მსგავსი ფესტივალი პრალაში ჯერ არ ჩატარებულა.“

საკონტაქტო მისამართი:
lashanaveriani@gmail.com

სანდრო ვეკუა:
„პროფესიით ვარ ეკონომისტი. 2013 წლიდან ვცხოვრობ ვილინუსში და ვწევი წარმატებულ ბიზნეს-საქმიანობას. ჩემი მიზანია, წვლილი შევიტანო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში. ჩემი დიდი სურვილია, საქართველოს მოსახლეობის ბედნიერების ინდექსი, უახლოეს ათ წელში, გაუტოლდეს სკანდინავიური ქვეყნების ბედნიერების ინდექსს.“

საკონტაქტო მისამართი:
sandro.vekua@gmail.com

მალხა გიშვილი:
„2013 წლიდან ვსწავლობ, უკრაინაში, კიევი, პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე. 2014 წლის ოქტომბრიდან, ახალგაზრდა ელჩობის პერიოდში, ჩემი მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია უკრაინაში. გვეგმავე ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას. იმედი მაქვს, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების ძალისხმევა გამოიღებს შედეგს და უცხოელი ახალგაზრდები უკეთ გაიცნობენ საქართველოს.“

საკონტაქტო მისამართი:
max.gegetchkori@gmail.com

ქეთევან ფრანგული:
„დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. 2012 წლიდან ვარ ორგანიზაცია "ხიდი საქართველოსთან" წევრი, რომელიც ფუნქციონირებს ქალაქ კრაკოვი და ეწევა საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას მთელი პოლონეთის მასშტაბით. 2013 წელს, როგორც ახალგაზრდა მეცნიერმა, მოვიპოვე პოლონეთის სახელმწიფოს სტიპენდია. 2014 წლის ოქტომბერში დავინიშნე საქართველოს ახალგაზრდა ელჩად პოლონეთის რესპუბლიკაში.“

საკონტაქტო მისამართი:
qeti_prangi@yahoo.com

ლიკა ჭიკაშვილი:
„2013 წლიდან ვსწავლობ ბორდოს უნივერსიტეტში. საქართველოს ახალგაზრდა ელჩის მანდატით ვაპირებ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. საფრანგეთის 10 ყველაზე დიდ სტუდენტურ ქალაქში დაგეგმილი მაქვს კონფერენციათა ციკლის ჩატარება, გაცნობითი ხასიათის შეკრებების ორგანიზება ფრანგ და ქართველი ახალგაზრდების დაახლოებისთვის, საქართველოს პოპულარიზაცია სტუდენტურ ქალაქებში.“

საკონტაქტო მისამართი:
likachipashvili@yahoo.fr



იყავი მოხალისე – დაიხავე ქვეყნის საუნჯე

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა
და რეაბილიტაციის პროგრამა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა სორციულდება საქართველოს საპატრიარქოსა და სტუდენტურ თვითმმართველოებთან კოორდინაციით. გულისხმობს საქართველოს ისტორიულ კულტურულ ძეგლებზე სტუდენტური ჯგუფების გამგზავრებას ამ ძეგლების აღდგენისა და რეაბილიტაციის მიზნით.



30ნაიდან ახალგაზრდობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რესურსია, აღნიშნულ პროგრამაში ახალგაზრდების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მოინახულონ ისტორიულ-კულტურული ძეგლები და თავისი წვლილი შეიტანონ ამ მემკვიდრეობის მოვლა-შენარჩუნებაში.

კანონი „კულტურის შესახებ“ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლის მსგავსად, 2014 წელსაც – 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე სარეაბილიტაციო-აღდგენით სამუშაოების ჩასატარებლად, მოხალისე სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფები იმყოფებოდნენ მანგლისში, შავნაბადაზე, კახეთში, ცაგერში, ლენტეხში, ხაშურში, ახალქალაქში, აბასთუმანში, ასპინძაში, ხარაგაულში, ამბროლაურში, შინდისში.

2014 წელს პროექტში 300-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ჯგუფებში გადანაწილებული ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 10 დღით იმყოფებოდნენ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოვლა-დასუფთავებაში დაეხმარნენ.

ევროკული გამოსდილება

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის კონფერენცია: „თანამშრომლობის განვითარება ახალგაზრდულ სფეროში“



2014 წლის 1-3 ივლისს სქართველოს სპორტი-სა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით თბილისში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წევრები – ევროკავშირის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასკალ ლეჟენი, ევროკავშირის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენელი არტურ პაიერი და ევროკავშირის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი ოლივერ რაისნერი.

რა არის ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა?

2009 წლიდან აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა ევროკავშირის ერთ-ერთი პროგრამის „აღმოსავლის პარტნიორობის“ (Eastern Partnership – „EaP“) მონაწილეა. „EaP“-ის შექმნის ინიციატივა პოლონეთსა და შვედეთს ეკუთვნით. პროგრამის მიზანია პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა და მათი დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან.

„EaP“ მოიცავს ოთხ თემატურ პლატფორმას: დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ენერგოუსაფრთხოება; ხალხთა შორის კონტაქტები.

კონფერენციაზე ამ საკითხების გარშემო მოეწყო დისკუსიები, მრგვალი მაგიდა,

პროგრამების მიმოხილვა, საინფორმაციო შეხვედრები. კონფერენციის დღის წესრიგის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში სხვადასხვა ორგანიზაციის სახელით სულ 200-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ევროკომისის, „EaP“-ის ქვეყნებში ახალგაზრდულ სფეროზე პასუხისმგებელი სამინისტროების მაღალი რანგის წარმომადგენლები, შესაბამისი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ინსტიტუტები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, „ვიშეგრადი“, ევროპის საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტო (ERYICA), აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის რესურს ცენტრი (SALTO), აღმოსავლეთის პარტნიორობის ახალგაზრდული რეგიონალური სამსახური (EPYRU), ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდულ სფეროში (EU-CoE Youth Partnership), დამოუკიდებელი ექსპერტები.

ლევან ჟიჟინი: „დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარება კი ყველა პასუხისმგებლიანი მთავრობის ვალდებულებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და შესაბამისი რეფორმების გატარებაზე. ამ გზაზე, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები, მაგალითისთვის გეტყვი, რომ წელს მთავრობამ დაამტკიცა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი 2014 – 2020 წლებისთვის“, შემუშავდა სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ ცალკე ახალგაზრდობის საკითხები ასახულია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებაში. ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ევროპული ინტეგრაცია ხდება საქართველოს არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი.“

EUROPEAN EXPERIENCE

EUROPEAN UNION EASTERN PARTNERSHIP CONFERENCE: DEVELOPMENT OF COOPERATION IN THE YOUTH SPHERE

Georgian Ministry for Sports and Youth Affairs organized a large-scale conference in Tbilisi during July 1-3, 2014.

Members of the EU delegation to Georgia, head of EU youth affairs department Pascal Lezhen, representative of the department Arthur Paier and representative of EU delegation to Georgia Oliver Reisner attended the conference.

Azerbaijan, Belarus, Moldova, Georgia, Armenia and Ukraine have been members of the EU Eastern Partnership Program (EaP) since 2009. The initiative of EaP belongs to Sweden and Poland. The main goal of the program is to support ongoing social-economic and political reforms in the partner countries and facilitate their approximation with EU standards.

EaP embraces four thematic platforms: democracy, good governance and stability, economic integration and compliance with EU policies, energy security and people-to-people contracts.

The conference saw discussions around these issues, round table meeting, review of programs and informational meetings. More than 200 representatives participated in the events scheduled within the conference's agenda.



პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა

2014 წელს დასრულდა გუშაგობა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ ახალ რედაქციაზე. განახლებულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა, აღმოიფხვრა სხვადასხვა ხარვეზი. ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში ახალგაზრდობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მადანიმალური ჩართულობის მიზნით, 2014 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი.



ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მომუშავე ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებმა და ექსპერტებმა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ფორუმის მსვლელობის პროცესში ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებაში. მათი შენიშვნები და წინადადებები მაქსიმალურად იქნა ასახული დოკუმენტში.

ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ესწრებოდა, მან სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „ჩვენი ამოცანაა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სრულყოფა. ძალიან მნიშვნელოვანია, არსებობდეს ინტენსიური კავშირი მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის. ჩემთვის აღმოჩნა იყო ის, რომ საქართველოში არსებობს 160 ახალგაზრდული ორგანიზაცია. დასახვეწია ახალგაზრდული პოლიტიკა. ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება“.

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევას, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 2 აპრილს დაამტკიცა.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე, შემუშავდა ახალგაზრდული სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება პოლიტიკის დოკუმენტის 4 სტრატეგიულ მიმართულებას: მონაწილეობა; განათლება; დასაქმება და მობილობა; ჯანმრთელობის გაცვა და სოციალური მხარდაჭერა.

პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა ახალგაზრდობის სფეროში არსებული კანონმდებლობის დახვეწაზე. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს 15-მდე სამინისტრო უწყება და 10-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მეშვეობითაც 200-ზე მეტი ახალგაზრდული პროგრამის განახორციელება დაგეგმილი.



პიზრუნოთ მოგავალზე

2014 წელს სამინისტრომ პირველად განახორციელა მზრუნველობა მოკლებული და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა.

პროგრამის შემუშავების პროცესში სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობდა ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციებთან („SOS ბავშვთა სოფელი“, „საქართველოს კარიტასი“ და „ჩვენი სახლი“), შეგროვდა ინფორმაცია ბავშვების საჭიროებების შესახებ და ამ მონაცემებზე დაყრდნობით დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები.

სამინისტრომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები მზრუნველობა მოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მაისის თვიდან დაიწყო ფეხბურთის, სამეფლისო ცეკვებისა და ჰიპ-ჰოპის სწავლება. პროექტში ჩართულია 102-ე საჯარო სკოლა, რომლის ბაზაზეც მიმდინარეობს მეცადინეობა.

სამინისტრომ ასევე უზრუნველყო 14-დან 17 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ზოგადი განათლების დონის ასამაღლებელი ორთვიანი სწავლება.

16 ივნისს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ახალგაზრდული ორგანიზაცია – ააიპ „სტუდენტური ერთიანობის“ ინიციატივით, „SOS ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელებს საჩუქრად გადაეცათ 250 წიგნი.

2015 წელს იგეგმება პროგრამის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებულ მზრუნველობა მოკლებულ და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განხორციელება.



ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი



მომავლის ბანაკი 2014

„მომავლის ბანაკი“ 5 ივლისს გაიხსნა და მას მოზარდებისგან დაკომპლექტებული 6 ნაკადი ესტუმრა. საერთო ჯამში, ბანაკმა 1728 ახალგაზრდა მიიღო. განათლების სამინისტროსთან ერთად, საქართველოს მასშტაბით თითოეული სკოლიდან ერთი მოსწავლე შეირჩა. უპირატესობა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს მიენიჭათ, მათ შორის – სოციალურად დაუცველ, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლებს. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ 14-18 წლამდე მოზარდები დედაქალაქიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

ნელს მომავლის ბანაკმა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებსაც უმასპინძლა. დიასპორა გერმანიიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და ისრაელიდან ჩამოვიდა. ბანაკის მონაწილეებს ბელორუსი „ნორჩი მაშველები“ გუნდი შეუერთდა და თანატოლებთან დაუფინყარი 10 დღე გაატარა.

პროექტის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების

საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

„მომავლის ბანაკი“ წარჩინებულ მოსწავლეებს 2015 წლის ზაფხულში კვლავ უმასპინძლებს.

„შანARTი“

2013 წლიდან ცენტრის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში პირველ მრავალჟანრობრივ ფესტივალს – „შანARTი“. ყოველი წლის მარტის ბოლო კვირას – 24-31 მარტს – „მარტისტიების“ კვირეულის ფარგლებში ფართო საზოგადოება ეცნობა ახალგაზრდა კომპოზიტორების, ჯაზმენების, როკერების, ლიტერატორების, მხატვრების, ფოტოგრაფების, დიზაინერების, მსახიობებისა და კინორეჟისორების შემოქმედებას.



2014 წლის ფესტივალის ფარგლებში მონაწილეებს გაუწიეს კონსულტაცია თავის სფეროში წარმატებულმა ადამიანებმა – ელდარ შენგელაიამ (კინო), ნიკოლოზ რაჭველმა (კლასიკური მუსიკა), ნათელა გრიგალაშვილმა (ფოტოგრაფია), გია გუგუშვილმა და მეგი ნითლიძემ, (მხატვრობა), დათო ტურაშვილმა (ლიტერატურა), ზაზა მარჯანიშვილმა (ჯაზი), თეონა თავართქილაძემ და იკა ბობოხიძემ (მოდა, დიზაინი), ირინა ლოლობერიძემ (თეატრი), ნიკო ნერგაძემ (როკი, ალტერნატივა), სოფიო ხუნწარიამ და „არტარეას“ შემოქმედებითმა ჯგუფმა (ვიზუალური ხელოვნება).

„მარტისტიების“ კვირეული არის ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ნამუშევრები გააცნონ ფართო საზოგადოებას. ფესტივალისადმი ინტერესს განაპირობებს ისიც, რომ არის მრავალჟანრობრივი და ის ბევრი ნიჭიერი „მარტისტი“ წარმოჩენას ემსახურება.

ლიტერატურული კონკურსი „ჩვენი თავგადასავალი“

ცენტრსა და „მწერალთა სახლს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „ჩვენი თავგადასავალი“. კონკურსი წერის ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდებისთვის (14-18 წელი) სექტემბერში გაიმართა. პროექტის ფიურის წევრებმა – მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმა, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი



ლობჯანიძემ და მწერალმა ირაკლი ჯავახაძემ ფინალური ეტაპისთვის შერჩეულ 23 დამწყებ პროზაიკოსს დავალება წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მისცეს. 2 დღის განმავლობაში შექმნილი ნაწარმოებებიდან საუკეთესოები კონკურსის დახურვის დღეს დასახელდნენ. ლიტერატურის მოყვარულებს ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედების გაცნობა წლის ბოლოს გამოცემული კრებულით შეუძლიათ. ირაკლი ჯავახაძის ორი რჩეულის – თამთა გვენცაძისა და ლიზი ბუდალაშვილის მოთხრობები კი 2014 წლის 17 ოქტომბერს მწერალთა სახლის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა.

„შექმნი შენი კალენდარი“

ცენტრის ინიციატივით, 2014 წელს გამოიცა კალენდარი, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს 11-დან 18 წლამდე დამწყებმა მხატვრებმა. პროექტის 12 მონაწილე სპეციალური შესარჩევი ეტაპის შედეგად ქართველმა მხატვრებმა – გია გუგუშვილმა, გუგა კოტეტიშვილმა და გოგა ჯაფარიძემ გამოავლინეს. ისინი მთელი პროექტის მანძილზე მოზარდებს კონსულტაციას უწევდნენ და მასტერკლასებს უტარებდნენ. მონაწილეებმა ხატვის პროცესი 15 სექტემბერს ბაკურიანში დაიწყეს. თითოეულმა კონკურსანტმა თავისი „კუთვნილი“ თვე ტილოზე გადაიტანა. ასე შეიქმნა წელიწადი, სადაც ბავშვებმა ერთობლივი ძალებით თორმეტივე თვე ასახეს.

„იცხოვრე სპორტით“

ცენტრისთვის სპორტული ცხოვრება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. 2013 წლიდან ცენტრის ბაზაზე შეიქმნა



სპორტული დეპარტამენტი და 2014 წელს რამდენიმე მასშტაბური პროექტი განხორციელდა. მათ შორისაა პროექტი „იცხოვრე სპორტით“, სადაც წეროვანში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული 300-მდე მოზარდია ჩართული. მთელი წლის მანძილზე მოზარდები უზრუნველყოფილი იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი მატჩის ბილეთებითა და ტრანსპორტით. ასე აღმოჩნდნენ ბავშვები რაგბის, ფეხბურთის, წყალბურთისა და კალათბურთის მატჩებსა და ძიულეს ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე.



ტურნირი ქუჩის ფეხბურთში

ტურნირი ქუჩის ფეხბურთში 4 დღის მანძილზე მიმდინარეობდა და მასში თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების 18-დან 25 წლამდე სტუდენტები იყვნენ ჩართული, ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი კი თბილისში გამართული ქუჩის ფეხბურთის ტურნირის საპატიო სტუმარი იყო. მან ტურნირის ფარგლებში საჩვენებელი მატჩიც მოაწყო, სადაც თბილისის „დინამოს“ მოქმედ ფეხბურთელებთან ერთად ვეტერანებმა – გიორგი ნემსაძემ და ლევან ცქიტიშვილმაც ითამაშეს.

მინი კალათბურთის ფესტივალი

სპორტული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო „მინი კალათბურთის ფესტივალი“, რომელიც „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ორგანიზებით მიმდინარეობდა. ღონისძიებაში საქართველოს მასშტაბით 7 რეგიონი მონაწილეობდა და მასში 500-მდე ბავშვი იყო ჩართული. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის გარდა, ფესტივალი ტალანტების აღმოჩენას ემსახურებოდა. სპორტის სასახლესა და კალათბურთის აკადემიაში 150-მდე მატჩი ჩატარდა. პროექტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა „თბილისის კალათბურთის გან-

ვითარების კავშირთან“ და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, რაც სამომავლოდ კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი აქტივობების განხორციელებას გულისხმობს.

„გაპლიერდი და შეცვალე“

გაეროს 2006 წლის კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია შეწყდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განხილვა დაავადებულ ადამიანებად, პაციენტებად, ვინაიდან, ამავე კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობები არის არა დაავადება, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური და სენსორული შეზღუდვაა, რომელიც გარემოში არსებულ ბარიერებთან მიმართებაში ადამიანს სრულად ან ნაწილობრივ უზღუდავს სხვებთან თანასწორად სოციალურ თანამონაწილეობას.

შშმ ბავშვზე ზრუნვისა და რეაბილიტაციის მომსახურებების შეზღუდული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ასეთი შეზღუდვის მქონე ბავშვები, ფაქტობრივად, არ იღებენ მათთვის კუთვნილ მომსახურებებს. რეგიონებში, სადაც ეს მომსახურებები განვითარებულია, მათში ინტეგრირებული ბავშვების მშობლები არ ფლობენ საკმარის ცოდნასა და კომპეტენციას გააძლიერონ საკუთარი თავი, დაეხმარონ სხვა მშობლებს, რომელთაც ახლად შეეძინათ შშმ ბავშვები, მოახდინონ ძალების კონსოლიდაცია და სოლიდარობის პრინციპით მიიტანონ ცვლილება საქართველოს ყველა კუთხემდე. პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ და 2014 წელს დაიწყო პროექტი „გაძლიერდი და შეცვალე.“ პროექტში 40 მშობელი მონაწილეობდა. მათ





ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი ადამიანის უფლებებისა და შშმ ბავშვთა შესაძლებლობების განვითარების შესახებ. მონაწილეებმა გაცვალეს რჩევები, ინფორმაცია და ჩამოაყალიბეს პარტნიორობა. მათთვის შეიქმნა (<https://gadzierdidashcevale.wordpress.com/>) ბლოგი, სადაც შშმ ბავშვების მშობლები სხვებს უზიარებენ გამოცდილებას. გადამზადებული მშობლები ამ ეტაპზე თავად ახორციელებენ ადვოკატირების სამ პროექტს რეგიონებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი

ბავშვთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკითხში. აღნიშნული პროექტის საპილოტე ეტაპმა ცხადყო მოსწავლეთა თვითმმართველობების მნიშვნელობა სკოლაში. სკოლის თვითმმართველობა არის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მზარდისთვის იმ უნარ-ჩვევების შექმნას, რომლებიც მას შეუძლია გამოიმუშაოს სკოლის ასაკში ფორმალური განათლების პარალელურად და რეალურად მიიღოს სკოლის მართვაში მონაწილეობა. „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრმა“ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც ძლიერი და წარმატებული სკოლის თვითმმართველობების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს.

2014 წლის მარტიდან, თვეში ერთხელ, სკოლის მოსწავლეებს უტარდებოდათ ტრენინგ-კურსები, ვორკშოპები და თემატური

შეხვედრები. ბენეფიციარებმა სრული ინფორმაცია მიიღეს სკოლის სტრუქტურისა და საკუთარი უფლებების შესახებ.

მოსწავლეთა კლუბი

უკვე ორი წელია, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ „მოსწავლეთა კლუბის“ პროექტს ახორციელებს, რაც ხელს უწყობს ბავშვებსა და ახალგაზრდობში არაფორმალური განათლების და აქტიური მოქალაქეობის პოპულარიზაციას, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ახალგაზრდობის ინტელექტუალური და პიროვნული პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. 2013 წელს პროექტის საპილოტე ვერსია განხორციელდა თბილისში, ხოლო 2014 წელს უკვე რეგიონები (ლაგოდეხი, სურამი, კოდა, ყაზბეგი) მოიცვა.

„მოსწავლეთა კლუბის“ წევრები სოციალური სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები არიან, რომლებიც ადრეულ ასაკშივე ეცნობიან თანატოლების პრობლემებს და ერთად ცდილობენ მათ გადაჭრას. ეუფლებიან გუნდის მართვის, ლიდერობის უნარ-ჩვევებს და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. პროექტს დღეისათვის 500-მდე ბენეფიციარი ჰყავს.

სოციალური ინკლუზია

ცენტრისთვის პრიორიტეტად რჩება არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის. საქართველოში მათი მონაწილეობა არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობაში უკიდურესად დაბალია.

2014 წელს ცენტრმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა – „სოციალური ინკლუზია ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობისთვის“. პროექტის ფარგლებში ევროკომისიის მიერ გამოცემული პრაქტიკული სახელმძღვანელო – „არა ბარიერებს, არა საზღვრებს“ ითარგმნა და 500 ეგზემპლარად გამოიცა, რომელიც პრაქტიკული გზამკვლევაა ახალგაზრდული სექტორის წარმომადგენლებისათვის, კონკრეტულ რჩევებს აძლევს შშმ ახალგაზრდებს, თუ როგორ შეუძლიათ მათ ჩაერთონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ახალგაზრდულ აქტივობებში, რაც გაზრდის მათი მონაწილეობის დონესა და ხარისხს.





რეალობის აღქმა

არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რეალობის აღქმის ხელშეწყობის პროგრამა

სასჯელსრულების დაწესებულებაში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდების რეალობის აღქმის პროგრამის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. ამ კატეგორიის ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების, სწავლითა და შრომითი საქმიანობით მათი დაინტერესების, შემოქმედებითი და სპორტული უნარჩვევების გამოვლენა-განვითარების, გარე სამყაროსადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავების, მათი ჩვევების გაცნობიერებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით განხორციელდა სპეციალური პროგრამა შემდეგი მიმართულებებით:

- ა) სპორტში აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა;
- ბ) ტრენინგ-სემინარები არაფორმალური განათლების საკითხებზე;
- გ) პროფესიული (სახელობო) სწავლება;
- დ) ინტელექტუალური, შემეცნებითი და კულტურული აქტივობები.

პროგრამის ფარგლებში, პროფესიონალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმდინარეობდა ვარჯიშები ფეხბურთსა და რაგბიში. მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა თამაშები გუნდებს შორის საშეჯიბრო პრინციპით. ჩატარდა რაგბისა და ფეხბურთის მატჩები მსჯავრდებულებსა და შესაბამისი

ასაკობრივი ჯგუფის სპორტული კლუბების მოზარდებთან.

მსჯავრდებულებს პროგრამის ფარგლებში არაერთხელ სტუმრობდნენ ცნობილი სპორტსმენები. მათთან შეხვედრები ძალზე საინტერესოდ და ემოციურად მინდინარეობდა.

პროექტის ფარგლებში არასრულწლოვნებთან ჩატარდა მკლავჭდის ტურნირი. პროგრამა ითვალისწინებდა მსჯავრდებულთათვის საჭირო სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფას.

არაფორმალური განათლების მიმართულებით მსჯავრდებულებთან ჩატარდა ტრენინგ-სემინარები „ცხოვრებისეული ღირებულებები ახალგაზრდებისათვის“.

სემინარებზე განხილული იყო თემები: ტოლერანტობა, მშვიდობა, პატივისცემა, თანაგრძნობა, სიკეთე, სამართლიანობა, პოზიტიური პიროვნული და სოციალური არჩევანი. ჩატარდა მინი-ლექციები, დისკუსიები, სიტუაციური ამოცანების განხილვა, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა.

ახალგაზრდებს ასევე მიეცათ საშუალება დაუფლებოდნენ დებატების ხელოვნებას. მსჯავრდებულებთან ჩატარდა 12 შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ფორმალური დებატების ელემენტების სწავლებას, მოითხოვდა ტრენინგის მონაწილეთა განსაკუთრებულ მოტივაციას, ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ მობილიზებას და ორგანიზებულობას.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ჩატარდა შემეცნებითი კონკურსები: „ინტელექტის დღე – რა, სად, როდის?“, „ეტალონი“.

პროგრამის ფარგლებში, N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნებთან მიმდინარეობდა ხეზე კვეთისა და ხის მხატვრული დამუშავების, მინანქარის ხელოვნების სწავლება. ეს პროცესი უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით.

პროექტში ჩართული იყო 110 ბენეფიციარი. განსაკუთრებული მონონებით სარგებლობდა პროექტის სპორტული, სახელობო და სატრენინგო მიმართულებები. ბენეფიციართა მხრიდან გამოითქვა სურვილი, სასჯელსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ გააგრძელონ ვარჯიში რაგბსა და ფეხბურთში, ასევე, გააგრძელონ ხეზე კვეთის და მინანქარის დამუშავების შესწავლა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწყებულია მოლაპარაკებები სპორტულ კლუბებთან და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან, რომლებსაც აქვთ პროგრამები სასჯელსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ახალგაზრდების მხარდაჭერის მიმართულებით.





საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2014 წლის მონაცემებით, სსიპ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 24 კაბინეტი, 107 დასახელების 535 სასწავლო-შემეცნებითი მიმართულების წრე, სტუდია და სახელოსნო ფუნქციონირებს. 2014 წლის განმავლობაში 6045-მდე მოზარდია დარეგისტრირებული. მათი უმრავლესობა 2, 3 ან მეტ წრეზე დადის. ფასიან წრეებსა და სარეგისტრაციო მომსახურების გადასახადზე დაწესებული (წარჩინებული, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახი და სხვ.) შეღავათებით ისარგებლა 1945-მა მოსწავლემ.

ბოლო ერთი წლის მანძილზე სასახლეში არაერთი სიახლე დაინერგა, მოსწავლეთა სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით გაიხსნა ახალი წრეები და სტუდიები. მათ შორის აღსანიშნავია: სტუდია „პიონერ-ფილმთან“ არსებული ანიმაციური ჯგუფი; ასევე მუშაობა დაიწყო მიუზიკლის სტუდიამ, სადაც მოზარდები კომპლექსურად სწავლობენ შემდეგ საგნებს: სამახიობო ოსტატობა, სასცენო მეტყველება, მხატვრული კითხვა, ვოკალი და ქორეოგრაფია; ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „კავკასიონი“; მსოფლიო ხალხთა ცეკვი; დრამის ცეკვის სტუდია „ბერუა“; აღდგა სასახლის ბეჭდვითი ორგანო – გაზეთი „გაზაფხული“; შეიქმნა სასახლის მუზეუმი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება დაათვალიეროს ექსპონატები და გაეცნოს სასახლის ისტორიას.

სასახლის მედიასტუდია „დრომ“ განახორციელა ინოვაციური პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოსცა ყურნალი „ONLINE თაობა“; წლის განმავლობაში ამზადებენ ტელე-გადაცემებს საპატრიარქოსთან არსებულ ტელევიზია „ერთსულოვნებისათვის“; პროექტის ფარგლებში, ერთი წლის მანძილზე ნაიყვანენ გადაცემას რადიო – „პიკის საათში“.

სამომავლოდ სასახლეში იგეგმება ნორჩი გიდების მომზადება, რომლებიც სტუმრებს ისტორიული შენობის, სასახლის შესახებ მოუთხრობენ. ასევე იგეგმება დებატების კლუბის, თურქული ენისა და მხატვრული ტანვარჯიშის შემსწავლელი წრეების შექმნა. შევადრე ინსტიტუტის თანადგომით განახლდება და ახალ ფუნქციას შეიძენს სასახლის ბიბლიოთეკა, რომლის ბაზაზეც იგეგმება ახალი, ინოვაციური საბავშვო ბიბლიოთეკის შექმნა.

2014 წელს სასახლემ 600-მდე კალენდარული თუ თემატურ ღონისძიება ჩაატარა.

უმნიშვნელოვანესი იყო 13-14 ნოემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართული მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურული, სპორტული, სკოლისგარეშე და არაფორმალური განათლების დაწესებულებების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოცდათვრამეტი რეგიონის სამოცდათექვსმეტმა წარმომადგენელმა.

მსოფლიო საქადრაკო სარბიელზე ქართული საქადრაკო ფენომენის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისათვის 2014 წლის 25 მაისს, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა სასახლის საქადრაკო სკოლის კლუბ „ნტნ“-ის ვარსკვლავი.

2014 წლის 20 ნოემბერს სასახლეში ჩატარდა ვარსკვლავოსანი სტუდიის, „პიონერ-ფილმის“ 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სასახლე მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან, მასპინძლობს სამთავრობო დელეგაციებსა და უცხოელ სტუმრებს, მათ შორის აღსანიშნავია: 2014 წლის ნოემბერში სასახლის მონაწილეობა პრალაში, ევროპული ასოციაციის ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კონფერენციაში და ამავე ასოციაციის გენერალურ ასამბლეაში;

ოქტომბერში სასახლემ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახს, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ პატრიკ ჰიკის, ასევე ევროპის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებსა და საქართველოს ეროვნული კომიტეტის 25 წლის იუბილეზე მონვენულ სხვა სტუმრებს უმასპინძლა.

აპრილში სასახლის ანსამბლი „მზიური“ „კულტურული გაცვლითი პროგრამის“ ფარგლებში ისრაელში იმყოფებოდა.

მარტში სასახლის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის ინიციატივით გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქალი-მშვიდობის დესპანი“, რომელსაც დაესწრო ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი მართა ლუბეკი. სასახლემ უმასპინძლა საქართველოში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, საერთაშორისო ორგანიზაციების



ხელმძღვანელთა და ასევე ქართველი დიპლომატების მეუღლეებს.

იენისში, სასახლის სარკეებიან დარბაზში ჩატარდა ფოლკლორის სტუდიის პრეზენტაცია, რომელიც განახორციელა სასახლის ფოლკლორის ცენტრმა. მისი ხელმძღვანელია გამოჩენილი ქართველი მომღერალი და ლოტბარი თემურ ქევიშვილი.

25 მაისს სასახლის ინიციატივით, სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიხსნა ფესტივალი „სამაისო კავკასია“, რომლის სპონსორებიც არიან: თბილისის მერია, ჭადრაკის ფედერაცია და „სოკარ ენერჯი ჯორჯია“.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, გორის რაიონის სოფელ ტყვიავში სასახლის თეატრალური სახელოსნოს მიერ პირველად იყო წარმოდგენილი ორი სპექტაკლი: „ბატის ჭუკი“ და „ჩიპოლინო“.

საქველმოქმედო ნაძვის ხის აქცია „საახალწლო ზეიმი ყველა პატარას,“ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინიციატივით გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს, თბილისის საკრებულოს, თბილისის მერიის, ცენტრალური ტელევიზიების, ბავშვთა სახლების, ინკლუზიური დღის ცენტრების და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

სასახლის სტუდია „პიონერფილმის“ ორი მოსწავლე ეწვია იტალიის ქალაქ ჯიფონი ვა-

ლე პიანაში ჩატარებულ 44-ე (18-27 ივლისი) ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს და თანატოლებს შორის მნიშვნელოვანი უპირატესობებიც მოიპოვეს.

მათემატიკურ კონკურსში „იმედი ხვალის“ სასახლის მათემატიკის წრის წევრმა, მე-5 კლასის მოსწავლე ალექსი ბერიშვილმა I ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქარი დაიმსახურა.

3-5 მაისს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მერვე საერთაშორისო ოლიმპიადაში 37 ქვეყნის 120-მა გამომგონებელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყო სასახლის რადიოელექტრონიკის წრის აღსაზრდელი ლაშა ტავალაშვილი, რომელმაც ოლიმპიადაზე II ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

საჭადრაკო სკოლამ 2014 წელს 57 საჭადრაკო ტურნირში 84 მედალი, მათგან 36 ოქრო, 27 ვერცხლი და 21 ბრინჯაო მოიპოვა.

აღნიშვნას იმსახურებს სასახლეში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად 2014 წელს ჩატარებული ღონისძიებები და შესრულებული სარემონტო სამუშაოები: კეთილმოეწყო და გამწვანდა შიდა ეზო; გადიდდა თეატრალური დარბაზის სცენა; კეთილმოეწყო კვების ობიექტი; გარემონტდა ფოლკლორის ცენტრი, ორი საცეკვაო დარბაზი, ქორეოგრაფიული სტუდიის შიდა ეზო, ანიმაციის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, დაწყებულია სამუშაოები ახალი ბიბლიოთეკის კეთილმოსაწყობად. სასახლის ყველა კაბინეტისთვის შეძენილი იქნა კომპიუტერები.





ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებაა, ფონდის მიზანია ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, მათ მიერ დაგეგმილი პროექტების დაფინანსება, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება.

ფონდი პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად აფინანსებს სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას; ამავდროულად, თავდაც უწევს ორგანიზე-

ბას კულტურულ-საგანმანათლებლო, საერთაშორისო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, ადამიანის უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს და პროექტებს; დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა ფონდთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან; ზრუნავს ქვეყანაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დამკვიდრებაზე; მონაწილეობს ახალგაზრდობის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაში.

განხორციელებული პროექტები

2014 წელს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ორი საგრანტო კონკურსის ფარგლებში, სამინისტროს სათათბიროს გადაწყვეტილებით, 56 პროექტი დაფინანსდა. პროექტები განხორციელდა სხვადას-

ხვა პროგრამული პრიორიტეტის შესაბამისად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. საერთო ჯამში, დასაქმდა 300-მდე ახალგაზრდა, ხოლო პროექტებში ჩაერთო 10 000-ზე მეტი ბენეფიციარი. განხორციელებული პროექტები სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მათ შორისაა: სპორტული ჩემპიონატები და ფესტივალები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების განვითარებაზე მიმართული პროექტები, საგანმანათლებლო პროექტები და კონკურსები, კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები, ახალგაზრდული მედიის განვითარების მხარდასაჭერი აქტივობები, გარემოსდაცვითი პროექტები, ახალგაზრდობაში არაფორმალური განათლების თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად განხორციელებული პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და ა.შ. თითოეული პროექტი სამინისტროს სათათბიროს მიერ 2014 წლის დასაწყისში შემუშავებულ ერთ ან რამდენიმე პროგრამულ პრიორიტეტს შეესაბამება.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ფონდი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდულ სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა, ვაცნობიერებთ რა ქვეყნის ევროპულ კურსს და სწრაფვას ევროინტეგრაციისკენ. ფონდმა 2014 წელს რამდენიმე საერთაშორისო პროექტი დააფინანსა.

2014 წელს ინტენსიურად გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის საელჩოსთან და მშვიდობის კორპუსთან; ფონდი ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებული პრო-





ექტების: (კონკურსი „ზღვიდან ზღვამდე“, ქენდის ქემბლის ვიზიტი საქართველოში) ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ.

2014 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებულ ახალგაზრდულ ფონდთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; დოკუმენტში განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის სფეროები და მიმართულებები.

ფონდის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში: ირლანდიაში, საფრანგეთში, ლატვიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

სოციალური მენარმეობის საკითხებზე ფონდის პარტნიორია ევრაზიის თა-

ნამშრომლობის ფონდი. ამ უკანასკნელის მხარდაჭერით მოხდა ფონდის თანამშრომელთა გადამზადება, ბენეფიციართათვის და სოციალური მენარმეობის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კი ჩატარდა საგანმანათლებლო სემინარები და ა.შ..

დამოუკიდებელი ინიციატივები

ფონდის ინიციატივით შედგა: რიჩარდ ნორლანდისა და ქენდლის ქემბლის ვიზიტის ორგანიზება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში; დედამინის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში; ევროპის კვირეული თბილისსა და საქართველოს რეგიონებში; ველოგარბენი „იცხოვრე სპორტით“ უცხოელი და ქართველი მოხალისე ველომობილელების მონაწილეობით; ძლიერთა თამაშებში მონაწილეობა დაჭრილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად; კავკასიური პროექტის „ზღვიდან ზღვამდე“-ს მხარდაჭერა; ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა აშშ-ს საზღვაო ფლოტის ჯარისკაცებთან ერთად და მრავალი სხვა.

ფონდის მოხალისეები

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი მოხალისეობრივ იდეაზე დაფუძნებული სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერია და ამით ხელს უწყობს მოხალისეობრივი აზროვნების განვითარებას ახალგაზრდებში.

ამავდროულად, ფონდი თავადაც იყენებს მოხალისეების რესურსს. 2014 წელს ფონდის საქმიანობაში ჩართული იყო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტ-



ტი, 50-მდე მოხალისე; ამავე წელს ფონდის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აშშ-ს მშვიდობის კორპუსის მოხალისეები – მაი იანგი და ჰანა დალმანი;

სამოავლო გეგმები

2015 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი შემდეგ სამოქმედო მიმართულებებზე იქნება ორიენტირებული:

სამინისტროსთან ერთად ხელს შეუწყობს ქვეყანაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას; პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში საჭიროებათა კვლევის საფუძველზე გამოავლენს საორიენტაციო მიმართულებებს. დააფინანსებს რეალურ შედეგზე, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებს და შესაბამისად, ხელს შეუწყობს სამოქალაქო სექტორის განვითარებას.

განახორციელებს პროექტების მართვისა და მონიტორინგის სამსახურის გაძლიერებაზე ორიენტირებულ აქტივობებს; ითანამშრომლებს საერთაშორისო ფონდებთან და ორგანიზაციებთან. შეიმუშავებს ფონდის სტრატეგიის ოფიციალურ დოკუმენტს; საქმიანობის პროცესში ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სექტორის განვითარებას.

ვეპო კვარაცხელია



სკორტის ოლიმპიური სახეობები

ძიულო

ვეროპის ჩემპიონატი

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) – ოქრო
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) – ოქრო
ამირან პაპინაშვილი (60 კგ) – ვერცხლი
ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) – ვერცხლი
საქართველოს ნაკრები – ოქრო

მსოფლიოს ჩემპიონატი

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) – ოქრო
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) – ბრინჯაო
ამირან პაპინაშვილი (60 კგ) – ბრინჯაო
საქართველოს ნაკრები – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

თემურ ნოზაძე (50 კგ) – ვერცხლი
გიორგი გველესიანი (90 კგ) – ვერცხლი
რობინზ. ბეგლარაშვილი (55 კგ) – ბრინჯაო
ბექა უდესიანი (66 კგ) – ბრინჯაო
დავით რამაზაშვილი (90 კგ) – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) – ოქრო
თორნიკე ნაგლიაშვილი (55 კგ) – ვერცხლი
ივანე ჯავახიშვილი (60 კგ) – ვერცხლი
უშანგი მარგიაიანი (81 კგ) – ვერცხლი
ლევან გუგავა (81 კგ) – ბრინჯაო
საქართველოს ნაკრები – ოქრო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

გუგა კიბორძაძე (+100 კგ) – ვერცხლი
კობა მჭედლიშვილი (73 კგ) – ბრინჯაო
ლევან გუგავა (81 კგ) – ბრინჯაო
ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) – ბრინჯაო
საქართველოს ნაკრები – ვერცხლი

ბერძნულ-რომაული ჭილაობა

ვეროპის ჩემპიონატი

გიორგი ცირეკიძე (80 კგ) – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ნიკოლოზ ჭიკაძე (63 კგ) – ოქრო
ზვიად პატარიძე (100 კგ) – ოქრო
ნუგზარ ნურნუშია (42 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ჯონი ხეცურიანი (50 კგ) – ოქრო
ზვიად პატარიძე (100 კგ) – ოქრო
ლერი აბულაძე (46 კგ) – ვერცხლი
ნიკოლოზ ჭიკაძე (63 კგ) – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

გელა ბოლქვაძე (74 კგ) – ოქრო
ბექა კანდელაკი (120 კგ) – ოქრო
გიზო მელაძე (55 კგ) – ბრინჯაო
შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) – ბრინჯაო
ლაშა გობაძე (84 კგ) – ბრინჯაო
კუკური კირცხალია (96 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) – ოქრო
გიზო მელაძე (55 კგ) – ბრინჯაო
გელა ბოლქვაძე (74 კგ) – ბრინჯაო
ლაშა გობაძე (84 კგ) – ბრინჯაო

თავისუფალი ჭილაობა

ვეროპის ჩემპიონატი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ) – ოქრო
კონსტ. ხაბალაშვილი (65 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ) – ვერცხლი

ვეროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

მექი სიმონია (76 კგ) – ვერცხლი
გიორგი ხაჩიძე (42 კგ) – ბრინჯაო
ივერიკო ჯულაყიძე (63 კგ) – ბრინჯაო
გივი მაჭარაშვილი (100 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)

გივი მაჭარაშვილი (100 კგ) – ოქრო
გიორგი ხაჩიძე (42 კგ) – ბრინჯაო
შმაგი თოდუა (54 კგ) – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ომარ გურჯიძე (66 კგ) – ოქრო
ტარზან მაისურაძე (74 კგ) – ოქრო
გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ოქრო
გიორგი ბრეგაძე (60 კგ) – ვერცხლი
გიორგი ჩხარტიშვილი (84 კგ) – ვერცხლი

ტყვიის სროლა

მსოფლიოს თასი

ნინო სალუქვაძე – ვერცხლი

ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები

თამაზ კირაკოზაშვილი (ძიულო, 81 კგ) – ვერცხლი
მექი სიმონია (თ. ჭიდაობა, 76 კგ) – ვერცხლი
ივერიკო ჯულაყიძე (თ. ჭიდაობა, 63 კგ) – ბრინჯაო

პრივი

ვეროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ლაშა გურული (60 კგ) – ბრინჯაო
გიორგი ხარაბაძე (69 კგ) – ბრინჯაო

ვეროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

გიორგი მანჯავიძე (52 კგ) – ბრინჯაო

კანოე

მსოფლიოს ჩემპიონატი (23-წლამდელები)

ზაზა ნადირაძე (K-1) – ბრინჯაო

ფარიკაობა

ვეროპის პირველობა (23-წლამდელები)

სანდრო ბაზაძე (ხმალი) – ოქრო
საქართველოს ვაჟთა ნაკრები (ხმალი) – ბრინჯაო

სპორტის არაოლიმპიური სახეობები

რაბი

ევროპის ერთა თასი
საქართველოს ნაკრები – ოქრო

ევროპის პირველობა (19-წლამდელები)
საქართველოს ნაკრები – ოქრო

ჭადრაკი

მსოფლიოს ჩემპიონატი (ბლიცი)
ნანა ძაგნიძე – ვერცხლი

ევროპის ჩემპიონატი
სალომე მელია – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ნატო იმნაძე (18 წლამდე) – ვერცხლი
გიორგი სიბაშვილი (16 წლამდე) – ვერცხლი
ნინო ხომერიკი (16 წლამდე) – ვერცხლი
ნიკოლოზ ჯანჯღაძე (10 წლამდე) – ბრინჯაო

სამბო

მსოფლიოს ჩემპიონატი
გენადი ჩირგაძე (52 კგ) – ოქრო
ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) – ოქრო
ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ) – ვერცხლი
ბესარიონ ბერუღაძე (74 კგ) – ბრინჯაო
ნიკო კუცია (80 კგ) – ბრინჯაო
დავით კარბელაშვილი (90 კგ) – ბრინჯაო
დავით ლორიაშვილი (100 კგ) – ბრინჯაო
ნინო ოძელაშვილი (72 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი
ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) – ოქრო
დავით ლორიაშვილი (100 კგ) – ოქრო
ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ) – ვერცხლი
ბესარიონ ბერუღაძე (74 კგ) – ვერცხლი
ნიკო კუცია (82 კგ) – ვერცხლი
ნოდარ მეტრეველი (+100 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (გოგონები)
თეა სუხიტაშვილი (68 კგ) – ვერცხლი
ნინო ოძელაშვილი (72 კგ) – ვერცხლი
ირინე ლეონიძე (+80 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (საბრძოლო სამბო)
დავით ჩოჩიშვილი (82) – ვერცხლი
ნოდარ კუდუხაშვილი (90 კგ) – ვერცხლი

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ლერი ქელიძე (57 კგ) – ოქრო
ლაშა პარასკევაშვილი (62 კგ) – ოქრო

მიხეილ მეზურნიშვილი (82 კგ) – ოქრო
ზაურ მამარდაშვილი (90 კგ) – ოქრო
გიორგი მელქუაშვილი (48 კგ) – ვერცხლი
ლერი ბედინაძე (52 კგ) – ვერცხლი
თორნიკე ჭოველიძე (68 კგ) – ვერცხლი
რეზო ნულუკიძე (100 კგ) – ვერცხლი
ომარ ნიაზაშვილი (74 კგ) – ბრინჯაო
გიორგი ლაზუაშვილი (+100 კგ) – ბრინჯაო
ევროპის ჩემპიონატი (გოგონები)
სალომე აბაშიძე (56 კგ) – ოქრო
ელენე ქებაძე (+80 კგ) – ოქრო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
ირაკლი კუპატაძე (52 კგ) – ოქრო
გიორგი მეტრეველი (65 კგ) – ოქრო
თორნიკე მახათაძე (70 კგ) – ოქრო
ირაკლი გოგია (87 კგ) – ოქრო
კობა მჭედლიშვილი (75 კგ) – ვერცხლი
ჯაბა მუმლაძე (+87 კგ) – ვერცხლი
დავით ნურნუშია (60 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
ირაკლი კუპატაძე (52 კგ) – ოქრო
ჯაბა ქურდიანი (60 კგ) – ოქრო
ვანო ჩურჩხელაშვილი (75 კგ) – ოქრო
ირაკლი გოგია (87 კგ) – ვერცხლი
გიორგი მეტრეველი (65 კგ) – ვერცხლი
ჯაბა მუმლაძე (+ 87) – ვერცხლი
ლევან შონია (48 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
თორნიკე ჭოველიძე – (68 კგ) – ოქრო
ლაშა პარასკევაშვილი (62 კგ) – ვერცხლი
რევაზ ნულუკიძე (100 კგ) – ვერცხლი
გიორგი ლაზუაშვილი (+100) – ვერცხლი
მიხეილ მეზურნიშვილი (82 კგ) – ბრინჯაო
ზაურ მამარდაშვილი (90 კგ) – ბრინჯაო

კარატე

მსოფლიოს ჩემპიონატი
გოგიტა არქანიანი (-84 კგ) – ოქრო

ევროპის ჩემპიონატი
ანდრეი ზინჩენკო (-70 კგ) – ოქრო
ემზარ ნიქაცაძე (+90 კგ) – ბრინჯაო
ანი ბოჭორიშვილი (+65 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ლაშა ოზბეთელაშვილი (80კგ) – ოქრო
თამარ ბიბილეიშვილი (-65კგ) – ოქრო
სერგო მოვსესიანი (-70კგ) – ბრინჯაო

მკლავჭიდი

ევროპის ჩემპიონატი
ვილენ გაბრავა (მარცხენა) – ოქრო
ჯამბულ ვიბლიანი (მარჯვენა) – ოქრო
ვილენ გაბრავა (მარჯვენა) – ვერცხლი
ჯამბულ ვიბლიანი (მარცხენა) – ვერცხლი
ვეფხია სამხარაძე (მარჯვენა) – ვერცხლი
ირაკლი გამთენაძე (მარჯვენა) – ვერცხლი
ლევან სალინაშვილი (მარჯვენა) – ვერცხლი
ნიკოლოზ ნერეთელი (მარჯვენა) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი
იმედა ჭინჭარაული (მარცხენა) – ოქრო
ლევან საგინაშვილი (მარცხენა) – ოქრო
ლევან საგინაშვილი (მარჯვენა) – ოქრო
ალექსი ფრენუაშვილი (მარჯვენა) – ოქრო
გელა არაბული (მარჯვენა) – ოქრო
ჯამბულ ვიბლიანი (მარჯვენა) – ვერცხლი
ვილენ გაბრავა (მარცხენა) – ვერცხლი
რაჩო გახარია (მარცხენა) – ბრინჯაო

სუმო

ევროპის ჩემპიონატი
გიორგი მეშვილდიშვილი – ოქრო
საქართველოს ნაკრები – ვერცხლი
ლევან ბერიანიძე – ვერცხლი
ლევან ბერიანიძე – ბრინჯაო
გიორგი მეშვილდიშვილი – ბრინჯაო
ავთანდილ ცერცვაძე – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
გიორგი ფარადაშვილი – ვერცხლი
ლაშა ჯელაძე – ბრინჯაო
საქართველოს ნაკრები – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (23-წლამდელები)
ზურაბ აქუბარდია – ბრინჯაო
ზურაბ აქუბარდია – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
ლაშა ჯელაძე – ოქრო
საქართველოს ნაკრები – ოქრო
გიორგი ფარადაშვილი – ვერცხლი
გიორგი ფარადაშვილი – ვერცხლი
ლაშა ჯელაძე – ბრინჯაო

ბოლიბილინგი

ევროპის ჩემპიონატი
ირაკლი გაგუა – ოქრო

2015

2015 წელი გამოჩნდა მნიშვნელოვანი იქნება ქართული სპორტისთვის. ჩვენი ეროვნული ნაკრები და საკლუბო გუნდები, ცალკეული სპორტსმენები გამოვლენ უმაღლესი დონის საერთაშორისო ტურნირებზე, მათ შორის – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, იზრძობენ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის. მორაგბები ითამაშებენ მსოფლიოს თასის ფინალურ ტურნირში, კალათბურთელები – ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძელი იქნება თავად საქართველო:

- თბილისის გრან-პრი ძიუდოში (მარტი)
- ევროპის ჩემპიონატი კალმსოგებში (აპრილი)
- 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდი ფეხბურთში (მაისი)
- თბილისის თასი რაგბში (ივნისი)
- ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი
- ”თბილისი 2015“ (ივლისი-აგვისტო)
- უფას ევროპის სუპერთასი (აგვისტო)
- მსოფლიოს ჩემპიონატი გიატლსა და ტრიატლში (სექტემბერი)